

ბუნაკიონ  
ნიუნაკიქე



K 117.303  
3

ისტორიულ-  
ეთნოგრაფიული  
წიგნიანობა

II

ჭეშარიონ ნიუნიჩე



თავისუფალი სკანი

# ისტორიულ- ეთნობრაფიული წერილები

K114.303  
3

## II



თბილისის უნივერსიტეტის  
ბაზოცემა  
თბილისი — 1964



ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ  
მეცნიერებათა VII მსოფლიო კონგრესისათვის

*K VII Международному конгрессу  
антропологических и этнографических наук*

*Au VII Congrès International des  
Sciences Anthropologiques et Ethnologiques*

\*

ბ. ნიეარდის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ დამზარე მასალაა ქართული ადათობრივი სამართლის შესწავლისათვის. „წერილებში“ ასახულია აგრეთვე ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცალკეული მხარეები, კერძოდ, სევანთა მეურნეობრივი ყოფის თავისებურებანი, მმართველობის სისტემის ხასიათი, საადგილ-მამულო ურთიერთობის ფორმები, სწავლა-განათლების მდგომარეობა სევანეთში და სხვა. ამასთან, „წერილებში“ წარმოდგენილია ქართველი ხალხის ძველთაგან მომდინარე წეს-ჩვეულებანი, ადრინდელი რწმენა-წარმოდგენები და თაობათა მანძილზე დაცული თქმულება-გადმოცემები, რომლებიც სევანეთმა ამა თუ იმ სახით XIX ს-მდე შემოინახა.





მ. ბიჭია

6507-2800  
349-1300

... <sup>01-332</sup> ~~ქვე~~ ხედავდასა მთელი  
 ახალი, ახალი კარს ღია ღია  
 მზისა და ხი... ან რაღაც  
 მთლიანად ვერა და მზის  
 მზის...  
 - ვერა, ან თვე? (მთლიანად)  
 მზის, ან მზის

ვალის უხელო მზისა, ვერა  
 მთელი თვეს უხელო მზისა  
 ვერა მზისა  
 ვერა მზისა

მზის და მთლიანად, ხედავდასა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა

ხედავდასა მთლიანად მზისა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა  
 ხედავდასა მთლიანად მზისა

მთლიანად მთლიანად მზისა  
 "მთლიანად" - მთლიანად  
 მთლიანად, ან...?

მთლიანად მთლიანად მზისა

"მთლიანად" = 1/2 მთლიანად  
 მთლიანად? - მთლიანად, მთლიანად  
 მთლიანად, ან...  
 (მთლიანად მთლიანად მთლიანად  
 მთლიანად მთლიანად მთლიანად  
 მთლიანად მთლიანად მთლიანად)

მთლიანად მთლიანად მთლიანად  
 მთლიანად მთლიანად მთლიანად  
 მთლიანად მთლიანად მთლიანად

რადიოლ ერისთავის შეკითხვები და ბესარიონ ნიყარაძის პასუხი.  
 ავტოგრაფები (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზელნაწერთა  
 ინსტიტუტი, რ. ერისთავის ფონდი).



## რ ე ლ ა ქ ზ ო რ ი ს ა გ ა ნ

ბესარიონ ნიყარაძის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ I ტომის გამოქვეყნებას მრავალი რეცენზია გამოეხმაურა. რეცენზიები საერთოდ დადებითი იყო; აქა-იქ გამოითქვა ზოგიერთი შენიშვნა, რომლებიც ტექსტის გამოცემის წესს შეეხებოდა. რედაქციამ ეს შენიშვნები „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ II ტომის გამოცემისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა.

ნაწილი ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობებისა ბ. ნიყარაძის შესახებ დაცული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში. ბ. ნიყარაძის ნაშრომთა ამ გამოცემასთან დაკავშირებით სრული ბიბლიოგრაფია შეადგინა ი. ფუტყარაძემ. ფსევდონიმების გახსნისას ვსარგებლობდით თ. მაჭავარიანისა და თ. დონდუას კონსულტაციით. დამატებითი საარქივო მასალა ბ. ნიყარაძის ბიოგრაფიისათვის მოგვაწოდა თ. ტაბლიაშვილმა. ტექსტში ნახმარი სვანური ტერმინებისა და გამოთქმების ლექსიკონი ეკუთვნის მ. ჩართოლანს. გადმობეჭდილი ტექსტის შეჯერებისას ორიგინალთან და კორექტურის შემოწმებისას დიდი შრომა გასწიეს ლ. მაჭავარიანმა, ნ. ჯავახიძემ და ბ. გამყრელიძემ.

თავისი ნახატები თავაზიანად დაგვითმეს მხატვრებმა ნ. ბრაილაშვილმა და ო. სულავამ, ხოლო ნახაზები შესრულებულია არქიტექტორების ვ. წილოსანისა და თ. გორგაძის მიერ.

ყველა ზემოთ მოხსენიებულ პირს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

## სვანეთის ბუჩაძი

ბესარიონ ნიყარაძე (1852—1919) მსხვილი ფიგურაა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის ორი ათეული წლის მანძილზე. იგი დაიბადა და აღიზარდა სვანეთის კეკელუც ბუნებაში და სვანეთისავე წარსულისა და აწმყოს კვლევა-ძიებას შეაღია თავისი სიცოცხლე.

სვანეთი თვალ-წარბეჭეტი კუთხეა ეგრისწყლისა (ენგურისა) და ცხენისწყლის სათავეებში. იგი ამჟამად შეადგენს ორ რაიონს, ლენტეხისა და მესტიისას, და გარემოცულია მაღალი მთებით. სვანეთში ამჟამად ავტოთი შეგიძლია მიხვიდე ან თვითმფრინავით მიფრინდე. ძველად კი ძნელად მისაღალი ქვეყანა იყო. ამიტომ მტრების შემოსევის დროს აქ მოჰქონდათ შესანახად და გადასაოჩენად ხელნაწერები და სხვა ისტორიული ნივთები, რომელთა ნაწილი დღესაც დაცულია სვანეთში, მათ შორის განთქმული ადიშის ოთხთავი, რომელიც შატბერდში (კლარჯეთში) გადაწერეს 897 წელს. სხვათა შორის, ბეს. ნიყარაძე იყო პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ ძეგრფას ძეგლს. სვანეთმა შემოგვინახა აგრეთვე X საუკუნის ხელნაწერები, რომლებიც ააშკარავებენ, თუ რა მჭიდრო კავშირი ჰქონდა ძველად საქართველოს იერუსალიმთან. სხვაც ბევრია საინტერესო სვანეთში: ენა და მისი კილოები, ხალხის ზნე-ჩვეულებანი, სიმღერები, ზღაპრები, ლექსები და სხვ. ამიტომ სვანეთი ყოველთვის იზიდავდა ჩვენი წარსულის მკვლევრებს: დიმიტრი ბაქრაძე თუ თედო ყვარდანი, ალექსანდრე ხახანაშვილი თუ ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი თუ კორნელი კეკელიძე — ყველა მიეშურებოდა სვანეთს თავისი სამეცნიერო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. თვით სვანეთში კი ცხოვრობდა ამ კუთხის დიდი მოამაგე და თავდადებული მუშაკი, რომელიც მშვენივრად იცნობდა სვანეთის ყოფა-ცხოვრებას, კარგად ერკვეოდა სამხარეთმცოდნეო საკითხებში, აგროვებდა ხელნაწერებს და სხვა ისტორიულ ნივთებს, თვითონაც იკვლევდა და სხვასაც ეხმარებოდა კვლევა-ძიების საქმეში. ეს იყო ბესარიონ ნიყარაძე, კაცო ნიჭიერი, განათლებული, შრომისმოყვარე და დაკვირვებული. იგი კარგად იცნობდა თავისი დროის ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და მათ

შორის ილია ჭავჭავაძესაც, რომელსაც ასეთი რჩევა მიუცია ბ. ნიჟარაძისათვის: „ბესარიონ, თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე და იქიდან ამოგვიღე უღელში“. მისი რჩევა რიონმა უყოყმანოდ მიიღო ეს რჩევა და სიხარულით შეუდგა სამსახურს.

ბ. ნიჟარაძის კალამს მრავალი საყურადღებო წერილი ეკუთვნის სხვადასხვა საკითხის შესახებ სვანების ცხოვრებიდან. ეს წერილები იბეჭდებოდა სხვადასხვა გაზეთსა და ჟურნალში 1882 წლიდან („შრომა“, „დროება“, „ივერია“) ზოგი ხელმოუწერლად, უმეტესად კი „სვანის“ ან „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით.

ბ. ნიჟარაძის ნაწერები შეიცავს ძვირფას ცნობებს სვანეთის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესახებ. მისი ეთნოგრაფიული წერილები და ხალხური სიტყვიერების მასალა (სვანეთში ჩაწერილი ლექსები, ანდაზები, გამოცანები და სხვ.) იგივეა სვანეთისათვის, რაც ვაჟა-ფშაველას „ფშაველი“ და მისი წუთითაოფელი“ ფშავისაფვის. ვაჟა-ფშაველასთან ბესარიონ ნიჟარაძეს იხივ აახლოვებდა, რომ, ვაჟას მსგავსად, არც ის მშორდებოდა თავის კუთხეს. ამას გარდა, ისიც აღსანიშნავია, რომ ცნობილი რუსი სოციოლოგი მაქსიმე კოვალევსკი უხვად სარგებლობდა თავისი განთქმული წიგნისათვის („კანონი და ჩვეულება კავკასიაში“) როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე ბესარიონ ნიჟარაძის მიწოდებულ ცნობებით საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ბ. ნიჟარაძის ნაწერებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მეტიც შეიძლება ითქვას: ისინი მეტად საჭიროა ბევრი საკითხის გარკვევისათვის. მაგრამ დღემდის გაფანტული იყვნენ ძნელად საშოვარ ჟურნალ-გაზეთებში და ფაქტიურად ხელ-მიუწვდომელი იყვნენ დაინტერესებულ პირთათვის. ამიტომ აუცილებელი იყო მათი ერთად თავის მოყრა და გამოცემა. ეს საპატიო საქმე შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც 1962 წელს გამოსცა ბ. ნიჟარაძის ნაწერების I წიგნი, 1964 წ. კი — II წიგნი. ამ წიგნებში შესული ნაწერები ეხება სვანური ხალხური დღესასწაულების მიმოხილვას, გასამართლების წესებს, ცრუმორწმუნეობას, ცოლქმრობის წესებს და სხვ. ყველა ესენი წიგნში დალაგებულია ქრონოლოგიურად (მათი დაწერა-გამოქვეყნების მიხედვით) და იმ სახით, როგორც თავის დროს ჩაუწერია ბესარიონს. შიგ ურევია „სვანები ბარად“, რომელიც მოგვიტხრობს რამდენიმე სვანის თავგადასავალს, რომლებიც საშოვრად წასულან ქუთაისს ზამთარში და დიდი ტანჯვა-წვალება უნახავთ გზაში. მოთხრობას წამძღვარებული აქვს

სვანური ანდაზა, რომელიც კარგად უდგება მოთხრობის შინაარსს: „კვერნა საშოვრად წასულა და ტყავი იქ დარჩენილი“.

საუცხოვო II წიგნში მოცემული ცნობები სვანეთის ეკონომიკური მდგომარეობის და სვანების ყოფა-ცხოვრების შესახებ და მათი ბრძოლის შესახებ და ცეცხლსაფარის და სხვ.. ტანში ყრუანტელს მოპკვრის კაცს ხალდეს ამბები, რომლის დამხვედური და საკუთარი თვალით მნახველი იყო ბესარიონ ნიჟარაძე და რომელიც შეიძლება არ მომხდარიყო, რომ გონივრულად მოპყრობოდნენ თავისუფლების მოყვარე ხალხს.

ბესარიონ ნიჟარაძე ცნობილია, როგორც შემკრები ხალხური ლექსებისა და ანდაზა-გამოცანებისა. ერთი მისი ჩაწერილი ხალხური ლექსი მე გამოვაქვეყნე 1925 წ. „არილში“, ხოლო თერთმეტი ლექსი (მათი ქართული თარგმანითურთ) დაიბეჭდა „სვანური პოეზიის“ კრებულში 1939 წ.

ამას გარდა, ბესარიონმა დაბეჭდა მოკლე გრამატიკული მიმოხილვა სვანურისა, რომელიც მცირეა მოცულობით, მაგრამ უთუოდ ანგარიშ-გასაწევია. მასვე ეკუთვნის ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა (802 გვ.). ერთი გადანაწერი ამ ლექსიკონისა შეიძინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1912 წელს.

ბესარიონ ნიჟარაძე ბურჯი იყო სვანეთისა. მისი ამაგი უთუოდ დიდია ამ მშვენიერი კუთხისა და იქაური მცხოვრებლების წარსულისა და მის დროინდელი აწმყოს შესწავლის საქმეში.

## მთხი ღვა

### მდ. ანაკის, ხანისწყლის და ჩიონის სათავეები

ერთადერთი მარჯვე და მოკლე გზა სვანეთიდან გამოსასვლელი არის ის გზა, რომელიც ესრედ წოდებულს ლატფარის უღელტეხილზე გადის. ამ გზით სვანეთიდან წამოსული მოგზაური გაივლის სადალიანო სვანეთის ორს საზოგადოებას ჩოლურს და ლენტეხს, შემდეგ ლეჩხუმის რამდენსამე საზოგადოებას და ბოლოს ლეჩხუმშივე დაადგება ქუთაისში მიმავალს გზატკეცილს, რომელიც ქუთაისს მიიყვანს. აგერ მეჩვიდმეტე წელიწადია მას აქეთ, რაც სვანეთიდან გადმოვედი და ერთი ზაფხული არ გამომიშვია, რომ ჩემ სამშობლო სვანეთს — ამ „კავკასიის შვეიცარიას“ არ ვსტუმრებოდი და ყოველთვის კი ხსენებულს გზაზე მიმოვდიოდი ხოლმე, ხან ფეხით, ხან ცხენით. ყოველი შესანიშნავი, საყურადღებო ადგილი, გორა, ღელე, წყარო, ამ გზაზე ისე ვიცი, როგორც ჩემის ხელის თითები. მამასადამე, ამ გზაზე სიარული ჩემთვის უინტერესო და ხალის მოკლებულია. ერთი მცირე მიზეზი ეს არის, რომ წრეულს ამ გზით არ დავბრუნდი ქუთაისს, მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ახლანდელი ჩემი გზა—თუ კი მას გზა დაერქმის—ისეთ ადგილზე გაივლიდა, სადაც უცხო მოგზაურის ფეხი ძლიერ იშვიათად მოხვდება; მაგ., ჩვენ ვიცით, რომ 1850 წლიდან ზაფხულს ისე არ გაუვლია, რომ 2—6-მდე მოგზაური არა სწვეოდეს სვანეთს, თუ რუსი, თუ უცხოელი და ამათგანში მარტო ორი მოგზაური მოხვდა ჩემს საველს გზას: ბ-ნი რადდე 1864 წელს და ინგლისელი მოგზაურ-მონადირე, ფილიპ უოლსლეი, როგორც მახსოვს, 1882 წელსა. უმთავრესი მიზეზი კი ჩემის წრევანდელის მოგზაურობისა იყო სურვილი: ადგილობრივ მენახა ხეობები მდ. ყორულდისა, ზესხვისა და ხიდურისა, სადაც, როგორც ისტორიულად ვიცით, XV<sup>1</sup> საუკუნეში ხალხს უცხოვრია

<sup>1</sup> დიმ. ბაქრაძე, „Сванетия“, Записки Кавказ. Отд. Русс. Географ. общ. кн. VI, 1864 г.

და დღეს კი ეს ხეობები, რომელნიც ცხენისწყლის სათავეში მდებარეობენ, გავერანებულან და სახსოვრად უწინდელის მათს მცხოვრებლებსა დარჩენილან-და მარტო ნანგრევენი სახლ-კომპლექსისა და საყდრებისა. ამ ხეობებზე და მათში ოდესმე ნაცხოვრებ ხალხზე ჩვენ შეკრებილი გვექონდა ლეგენდები: ამას დაუძრავია, რომ ჩვენ ვნახავდით მდ. რიონის სათავეს ახლო მდებარე საზოგადოებას — ლეპ-ჭიორას, რომლის მცხოვრებელნიც უწინ სვანები ყოფილან, მაგრამ დროთა განმავლობაში გარაჟველებულან: ვნახავდით ხალხს, შევიტყობდით, რამდენადაც ეს შესაძლებელია მოგზაურისათვის, ზოგიერთს მის ზნე-ჩვეულებას და მაშინ მკითხველი დამეთანხმებდა, რომ ჩვენი მოგზაურობა უსაგნო არ ყოფილა და აქ სიარული უბრალო ყიალ-ხეტილადაც არ ჩაგვეთვლებოდა...

ამნაირად 24 ივლისს 1885 წ. ვახსენე ღმერთი და გამოვემგზავრე უშკულიდამ. ჩემი თანამოგზაური იყო ცხრა კაცი — ყველა უშკულელები. ამათში ერთი სვანეთში პირველი მონადირე გეგიც იყო. გეგის მე ვსთხოვე წამოგვეყოლოდა, რადგანაც გზად უნდა გაგვევლო უშკულის სანადირო ადგილები, სადაც გეგის თავის სიცოცხლის მომეტებული ნაწილი გაუტარებია და მცირე რამ ბილიცი, გორა, ღელე რა არის. ისიც-კი რომ არ იცოდეს. ამასთანავე, ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ გეგი გზაზე ნანადირევს გვაჭმევდა. ამის იმედი თვითონვე მოგვცა. ჯერ-ჯერობით გეგის თავი დავანებოთ და ენგურის სათავე ავსწეროთ. მდ. ენგურს სათავე აქვს კავკასიის დიდ ქედთან, უშკულის საზოგადოებითგან ერთის საათის სავალზე. ენგურს თავშივე შეადგენს ორი ტოტი, ერთი გადმოდის სამხრეთ-აღმოსავლეთითგან მთა „ნამყვამის“ ძირითგან (რადღეს ნუ ამყვამ) და მეორე პირდაპირ აღმოსავლეთითგან უსახელო მთის გორიდაც. ორივე ეს ტოტი თავში დაფარულია კლდე-ყინულითა. ერთი ამისთანა კლდე-ყინული სიგრძით 2 ვერსზე მომეტებული იქნება. უშკულის მოხუცებულებმა მითხრეს, რომ მათს ხსოვნაში 1/2 ვერსი მინც დაჰკლებია, დამდნარა კლდე-ყინულით. მართლადაც, ივლისში და აგვისტოში კაცი ჰხედავს, რომ ყინულის ზედაპირზე წყლის მდინარეები ჩამოდიან, რასაკვირველია ყინულისავე ნადნობი.

შესანიშნავია, რომ კლდე-ყინული, ნამეტურ ქვედა-ნაწილი — სულ არეულია რიყის ქვასთან. საცა კლდე-ყინული გახეთქილია, შიგნით ყინულთან შედუღებულს ჰხედავთ ვეებერთელა რგვალს ქვებს. ეს არის ალბათ მიზეზი, რომ ზედა ნაპირი ყინულისა დიდს მანძილზე ბოლოდამ დაფარულია რიყის ქვით, სილით და სხვა. ამ ქვების და სილის ნაწური, ნარეცხი ჩადის მდინარის სათავეშივე და ამ მიზეზით მდინარე სათავეში ისეთი მღვრივეა, რომ სქელი ფურშუკი გე-

გონებათ. იქ, სადაც კლდე-ყინული თავდება და წყალი მის გორიდან ძლივ-ძლივით გამოდის, ყინული ჩამომტყდარა და დასწოლდა წყალს და ყინულის სიმძიმეს დიდს მანძილზე გაუშლია, გაუფანტავს. ათის წლის წინათ-კი მდინარე აქ ისე გამოდიოდა, როგორც ქვიშის ღარიდამ.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ენგურის სათავეს ამოჰყუდებია კავკასიის ქედი, მუდამ თოვლით დაფარული. ეს ქედი ამ ადგილას ისე სწორად ამართულა, რომ ადამიანს არ შეუძლიან მის მწვერვალზე ასვლა. უშკულში ამბობენ, რომ ძველად ამ მთაზე გზა მიდიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სახელდობრ, მალყარში და ისე ახლო იყოვო, რომ ერთი მალყარელი მონადირე დილით გამომცხვარ ხაჭაპურს თბილ-თბილსვე მოიტანდა მთის წვერამდით. თითქმის შუა ადგილას ხსენებულის ქედისა არის ერთ გვარი კლდე, რომელსაც შაქრის თავის სახე აქვს, მაგრამ ისე კი, რომ ძირი ზევით ჰქონდეს და თავი ქვევით. ვარედამ ეს კლდე თეთრია. უშკულელები ამ კლდეს ეძახიან „ლაჯიმ კოჯ“-ს, ე. ი. სამარილე კლდე. ეს კლდე სოფლიდამ სჩანს და ვინც უნდა უცხო კაცი მისულიყო უშკულში, ყველას ამ კლდეზე მიუთითებდნენ, როგორც სამარილე კლდეზე. ხალხი ამბობდა, რომ ძველად ამ კლდიდამ მარილი გამოჰქონდათ და კიდევ ასახლებდნენ კაცებს. უმატებდნენ აგრეთვე, რომ კლდის ძირში უკვე დარჩენილი არის ძველების სამუშეოარი იარაღიო, მაგ., რკინის ურო, კიბე და სხვა. ბევრმა მოინდომა ამ კლდის ნახვა, მაგრამ გზის სიციულის გამო ვერავინ მიატანა. 1884 წ. ვსთხოვე კლდეებში სიარულით გამოცდილ გეგის და მის ამხანაგს, გვეცადნა იქ მისვლა. ბევრი რაღა გავაგრძელოთ, მივედით, მაგრამ ისეთი გზები გავიარეთ (სულ ყინულებზე და კლდეებზე), ისეთი გაჭირება გამოვიარეთ, რომ იმ კლდეში არა თუ მარილი, ბაჯალლო ოქროებიც რომ იყოს, ადამიანისათვის უქმად დარჩება, რადგანაც არაფერს მანქანას იმ გზით არაფრის, გამოტანა კლდიდამ არ შეუძლიან. ვარეთა პირი კლდისა ჯერაბით არის შეთეთრებული, არც ურო, არც კიბე და არც მარილი მაგ კლდეში არ არის. ხალხის საჩვენებლად კლდის ნამტვრევები სოფლად წამოვიდეთ და თავის თვალს არ უჯერებდნენ, რომ ნუთუ ამ მარილის მადანში ამისთანა ქვეები იყოვო.

ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგურს მოჰყვებიან დიდ ქედიდამ გამოსული შტოები: პირველი ამათგანი უშკულის საზოგადოებას ჰყოფს კალის საზოგადოებისაგან, მეორე უშკულის თავშივე სწყდება და მის დავაკებაზე გაშენებულია უშკულის სოფლები. იმ შტოს ფერდზე, რომელიც მდინარეს მარჯვნივ ჩამოსდევს სათავის მახლობლად, არის უშკულის სათიბები, მარ-

ცხენა ქედის ფერდობებზე კი, ქვედა ნაწილში, უშკულისავე ტყე-  
ებია, სადაც ხარობს მარტო არყის ხე და შკერი<sup>1</sup> (rhododendron).  
ეს სათიბი ადგილები უშკულს აძლევს წელიწადში, სულ ცოტა, რომ  
ესთქვათ, 2,300 მარხილს კარგს თივას. წყლის აქეთ-იქით გაშლილია  
გაშლილია მოდიდო ქალები, სამწყესური ადგილები უშკულის ეო-  
თის სოფლისა, სახელდობრ, ყიბიანისა. მთელი უშკული აქ ასუქებს  
საკლავს საქონელს და ცხენებს. როგორც ამ მთაში, რომელსაც  
„შხარ“-ს ეძახის ხალხი, ისე არსად არა სუქდება პირუტყვი. ბალახის  
სიკეთესთან აქ არის 10-მდე მყავე და მლაშე წყლები, რომელიც ძლი-  
ერ უყვარს პირუტყვს. აქ ჰგზავნიდნენ სასუქად პირუტყვს აგრეთვე  
შორეული სოფლები თავისუფალ სვანეთისა: უშკულის მწყემსებს  
აბარებდნენ შემოდგომამდე და შემდეგ მიჰყავდათ დასაკლავად; სამ-  
წყესურს უშკულელები იღებდნენ შვიდ აბაზიდამ ორ მანეთამდე  
თითო პირუტყვზე. ერთი უშკულელი, — როგორც ამბობს საერო  
სიმღერა — ისე გამდიდრდა თურმე აქ ნასუქის ხარებით, რომ მოიწ-  
დომა „ნემისი“ ხიდის გადება იმ ქედების მწვერვალებს შუა, რო-  
მელნიც მდინარეს ჩამოჰყვებიან აქეთ-იქით:

„ახაში ბახაში? ნესგა  
ბოგარს დესგი ნესყემი“.

ე. ი. ქედისა და ქედის შუა ხიდს აკეთებდა ნემისისა. ამითი ვა-  
თავეთ ენგურის სათავის აღწერას და შემდეგ განვაგრძობ ჩვენის  
მგზავრობის ამბავს.

\*  
\*  
\*

როგორც უკვე ნათქვამია, ჩვენ ვიყავით ცხრა კაცი; შვიდი ჩვენ-  
თაგანი წინ გავისტუმრეთ, თან გავატანეთ ძროხები და საგზალი; მე  
და გეგი-კი უკან ჩამოვრჩით, რადგანაც ჩვენ ცხენებით ვიყავით და  
იმ ლამის ბინამდე ქვეითებს თუ არ გავუსწრებდით, არ ჩამოვრჩებო-  
დით. სალამოს ოთხი საათი იყო, როდესაც მე და გეგი სოფლიდამ  
გამოვედით. უშკულის თავში აღმოსავლეთით ამაღლებულს ადგილ-  
ზე აშენებულია უშკულის შესანიშნავი ეკკლესია ღვთისმშობლისა.

<sup>1</sup> ამ მცენარეს ქართლ-კახეთში იელს ეძახიან. რედ.

<sup>2</sup> სიტყვები „ახ“ ი „ბახ“ ნიშნავენ საგნის შორი-შორს ყოფნას. ზახ ჰქვია  
აგრეთვე მთას, რომლის მწვერვალი ორად არის გაყოფილი, როგორც ორთითა.  
„ხ“ ანის მაგიერ აქ უნდა ხარიჭ, ძლიერ მძიმეთ გამოთქმული ყელში. ავტ.

როდესაც ამ ეკლესიას მიუახლოვდა ჩვენი გზა, გვეიმ პირველი გადიწერა. წალმა მოტრიალდა და ქუდ-მოხდილმა კარგი მგზავრობა სთხოვა „დედა-ღვთისას“ უშკულისას, როგორც ეძახიან ღებეჭვიწული ამავე ადგილას, სადაც გვეიმ პირ-ჯვარი დაიწერა, პატარა გზა-საგორას ხალხი ეძახის „სავიარე-ლაშთხვალ“-ს, ე. ი. ოსების სამარხ ადგილს. ხალხი ამბობს, რომ ერთხელ ოსები მისულან ღვთისმშობლის გასაცარცვავად. ეს ღვთისმშობელს სწყენია, ურწმუნო ოსებისათვის თვალთა ხილვა წაურთმევია: მეორე დღეს უშკულელებს უნახავთ დაბრმავებული ოსები. როცა მათი განზრახვა შეუტყვიათ, დაუხოციათ და აქვე დაუმარხავთ.

ათის წლის წინათ ღვთისმშობლის ეკლესიაში ჩამოკიდებული იყო ექვსი თათრის ქუდი — ფესი, რომელიც ხალხის გარდმოცემით იმ დაბრმავებულ ოსებს ეკუთვნოდათ. ეს გორაკი სხვა შემთხვევითაც არის ყურადღების ღირსი. აქ ძველად სასოფლო ყრილობას გამოუფათრავს ეკლესიიდან გამოტანილის შუბით ორი ძმა რატიანები — უშკულელები, რომელთაც ღვთისმშობლის ეკლესიიდან ხატი მოეპარათ.

გასცილებით თუ არა ამ გორას აღმოსავლეთისკენ, ეკლესია თვალდამ გეკარგებათ. ჩვენი გზა-კი მიჰყვებოდა მდ. ენგურის მარცხენა ნაპირას ჩამოგრძელებულის ტოტს სამხრეთს ფერდოებზე. ამ ტოტს სამხრეთით მოუდის მეორე მდინარე უშკულისა „ქვიშირი“-ი (რადღეს და სტოიანოვის „კვირიში“) <sup>1</sup>. მდ. ქვიშირი გამოდის ჩრდილოეთის ძირიდან მთა დაღიაშისა და უერთდება ენგურს უშკულშივე. როგორც სათაურში, ისე მის მიმდინარეობის გაგრძელება სოფლამდე, წიაღი და ორივე ნაპირი შავის კლდით არის მოფენილი. ამისათვის წყალი მუდამ შავი და ქვიშიანია, რის გამოც მიუღია სახელწოდება ქვიშირი, ე. ი. ქვიშიანი. მარცხენა ნაპირას მდ. ქვიშირს ჩამოსდევს სვანეთის ქედი, რომელიც სადაღიანო სვანეთს ჰყოფს ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთისაგან. ამ ქედზე არის შემდეგ უღელტეხილები, სადაღიანო სვანეთში გადასასვლელი: ლეკვაშა, ლენქორა, ზემო და ქვემო დაღიაში, გორვაში, ლატფარი, მუშური, ლასილი და ლეშენილი. სვანეთის ქედის ჩრდილოეთისკენ მიშვერილი გვერდები, სვანეთის ჩაყოლება და სხვ. ტყით არის დაფარული, ის ნაწილი-კი, რომელიც უშკულს მოუდევს, მარტო არყის ტყით და შკერით. მარჯვენა ნაპირას მდ. ქვიშირს ჩამოუყვება ქედი „ლეზგარა“ (სტოიანოვის „ლეგარა“) <sup>2</sup>. სამხრეთის ფერდოებზე ამ ქედისა

<sup>1</sup> იხ. „ივერია“ № 236.

<sup>2</sup> Записки Кав. отд. Р. Географ.общес. кн. VII, 1866 г. и кн. X, 1876 г.

გაშლილია უშუალოდ სამწყემსური და სათიბი ადგილები მშენ-  
ნიერი სურათი წარმოუდგება კაცს ლეზგარას ქედისამ: თითქმის  
ყველა უმაღლეს მწვერვალს კავკასიის ქედისას ჰხედავ და  
რასაკვირველია, იალბუხსაც. იალბუხი ჩვენ გვინახავს მთა  
და მუშურის მწვერვალბითგან, მაგრამ ლეზგარიდამ შეხედვა კი  
ბევრათ სჯობს. ლეზგარას კიდევ ის ღირსება აქვს, რომ მასზე ასე-  
ლა და ზედ სიარული ცხენით შეიძლება მთელს მის სიგრძეზე,  
6—7 ვერსი.

მგზავრობაში საზოგადოდ ბირველი შემაქცევარი მასალა არის  
მასლაათი, ლაპარაკი, როგორც კი სოფელს გამოვსცილდით, მაშინ-  
ვე ვუთხარი გეგის, რომ ეამბნა ჩემთვის თავისი თავგადასავალი შე-  
სახებ ნადირობისა. შევატყე რომ ნადირობა გეგას მოუწყენელი და  
მუდმივი სალაპარაკოა: ოღონდ ნადირობაზე ალაპარაკეთ, ელაპარა-  
კეთ და გეგი მუდამ მხიარული იქნება.

„ჩემს თემს — დაიწყო გეგიმ — ძველითგანვე მოსდგამს ნადი-  
რობა, ვისაც რა „მოსდგამს“, უთუოდ იმას შეისწავლისო“. ეს „მოს-  
დგამს“ ისეთის რწმენით წარმოსთქვა გეგიმ, რომ ვგონებ მემკვიდ-  
რეობითის გარდაცემის (наследственная передача) თეორიის მიმდევ-  
ვარნიც არ იქნებიან მეტად დარწმუნებულნი. ნადირობა გეგის ადრე  
დაუწყია. ჯერ ისევ ახალგაზრდაა, 34 წლისა და ამ დრომდე მოუყ-  
ლავს 230 არჩვი, 204 ჯიხვი, 22 დათვი და დაუქერია ხაფანგით  
8 მელა. ფრინველის ანგარიში არ იცის. რამდენს მოჰკლავს შემდეგ-  
ში, ძნელი გამოსაცნობია, თითონ კი ისეთი იმედი აქვს, რომ თუ არ  
მეტე, იმდენს მაინც მოჰკლავს, რაც აქამდინ დაუხოცნია.

მართალი უნდა თქვას კაცმა, რომ გეგის ნადირობის სკოლა უკვე  
გავლილი აქვს და — ზედმიწევნით იცის თავისი ხელობა. „ბედნიე-  
რი მონადირეო — განაგრძო გეგიმ — ათასზე მეტს ნადირს მოჰკ-  
ლავს თავის სიცოცხლეში, — თუ მას — მონადირეს წმინდად უჭი-  
რავს თავისი თავი (ე. ი. ასრულებს ყველა მონადირის ჩვეულებას)  
და ნადირთ „პატრონს“ არ აწყენიაო“. აქ გეგიმ რამდენიმე მონადი-  
რე დამისახელა, რომელთაც მართლა ბევრი ნადირი დაუხოცნიათ.  
ლაპარაკში გეგი შეეხო აგრეთვე ჯიხვებისა და არჩვების ცხოვრე-  
ბის აღწერას, მითხრა რამდენიმე საყურადღებო ამბავი მათის ცხოვ-  
რებისა და ბოლოს იმითი გაათავა, რომ ნადირობა სწორედ ღვთის  
საამო საქმეაო, თორემ როგორ შეუძლიან კაცს — მონადირეს, იმო-  
დენა ჯაფა-სიარული და უბინაობა კლდე-მთებში აიტანოს, რასაც  
მონადირე ითმენსო, რომ ლაპარაკის მასალა არ შემოგვლეოდა,  
გეგის გავახსენე ინგლისელი მონადირე ფილიპ უოლსლეი, რომე-  
ლიც ზემოთაც არის ნახსენები. მე ვიცოდი, რომ 1882 წ. გეგი ამ

მონადირეს დაჰყვებოდა ქირით. მის გახსენებაზე, გეგის ხეცოლ  
აუტყდა. იმ „ვოლანმა“ (ასე ვადუქეთებია გეგის მონადირის გვარ  
„უოლსლეი“) სწორედ საქმე გამიჭირა: დაიჯინა, ჯიხვს თუ მომ-  
კვლევინებ, 30 მანეთ ფულს მოგცემ და კარგს თოფსაც გასწავლი-  
ვ. მაგრამ რანაირად მოვაკვლევინებდი, როდესაც კლდეებში, თოფს  
ვერ დადიოდა და ხელით სათრევი გამიხდებოდა ხოლმე! ბარის კა-  
ცებმა რა იციან ჩვენში ნადირობისა, მოვლიან და ლაფჩინებით უნ-  
დათ კლდეებზე სიარული. ბარე ექვსს ადგილას მაინც მივიყვანე,  
ჯიხვების სასროლ ადგილას, ყოველთვის რამდენჯერმე დაახალა თა-  
ვისი „კარგი“ თოფი, მაგრამ ღმერთი გაუწყრა და ბეწვიც ვერ გააგ-  
დებინა. ერთი სროლის დროს, როდესაც ახლოც იყო ჯიხვი და ადვი-  
ლი მოსაკლავიც, გული მომივიდა, ჩავაფრინდი ბეჭში მონადირეს და  
ვანიშნე, რომ თოფის სათვალეში კარგად გაეხედნა და ისე დაემიზნა  
თოფი ჯიხვისათვის. მაინც არაფერი გამოდნა; მაშინ ველარ მოვითმი-  
ნე. „ვოლანი“ იქვე მივატოვე, მოვუარე გვერდი გაქცეულს ჯიხვებს,  
ვესროლე ჩემი „გლახა“ თოფი და მაშინვე მომცა ჯიხვის გამჩენმა.  
როგორც კი დანიხა ვოლანმა, რომ მე ჯიხვი მოვკალი, დაეცა მიწა-  
ზე პირქვე და დაჭრილ დათვსავით ბლაოდა. ისეთი ჯავრი მოუვიდა  
ჩემზე, რომ კინაღამ მოსაკლავად გამომიმეტა (ეს ამბავი თვითონ ინგ-  
ლისელ მონადირემ მიაშბო პირად ბეჩოში, სადაც იმ დროს ვიყავი).  
ვიფიქრე, სწორედ გიყი უნდა იყოს ეს ვოლანი-მეთქი და სახლში  
წამოსვლა დავაპირე. ამ დროს სხვა ამხანაგებიც მოვიდნენ, დამა-  
ბრუნეს და მე და ვოლანი შეგვარიგეს. გათავებისას გეგის წაუფხუმ-  
რე, რომ ალბათ შენი გამოჩავრებული იყო და იმიტომ გვაგინა სვა-  
ნები-თქო. გეგის აუფხსენი, რომ მაგ მონადირემ თავის ქვეყანაში  
წიგნი დასწერა. სვანებს გარეულ კაცებს გვეძახის და სხვანაირადაც  
ბევრს გვაგინებს-თქო. გეგის ეს ამბავი ეწყინა. „ბარის კაცის (ასე  
ეძახიან სვანები უცხოეთლებს) პატივისცემა — წყალში გადაყრაა  
განძისა, ვაი ჩემი ბრალი, რომ კლდეებში ისე უფრთხილდებოდი; მე  
რომ არა ვყოფილიყავი, ახლა იმისი ძვლები სვანეთის კლდეებზე  
იქნებოდა და მაშინ ვნახავდი, რა წიგნსაც დასწერდა“.

ასე თუ ისე, ინგლისელს მონადირეს კი გეგი ძლიერ მოსწონდა,  
ჩემი პირით სთხოვა წაპყლოდა ლონდონში, საითგანაც კარგის სა-  
ჩუქრით გამოვისტუმრებო. მაგრამ ჩემმა გეგიმ ცივი უარი უთხრა,  
არა თუ ლონდონში წაყოლაზე, სამეგრელოშიაც კი, სადაც ვოლანი  
ეპატიებოდა.

ამ მუსიაფში ჩვენ გვარიანი გზა გავიარეთ; ჩვენი გზა, როგორც  
ყველგან სვანეთში, აღმართ-დაღმართიანი იყო. თუმცა ამ გზით სოფ-  
ლელებს თივა და შეშა მოაქვთ, მაგრამ ხალხს მაინც უბრალო გლ-

რასთვისაც ვერ შემოუვლია, რომ დავაკებაზე წამოსულიყო. სოფ-  
ლიდამ 2—3 ვერსის მანძილზედ, ზედ გზის პირად ამართულა გორა,  
გვარიანად მაღალი. ლეგენდა ამბობს, რომ აქ ძველად ერთი მოსახ-  
ლე სცხოვრებდაო, რომელსაც მოუნდომებია უშკულელები დაბე-  
ვა თივით და შემით. ხალხს ეს სწყენია და ამ ვითომ მოსახლისათვის  
სახლ-კარი თავზე დაუნგრევია. აი საიდამ აიმართა ეს გორაო. ამ  
გორას ცოტა რომ გავცილდით, შევხედეთ მწყემსების ქვაბს. ქვაბი  
ქვისაა, დგას გზის პირად, აქვს ყველა ღირსებანი და ნაკლულევანე-  
ბანი სვანურის სამწყესურის ქვაბისა. ამ ადგილიდამ აღმოსავლეთის-  
კენ სამწყესური ადგილები — ატკვერ — უფრო გამლილს სივრცეს  
წარმოადგენს. ჩვენის გზის მარცხნივ, ძლიერ დაბლა მდ. ქვიშირი მიმ-  
დინარეობს, მარჯვნივ ვხედავთ ტრიალს „ლეზგარას“ ფერდებს, აღ-  
მოსავლეთით 6—8 ვერსის მანძილზე „ნაკ-ზაგარის“ უღელტეხილს,  
რომელიც დღეს უნდა გადაგვევლო.

ჩვენ დაგვაიწყადა, რომ ქვაბთან, ზედ გზის პირას ორი პატარა  
მწყემსი დაგვხვდა მძინარე. ეს ორივე მწყემსი, 13 წლის ყმაწვი-  
ლები, ჩვენი ნათესავეები აღმოჩნდნენ. ამათ იცოდნენ, რომ ჩვენ  
დღეს ამ გზით გავივლიდით და სანახავად გამოსულიყვნენ. ბევრს  
ხანს გვიცადეს თურმე, მაგრამ ბოლოს ძილი მოჰრევოდათ და გზის  
პირად დაეძინათ, რომ არ გავპარებოდით. მიუახლოვდნენ თუ არა  
ჩვენი ცხენები მძინარე მწყემსებს, მაშინვე ცხენის ფეხის ხმაზე გა-  
მოელვძიათ. მკვირცხლად წამოხტნენ მწყემსები, მომიკითხეს და  
ბოლოს თითო ქამარ-ხანჯალი მთხოვეს სიპატარავით მათი შესაფე-  
რი. ყმაწვილები დავაიმედე და ჩვენ ისევ განვაგრძეთ გზაგზობა.

აქ სიტყვამ მოიტანა და მეტი არ იქნება მწყემსობის რიგიც ავს-  
წერო უშკულში. უშკულის საზოგადოებას ოთხი სოფელი შეადგენს:  
მუყვებერი, ჩაყაში, ჩვიბიანი და ყიბიანი. თითოეული მოსახლე სოფ-  
ლისა გაზაფხულზე ერთი მეორეს შეუთაბუნდება, ე. ი. დაადგენენ,  
რომ ორი მოსახლე ერთ დღეს მწყესავდეს სოფლის საქონელს, მეო-  
რე — ორი მოსახლე მის შემდეგ და ასე ამრიგად, სანამ სოფელში  
მოსახლე არ გამოილევა. მოსახლიდამ საქირაო, როცა რიგი მოუ-  
წევს, სამი მწყემსი; ერთი უნდა გაჰყვეს მსხვილს საქონელს, მეორე  
თხა-ცხვარსა, მესამე ღორებს. ამნაირად ერთის სოფლის საქონელს  
სწყემსავს ექვსი კაცი, მომეტებულ ნაწილად ყმაწვილები, რადგა-  
ნაც მწყემსობა აქ საძნელოს არათერს წარმოადგენს. მაგალითად, სამ-  
წყემსური ადგილები „ატკვერი“, რომელზედაც ჩვენ ახლა მივდი-  
ოდით, ეკუთვნის ორ სოფელს ჩვიბიანას და ჩაყაშს. ზემო ნახე-  
ნებ ქვაბთან რომ მირეკენ მწყემსები ნახირს, დილას შემდეგ პირ-  
ველნი დასხდებიან ქვაბთან საღამომდი, ნახირს კი აღმოსავლეთის-

კენ მირეკენ. მწყემსების საქმეა დარაჯად იდგნენ ქვაბთან, რომ საქონელი საღამომდის სოფლად არ დაბრუნდეს, სხვა არაფერი. საღამოს სახლში დაბრუნებას შეჩვეული პირუტყვი ქვაბთან იყრის და მწყემსები წინ მივალს პირუტყვს შეაჩერებენ, სანამ ყველა მათგანი არ მოგროვდება, შემდეგ ნახირს გაირეკენ და თვითონ უკან მოჰყვებიან სოფლამდე.

ქვების აღმოსავლეთით ჩვენ გავიარეთ „ქორდის“ ღელე და ღელე მდინარე „მედამი“, რომელიც მარჯვნივ ერთვის მდ. ქვიშირს. ამ ადგილამდე მდ. ქვიშირი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხრისაკენ მიდის; ჰხედავ მის სათავეს, რომელიც მთა დადიანის კლდე-ყინულში აქვს. სათაურიდან მედმის შეერთებამდე ქვიშირს ექნება 3—4 ვერსი სიგრძე. სამივე კუთხივ ეს ადგილი შემოზღუდულია მაღალის ქედებით, მშვენიერი საბალახოა და ადგილ-ადგილ სათიბებიც. ამ ადგილს ჰქვია „ლანქვერ“ (საგრილობელი); და მართლაც მუდამ გრილა, რადგანაც მზე მარტო შუადღისას ადგება. შუა ზაფხულში უშკულებები აქ აძობენ საქონელს, რომ სიცხემ და მკბენარ კოლო-ბუზებმა არ შეაწუხონ. აქ მდ. ქვიშირი და ლანქვერი მარცხნივ დაგვრჩა, ჩვენი გზა მიჰყვებოდა მედამის მარჯვენა ნაპირს. გზა აქედამ ნაკ-ზაგარამდე თანდათან აღმა-აღმა მიდის, თითქმის ისე, როგორც ქართლიდან სურამის მთაზე. ნაკ-ზაგარის ძირიდან კი 40—50 საყენის სიგრძეზე საგრძნობელი აღმართი ჰხვდება კაცს. მედამიდან ნაკ-ზაგარამდე ერთი საათი მოვუნდით. ნაკ-ზაგარს (ვაკე-ზურგი) ტყუილა როდი დარქმევია ეს სახელი; ის წარმოადგენს დავაკებას, რომლის სიგრძე 3 ვერსზე მომეტებული იქნება, სიგანე კი  $1/2$  ვერსი ზოგ ადგილას. ამ დავაკების ჩრდილოეთით და სამხრეთით ქედები მოჰყვება, რომელნიც ისე გადახნეჟილან უკან, რომ ნახევრად გადაშლილის წიგნის სახე აქვს. თუმცა ამ მთას საკმაო სიმაღლე აქვს, სახელდობრ, 8813<sup>1</sup> ფ., მაგრამ, როგორც საზამთრო გზა, მაინც ერთად-ერთია თავისუფალ სვანეთისათვის. თავისუფალ სვანეთიდან მოგზაური ამ მთას გადადის, ჩადის ცხენისწყლის ხეობაში, გაივლის სადადიანო სვანეთს და სოფ. ცაგერთან ლეჩხუმში გადის. კარგის ადგილ მდებარეობისა გამო ამ მთაზე მოგზაური არაოდეს დაღუპულა, თუმცა მაგალითები ბევრი ყოფილა, რომ შუაგულ სვანეთში ზამთრობით მოგზაურს აქ დაჰკლამებია და გათენებაში დი თავისსავე ხელით გათხრილს თოვლში უვნებლად დარჩენილა.

<sup>1</sup> რადდე, Записки, кн. VII.



\* \* \*

ნაკ-ზაგარი სხვათა შორის შეადგენს მდ. ენგურისა წყლის წყალთა გამყოფელს ხაზსა (водораздельная линия) მოსავლეთით რაც წყლები გამოდის, ჩადის ცხენისწყლის ხეობაში, დასავლეთით მდ. ენგურისაში.

გავიარეთ ნაკ-ზაგარი, დავეშვიო დაღმართში. აღმოსავლეთით წინ გვიძევს ლასდილისა და ყორულდის (რადდეს Корьголда) ღელე-ხევეები. ორივე ეს მომცრო მდინარე გამოდის კავკასიის დიდ ქედი-დამ და მიმდინარეობს ჩრდილოეთიდან — სამხრეთისკენ. მდ. ყორულდის სათაურში შესანიშნავი კლდე-ყრბულია; ლასდილის ხეობას ზემო მიმდინარეობაში ისეთი ვრცელი საბალახოები აკრავს, რომ რამდენიმე ათი-ათას საქონელს წლიდამ-წლამდე შეუძლიან თავი იკვებოს. მაგრამ აქ კი უხმარად არის, რადგანაც სვანეთში ჯოგების ყოლას გრძელი ზამთარი ხელს არ უწყობს. აღმოსავლეთის ფერდი ნაკ-ზაგარისა შემოსილია თავში ხშირის და მაღლის ბალახით, ქვემოთ ამისა შკერით (rhododendron) და სულ ძირს არყნა-რით. ვისაც ტყეები ნაკლებად აქვს უშკულში, ხშირად აქ ამზადებენ შკერის და არყის ხეს საზამთროდ. დღეში ერთ გზობას მიიტანს შემას აქედამ უშკულელი. ტყე საზოგადოა. მთის წვერიდამ ლასდილის ღელემდე 4—5 ვერსი გზა იქნება. ლასდილი ამ ღელე-მდინარეს იმიტომ დარქმევია, რომ დილით უშკულდამ გამოსული მოგზაური სადილობისას მოაწევს აქ და აქ უთუოდ ისადილებს კიდევ. ჩვენ წასადილევს გამოვედით უშკულიდამ და, რასაკვირველია, ამ წესს არ ავასრულებდით. სამი ვერსი რომ გავიარეთ, მივალწიეთ მდ. ყორულდის ხეობას. მდ. ყორულდი მარჯვენა ნაკადს შეადგენს მდ. ზესხურისას. 15—17 ვერსის მანძილზე ორივე მდინარე ცალ-ცალკე მიდის. მერე უერთდებიან მდ. ხიდურს და შეადგენენ ცხენისწყალს. საქმე ისაა, რომ სვანები ცხენისწყალს კი არა, „ლაშხვირ“-ს ეძახიან ამ მდინარეს, რადგანაც პირველი საზოგადოება სადადიანო სვანეთში, რომელსაც ეს მდინარე ჩაუდის, არის „ლაშხეთი“. ლაშხურად იწოდება ეს მდინარე სოფ. მურამდი ლეჩხუმში, შემდეგ კი ცხენისწყლად. ყურადღების ღირსია აქ ერთი გარემოება. ლაშხეთის საზოგადოებაში ცხენისწყალს მარცხნით ერთვის მოზრდილი მდინარე, რომელსაც ჰქვია „ცხენშვირ“. აქ მარტო დაბოლოვებაა სვანური, სხვა კი ქართულია. შეიძლება ძველად ლაშხურის მაგიერ „ცხენშვირს“ ეძახდნენ აქაც ამ მდინარეს; ან შეიძლება ლეჩ-

ხშირად დაწყებული ცხენისწყალზე გადასცა თავის სახელწოდება  
ცხენწვირსაც...

ყორულდის ხეობა სამივე მხრით შემოზღუდულია მთებით: ჩრდი-  
ლოეთით აპყუდებია კავკასიის დიდი ქედი, დაფარული მწვერვალი-  
დამ ძირამდე მუღმივის თოვლით! აღმოსავლეთით ჩამოუყვება დიდ-  
ქედიდამ გამოძვავალი შტო — კარეტი — სიგრძით 7—8 ვერსი. ეს  
ქედი ჰყოფს ყორულდის და ზესხურის ხეობას. ამ ქედის მწვერვა-  
ლებზე აქა-იქა ზაფხულობითაც მუდამ ძვეს ძველი თოვლი; თოვლს  
ქვემოთ იწყება ბალახი, შემდეგ არყნარი და მერმედ ჭალები. და-  
სავლეთითაც ყორულდის ხეობას დიდქედიდამ გამოსული შტო ჩაპ-  
ყვება; ეს შტო შედარებით დაბალია და ტყით შემოსილი.

ამ ქედის თავზე ცოტა ხნით დავისვენეთ. ყორულდის ვიწრო  
ხეობა თვალწინ გვედვა და ვსიამოვნებდით მშვენიერის სურათით, —  
განსაკუთრებით მე, თორემ გეგისთვის ყორულდის ხეობის ნახვა  
პირველი არ იყო: იგი, როგორც მონადირე, ზაფხულობით ყოველ  
კვირა ჰხედავს ამ ხეობას. მდ. ყორულდის ორივე ნაპირებზე ვიწრო  
ჭალები ჩაჰდევს, სიგრძით — 3—4 ვერსი. ჭალა ისეთის შალაის  
და სხვა-და-სხვა ფეროვან ბალახებით არის შემოსილი, რომ ცხე-  
ნოსანსაც უჭირს გზის გაკვლევა. შუა გული ჭალისა, მარჯვენა ნაპი-  
რას მდ. ყორულდისა, დაახლოებით სამოც ოთხ-კუთხ საყენის მან-  
ძილზე, სულერთიანად გაწითლებულია, თითქო ეს ადგილი ეს არის  
ეხლა მოურწყავს ვისმე სისხლითაო. ამის მიზეზი გახლავთ ყორულ-  
დის „სგიმი“ (რკინის წყალი). ყორულდის შესანიშნავი სგიმი  
30—40 საყენის სიშორიდან გამოდის ყორულდის კლდე-ყინული-  
დამ. სგიმი მას შემდეგ, რაც კი აქ გამოჩენილა, თავის სავლელს გზა-  
ზე განუწყვეტლივ სტოვებს „ლეკს“ (წითელი-ყანგი) და მთელი  
ადგილი, სათავიდან ჭალამდე, კიდევ ამოუღუეკავს. ზედაპირი მიწი-  
სა ამ მანძილზე ფუმფუა და ამიტომ აქ გავლა ძალიან ძნელია;  
ფეხი რომ დაადგა, ზედაპირი გილალატებს და შუა წელამდი ჩაიფ-  
ლები ტალახში, საითგანაც სხვის შეუწყენელად ამოსვლა ერთობ გა-  
გიჭირდებათ. ვისაც სგიმზე მისვლა და მისი დალევა სურს, უთუოდ  
თავიდან უნდა მოუაროს, რომ მშრალს მიწაზე გაიაროს.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ისევ განვაგრძეთ ჩვენი გზა და დავეშ-  
ვით დაღმართზე. დაქანებულ დაღმართისა გამო ცხენზე ჯდომა  
შეუძლებელი იყო, რადგანაც უნაგირი ცხენს სულ კისერზე ჩასდი-  
ოდა. ხომ მოგეხსენებათ, რომ ცხენის კისერზე დადგმულს უნაგირ-  
ზე კაცი, რაც უნდა კარგი ცხენოსანი იყოს, თავს ვერ შეიმაგრებს  
და ამის შედეგი იქნება მხოლოდ ისა, რომ ცხენიდან ყირამალა გა-



დაივლის და ცხვირ-პირს დაიმტვრევს კაცი. ამას, რასაკვირველია, ფეხით ჩასვლა ვარჩიეთ.

დაღმართი ჩავიარეთ. როცა ტალახზე ჩავედით, გვეგის ტყეში რომ სვიმის უნახავად არ წავალ-მეთქი. სვიმი გზიდან მანძილზე იქნებოდა. თუმცა გვიღამდებოდა და გვეგის ბინაზე აღრიანად მისვლა ერჩივნა, მაგრამ მაინც უარი არ მითხრა და გავუხვიეთ სვიმისკენ; ცხენები მოშორებით დავსტოვეთ და ფეხით მივედით სვიმზე. რგვლად ჩალრმავებულის მიწიდან ამოიხსჩუხებს სვიმი; გარშემო ვაკე ადგილია, ამიტომ მუდმივი გზა ვერ გაუკვალავს წყალს და იქვე აქეთ-იქით მიდის და დიდ ადგილს იჭერს წყალი. 5 საყენის მანძილზე თავიდან სამი არყის ბუჩქი დგას. აქეთ-იქით მხარეს ცოტა მოშორებით შამბნარია და რამოდენიმე ხის ბუჩქი. სვიმთან ჩარქობილია ხის კეტი და ზედ ჩამოცობილია ჯიხვის გაუთლელი რქა, რომლითაც მწყურვალი და მსურველი მოგზაური სვიმსა სვამს, თუ თან არა აქვს თავისი ჭურჭელი. დასიცხულ-დაღალულები ჩვენ ხარბად დავეწაფეთ სვიმს. სასიამოვნო სასმელია მწყურვალისათვის სვიმი, მეტადრე ასეთი ცხარე და ფუცხუნა. როგორც არის ხოლმე ყორულდის სვიმი. ეს სვიმი ისეთი ცხარეა, რომ უჩვევს კაცს უჭირს შეუსვენებლად გამოცლა საჩაე სტაქნისა; სვიმი ხახას და ყელსა სწვავს და — როგორც აქ ამბობენ — ცხვირიდან კომლს ამოადენს კაცსა. ოცდაოთხი რკინის წყალი გვინახავს და უნდა ვსთქვათ, რომ ამ სვიმისთანა ცხარე და სასიამოვნო სასმელად არც ერთი არ გვჩვენებია. იქნება ზოგიერთ მკითხველს ნანახ-გაგონილი ჰქონდეს უწერას რკინის წყლები. ჩემის აზრით, ყორულდის სვიმი თავის კარვის თვისებით ბევრად მაღდა სდგას უწერისაზე. რამდენიც უნდა ჰსვათ ყორულდის სვიმი, მაინც ვერ შეამჩნევთ მუცლის გაბერვას და ამას გარდა მადას ჰგვრის კაცს და ამშვივებს კიდევაც; ეს უკანასკნელი თვისებაა მიზეზი, რომ მოგზაური სვანი სვიმს არ ეტანება: სვანი უსვიმოთაც კარგად გაათავებს თავის მცირე საგზალს და მისთვის სრულიად საჭირო არ არის მოსძებნოს მაღის მომყვანი საშუალება.

გამოვეთხოვეთ სვიმსა და გავსწიეთ ბინისკენ. ჩვენი გზა მდ. ყორულდის ნაპირებს მიჰყვებოდა. გზაზე მაღალი ბალახი ცხვირ-პირში გვცემდა. ფერდებზე მომეტებულად არყის ტყეა. როგორც ნათქვამია, ყორულდის ხეობას ორივეს მხრით ქედები ჩამოჰსდევს, დასავლეთით ამოფარებულს ქედზე ორი ქვაბია მოგზაურთათვის, —

1 ამათავს 15 ენგურის ხეობაში, 4 ცხენისწყლის, 3 ჩრდილოეთ კავკასიაში და 3 რაჭაში. ივეტ.

ერთი „კვლთხი“ (საღალი) და მეორე „დანბალ“-ი (დაბალი). ორივე ქვაბი ერთიანი ქვებია; კილთხი სიმაღლით ორ სართულიანს შენობას შეედრება, დანბალს კი სიმაღლე მიწას ზევით სულ არა აქვს სიფართოე კი იმოდენა აქვს, რომ მის ქვეშ 30 კაცი მოთავსდება.

დანბალი სახლის სახურავსავით არის გადაფენილი მიწაზე. თის მხრიდამ დაბალი შესავალი აქვს შეთხრილი, ვითომ და კარად. შესვლის დროს კაცი წელში უნდა მოიხაროს, თორემ ისე ვერ შევა. შიგნით მიწა ამოღრმავებული. მოგზაური შიგ ცეცხლს ინთებს და რადგან კვამლის გასავალი მარტო ეს კარია, ამისათვის კვამლი ძლიერ აწუხებს კაცს. ეს არის დანბალის ქვაბის ნაკლებევაობა; ღირსება კი ის, რომ ზამთარში ამ ქვაბში, თუ განუქრობელი ცეცხლი ანთია, თბილა, რაიცა მოგზაურისათვის ყველაფერზე უფრო საჭიროა.

ქვაბი კილთხი გადახრილია ცალ მხრით, კილთხში მოგზაური დგება გაზაფხულ-შემოდგომობით, დანბალში — ზამთრობით. როგორც უშკულიდამ ლაშხეთს მიმავალ კაცმა, ისე ლაშხეთიდან უშკულს — ერთ-ერთ ამ ქვაბში უნდა გაათიოს ღამე.

ყორულდის ხეობა შესანიშნავია კიდევ ჯიხვ-არჩვის სიმრავლით და ერთგვარის მცენარე-ბალახით, რომელსაც ხალხი საჭმელად ხმარობს. ამ მცენარეს სვანურად ჰქვია „ლეჰ“-ი, ზემო რაჭველები კი ეძახიან „დუსი“. დუსი სიმაღლით არშინზე მეტი იზრდება, სიმსხოთი კაცის მაჯის ოდენაა. თავში აქვს ფართო, ერთიანი და ქოლგასავით კიდებზამოშვებული ფურცელი. დუსს თხელი და მაგარი კანი აქვს. ჭამის დროს კანი უნდა მოეცალოს. კანის შიგნით ტანი დახლართულია ძირიდან თავამდე სწორე გასულ ძარღვებით. ძარღვები მაგარია და საჭმელად უვარგისი. დუსს ცოტა მლაშე გემო გადაჰკრავს; აქვს საკმაოდ რძის მსგავსი წვენი; დუსი ჰშველის საჭმლის მონელებას, ამასთანავე ის ცუდი თვისება აქვს, რომ მგზავრს ღონეს უღევს. ამ მიზეზით მგზავრი ძვირად სჭამს ამ ბალახსა, თუმცა იგი სვანების — სადაც კი იშოვება — საყვარელი საჭმელი ხილია სადილ-ვანშმის შემდეგ. დუსი სვანეთში მოდის მარტო სამს ადგილას — აქ, ყორულდის ხეობაში, იფარის და მესტიის მთებში, თავისუფალ სვანეთში, მე მითხრეს, რომ დუსი ზოგიერთ სოფლებში ზემო-რაჭაშიაც მოაქვთო. თუ რამდენად მოსწონთ როგორც სვანებს, ისე ჩრდილოეთ კავკასიის თათრებს და ოსებს დუსი, ამას გვიმტკიცებს შემდეგი გარემოება. უშკულის საზოგადოებას ყოველ წლივ კვირიკობის თვეში, როცა ეს მცენარე დასრულებულია, ხარ-მარხილით მოაქვს სახლში საჭმელად. სვანეთის სხვა საზოგადოებებიდან 60—70 ვერსის მანძილზე მოდიან ყორულდის ხეობაში დუსისთვის

და მიაქვთ თავიანთ სახლებში. სვანები ძღვნად წაუღებენ ხოლმე ღუსს ჩრდილოეთ კავკასიაში თავიანთ ნაცნობებს, რომელნიც სისამოვნო ძღვნად იღებენ და შესაფერს საჩუქარსაც იძლევიან.

ღუსს გარდა აქ იცის აგრეთვე საჭმელი მცენარე-ბუბუჩა (ჩიჩვლა) და კიდევ ზოგიერთი საჭმელად სახმარებელი ბალახი, რომელის სახელები სვანურად მომყავს, რადგან ქართულად მათი სახელები არსად შემხვედრია: ქიწა, ბურღვი, ჩვემლა, დახლასკელი და სხვა და სხვა.

\*  
\*  
\*

განვავგრძობთ ისევ მგზავრობა. სამი ვერსი რომ გავიარეთ მდ. ყორულდის მარჯვენა ნაპირას, მერმე მარცხენა ნაპირას უნდა გადავსულიყავით ფონში. მდ. ყორულდი აღიდებული იყო, რადგან ივლისში მთებში თოვლი დნება. ძრიელ დაქანებული და გაშმაგებული მდინარე დიდროვან ქვებს აგორებდა და ისეთის ხმაურობით მოპლრიალებდა, რომ მის ახლო-მახლო ყურთა სმენა აღარ იყო. ფონად გასვლა ამ მდინარეში შეუძლებელი იყო: წყალს რომ გავსვლოდით, ქვებს, რომელსაც ასე ბლომად და ღონიერად მოაგორებდა, ვერ გადურჩებოდით; ერთი ქვა რომ მოხვედროდა ცხენებს, მეტი აღარ უნდოდათ, საცოდავს პირუტყვს იქვე ფეხებს მოამტვრევდა და მაშინ მშვიდობით ცოლო და შვილო! ხის ხიდი აქ არ იყო; ხის ხიდის მაგიერ „თოვლის“ ხიდი იყო.

მრავალგვარ სხვა-და-სხვაობათა შორის, რომელსაც მოგზაური ჰნახავს კავკასიის უმთავრესის ქედის ლეღებსა და ხეობებში, თოვლის ხიდებსაც ბევრგან შეხვდება. ამგვარი თოვლის ხიდი დაგვხვდა ჩვენც მდ. ყორულდაზე. სწორედ ფონის მისავალზე აღმოსავლეთით გაჭიმულია უმთავრესის ქედიდამ წამოსული მაღალი შტო მთისა. ეს შტო ფონის პირდაპირ გაშლილია და სიგანით რამდენიმე ვერსი იქნება. მდ. ყორულდის მარცხენა ნაპირიდან ქედის შუა ადგილამდე მწვერვალისაკენ ჯიქურ მიდის უწყლო ხევი (ტვიმ); ეს ხევი ღრმა და განიერია; აქეთ-იქით მაღალი სერები მისდევს. ყოველს გაზაფხულს ამ ხევში თოვლის ზეავი (ყაპ) მოდის. თოვლი პირველად მოსწყდება განიერის ფერდობებითგან; როცა თოვლი ქედის შუამდე მოაღწევს, თავს მოიყრის ხოლმე ღრმა და ღონიერს ხევში. მეტი გზა არა აქვს, რადგანაც აქეთ-იქით სერები გზას უკრავს, და ეს რამდენიმე ასი-ათასი ფუთი თოვლი თავს დაეცემა ფონთან ხოლმე ყორულდის მდინარეს. აქ ზვავს გასანგრევი ალაგი არა აქვს, რადგანაც ყორულდის მარჯვენა ნაპირსაც ქედი მოსდევს და აჩერებს.

ამნაირად ზვავი აწვება მდინარეს. როგორც დამარწმუნა გვიგამი, ზვავი ყოველს გაზაფხულს რამდენსამე დღესა და ხანდახან კვირისა ციკლებს აქ წყალს იმ დრომდე, ვიდრე ძირს სავალს არ მოხვდება და თოვლს არ გაჰხვრეტს. ჩვენს იქ მისვლისას ამ თოვლის წყლის თავზედ მალალი კამარა ჰქონდა გაკეთებული, რადგან წყლის ოშნივარი აღნობდა თანდათან. თოვლის ხიდის სისქე მაინც დიდი იყო, ასე, რომ ჩვენი სიმძიმე მისთვის იმოდენად. შესამჩნევი იქმნებოდა, რამოდენაც ერთის კაცის სიმძიმე კუკიის ხიდისათვის. გავიარეთ ეს ხიდი და მივედით ყორულდის მდინარის მარცხენა ნაპირს. აქ თავდება კიდევ ყორულდის ხეობა და იწყება „ცენას“ ხეობა (ცანა ტვიბ). მდინარის მარცხენა ნაპირთან იწყება გაშლილი სათიბი, ესრედ წოდებული „პაპრე ლარე“ (პაპების სათიბი). ბალახი გაშამზარებულა ამ სათიბში, ნაპირებზე ტყეა; ხარობენ აგრეთვე მოცხარი (მუნცხარ) და მთის მაყვალი სვანურად „ინლა“ (малина). სათიბის შუაგულას აღმოცენილა ჭადრის ხე. ამ ხეს რომ მივუახლოვდით, გვეგმ ქული მოიხადა და პირჯვარი გადიწერა: „დიდაბ აჯჯანდ, ყორულდი თარგნგზელ, ხოჩა გზავრობ ღანჭირ“ („დიდება შენდა, ყორულდის მთავარ ანგელოზო, კარგი მგზავრობა გვიწყალობე“) სთქვა გვეგმ და გასწია თავის გზაზე. ამ ხის ამბავი ამნაირად არის დარჩენილი ხალხში. ძველად ცენის ხეობაში ხალხი ცხოვრებულა, ერთს დროს მეზობელ ხალხთან, ზესხველებთან, ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანერთი ამოუწყვეტიათ. ამ დროს პაპებს მთავარ ანგელოზის ხატი აუღლიათ და ამ ჭადრის ხის ძირში, რომელიც მაშინ პატარა ყოფილა, დაუსვენიათ. ხე გაზრდილა, ხატი შიგნით შემალულა და დღემდე მაგ ხეშიაო, ამბობს ხალხი. ასვენია ხატი იმ ხეში თუ არა, მაგისი თქმა დამტკიცებით არ შეგვიძლიან და ის-კი ნამდვილად ვიცით, რომ XIV საუკუნეში ცენის ხეობაში ხალხი ცხოვრებულა; ამ საგანზე თავის ადგილას გვექნება ლაპარაკი.

გავიარეთ პაპების სათიბი, შემდეგ ორიოდ ვერსი ტყე და კიდევ სათიბს წავაწყდით, რომელსაც ეძახიან „ნაშალვარე ლარე“ (ნაომარი სათიბი). არც ეს სათიბია ისტორიულს მნიშვნელობას მოკლებული. ხალხის ძველი გარდმოცემა გვაუწყებს, რომ ამ სათიბში ჩხუბი<sup>1</sup> მოსვლიათ უშუალოდ და ლაშხეთის მახვმის ბეჟანა (ზოგნი ყანსავს უწოდებენ) ყიფიანს. იმ დროს თოფი არა ყოფილა ხმარებაში და საბრძოლ იარაღად ორთავე მხარეს მშვილდ-ისარი ჰქონიათ. რა მიზეზს გამოუწვევია ჩხუბი უშუალოდ და ბეჟანა ყი-

<sup>1</sup> სვანური სიტყვა „ლიშიალ“ ხელჩართული ბრძოლა და ჰნიშნავს იმ გვარ ჩხუბს, როდესაც რკინეული იარაღი არ იხმარება. ავტ.

ფიანს შუა, ან როგორ მომხდარა თვით ჩხუბი, ამაზე აქ აღარ ვაზ-  
ვარძობთ სიტყვას, რადგანაც გარდმოცემა ცოტა გრძელია. ამ გარდ-  
მოცემას ჩვენ ცალკე დაებეჭდავთ სხვა სვანურ ლეგენდებთან ერ-  
თად; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ჩხუბის დროს გამარჯვება უშ-  
კულელებს დარჩენიათ: უშკულის მაშინდელს მახვმის ბაგამ რატიანს  
მშვილდ-ისრით მოუკლავს ბეჟანა ყიფიანი და მის ჯარითგან მარტო  
ერთი გაუშვიათ სახლში მოამბეთ. აი- ამიტომ ეძახის ხალხი ამ სა-  
თიბს „ნაომარს“ (ნაშალვარ).

კიდევ რამდენიმე ვერსი და ჩვენც მივალწიეთ ჩვენს ღამის გა-  
სათევებელს ბინას. ამ ღამეს ჩვენი მასპინძლები იყვნენ 1882 წელს  
უშკულიდამ გამოსული და აქ დასახლებულნი ბეჟა ავგულიანთ  
(ავგულმა) და გიერგ შალვიანთ (შალვაშა) თემებისა. ეს ორი მო-  
სახლე დამკვიდრებულა ყორულდის წყლის მარჯვენა ნაპირას —  
ზაგრიერე მინდორში (ზაგრიერე მინდვერ). სიგრძე ამ მინდორს  
4 ვერსი ექმნება, სიგანე ნახევარ ვერსზე მომეტებული. დასავლე-  
თით ამ მინდორს ტყით დაფარული ქედი დაჰყურებს, აღმოსავლეთი-  
თაც — ქედი, უფრო ბალახით არის მოსილი, ვიდრე ტყით. ჩრდი-  
ლოეთით და სამხრეთით ხეობის ჩაყოლ-ამყოლებაა. ძველად აქ  
სახლებულა ხალხი; ამისი უტყუარი საბუთი დღემდე დარჩენილი ნა-  
სახლარები და ნანგრევებია; ნასახლარები სულ ცამეტია და ერთივე  
ნაეკლესიარია. ზაგრიერე ქედს იქით დასავლეთისკენ მომბულია  
მთა „წული ლასგვრაზე“ (წულის საჯდომი), ლევშგმარის ხეობა. ამ  
ხეობაშიაც დღემდე დარჩენილა ხუთი ნანგრევი სახლებისა. ამნაი-  
რად ცენასა და ლევშგმარის ხეობაში ყოფილა სულ 18 სახლი: მა-  
შასადამე, მოსახლევ თვრამეტი უნდა ყოფილიყო. ხოლო თუ მივი-  
ღებთ მხედველობაში ადგილის სივიწროვეს და იმასაც, რომ შეძლე-  
ბულს სვანს ერთი სახლი არა ჰყოფნის და ხშირად ორი და სამი უნ-  
დება. მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თვრამეტს მოსახლეზე ნა-  
კლები უნდა მდგარიყო. უშკულში დამარწმუნეს, რომ ცენა-ლევშ-  
გმარიდამ გადმოსახლებულნი დღესაც არიან: თამარშა — გვარად  
ივეჩიანი, ლატალის საზოგადოებაში, სოფ. ლეშუტკს; გაბიშა ჩართო-  
ლანი, მესტიის საზოგადოებაში; სუმაიშა ჩარკვიანი, უწინდელი  
ჩუბრუკიანი, უშკულის საზოგადოებაში. ყულანი, თავისუფალ სვა-  
ნეთში და მამინოშა ჯანხოთელი — ლაშხეთის საზოგადოებაში, სა-  
დადიანო სვანეთში. ბეჟას და გიერგის ერთი დანგრეული სახლი,  
რომლის ქვედა სართულის კედლები მთლად შენახულა, ამოუწმენ-  
დიათ; შუაში გაუტიხრავთ უკირო კედლით, ერთიანი სართული  
გადუხუტრავთ და ორივე ოჯახი შიგ მოთავსებულა. საცხოვრებელ  
სახლს გარდა ორი კიდევ გამოუწმენდიათ, ერთი საბძლად და მეორეც



ნახირის შესამწყვდევად ღამ-ღამე ზაფხულობით. ბექამ და გიერგი დამარწმუნეს, რომ სახლები დამწვარი ყოფილანო, შიგნით მენდის დროს არაფერი ხის იარაღი, დიღე და ან სხვა რამ არ იქნებოდა. თო და აგრეთვე შეუმჩნევიათ, რომ შიგნით კედლები ალისაგან სულ გაშავებული იყო. ბექას და გიერგის საცხოვრებელს სახლს ბევრი ნაკლულევანება აქვს. დროთა განმავლობაში ზედაპირი მიწისა სახლის ირგვლივ, რომელზედაც ტყესავით მაღალი და მსხვილი მცენარე-ბალახი ხარობდა, ამალეებულა და ძველის სახლის კედლები დაუმაღლეს მიწაში. ამიტომაც სახლში შესვლის დროს, კაცი სარდაფში ჩადის. ამნაირად ბექას და გიერგის სახლი ქართლის მიწურს უფრო ჰგავს, მინამ სვანურ სახლსა. სარკმელი სულ არა აქვს, მხოლოდ ბანზეა ერთ ადგილას ყავარი ახდილი საკვამლედი. სახლის ირგვლივ „ახალშენელებს“ ბოსტნები გაუკეთებიათ, სადაც სხვათა შორის უთესიათ ხახვი, კლაქვა, ნიორი, ქინძი, კარტოფილი და თუთუნი. ყველაზე დიდი ადგილი ბოსტანში თუთუნს უჭირავს. კარტოფილი სწორედ საოცარი სხვილი მოდის; რაც შეეხება თუთუნს, რომელიც გაგიყებით უყვართ სვანებს, ესეც უხვად მოდის და ბევრად უკეთესის თვისებისაა, ვიდრე უშკულისა. სახნავ-ნათესი ყანები ბექასა და გიერგს ყორულდის წყლის ორთავე ნაპირებზე აქვთ. უთესიათ პური, ქუბა, ქერი და ცერცვი. აგერ მესამე წელიწადია, რაც აქ საყანე ადგილები გასტეხეს, მაგრამ სამყოფად მაინც ვერ შეუმუშავნიათ. ამისი მიზეზი ის არის, რომ ადგილი გავერანებულია; ისეთი მსხვილი ბალახი მოდის, რომ მისი ფესვები შორს და ღრმად არის მიწაში გაბანდულ-გამობანდული. ჯერ-ჯერობით სახნისი არ ვარგა; თოხითა მუშაობენ მიწას. საყანედ საგულეებელი ადგილი სამჯერ უნდა გაითოხნოს: ერთი შემოდგომაზე და ორჯელაც გაზაფხულზე. ამდენჯერვე გამარგვლათ საჭირო, რომ პური და პურის მსგავსი მცენარე ბალახ-ბულახმა არ დაახშოს. თუ ამდენი მუშაობა შეიძლოს, ნამუშევარი კარგი დგება; უბედურება ისაა, რომ სამკალად მოწეულს ნამუშევარს ხშირად აფუჭებს სეტყვა და უნდილი. ეს ორი მტერი მთა ადგილების ნახნავ-ნათესისა ხშირი სტუმარია ხოლმე ცენის ხეობისა.

ჩვენ დღიურ მივედით ბინაზე. როცა გავიგე, რომ ახლოს დანგრეული ეკლესია არისო, ვსთხოვე მასპინძლებს წამომყოლოდნენ და ეჩვენებინათ. ეკლესია ბექასა და გიერგის სახლებზე 20 საყენის მანძილზეა. გზა შამხნარში გაკვალული იყო. სჩანდა, ბექა და გიერგი აქ ევედრებოდნენ ზეციერს მამას. თალი და ზედა ნაწილი კედლებისა დანგრეულა და ნანგრევი შიგვე ჩაცვივნულა. კედლების სიმაღლე მიწის პირიდან არშინს არ აღემატება. ეკლესიის თლილი,

სპონდიკის ქვით ყოფილა ნაშენი; შიგ ეკლესიაში არყის ხეები ამოსულა, ზოგი კიდევაც დაბერებულა და დამპალა. ეკლესიას ჰქონდა გალავანი; დღეს იგი არა სჩანდა, ბალახით იყო დაფარული. ეს გალავანი, ეგრეთვე სასაფლაო სჩანს მხოლოდ გაზაფხულის პირზე, როდესაც შამში თოვლისაგან მიწაზეა მიკრული. გიერგს სდომებია ეკლესიაში ამოსული ხეები ამოეჭრა, მაგრამ ბექა არ დათანხმებულა: ვაი თუ ეკლესიამ რამე გვიწყინოსო. მე გიერგის მხარე დავიჭირე და ავუხსენი ბექას, რომ ეკლესიის ამოწმენდა არა თუ საწყენი, ღვთის საამო საქმეა მეთქი. თავის მხრით ბექამ უარი განაცხადა ეკლესიის გაწმენდის თაობაზე და სიტყვა კი მომცა, რომ გიერგს არ დაეუშლიო.

დადამდა და კიდევაც დაგბრუნდით სახლში. შორს წარსულისაკენ გამიტაცა ფიქრმა იმ ეკლესიის ნანგრევების გამო, წარმომიდგას ის დრო, როდესაც ამ დანგრეულს ეკლესიაში აქაური ძველი მცხოვრები მსმენელი იქმნებოდა მაცხოვრის სიტყვებისა, რომელმაც კაცობრიობას უქადაგა სიყვარული, თავისუფლება და თანასწორობა... დღეს კი ეს ღვთის სადგური ასე დანგრეულა. ღვთის ტაძარს დაჰპატრონებია რამდენიმე არყის თეთრი ხე, რომლის მოჭრასაც თავისებურის ღვთის მორწმუნოების მიზეზით ბექა და გიერგი ვერაჰბედავენ.

დაღამების შემდეგ ჩვენ დიდს ხანს ვისხედით გარეთ. ვარსკვლავებით მოჭედილი ლურჯი ცა ტყავსავით გადაჰკროდა ცენის ხეობას: ჩრდილოეთის მხრივ რამდენიმე მწვერვალი დიდის ქედისა თოვლით დაფარული თავს დაგვყურებდა. აქეთ-იქით მაღალი ქედები, ბალახითა და ტყით დაფარული, რაღაც მღუშარებას მისცემოდენ. ყორულდის მდინარის სათავედამ საგრძნობელი ცივი ქარი გვცემდა. ამას ემატებოდა გიჟმაყის ყორულდის შუილ-ხუილი. ვახშამი მზად იყო, მაგრამ ჩვენ მაინც სახლში შესვლას ამ ბუნების წიაღში მუსაიფს ვრჩებოდით. ჩვენ კიდევ კარგა ხანს დავრჩებოდით გარეთ, რომ ერთს შემთხვევას არ შევიწუხებინეთ. საზოგადოდ ყველა მთა ადგილებში იცის ერთ ნაირი კოლო-ბუზი, რომელიც ისე პატარაა, რომ თვალთ დანახვა უჭირს კაცს. ეს კოლო ჩნდება ღამე, დღე კი დამალულია. თუ ტანის რომელიმე შიშველი კანი ნახეს, ერთს წამში იმოდენა დაესევა, რომ სულ დაჰფარავენ. ერთობ მწარედ იკბინება და ნაკბენი ადგილი უსივდება ადამიანს, მოგზაურს ეს კოლო ძლიერ აწუხებს, ერთი საშუალებაა მისი მოშორებისა: ეს არის ცეცხლი. სვანებმა ეს კარგად იციან და, როცა კაცი მთაში დარჩება, საღამოსვე ანთებს ცეცხლს, რომელსაც კოლო ვერ უახლოვდება.

დაგვიძახეს ვახშამზე. ბექასა და გიერგს ჩვენთვის საზიარო ცხვირი დაეკლათ. ვახშამი ბექას სადგომში გავმართეთ. გიერგი თავის ცოლ-შვილით იქ გადმოვიწვიეთ. ამნაირად ჩვენ ღებში წამსვლელნი და ორი ჯალაბი ბექა-გიერგისა ერთად შემოუხსხედით შუაში დასთებულს გაგანია ცეცხლსა სავახშმოდ.

\*  
\* \* \*

ხორცი, ყველი და პური ბლომად გვქონდა, მხოლოდ სასმელი გვაკლდა; უსასმლოდ-კი — ბექას სიტყვით — პურის ჭამას შნო არა აქვს! ბევრ ხანს ვიმუხსაიდეთ სტუმარ-მასპინძელმა და ბოლოს ძილი ვარჩიეთ, რადგან მეორე დღეს ადრე უნდა ამდგარვიყავით. ჩვენ ისე არ გამოვეთხოვებით ჩვენს მასპინძლებს, რომ მათს წარსულზე ორი-ოდე სიტყვა არა ვსთქვათ. ბექა, ზორბაა ტანად, მაღალი, მსხვილ მხარ-ბეჭის პატრონი. ერთის შეხედვით დევსა ჰგავს. ღონეც ტანის შესაფერი აქვს. ეს კია, რომ თავის ღონეს მუშაობაში არა ჰხმარობს; მუშაობაში ერთობ ზარმაცია და თუ პურსა სჭამს, თავის ცოლს უნდა დაუმაღლოს. ერთადერთი გარემოება, რომელიც ბექას აწუხებს, არის ის, რომ ვაჟიშვილი არა ჰყავს, თავისი სიცოცხლე ბექას ჩხუბში, იარაღის წმენდა-მოვლაში გაუტარებია. ერთი ცოლი გააგდო და „ნაცვრიერი“ გადახდა, მეორე მოიტაცა და მეორე „ნაცვრიერი“ (საპატიო, გადასახადი) იმაში გადახდა. რამდენიმე კაცო მძიმედ დასჭრა, იმათ რიცხვში ერთი საცოდავი მღვდელიც მოჰყვა და ყველა ამათ შესაფერი საზღაური მიეცათ. ამდენმა გადასახადმა მისი ოჯახი გააღარიბა, ძმები გაეყარნენ და გაყრის შემდეგ ცოტა რამ სარჩო-ლა შეჰჩრა. როდესაც მამასახლისობა შემოიღეს და სვანეთში შემოვიდა მომრიგებელი-სასამართლო, ბექას ისევ ძველებურად უნდოდა ჩხუბში დროს გატარება, მაგრამ ვერ მოახერხა. ყოველ მხრივ ესმოდა ჯარიმა, საპყრობილე და ბექას კი ეს ორივე სიტყვა ძალიან სძულდა. ამის გამო ადგა, უშკულს მოსცილდა, ცენის ხეობაში გადაიხიზნა და ამნაირად მოჰშორდა ახალ წესწყობილებას. აქ ბექას არც მამასახლისის დარდი აქვს და არც სხვა მთავრობის კაცისა. სულ სხვა ჯურის კაცია ბექას მეზობელი გიერგი. ობლად დარჩენილი (მამა ღებლებს მოეკლათ), იგი პატარაობისასვე წაუყვანიათ რაჭას. რაჭაში გიერგი — როგორც მითხრა, 15 წელიწადი დარჩენილა. იქ შეეჩვია ბეჯითს მუშაობას, ისწავლა ჩინებულად ქართული რაჭულ კილოზე და სცხოვრობდა სხვა-და-სხვა სოფლებში. უპატრონოდ დარჩენილს გიერგის ქონებას მეზობლები დაეპატრონნენ და თითქმის ყველაფერი შეჭამეს გარდა კოშკიან სახლ-კარისა

და ორიოდ მინდორ-ტყისაცა. როცა გიერგი დავაყვაცდა, თავისი სოფელ-ქვეყანა და მამა-პაპის სალოცავები მოაგონდა და დაბრუნდა უშკულში. აქ ცოლი შეირთო; დასახლებით კი ცხნას, სასახლეს რადგან უშკულში არაფერი გააჩნდა. სახლ-კარი გააყიდა; ფასი ცენას მოიხმარა. გიერგას, სამწუხაროდ, სახლ-კარის ნაფასიდან ნახევარი სხვამ წაართო, ერთის მხრით ტყუილ-უბრალოდ და მეორეს მხრით კანონის ძალით. ჩვენ ეს ამბავი იმიტომ მოგვეყვას, რომ იგი ერთად-ერთი არაა; სვანეთში ხშირად მოხდება ხოლმე ამგვარი ამბავი, რადგან სვანებმა აქამდის კანონისა ვერაფერი გაიგეს. საქმე აი რაშია: შვიდის წლის წინათ, როგორც ჩვენ ნამდვილად ვიცით ეს საქმე, — შორეულ ნათესავმა მიაბარა გიერგის ცხენი უშკულის მთაში ბალახზე გასაშვებად. ცხენი მგელმა შეჭამა. ცხენის პატრონმა გიერგის უჩივლა, ცხენი გამიყიდაო. თუმცა გიერგმა ნამგლევის ცხენის ფეხები თავის დროზე პატრონსაც აჩვენა და სოფელსაც, მაგრამ ცხენის პატრონმა მაინც უჩივლა. მოსამართლემ დრო დანიშნა. გიერგის უწყება გაუგზავნა; გიერგმა ეს უწყება შუაზე გახია და, რომ სოფლელებს არ დაეჭირათ, კინაღამ უწყების მომტანი ისაუფლიც მისტყუა. ვადაზე გიერგი სასამართლოში არ გამოცხადდა. დაადგინეს გიერგის დაუსწრებლად განჩინება, ამისი პირიც გაეგზავნა გიერგს. და ამან კი ამასაც ის დღე დააყენა, რაც პირველს უწყებას. მომჩივარსაც ეს უნდოდა. მოსამართლემ მეორედ დაადგინა. გადაჭხედეს გიერგ რატიანს 150 მანეთი ფუთა ნავერიანას (მომჩივრის სახელი და გვარია) სასარგებლოდაო. ამ შვიდის წლის განმავლობაში მოჩივარი სულ უკან დასდევდა გიერგს, აქამდის ვერაფერი მოუხერხებოდა და შარშან, როცა სახლი გაყიდა, მიიყვანა სასამართლოს ბოქაული და შენს გიერგს „კანონის ძალით“ გადაახდევინეს 150 მანეთი. „რავა ვიფიქრებდიო — მეუბნებოდა გიერგი, რომ კანონი ასეთს უსამართლობას მიზამდაო“. ამასთანავე მთხოვა რაიმე გზა მეჩვენებინა, რომ მას თავისი 150 მანეთი დაებრუნებინა; მე მხოლოდ იმით ვანუგეშე, რომ უნდა მოთმინება იქონიო-მეთქი. გიერგი ბექასთან შედარებით ღარიბია, მაგრამ ორი პატარა ვაჟიშვილი ჰყავს და ეს იმოდენად ახარებს გიერგს, რამოდენადაც ბექას აწუხებს ვაჟიშვილის უყოლობა. სვანებს დიდ უბედურებად მიაჩნიათ უძეოდ გადაშენება! ოღონდ ვაჟიშვილი ეყოლოს სვანს და თუნდ წისქვილის ქვები დააბრუნეთ მის თავზე, მაინც გულდამშვიდებული ესალმება ქვეყანას!

ღამის მეორე საათი იყო, რომ დავიძინეთ. მეორე დღეს, 25 ივლისს, ჯერ არ გათენებულ იყო, რომ გამაღვიძეს. უშკულიდან გამოსულელებს აქ გიერგი თავის ერთის ძროხით შემოგვიერთდა. ვახსენებ

დმერთი და გავუდექით გზას. აქამდე სამარხილე გზა გვექონდა. ეს გზა ძველის-ძველიდამ სამარხილეა, რადგანაც უშკულის საზოგადოებებს საიარაღე ხის მასალა (строительный материал) აქედან მიჰქონდა და მიაქვს დღესაც. უწინ, როდესაც ცენელებს უცხოვრობდათ აქა, ამათ მიჰქონდათ თურმე ხე-ტყე ნაკ-ზაგარამდი უშკულისათვის: უშკული ამის სამაგიეროდ ყოველ მარიობას აძლევდა ცენელებს ერთს ძროხას.

ვახსენეთ ღმერთი და გავუდექით გზას. გავედით მარჯვენა ნაპირას მდ. ყორულდისას იმ ხილით, რომელზედაც გუშინ გამოვიარეთ და 3—4 ვერსი მდინარის პირად ვიარეთ; შემდეგ ავუხვიეთ აღმოსავლეთისკენ, დავადექით მარჯვენა ნაპირს მდ. ზესხურისას და შევედით კიდეცა ზესხურის ხეობაში. მდ. ზესხური დიდქედის კალთებიდამ გამოდის, სახელდობრ, „ლაფურიდამ“. ზესხურის ხეობა სიგრძით ერთი-ორად მეტია ყორულდისა და ცენის ხეობაზე და უფრო ბარიც არის. ჩრდილოეთით ამ ხეობას უძევს დიდი ქედი, სამხრეთით 10—12 ვერსის სიგრძე „ლემთქემის“ ზურგი (ლამთქეში ზაგარ). ზესხურის ორივე ნაპირებზე გაშლილი მინდვრებიც არის და ტყეცა.

დღეს უნდა გაგვევლო ჩვენ საშიში გზა — „ფარარის გვერდი“ (ფარრე ლესგ). ეს გზა საშიში იყო ძროხებისა და ჩემის ცხენისათვის (გეგიმ ცენას დასტოვა ცხენი), თორემ კაცს არაფერი უშავდა. წარმოიდგინეთ ძლიერ დაქანებული მთის ფერდი, რომელზედაც გავლებულია უჩინარი ბილიკი, უჩინარი, ვამბობ, იმიტომ-რომ ზევიდამ ბალახი გადაჰფარვია და ჯოხით უნდა გამოინახო ბილიკი. ამ ბილიკს, რომ ფეხი დააცილოთ, უნდა გამოეთხოვოთ ამ ქვეყანას: თვალის დახამხამებას ვერ მოასწრობთ, რომ გადაჰვარდებით და პირდაპირ მდ. ზესხურში ჩაეშვებით, — ვერაფერის ღონისძიებით ძირამდინ თავს ვერ შეიმაგრებთ. მდ. ზესხური-კი ისე დაშორებულია ბილიკს, რომ წყლის შუვილი ძლივს ესმის კაცს, თუმცა ზესხური. როგორც მთის ყველა მდინარე, ჩქარა და ღრიალით მოდის. ეს საშიში გზა სიგრძით ვერსი არც კი იქნება, მაგრამ მგზავრის დასაფიქრებლად და დარდების ასაშლელად ეს მანძილიც საკმაოა.

ფარარის გვერდი სხვათა შორის საზღვარია ცენისა და ზესხვის ხეობისა. როდესაც ამ საფრთხილო ბილიკთან მივედით, ყველანი დავსხედით დასასვენებლად. თვალწინ გვედგა შემდეგი სურათი: ჩრდილო-დასავლეთით სჩანდა ღვეშგმარის ხეობა, ლამურხელდის ღელე, მთა ლეკვაშა, სამხრეთ-დასავლეთით მდ. ყორულდის ხეობა, პირდაპირ სამხრეთით 10—12 ვერსის მანძილზე სიგრძეზე გაქიმული ლემთქემის ზურგი, აღმოსავლეთით მდ. ზესხურის ხეობა, ჩრდი-

ლოეთით კი ქედი გადმოგვფენოდა და ვერაფერს ვხედავდით. აქ ნახევარ საათს ვისხედით და სულ იმაზე ვაზირობდით, თუ როგორ გაგვეყვანა ფარაროს ვერღზე ძროხები და ჩემი ცხენი. კარვის ხნის თათბირის შემდეგ, გადავსწყვიტეთ პირუტყვი თავის ნებაზე გავვეყვინა შვა, ე. ი. ხელ-მოუკიდებელი, რადგანაც თუ ძროხა გადავარდებოდა, შესაძლო იყო უკან თუ წინ მიმყოლი კაციც თან გაეყოლებინა. ამასთანავე, სვანებმა გამოცდილებით იციან, რომ თავის ნებაზე მიშვებული პირუტყვი უფრო აგნებს გზას და ფრთხილად მიდის, ვიდრე ხელმოკიდებულნი. „ღმერთო! ჩვენს უბედურებას<sup>1</sup> მომატება აღარ ეჭირება და ჩვენს ძროხებს მაინც ნურას აგნებო“ — სთქვა გიერგმა და გასწია წინ; უკან მიიყოლია თავისი ძროხა, ამას მიჰყვები სხვა ძროხები, ბოლოს კი მე ჩემის ცხენით და ყველანი გულის ფანჯრით გავებაწრეთ საშიშს ბილიკზე. რაღაც ღმერთმა იპრინა და ყველანი მშვიდობით გადავრჩით. როცა ბილიკი გავიარეთ, გიერგმა მადლობა შესწირა ღმერთს და სთქვა, რომ წინ გადასავარდნი გზა არსად შეგვხვდებოდა, მხოლოდ შამბნარი შეგვაწუხებდა. უწინ, როდესაც ცენისა და ზესხვას ხეობები დასახლებული ყოფილა, სამარხილე გზა მდ. ზესხურის ნაპირას იყო თურმე. გეგიმ, ამ ადგილებისა კარგად მცოდნემ, მითხრა, რომ ბარე ოთხ ადგილას დღესაც სჩანს ნახიდრები და მათი კურტნებიო.

ფარაროს ბილიკი ბრიგენის მინდორში შეგვიძღვა (ბრიგენი მინდვრე). მინდორი დიდ მანძილზეა გაჭიმული. სამ მხრივ ქედები აჭარებია, მეოთხე მხრივ მდ. ზესხური ჩამოედის. ვაკე გაუვალის შამბით იყო დაფარული, ფერდობი კი ტყით. აქ სხვა ხეებთა შორის შეგვხვდა თხილის, მსხლის და ბალის ხეებიც, რომელნიც ცენის ხეობებში არა ხარობენ. განვაგრძეთ გზა; შამბნარმა საქმე გავვიჭირა: ერთი ათად უმჯობესია წელამდე თოვლის გაკვლევა, მინამ ამ შამბნარისა. თოვლში ერთი რომ თხილამურს იხმარს კაცი და მეორეც, ცხვირ-პირი მაინც თავისუფლად აქვს. აქ კი ბალახი ისეთი სიმაღლისა იყო, რომ კაცის თავს არშინი სიმაღლე ასცილდებოდა. თანა-მოგზაურნი მალ-მალე იცვლებოდნენ წინ წასასვლელად, წინა მავალს კეტი ეჭირა, ამითი სტეხდა ბალახს და შემდეგ ფეხს გადასდგამდა ხოლმე, მის ნავალს მიეყვებოდით ყველანი.

ბრიგენის მინდორში რამოდენიმე დანგრეული სახლებია. მე მარტო ერთი ვნახე, რადგან სხვები შამბში იყო დამალული. ჩემს ნახულს დანგრეულს სახლს მარტო ერთი კედელი ღია შერჩენია მთლად, დანარჩენ სამზე ხეები ამოსულა, რომელთ ფესვებს კედ-

<sup>1</sup> უშკულის დასტყვაზე უჩვენებს.

ლემი დაუნგრევეია. როგორც იყო გავიარეთ ბრიგვის მინდორი. ამ დროს სვანების სადილობამაც მოაწია. მზე კარგად გვაცხუნებდა; სადილი არყის ხეების ქვეშ ვსჭამეთ ჩეროში. სადილი სახარბიელო არა გვქონდა: ყველი და პური, აი ჩვენი ავლა-დიდება დღესაც არამეტი რამ ესეც საკმაო იყო მშვიერ კუჭზე. მგზავრობას — ნამეტურ მთებში — ის კარგი მხარეც აქვს, რომ რაც უნდა გლახა საქმელი გქონდეს, მაინც გემრიელად სჭამთ; რადგან ისეთს მდაზუა მგზავრი, რომ ვგონებ შავიქვაც მოინელოს მისმა კუჭმა, თორემ ყველი და პური რას მიქვია. დაუნაყრდით, ქალამნები გავისწორეთ, შიგ ახალი თოში ჩავიყოლეთ და გავემგზავრეთ. გავიარეთ ხევი და გავედით ისევე მინდორში. ამ მინდორს ეძახიან „ლექვერარე“ მინდვერ (წისქვილების მინდორი). სიდიდით ეს მინდორი ბრიგვისსაზე მომეტებულია. იგივე შამბნარია აქაც, რაც ბრიგვისში. აქ ძველად სოფელი ყოფილა. 18 სახლი, რასაკვირველია, დანგრეული, დღესაც სჩანს. ბარე სამი სახლი ვნახე. ზედაბირი კედლებისა ჩამონგრეულია. კედლები შავიქვით არის ნაგები, გარეთ შეუღესავი, შიგნით ნანგრევებით არის სავსე. როგორც შიგნით, ისე კედლებზედაც ხეები ამოსულა. ერთის სიტყვით, აქაური დანგრეული სახლები ყველაფრით თანამედროვე სვანების სახლებსა ჰგავს. შუა გული ამ მინდვრისა დღემდის იწოდება „ლაცლავ დაბ“-ად (საცილობელი მინდორი). აღმოსავლეთით „ლაცლავ დაბს“ მაღალი გორა დაჰყურებს. გორაზე ვაშენებულია ქვის სახლი და ლამაზი კოშკი. გზაზე ცოტათი მოშორებით იყო ეს გორა და შამბნარის წყალობით ვერ შევედით. ის კედელი სახლისა, რომელსაც ჩვენ ვუყურებდით, მთლად შენახულა. გვიმ მითხრა, რომ დანარჩენი სამი კედელიც კარგად არის შენახული. რაც შეეხება კოშკს, სახურავის მეტი არაფერი აკლია. ხალხის სიტყვით, ამ გორაზე უცხოვრია შეძლებულს აზნაურისშვილს (ვვარგ<sup>1</sup>) და სწორე ვითხრათ, მართლა რომ საბატონო ადგილიც არის. „ლაცლავ დაბზე“ უშუალოში ლეგენდა შენახულა, რომელიც აქ მომყავს.

\*

\* \*

ერთს გაზაფხულზე — ამბობს ძველი გარდმოცემა — ცენელეებისა და ზესხველების ბავშვები მახეებს უგებდნენ თურმე ჩხართეებს „ლაცლავ დაბ“-ში. მახეების დაგების დროს ბავშვებს ჩხუბი მოჰსვლიათ და ორი ბავშვი ერთმანერთს შემოჰკლდომია; ამათთვის სხვებსაც წაუხედავთ და ყველას ერთმანერთი გადაუხოციათ.

<sup>1</sup> თავაღსაც და აზნაურსაც სვანები „ვვარგ“-ს ეძახიან. ავტ.

ბავშვების ჩხუბს გამოუწვევია მშობლების — ცენელების და ზესხველების ჩხუბიც, რომელიც რამოდენსამე წელიწადს გაგრძელ-  
ბულა. ბოლოს ორთავე მხარეს სხვების შემწეობისთვის მიუმათვალს;  
ზესხველებს ასაბიად მოუყვანიათ ოსები (მალყარიდამ) და ცენე-  
ლებს სვანები. როდესაც სვანები ერთი მეორის პირდაპირ დამდგა-  
რან საჩხუბრად, უთქვამთ, რაზე ვაწყდებით ჩვენ ერთმანერთსო, მო-  
დი ეს ცენელები და ზესხველები ამოვსწყვიტოთ და მათი ქონება ჩვენ  
დაგვრჩებაო. ორივე მხარე ამაზე დათანხმებულია: ამოუწყვეტიათ  
ცენა-ზესხვა, მათი ქონება ხატ-ჯვარი და სხვა განძეულება სვანებს  
წამოუღლიათ, საქონელი ოსებს და მის შემდეგ დღემდი ცენა-ზესხვას  
არავინ დასახლებულა. „ლაცლავ დაბ“-ი იმიტომ დაჰრქმევია, რომ  
ცენელები და ზესხველები ერთი მეორეს ეცილებოდნენ თურმე ამ  
მინდორს. ლეგენდის სიტყვით, ცენასაც და ზესხვასაც სვანებს უც-  
ხოვრიათ, რომელნიც ცენას ქართულად ლაპარაკობდნენო და ზეს-  
ხვას სვანურად. ზესხვიდამ გადმოსახლებულად სთვლიან თავიანი  
თავს დღეს სადადიანო სვანეთის ლაშხეთის საზოგადოებაში სოფ.  
ლაშხრაშს და ჩიხარეშს მცხოვრებნი ერთი მოსახლე „დოღვანი“ და  
რამდენიმე მოსახლე კაცთა-სნები (ჯანხოთელი). დოღვანი და ჯანხო-  
თელი შეჰხვეწნიან მაშინდელს ლაშხეთის მახვშის ყანსავ ყიფიანს,  
რომ სამოსახლო ადგილი სადმე მიეცა. ყანსავ ყიფიანს დაესახლები-  
ნა იგინი სოფელ ახალშენის უკან ხეობაში, ლაშხეთის საზოგადოება-  
ში, სახელდობრ, „თხოფელიერში“; ეს ადგილი არ მოსწონებიათ და  
გადმოსულან ახლანდელს მათ სოფელში „ჩიხარეშში“ (ჩიხარეშ). რო-  
მელსაც ეს სახელი იმიტომ დაჰრქმევია, რომ ახლანდელი „ჯანხო-  
თელი“ მაშინ „ჩიხლაძე“ ყოფილა გვარად.

ყანსავ ყიფიანი ისეთი შეძლებული ყოფილა, რომ დადიანის  
მთიდან 4—5 ვერსის მანძილზედ წამოუყვანია წყალი არხით შენო-  
ბებისთვის. ამ არხს ხალხი დღესაც ეძახის „ყანსავი ლილჰენარ“  
(ყანსავის არხები). ყანსავ ყიფიანი დასახლებულა სოფ. ჩიხარეშის  
თავში, სახელდობრ, „დაბიშში“. მთელი ლაშხეთი, სადაც დღეს  
300 მოსახლეზე მეტი ითვლება, მისი საყმო ყოფილა. ყანსავის შთა-  
მომავალი — სოფრომა ყიფიანი, დამკარგველი თავის წინაპარის დი-  
დება-ქონებისა ამ 4 წლის წინათ მიეცვალა დიდს სიღარიბეში; სოფ-  
რომას ორი შვილი, კვირია და თასი, დღესაც ცოცხლები არიან და  
მამაზე უარეს სიღარიბეში სცხოვრობენ. უშკულში მითხრეს, რომ  
ყანსავ ყიფიანის ერთი შთამომავალი, ვინმე ოტია ყიფიანი, დღესაც  
ცოცხალიაო რაჭაში და სვანური იცისო. ყანსავ ყიფიანზე ხალხური  
სიმღერაა დარჩენილი სვანეთში.

ჩვენ კინლამ დაგვაფიწყდა, რომ „ლექვერარში“ არის ძირე დას-  
გრეულის ეკლესიისა წმ. გიორგის სახელზე და შენახულა აგრეთვე  
ხატიც. სამის ვერსის მანძილზე ლექვერარიდამ არის ადგილი „წმ. გიორგის“  
რამი“, სადაც აგრეთვე მალლა გორაზე დარჩენილა დანგრეული ეკლესია  
წმ. გიორგის ხატით და მის სახელზე. უეჭველია, ეს ლაზრა-  
მის წმიდა გიორგი ლექვერელებს ეკუთვნოდა, თორემ ლაზრამში  
არც ნასახლარია და არც შეიძლებოდა აქ დასახლება ადგილის უფარ-  
გისობისა გამო (მთაა ერთობ). მკითხველს ვსთხოვ ამ ორს ადგილს  
„ლექვერარს“ და „ლაზრამს“ ყურადღება მიაქციოს, რადგანაც ამ  
ადგილებზე ქვემოთაც მოგვიხდება ლაპარაკი.

როდესაც „ლექვერარის“ მინდორი განვლეთ, ჩვენ მივედით  
მდ. ზესხურის პირზედ. ვარჩიეთ წყლის პირად და ხანდახან წყალ-  
და-წყალ სიარული, რადგანაც ეს უფრო გვეადვილებოდა, ვიდრე  
შამში ხეტიალი.

მდ. ზესხურს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით დიდი ქედი დასცქე-  
რის, თავის ვეებერთელა კლდე-ყინულებით და მაღალის მწვერვა-  
ლებით, ამ ქედის სამხრეთის ფერდები შესანიშნავი სანადირო ადგი-  
ლებია. ესრედ წოდებული ორი ფერდი „შუაბანი“ და „თვეთილდა-  
ში“ განთქმულია სვანეთში დიდრონქიან ჯიხვებით. ტფილისელს  
მკითხველს გავახსენებ, რომ იქაურ მუზეუმში ექვსი თუ 12 წყვილი  
ჯიხვის რქები აქ მოკლულის ჯიხვებისაა და წამოღებულია უშკულის-  
დამ 1863 წ. ბ-ნ რადდეს მიერ.


წყლის პირად სიარულიც მოგვბეზრდა. ხის ტოტები, რომლითაც  
დახლართული იყო მდინარის ორივე ნაპირი, გზას გვიკრავდნენ და  
ხშირად საკაფავად გვიხდებოდა. მაშინ წყალ-და-წყალ ვიარეთ. წყალ-  
ლი მდ. ზესხურში დიდი არ იყო, ფონად გასვლა ყველგან შეგვეძ-  
ლო. ქვეითები იქა-აქა ირჩევდნენ გზას; ძროხები კი მე ჩამაბარეს  
წყალ-და-წყალ გასარეკად, რადგან მე ცხენით ვიყავი. ვგონებ  
5—6 ვერსი ვიარეთ ამ სახით, როდესაც მდ. მარცხენა ნაპირზე გა-  
ვედით. აქ კიდევ დიდი მინდორ-ფერდი დაგვხვდა ჩვეულებრივის  
შამბნარით მოცული. აქ მდ. ზესხური მარცხნივ უნდა დაგვეტოვებო-  
ნა და პირდაპირ უნდა ავსულიყავით „ნეშკას“ უღელტეხილზე (ნეშ-  
კა-ფარეხი), საიდანაც მდ. „ხედურის“ ხეობაში გადავიდოდით. ნეშ-  
კა სიმაღლით მაინც და მაინც დიდი არაა<sup>1</sup>, მაგრამ აღმართ-დაღმარ-  
თი ძლიერ დაქანებული აქვს. ნეშკას გასავალთან უერთდება ლემთ-  
ქემის ზურგი, რომელიც მდ. ზესხურის ხეობასა ჰყოფს მდ. ხედუ-  
რის ხეობიდან. გზა ნეშკაზე არა სჩანს, მგზავრი უნდა აჰყვეს ნიაღვრ-

<sup>1</sup> რადდეს სიტყვით 8460 ფუტია.

რის ნაკვალევს, რომელიც მწვერვალად ძირამდი ჩამოსდევს ლა-  
რივით სწორად. ეს გზაც, — ან უფრო სწორედ: — ნიაღვარისაგან  
გაკვალული თხრილი ისეთი აღმოჩნდა, რომ ძროხებმა ფეხი  
მოიკიდეს. მეტი ღონე არ იყო, სხვა გზა უნდა მოეფიქრა.  
უხვიეთ განზე და გაშლილ ფერდობს შევუდექით. ვიარეთ მიხვევ-  
მობხვევით და ბოლოს ნეშკას მწვერვალზე ავედით. აქ დაღალულ-  
დაქანცულებს ცოტა ხნის დასვენება გვჭირდებოდა, მაგრამ წარმო-  
იდგინეთ, შესაფერი ვაჟე ადგილი ვერ ვიპოვეთ.

დავეშვით დაღმართს, მარა რა დავეშვით: აღმართზე საქონელი  
უკან სცურავდა, დაღმართში კი წინ. ჩემმა ამხანაგებმა თავიანთ  
ძროხებს კუდეებში ჩაავლეს ხელი და უკან ეწეოდნენ. სასაცილო  
ის იყო, რომ ხშირად ძროხა სძლევდა პატრონს და კუდში ხელმოკი-  
დებულ პატრონი ძროხის თავზე ყირამალა გადადიოდა. ამ შემ-  
თხვევაში თუ არც ძროხას რამე ევნო და არც პატრონს, ეს იმის  
წყალობით, რომ ღვარისგან ჩაღრმავებულს თხრილს, რომელშიაც  
ჩვენ მივდიოდით, ნაპირებზე შამბნარი მისდევდა და როცა კაცს  
თავისი სიმძიმე წინ წასძლევდა, და თავს ველარ დაჰქერდა, მაშინვე  
შამბში გადავარდებოდა და ძროხაც იქით წაიქცეოდა. როდესაც ამ-  
ნაირი ძალაუნებური ძუნძული გავათავეთ და ფეხის მოსაკიდებელს  
ადგილას მივალწიეთ, რასაკვირველია, დავისვენეთ. საშინელს დაღ-  
ლილობას ვგრძნობდით, ფეხები დაბეჭილი გვქონდა, წამ-და-უწუქ  
ქვების ნარტყამი, მუხლები გვეკეცებოდა, ყველანი ოფლში ვიყავით  
გაწურულნი. ისე მიცემდა გული, მეგონა ბუდიდამ ამომვარდება  
მეთქი. უარეს ყოფაში იყვნენ კიდევ საცოდავი პირუტყევები.

მონადირე გეგი ნეშკას მწვერვალზევე დაგვმორდა; იგი წვერ-  
და-წვერ გაჰყვა მთას ჩრდილოეთისკენ და ღამე ჩვენთან უნდა მო-  
სულიყო. ჩვენ კი დაღმართი ჩავიარეთ და ხედურის ხეობაში დავე-  
შვით. მდ. ხიდურის მარჯვენა ნაპირზე, გზის ახლო, ფართო მინდო-  
რია გადაშლილი. ამ მინდვრის შუაგულში ბუჩქის მსგავსად ამოსუ-  
ლა ცამეტი არყის ხე, რომელთაც სიბერისაგან ნახევრად ჩამოსტეხია  
ტოტები. ეს არყნარი გარს არტყია სპონტიკის ქვისაგან ნაშენს,  
დღეს დანგრეულს, ეკლესიას, მთავარ ანგელოზის სახელობაზე.  
ახლო მიველ ამ ეკლესიის სანახავად. სამი კედელი ქვედა ტანში  
1 1/2 საჟენის სიმაღლეზე მთელათ დარჩენილა, მეოთხე კი ცოტად  
ჩამონგრეულა. ნანგრევები, ალბათ გუმბათისა, შიგნით ჩაცვივნილა  
და კედლებ შუა ადგილი ქვებით გამოჰქედილა. ბევრი დრო აღარ  
მოვანდომე ეკლესიის დათვალიერებას, რადგანაც საღამო მოახლოე-  
ბული იყო და ბინაზე მივეჩქარებოდით. ამასთანავე, მოიღრუბლა  
და ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ წვრილმა წვიმამ დაუშო.



მდ. ხიდურზე ფონში უნდა გავსულეიყავით მარცხენა ნაპირზე, ამ მდინარესაც სათაური დიდ ქედის სამხრეთის მხარში აქვს. ხიდურის ხეობა სიგრძითაც და სიგანითაც ბევრად დიდია ზესხურისა და ყოროლდ-ცენას ხეობებზე. აგრეთვე თითონ მდინარეც, წყალადიდებული არ იყო, ასე, რომ ქვეითები კარგად გავიდნენ წყალში. მარცხენა ნაპირას კარგად გაშლილი ჭალა-მინდორია. ამ ჭალა-მინდორის მობმული აქვს სამი ლეღე მოზრდილის წყლებით. მინდორში სამი მოდილო ტბაც შეგვხვდა. ფერდობი ხიდურის ხეობისა, ნამეტურ დასავლეთისკენ — დაბურულია ხშირის გაუვალის ტყით. ძველად აქ 120 კომლი ყოფილა დასახლებული. დღეს ტყე ისე გადაჰფენია ხეობას, რომ ერთ ნანგრევსაც ვეღარ მიაგნებს კაცი.

მდ. ხიდურში ბევრი და კარგი კალმახი იცის. ჩვენი გზა აღმოსავლეთიდან ჩამომავალს ლეღეს მისდევდა. ამ ლეღის ერთ ნაპირას, მინდორში უნდა დავბინავებუიყავით ამაღამ. დანიშნულს ადგილას ჯერ არ ვიყავით მისული, რომ თოფის ხმა მოგვესმა. ცხადი იყო, რომ თოფი გეგიმ გაისროლა. გიერგმა ისიც კი სთქვა, რომ გეგიმ უთუოდ მოახვედრა თოფი ნადირსა, ეგ თოფის ხმაზე შეეტყობაო. დროებით დაიმედებულნი გეგის თოფის-ხმით, ჩვენ ისე მივედით ერთს მინდორს, გადავსწყვიტეთ აქ დამდგარვიყავით. სადგომი, რასაკვირველია. არ იყო, უნდა გავგეკეთებინა ქოხი. ადგილი ავარჩიეთ და გადავსწყვიტეთ, არყის ხეების ქვეშ დავბინავებუიყავით, მინამ ქოხს გავაკეთებდით, საჭიროდ დავინახეთ ცეცხლი დაგვენთო. ჯერ ერთი, რომ წვიმა იყო და უნდა გავმშრალ-გავმთბარვიყავით, მეორეც ცეცხლის დანთება საჭირო იყო გეგისათვის, რომელიც ცეცხლის კვამლზე მოგვაგნებდა მთის წვერიდამ. ჩვენის ბინის ახლომახლო ბევრი გამხმარი და წაქცეული ხეები იყო. მიყვავით ხელი შეშა მოვზიდეთ და უცბად უშველბელი გროვა დავდგით შეშისა. რამდენისამე წამის შემდეგ მაღალს შამბნარში, არყის ხეების ქვეშ საკირესავით ცეცხლი ლუზლუზებდა.

დაგვრჩა გასაკეთებლად ქოხი, არც ამის გაკეთებისთვის დაგვეყოფნებია ბევრი ხანი. ორის ნაჯახის და ხანჯლის დაკვრით, ბლომად მოვჩეხეთ ნორჩი ტოტები შტო-ფოთლებიანად არყის ხეებს, რომელთ ქვეშაც ცეცხლი გვენთო; ორის მხრით ხის სვეტები ავაყუდეთ, ზედ სიგრძე-სიგანეზე გრძელი კეტები გადავებით ასე, რომ ქოხის ერთს კედელს არყის ხეები შეადგენდა, ორს ხელოვნურად გაკეთებული, მეოთხე კედელი კი კარად დავტოვეთ. ქოხის სახურავად შამბი ვიხმარეთ. ნახევარი საათი არ გასულა, რომ ჩვენი სამნაგი ქოხი ლამაზად იყო გადახურული. შიგნით ქოხის მოწყობილ-

ბა სულ უბრალო იყო; კუთხეებში ეყარა ჩემის ამხანაგების სამგზავ-  
 რო გულები და ჩემი უნაგირი, ერთ გვერდზედაც თოფები გვეკი-  
 და, — ეს იყო მთელი მორთულობა. ქვეშ კი დატკეპნილი უმძნე-  
 რი გვედო, რომელსაც იმ დამეს ლოგინის მაგიერობა უნდა გვეყოს.  
 ცხენი და ძროხები ახლო ხეებზე მივაბით და ამნაირად პირ მეტ-  
 ყველნი და პირუტყვი ერთმანერთს შევსცქეროდით. დამის ერთი  
 საათი იყო გასული, და მონადირე გეგი კი ჯერ კიდევ არსად სჩანდა.  
 ჩვენ და გეგის ისეთი პირობა გვქონდა მიცემული, რომ თუ მო-  
 კლავდა რასმე, რამწამს მოგვიახლოვდებოდა, ხმა უნდა მოეცა; მა-  
 შინ ჩვენთაგანი ვინმე უნდა მიჰგებებოდა. გეგის ხმის მომლოდინე.  
 ჩვენ სმენად ვიყავით გადაქცეულნი. აი მოგვესმა გეგის ძახილი.  
 მყისვე ჩემნი თანა-მოგზაურნი ფეხზე წამოხტნენ; ერთი მეორეს  
 ეცილებოდა, ყველას ჰსურდა პირველი მიჰგებებოდა გეგის; ყველას  
 ჩემმა გიერგმა გაუსწრო, რომელსაც საჭმლის ხსენებაზე დიდი მალა  
 გაეხსნება ხოლმე. რუსთაველის ტარიელსავით განჰქრა იგი შამბნარ-  
 ში, რომლის ტეხა-შრიალი რამდენსამე საყენზე გვესმოდა. ყველას  
 გაგვენბარდა, რომ გეგიმ ნანადირევი მოიტანა! ან კი როგორ არ გა-  
 გვენბარდებოდა! დაღალულ-დაქანცულებს მშიერს კუჭზე ნანადირე-  
 ვის ხორციტ პირის გამტკბანურება. ცოტა ხნის მოლოდინის შემდეგ  
 გიერგი „ნამარტევით“<sup>1</sup> (ნამშდაშ) დატვირთული ცეცხლთან გაჩნ-  
 და და იქვე ბრაგანი გააყრევინა არჩეს. გეგის არჩვი მოეკლა; შიგნე-  
 ულობა გამოეღო და გადაეყარა; ფეხებზე ტყავი შემოეცალა, მერ-  
 მე „ნასკვერით“ (წვრილი ბაწარი, რომელიც მონადირეს მუდამ თან  
 დააქვს) შეებოჭა და ისე მოეკიდა ზურგზე. გეგის პატივისცემის ნიშ-  
 ნად ყველანი ფეხზე წამოვუდექით, არჩვის მოკვლა მიულოცეთ და  
 ვისურვეთ, რომ კვლავ მრავალი არჩვი და ჯიხვი მოეკლას. გეგის  
 კარავში საჯდომი ადგილი დავუთმეთ, ზოგმა თოფი ჩამოართო, ზოგ-  
 მა ქალამნები გახადა და ფეხები დაჰბანა. — ერთის სიტყვით, ამ  
 დროს ყველანი გეგის მოსამსახურედ გადავიქეციეთ. ამნაირად გეგიმ  
 პირველობა წამართო, რადგანაც იმისი ხელობა — ნადირობა უფ-  
 რო სასარგებლო აღმოჩნდა ამ დამეს, მინამ ჩემი წიგნის ცოდნა.  
 არჩეს უცბად ტყავი გააძრეს, ხორცი ასო-ასოთ გაანაწილეს. ჩვენ  
 თან გვქონდა პატარა ქვაბი, რომელშიაც არჩვის მეექვსედი ძლივს  
 ჩაეტია, ამიტომაც ექვსჯერ დაგვჭირდა ქვაბის გამოცვლაც; როდესაც  
 ერთი რიგი ხორცი მოიხარშებოდა, მეორეს შემოვდგამდით. მოხარ-

<sup>1</sup> ნამარტევს ეძახიან ჯიხვს ან არჩეს, რომელნიც მთელს ზაფხულს მარტო-  
 მარტო სცხოვრობენ, ჯოგში არ ერევიან. ნამარტევი ყოველთვის სუქნად არის.  
 აბტ.

შულს ხორცს კი ვახშობამდი ერთს ადგილას ვავროვებდით, გავათავეთ მოხარშვაც. ჩვეულება მოითხოვს, რომ მონადირემ ყოველთვის შეალოცოს ნანადირევი, ამ წესს გეგიც ვერსად წაუტყდებოდა და კიდევაც შეალოცა. ხოლო რაკი აქ, გარეთ, ყოველი საჭირო მოწყობილობა არ გეჭონდა. სრული ლოცვა არ მოხერხდებოდა, ამისთვის გეგიმაც შეამოკლა ლოცვა. ჩვენ კი სრულად მოვიყვანთ, როგორც მონადირის ლოცვას საზოგადოდ სვანეთში, აგრეთვე მონადირის ზნე-ჩვეულებას ნადირობის დროს.

\*

\* \*

სვანების აზრით, ნადირობა მემკვიდრეობითი გარდმოცემაა. ნადირობის მფარველნი, ბატონნი არიან თავი-და-თავი გარდა მამა-ღმერთისა წმ. გიორგი, შემდეგ „დჷლ“-ი, „აბსასღ“-ი (?), „სკიმ-ბერ-მოძღვარ“-ი და „ელ“-ი. წმ. გიორგის თუ უნდა მისცემს ჯიხვ-არჩეს მონადირეს, თუ არა და არა. მის მახლობელ თანაშემწედ ითვლება „კლდის დჷლ“-ი (კოჯა დალ). დალი დედათა სქესის არსებაა, მუდამ კლდეებში მცხოვრები. იგი ბედნიერს მონადირეს კიდევ დაენახვება და მაშინ მონადირის საქმე გაკეთებულია; მხოლოდ დალის მნახველ მონადირემ არ უნდა გაამჟღავნოს ეს, თორემ დალს ეწყინება და უთუოდ კლდეზე გადაადგებს. დალს წმ. გიორგისგან ჩაბარებული ჰყავს ჯიხვები და არჩვები და მათი რიცხვი, როგორც ცოცხალის, ისე მოკლულისა, ყოველთვის უნდა იცოდეს. რაც დალს ჯიხვი და არჩვი უყვარს, იმათ მონადირეს არ მოაკვლევინებს. ხალხური სიმღერა დალზე, რომელიც ჩვენ გვაქვს, ამტკიცებს, რომ დალი ხანდის-ხან მონადირესთან წვება. მაგალითად, სიმღერაშია ნათქვამი, რომ ერთხელ დალი მადლის კლდის თავზე ლოგინად იწვა. ყმაწვილი კლდის თავიდან გადმოუვარდა, ძირს მგელი დაჰხვდა, სტაცა პირი და დალის შვილი მოიტაცა. ერთმა მონადირემ დაინახა ეს, გაეკიდა მგელს, თოფი ჰკრა, დალის შვილი დაატოებინა და დედას მოუყვანა კლდის ძირში. დალს — დედას შვილის დაბრუნება გაუხარდა და ეუბნება მონადირეს: რაც გინდა იგი ჯილდო მოხოვეო, გერჩიოს ჩემთან დაწოლა (მიშგვი ლილყურ). გერჩიოს ამდენი და ამდენი ჯიხვი და არჩვი წელიწადშიო, მონადირემ უკანასკნელი ირჩია, დალმა ერთი ნაწინევი ჩამოუშვა კლდის თავიდან და შვილი მით აიყვანა. სიმღერაში იგიც ნათქვამია, რომ ხარბ მონადირემ დალს აწყენინა. რადგან დაპირებულს რიცხვს ჯიხვ-არჩვისას არ დასჯერდა და ერთობ შეათხელა დალის საყვარელის ჯიხვების ჯოგი. დალი ამაზე გაჯავრდა,

მონადირე კლდეზე გადააგდო და მის შთამომავლობას მოუსპო წა-  
ღირობა.

„აბსასდიც“ კლდის მცხოვრებია. ამას დაღზე ნაკრებ უფლებ-  
ბა აქვს ჭიხე-არჩევებზე, ხოლო ფრინველების მფარველია. ნატ-  
რონად მარტო „აბსასდა“ ითვლება. რაც შეეხება „სგიმ-ბერ-მოძ-  
ღვარს“ და „ელს“-ა, მათ მაინცა-და-მაინც ბევრი არაფერი უფლება  
აქვთ მინიჭებული.

მონადირეს აუცილებლად მოეთხოვება, რომ იგი სრულიად გა-  
ნეშოროს მრუშებას, აგრეთვე არ შეჰხვდეს და არ იმყოფოს იმ  
ოჯახში, სადაც მელიგინე და დედათ რიგში მყოფი ქალი წევს. ამ  
ქალებს ნანადირევის ხორცი არ ეჭმევათ. არც ხორცს და არც  
ძვალს ნადირისას არ უნდა მიეკაროს: ღორი, ცხვარი და ქათამი. ნა-  
ნადირევის ძვლები მონადირემ თავის სახლში უნდა შეინახოს და  
თუ ბევრი მოგროვდა და ტევა აღარაა, მაშინ მდინარე წყალში უნდა  
გადაყაროს. მონადირის ამხანაგებმა და ნანადირევის მოზიარე კა-  
ცებმა, ხორცის (თავის წილის) შეჭმის შემდეგ, ძვლები უკლებლად  
უნდა დაუბრუნონ მონადირეს. ბოლოს დრომდე ჭიხე-არჩვის რქები  
ეკკლესიებში შეჭქონდათ, ეხლა კი ამ ჩვეულებას თავი დაანებეს.  
რადგან ფულს შეეხარბნენ და გასყიდვას არჩევენ. ნანადირეს მო-  
ნადირე და მისი ამხანაგები — მესაგზლეები (მუქცა მოლხიზა) ამ-  
ნაირად იყოფენ: თავს, კისერს და ტყავს მონადირე წაიღებს წილის  
გარეშე, დანარჩენს ხორცს ყველანი თანასწორად გაიყოფენ. ნანა-  
დირევი ღამით უნდა შემოიტანონ სოფლად, რომ თვალი არ ეცეს.  
ნანადირევის ჭამის შემდეგ ყველანი ხელს იბანენ. სახლში დაბრუ-  
ნებისას, მოხარშულს ნანადირევის ტაბაკზე ამოიღებენ, რომელშიაც  
თავი უთუოდ უნდა ერიოს. დაანთებენ წმინდა სანთელს და ერთს  
წმინდა პურსაც დასდებენ ზედ. მონადირე ამ ტაბაკს ორივე ხელით  
აიღებს და დაჩრქილი მოჰყვება შემდეგს ლოცვას, რომელსაც ქართუ-  
ლად ვთარგმნი:

„დიდება ღმერთს, მადლი ღმერთს, დამბადებელო, ბატონო ქვეყ-  
ნისაო (ფუსნა ბუასდიშ), ნანადირევი და მონადირე ყველა შენი გა-  
ჩენილია, რა დროსაც კი მოგმართო, ყოველს დროს შენი კარგი ჯვა-  
რი დამწერე (პირდაპირ დამადგი), მადლი და სახელი იქნება შენი.  
ქრისტე მაცხოვარო! დიდება შენდა; ჩემს მაწყევარს შენი მახათი  
ჩაარქვი (გულში), ჩემს თოფს, ავეჯს და მე კარგი ჯვარი დაგწერე.  
მწყალობელო, ცხოველო წმ. გიორგი! დიდება შენდა. ადამიანის  
მწყალობელი შენა ბრძანდები, დღე და ღამე მარჯვნივ მომყევი,  
ქაჯ-ემმაკი მაშორე. ჩემს მწყალობელს ღმერთს დიდება! როდესაც  
შეგეხვეწო, ყოველთვის შემებრალე. „დალს“ კლდისას დიდებამ

„აბსადს“ კლდისას დიდება! გარეულის (ცხოველის) (სვანურად — გარავლი) თავსმდგომი შენა ხარ, როს მოვიღე შენს ადგილში (ტყვევ), მშვიდობიანად გამომიშვი; გარეულის (ცხოველის) მშვიდობიანი მომეცი, უფროსი ნუ გელიდება, უმცროსი ნუ გეპატარავება მოდგომაზე (როდესაც ნადირობა თავდება) მშვიდობით დაგვაბრუნე სახლში მე და ჩემი ამხანაგი კაცები. თუ რამე იკადრებოდეს, მიილოცე, თუ არა და იმისთვისაც ნუ მემღუბი, შენი საბრალი და საწყალი ვარ; კარგი სვე (სვევ) მომეცი, წყალობაზე წყალობა მიმატე, გარეთ და შინ, ყველგან მიიღე ჩემი ვედრება, ნუ დამიკარგავ შენს წყალობას და ნუ შემიძულე, ასეც მაღლი გექმნება. ქრისტეს ლასდილასას დიდება; მთავარ ანგელოზს ყორულდისას დიდება; მიჩფა (?) (მაცხოვარი?) ვეშგმარისას დიდება; მაცხოვარს კახტისას დიდება; წმ. გიორგის ზესხვისას დიდება; წმ. ბარბალე ლექვერარეშისას დიდება; მთავარ-ანგელოზს სულიერისას დიდება; ლემთქემის სალოცავს ანგელოზებს დიდება; შყამან-ჭოროხის წმინდანებს დიდება; ლემჩხაფრის წმინდანებს დიდება; ნეშკირა და ლაწრექეთლის წმინდანებს დიდება; ელცხოველს დიდება; შენი დანიშნული ღიხვი მომეცი; როცა შეგეხვეწო, დარი და ავდარი ჩემის ნებისად მიწყალობე. ღიხვის მწყემს დიდება; არჩვის მწყემს დიდება!

ამ დროს დაჩოქილი მონადირე ზეზე ადგება. ტაბაკიანად წაღმა დაბრუნდება და ამით ლოცვას ათავებს. ეგ არის საზოგადო ლოცვა სვანების მონადირეებისა შემდეგის გამოკლებით: რა საზოგადოების მონადირეც იქნება, იმ საზოგადოების სანადირო ადგილების წმინდანებს მოიხსენიებს. როგორც ამ ლოცვაში უშკულის საზოგადოების სანადირო ადგილების ეკლესია-წმინდანებია მოქცეული. წმ. გიორგი, დალი, აბსასდი და სხვ. ყველასთვის საზოგადოა.

დასასრულ, მონადირის ზნე-ჩვეულებას ამასაც დავუმატებთ. რამდენსაც აქ მოჰკლავს მონადირე ღიხვ-არჩვს, იმოდენა საიჭიოს დახვდება სანადიროდ. მონადირესათვის კარგია მგლის მოკვლა, იმიტომ რომ იგი ყარაულად უდგას ღიხვ-არჩვის ჯოგს და მონადირესთან მოჰყავს; ფოცხვერის მოკვლა კი (რაც იშვიათია სვანეთში), პირიქით, ცუდია, რადგანაც ჯოგს შიგ შუაში შეერევა ხოლმე და განუფანტავს მონადირეს. ყოველი მონადირე ცხონებულია სვანების აზრით.

ამაღამ, რასაკვირველია. გეგი ყველა მოვალეობას მონადირის ზნე-ჩვეულებისას და მის ლოცვას უნაკლულად ვერ შეასრულებდა. მან მხოლოდ „კოსიღამ“<sup>1</sup> ამოიღო თათლის სანთელი, და აანთა

<sup>1</sup> ტყავის ქისა, ქამარზე ჩამოკიდებული.

„ნამახტევის“ მოხარშულს თავზე, რომელიც ხელთ აიღო მადლა და მოკლე სიტყვით სთხოვა წმ. გიორგის, რომ კვლავ მალე ეწყალობებინა მისთვის „მიჩაჟირ“ (მისი წყალობა, ე. ი. ჯიხუაჩივი) მოხარშულის ხორცის ზოგი ნაწილი სახვალიოდ გადაეცინათ სასაღვთისათვის; დანარჩენი გავანაწილეთ კაცის სულზე თანასწორად. დავწყეთ ვახშობა; ყველანი კარავში მოვთავსდით, რადგან წვიმა თანდათან მატულობდა. ცეცხლი გავაძლიერეთ, ოთხ-ხუთ საყენის სიგრძე ხეებს, ცეცხლზე დაყრილს, ტკაცუნი გაჰქონდა; ცეცხლის აღმაც ახლო ხეების შტოები შეალურჯა. დიდს მანძილზე ჩვენს გარშემო განათებული იყო ადგილი. შორი-ახლო ხეებზე მიბმული ძროხები თავიანთ დიდის და დაღალულის თვალებით შამოგვეცქეროდნენ. ვახშამი კარგა ხანს გაგრძელდა; ყველანი ჩუმად ვიყავით. როცა ერთმა ამხანაგმა არჩვის ბეჭი გამოხრა, იმის — ბეჭის დახედვამ აღძრა ლაპარაკი. ამ ბეჭზე მომავალის ბედის შემტყობმა სთქვა, რომ გეგი ხვალაც მოჰკლავს ნადირსაო. გეგიმ უცებ გამოართვა ბეჭი, დაჰხედა და ღიმილი დაეტყო სახეზე, ეტყობა გეგიც მორწმუნეა ბეჭზე წინასწარ-მეტყველებისა. ბეჭის ბრალი იყო თუ ხატისა, არ ვიცით, მხოლოდ მეორე დღეს გეგიმ მართლა მოჰკლა ჯიხვი, რომლის მოწამე ჩვენ ცხრანი ვიყავით. ვახშმის გათავება და ჩვენი კარავში წაწოლა ერთი იყო. ცხადია, ჩვენ დევის ძილით დაგვეძინებოდა; დაღალულებს მაძლარი ვახშამი ძილს როგორ არ მოგვეკრიდა. დაძინების წინ ყველამ ერთი პირობა დავსდეთ: ვინც გათენებამდინ ყველაზე ადრე გამოიღვიძოს, დამწვარ შეშის მაგიერ ცეცხლზე ახალი შეშა დააყაროს, რომ წვიმამ ძილის დროს ცეცხლი არ გაგვიქროსო. გავიდა რამოდენიმე ხანი, გაისმა ხვრინვა და ყველანი და ყველამ ღრმა ძილს მივეცით თავი. გათენდა მეორე დღე ავღრიან წვიმიანი. მთა და ხეობა შავის ძეწრით იყო გადაფარებული. დრო-გამოშვებით გაისმოდა ქუხილის ხმაური; ირგვლივ შემორტყმული მთები ისეთს ბანს აძლევდნენ, რომ კაცს უნებურად წარმოუდგებოდა ის „ქვესკნელთა ძალნი“, რომელთაც ააყუდეს ბუმბერაზ მთანი და ჩაჩხეს მათ შორის უზარმაზარი ღრე-ხეხები. გვიდოდა შეგვეტყო დრო ჩვენის გაღვიძებისა, მაგრამ როგორა, როდესაც სქელი ნისლეები და შავი ღრუბლები მზის სხივებს არ უშვებდნენ დედა-მიწაზე. საათი მქონდა, მაგრამ ლამე დამდგარიყო, თითქოს აქაურმა დიდებულმა ბუნებამ ითაკილაო, რომ ეს კაცის ხელთ-ქმნილი ნივთი აქაც თან დამქონდა. ავბარგდით, ცოტახანი შევჩერდით, იქნება გამოდარების ნიშანი შევამჩნიოთო. სვანეთში შენიშნული აქვთ რამოდენიმე ნიშანი გამოდარებისა; ერთი ამ ნიშანთაგანი სხვაზე უფრო სარწმუნო, ის არის, რომ როდესაც დილას ნისლი დედამიწაზეა და-



კრული, ამას უთუოდ დარი მოჰყვება. ჩვენ-კი ამ ნიშანსაც ველა-  
ვხედავდით. მოცდა — დროს დაკარგვად მიგვაჩნდა და ამიტომ  
წასვლა ვარჩიეთ. გეგი აქვე დაგვცილდა, სანადიროდ წავიდეთ  
პაემანი იყო ან მთა გორის თავი, ანა და გორის ბოლო, ე. ი. აღმო-  
სავლეთის ძირი ხსენებულის გორის მთისა. გეგის არაფრის იმედი არა  
ჰქონდა, თუ ასეთი ბურუსი იქნებოდა სალამომდი, მაშინ ნადირს რო-  
გორლა დაინახავდა. გეგის გზა დაუულოცეთ და ჩვენ ჩვენსას გავუ-  
დექით.

დღევანდელი ჩვენი გზა იყო მთა „გორის“ უღელტეხილზე, რო-  
მელიც ცხენისწყლის ხეობას ჰყოფს რიონის ხეობიდან (водора-  
дельн. линия). ეს მთა ერთ მაღალ უღელ-ტეხილთაგანია, სიმაღ-  
ლით 9598 ფ<sup>1</sup>. ჩვენ გვსურდა ამაღამ — რა დროსაც იქნებოდა —  
სოფ. ღებში მივსულიყავით. ეს საჭირო იყო ჩვენთვის, თორემ სან  
ლამეს ცის ქვეშ ყოფნა და ისიც წვიმაში, შეგვაწუხებდა. მთა „გორს“  
დასავლეთიდან რამოდენიმე სერი აბია. სერებს შუა რამდენიმე ფარ-  
თო ღარებია. როგორც მთის ძირი, ისე ეს სერები დაბლობზე არყ-  
ნარით არის დაფარული, ცოტა ზემოთ — შკერით და სულ თავში —  
მთის ბალახით. გორის გზა ყველაზე უკეთ გეგიმ იცოდა. ამის გარდა  
ჩემს ამხანაგებში მხოლოდ ორს ევლო ამ მთაზე. გეგი დაგვშორდა  
და გზის მაჩვენებლად ეს ორი-ლა დაგვჩა. ამ ორში ერთი ჩვენი  
ნაცნობი და ჯიუტი გიერგი იყო. როდესაც მთის აღმართს შეგვუდე-  
ქით, ცილობა გახდა გზის შესახებ: გიერგი იძახდა ამ სერზეო გზა,  
მეორე სხვა სერს უჩვენებდა. ცილობა კინაღამ უსიამოვნებად არ  
გარდიქცა, ამიტომ მე ძალაუნებურად გიერგის მხარე დავიჭირე;  
გზის დაკარგვა მერჩია გიერგის წყრომა-რისხვასა. ამის მეტოქე ცო-  
ტად კიდევ შევტუქსე, რომ გიერგის გული მომეგო. შევუდექით  
გიერგის მიერ ნაჩვენებს სერს; დავდივართ ხან აღმა, ხან  
დაღმა, ხან აქეთ, ხან იქით, შიშვლამდე მაინც ბევრი გვიკლია. ნის-  
ლი გვეფინა თავზე და მთას ვერ ვხედავდით, თორემ მაშინ გა-  
ვაგნებდით გზას. ტყეში წაღმა-უკულმა ხეტიალმა ძალა გამოგვილია.  
გავიარეთ ტყე, ზედ მივეჩახეთ ისეთს გაუვალს ბრეკს, რომელზედაც  
მარტო ფეხმარდ ჯიხვს შეეძლო გავლა. გიერგი ჩაჯდა; ეხლა მიჰხვ-  
და, რომ გზას ავცილდით და არ იცოდა რა ექნა.

\*

\* \* \*

გიერგის მეტოქე ისე გაჯავრდა, გაბრაზდა, რომ არ იცოდა, რა  
ექნა გიერგისათვის. მე მივუხვდი იმას და რომ გადამეფუჩეჩებინა,

<sup>1</sup> რადღე.

გიერგს ვუთხარი ხუმრობის კილოთი — თუმცა სახუმარო კი არა, საველალო იყო ჩვენი მდგომარეობა: — ახლა შენ უკან მოგვყევი და ჩვენ წინ გაგიძღვებით მეთქი. დავბრუნდით ისევ უკან გავლილს გზაზე, ღმერთმა გვიშველა და როგორც იყო ნამდვილი გზა მოგვახეთ. ავიარეთ ისევ ტყე და მივედით შიშვლამდი. ისევ წვიმა, ისევ ბური! ძლიერ მაწუხებდა დღევანდელი ავდარი; იმიტომ კი არა, რომ დავსველდით და საგრძნობელადაც გვეციოდა, არა, მე იმას ესწუხდი, რომ მთა-გორის მწვერვალიდამ ვერაფერს დავინახამდი და ეს კი დიდი და სამუდამოდ დაკარგული დაკლება იყო. ამისთანა ადგილას კაცი ერთხელ მოჰხვდები შენს სიცოცხლეში, იტან მრავალ გაჭირება-შეწუხებას, იმისთვის, რომ ჰნახო სასურველი, დიდებულ ბუნების სურათი და ეს წყეული ავდარი ყველა ამაებს გაკლებს! მართალია, ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო მთებზე მოგზაურობა, — სამს ადგილას გადამიჭრია კავკასიის დიდი ქედი იქ, სადაც ყველაზე მაღალი ადგილი უჭირავს სვანეთსა და ჩრდილოეთს კავკასიის შუა, მომივლია იალბუჯის გარშემო, სვანეთის გარშემოც არც ერთი ქედი არ დამრჩომია, რომ არ მენახოს, მაგრამ მაინც, როცა რომელსამე მაღალის მთის მწვერვალზე ავალ, საითგანაც სჩანან:

ბუმბერაზ მთანი მღუმარედ  
კათამდის აყუდებულნი,  
სხედან, ვით ღვენი სპეტაკის  
ყინულ გვირგვინით შემკულნი!...

ან

...უფსკრულნი ჩაბნელებულნი,  
კლდენი თვალ-ვადუწვდენელნი,  
სად მონადირე ჰსდევს ჯიხსა  
და მთის ქვეშ ელენან ღრუბელნი! —

მაშინ რაღაც მომხიბლავი ძალა მიბყრობს, სრულს ნეტარებასა ვგრძნობ და ვიმღერ ხოლმე, როგორც ხევსური!

არ გავცვლი სალსა კლდეებსა  
უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!  
მე მიჩვენია შავი კლდე,  
თოვლიან-ყინულიანი,  
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც  
ვადმოქუხს ბროლი წყლიანი...  
ჯიხვი და არჩვი მეყოფა,  
ხოცი აქვს მარილიანი...

და აი წვიმის გამო, უნდა მოვკლებოდი ამ სიამოვნებას, ვერ უნდა მენახა ეს მომხიბლავი სურათი; კიდევ ამიტომ ვწუხნდი, მაგრამ „ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან განაჩენსა“. როდესაც მწვერვალს ვუახლოვდებოდი, ბუნებას ნელ-ნელა პირზე მომელოთება მოუვიდა. ჰაერი შეიცვალა, ქარმა გაფანტ-გამოფანტა სქელი ნისლეები და ჯერ კიდევ მწვერვალამდე კარგი მანძილი გვქონდა ასავალი, რომ მზემ დიდებულად დაგვანათა. დარი და ავდარი მთებში ერთი მეორეს ჩქარა, უეცრად სცვლის; ეს ვიცოდი და ამიტომ ფეხ-აჩქარებით გავეშურე მთის წვერისაკენ. ავედი. პირი აღმოსავლეთისაკენ მქონდა, დავსცქეროდი მდ. რიონის ხეობას, სათავითვან დაწყებული მთის ჩაყოლებას, სადამდისაც კი თვალი მიმიწვდებოდა; მარცხნივ სჩანდა კავკასიის მთა-გრეხილი თავისის თოვლიან მწვერვალებით და კლდე-ყინულებით, მარჯვნივ გორის ქედი, შემდეგ საავალოს საბალახო ადგილები და რიონის ხეობაში რამდენიმე ჭიქურ მიმავალი სერი, ზოგი გრძელი და ზოგი მოკლე. ვიბრუნე პირი დასავლეთისკენ. ჩემ თვალწინ მოჩანდა ცხენისწყლის სათაურის, მდ. ხედურის, ზესხურის და ცოტაოდენ ყორულდის ხეობები. ჩრდილოეთით კიდევ კავკასიის მთა-გრეხილი, სამხრეთით ჩვენს ქვევით მთა-გორაზე გაბმული და გრძლად გაჭიმული ქედი, რომელიც შუა უძევს რაჭა-ლეჩხუმსა და სადადიანო სვანეთს. ამ ქედს სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა სახელი ჰქვიათ, მაგალითად, მთა-გორის მახლობლად „ჩირხელი“, მერე „ხუდანი“, „შუშარი“, მთა „ჭითხარო“<sup>1</sup> და „სტარნიში“. ამ უკანასკნელზე გზა გადის სადადიანო სვანეთიდან ლეჩხუმს, მდ. ლაჩანურის ხეობაზე. რაჭას მიმავალი გზა კი „ჭითხაროზე“ გადადის. ჭითხაროს მწვერვალიდან ერთი გზა მიდის სოფ. სადმელს — ქვემო-რაჭას და მეორე სოფ. ლიხეთზე — ზემო-რაჭას.

ერთი საათი დრო გავიდოდა, რაც მე ამ ბუნების სურათით ვსტკებობდი. ამ დროის განმავლობაში მზემ კარგად დააცხუნა და დედა-მიწა ისე გაათბო, რომ ორთქლი და ნისლი ავარდა და ჩაეფინა მდ. ცხენისწყლისა და რიონის ზედა-ხეობას.

აი კიდევ უცხო სანახაობა, რომელიც მარტო ამ ადგილებში შეგხვდებათ! თავს ზეით ვუცქერდით მოწმენდილს ცას, დედა-მიწაზე კი ორთქლის ზღვას, საიდანაც მარტო მაღალის მთების მწვერვალებს ამოეყოთ თავი, როგორც კუნძულებს ნამდვილს ზღვაში. ერთის სიტყვით. ამ დროს ჩვენ ვიყავით ცისა და ღრუბლებს შუა „და-

<sup>1</sup> მთა ჭითხაროს 10,000 ფ სიმაღლე აქვს (Н. Срединский. Очерк растит. Рионского бассейна).

კიდულ“. ჩემი ამხანაგები ჩქარობდნენ, მარა მე მაინც ფეხს აო ვი-  
ცვლიდი.

ამ დროს ჩვენს მარცხნივ (ჩრდილოეთისკენ) მთა-გორაზე ჯერ-ჯერობა  
ლებაზე საქონლის ჯოგი გამოჩნდა. გიერგი მაშინვე მიჰხვდა, რომ ეს  
ჯოგი ჩრდილოეთ-კავკასიის ყარაჩის, ბახსანის (ურუსბიევის), ჩეგე-  
მის საზოგადოებათაგან იყო გამოყვანილი, ლებლებისა და ჭიორ-  
ლებისა. ეს სწორედ ასეც აღმოჩნდა. მთა-გორაზე, რომლის მწვერ-  
ვალზედაც ახლა ჩვენ ვიდექით, სამი გზა იყრის თავს: ჩრდილოეთის  
კავკასიიდან ან ოსეთიდან, სვანეთიდან და რაჭიდან, ან ლებიდან:  
ამის დაგვარად ეს გზები იწოდებიან საოსეთო, სასვანო და სალემო  
გზებად.

ჯოგის მომყვანთ რომ დაგვინახეს, შეაჩერეს ჯოგი და ღურბინ-  
დით ყურება დაგვიწყეს. ჩვენ ისევ იმ ადგილას ვიდექით. ღურბინ-  
დინმა ჯოგი მიატოვა და ჩვენკენ გამოსწია. ეს ღურბინდინი კაცი  
აღმოჩნდა სოფ. ჭიორიდან — ზემო-რაჭველი რეხვიაშვილი. ჩვენ  
დანახვაზე რაჭველი ცოტა შეფიქრიანებულყო. იყო დრო, როდეს-  
საც სვანები ამ მთაზე ჯოგებს ართმევდნენ და კაცებს იჭერდნენ —  
რაჭველებს. ეტყობა ამისი შიში ჯერ კიდევ სრულიად არ გამქრალა  
რაჭველების გულში. რეხვიაშვილი ნელ-ნელა მოგვიახლოვდა. რო-  
ცა ჩვენი ვინაობა გაიგო, ანიშნა მეჯოგეებს და ჯოგი წამოარეკინა.  
ჯოგში აღმოჩნდა 103 ხარი და ძროხა და 200 თხა-ცხვარი. ჯოგი მოჰ-  
ყავდა ჭიორელს ყარაჩიდან, რომელიც ყუბანის მხარეშია, იალბუზის  
ახლოს. რეხვიაშვილის სიტყვით, დღეს მეცამეტე დღე იყო, რაც ჯო-  
გი ყარაჩიდან დაუძრავთ. აქედამ ლებამდე ერთი დღე სიარული კი-  
დევ მოუნდება, მაშ ყარაჩიდან ლებამდე ჯოგისთვის 14 დღის სავა-  
ლი გზა ყოფილა.

ჯოგები ხშირად მიჰყავთ ზემო-რაჭველებს ჩრდილოეთ კავკასი-  
იდან. რაჭველები ფარჩეულობის დუქნებს აღებენ ყაბარდოს და ბა-  
თალპაშინსკის სხვა-და-სხვა სოფლებში. მაგალითად, ჩეგემს, ბახსნს,  
ყარაჩას და სხვაგან. ფარჩეულობას რაჭველები შემოდგომობით ში-  
ნაურ საქონელზე ასაღებენ, ზამთარს იქ ინახავენ და ზაფხულობით  
მოჰყავთ გასასყიდად იმერეთში, სხვა-და-სხვა სოფლებ-ქალაქების  
ბაზრებზე. მაგალითად, ლეჩხუმს, სექტემბრის თთვის ბაზრობაზე. სა-  
ქონელს ჰყიდნიან ფულად. ამ ფულით კიდევ ფარჩეულობას ყიდუ-  
ლობენ და ისევ მიაქვთ ოსეთში საქონელზე გასაცვლელად. ამნაი-  
რად სწარმოებს აღებმიცემობა ზემო-რაჭველებსა და ჩრდილოეთ  
კავკასიის მთიულებს შორის. ჩვენ თავთ გვინახავს ჩეგემს, ბახსნს  
და ყარაჩას რაჭველები თავისის დუქნებით.

კარგა ხანი ველაპარაკეთ რეზვიანს და მერე არჩვის ხორცი, ერთი პური და თამბაქო მივეცი; იმანაც სამაგიეროდ გვითავაზა ოსური ცხვრის დუმა და ამნაირად ერთი მეორეს ტკბილად დაეშორდით; რეზვიანული თავის ჯოგებით ამაღამ მთაში აპერეზვიანდარჩომას, ჩვენ კი ლებს უნდა მიგვეშურა.

ჩვენი გზა ახლა დაღმართი იყო, სახელდობრ, მთა-გორის აღმოსავლეთის გვერდი, და ჩავიყვანდა მდ. რიონის სათავესთან. ხოლო მანამ დაღმართს დავეშვებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველი ისევ შევაჩეროთ მთა-გორის მწვერვალზე და ორიოდ ისტორიული ამბავი მოვუთხროთ მდ. ყორულდის, ზესხურის და ხიდურის ხეობებში უწინდელ მცხოვრებლებზე, მე-XV საუკუნის დროიდან. ჩვენ ხელთა გვაქვს უთუნალ „ცისკრის“ ოქტომბრის წიგნი 1868 წლისა. რომელშიაც ამ ხეობებისა და აქ მცხოვრებთა შესახებ დაბეჭდილია წერილი:

„მასალები ქართულის ისტორიისა“

„სისხლი ჯაფარის-ძის სვანთაგან მიცემული.

სასისხლე საბუთისა, მიცემულისა დროსა მეფის ალექსანდრეს და დადიანისა მამისასა სვანთაგან რაჭუჭლთ ჯაფარიძეთადმი, რომელსაცა სიძველისა გამო დასაწყისში ნაწილი ქალაღდისა აღარა აქვს.“

„საბუთის“ სიტყვით, სვანებს მოუკლავთ რაჭველი, ვინმე ჯაფარიძე. მაშინდელს მეფეს ალექსანდრეს ეს სწყენია და ეცერს აქეთ სვანეთი (ახლანდელი თავისუფალი სვანეთი) დაუმწყევდევია, ე. ი. გზა არსად მიუცია შვიდს (ქვემოთ 12 წელიწადია ნათქვამი) წელიწადს. დარჩენილნი — როგორც ამბობს საბუთი — ამ ხნის განმავლობაში უხედავით და უმარილოთ სვანები შეჰხვეწნიან „რუჩეგინსა და დაღმშქლიანსა“ (ეცერში), მამია დადიანთან გვიტყუამდგომლე, რომ მეფე ალექსანდრესთან შეგვარიგოსო. მამია დადიანს რუჩეგინი და დაღმშქელიანი მიუღია, მისულა მეფე ალექსანდრესთან და უთხოვნია, რომ სვანებს შეჰრიგებოდა. მეფე ალექსანდრე შეიწყნარებს თურმე დადიანის თხოვნას და შეურიგდება სვანებს იმ პირობით კი, რომ ჯაფარიძეს სისხლი მისცენ. სვანები ამაზე დასთანხმდებიან.

მიდიან გეგუთს მთელის სვანეთის „ჩენილები“. აქ მსაჯულად თვით მეფე და შემდეგნი კაცები სხდებიან: დადიანი მამია, ფალა-

ვანდიშვილი ზვიადი, ჭილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირე-  
ჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი (ამ საბუთის დამწერი)  
და უჩენენ ჯაფარიძეს სისხლში ადგილებს თავიანთ მცხოვრებლებს.  
საყდარ-მონასტრით, სოფელ-ციხით შემდეგს სამზღვრებში<sup>1</sup> დასა-  
ლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიულეთის თემი.  
მათით სამართლიანითა, მითითა, ბართა, საყდრებითა, წყლითა და წის-  
ქვილითა, სათევზითა, სანადიროთა, ველითა, სათიბითა, მისითა მიმ-  
დგომითა მართლით სამართლიანითა, საძებრითა და უძებრითა მი-  
სით ყოვლითა გვექონდეს მკვიდრად და სამამულოდ თქუშნ ჯაფარი-  
ძესა სარგოსს, აბესალამს და ვამეხს“. ამას გარე სვანებს მიუციათ  
კიდევ ჯაფარიძის სისხლში „სამასი სამანქანური და ზედალური აბ-  
ჯარი, სამასი ვერცხლის ჭურჭელი... სამასი დიდი და სუბუქი ქვაბი.  
სამასი ჯორი, სამასი კარგი ულაყი“, და სხვანი, და სხვანი.

ასე რომ, ვარაუდით რომ ვსთქვათ, ნაჩვენებ სამზღვრებში ად-  
გილის სივრცე იქნება სივრცით 100 და სივანით 50 ვერსი, ოთხასის  
კომლის კაცით, რომელთაგან 129 მეკომური დასახლებული ყოფი-  
ლა მდ. ცხენისწყლის სათავეში, სახელდობრ, ზესხურის და ხიდუ-  
რის ხეობებში და 271 კომლი მდ. რიონის სათავის ახლო ახლანდელს  
ღებ-ჭიორისა და სხვა სოფლებში. მდ. ზესხურის ხეობაში ნაჩვენე-  
ბია ერთი სოფელი „ზურია“, რომელშიაც, საბუთის ჩვენებით,  
9 კომლი ყოფილა.

„ზურის“ სახელით ადგილი დღეს აღარ არის ზესხურის ხეობა-  
ში, როგორც მკითხველსაც ეცოდინება, არის ადგილი „ლაზრაშ“-  
ერთის ძველის ნაეკლესიარით და მის ახლო დასავლეთით „ლექვე-  
რარი“ 18 დანგრეულის სახლით. სწორედ ეს ლაზრაში და ლექვე-  
რარი აქვს სახეში საბუთს და ამ ადგილს ან ერქვა იმ დროს „ზუ-  
რია“ ანა და შეცდომით არის მოყვანილი. ამ აზრს კიდევ ის ამტკი-  
ცებს, რომ ძველადაც და ახლაც აქ მდგარა ორი ეკლესია ორივე  
წმ. გიორგის სახელობაზე; ორივეს ნანგრევები დღემდის ჩანს აქ  
მდ. ხედურის (სვანურად — ხიდარ<sup>1</sup>) ხეობაში საბუთი სოფლებს არ  
ასახელებს; იხსენიებს მხოლოდ, რომ აქ მთელს ხეობაში 120 მეკო-  
მური იყოვო.

ჯაფარიძისთვის მიცემულ ადგილ სოფლებში მოხსენებულია ავ-  
რეთვე „ლაშხეთს სოფელი და ციხე“ (უსახელოდ). ხიდურის ხეობაზე  
გაბმულია სადადიანო სვანეთის პირველი საზოგადოება ლაშხეთი  
(ლაშხ). საბუთის სოფელი და ციხე ჩემ მიერ შეკრებილის ცნობე-  
ბით, უნდა ყოფილიყოს ლაშხეთის თავში, მდ. ლაშხურის მარცხენა

<sup>1</sup> „ხიდ“ ვნიშნავს მისატანს, გალასახადს, ავტ.

ნაბირას, სოფ. მახაშს ზემოთ. აქ ღღესაც დგას მთლად მართლად კლდეზე კოშკი (ციხე), სიძველისა გამო გარეთ გაშვებული და სახურავ ჩამონგრეული. ეს კოშკი აქ ციხე საყარაულოსავით ადგილს სვანები ეძახიან ნაქლაქვ (ნაქალაქევი). ლაშხეთში რომ ამ კოშკის დასავლეთით და აღმოსავლეთით ძველად სოფელი ყოფილა გაშენებულიო.

\*

\* \*

მდინარე ხიდურის ხეობაში კარგი გზა არის საქონლისათვის. ამ ხეობით მოჰყავთ და ალბათ ძველად უფრო ბევრი მოჰყავდათ საქონელი ოსეთიდან — მალყარ-დიგორიდან და მიჰყავდათ ლეჩხუმს. შეიძლება ხსენებული სოფელი და ციხე საბაჟოს მაგვარი რამ იყო და, ეტყობა, იმიტომაც დარჩენილა სახელი „ნაქლაქვ“. ეს ერთი „ნაქლაქევი“ ერთ ლაშხეთის თავშია და მეორე „ნაქლაქევი“ (ნაქალაქევი) ლაშხეთისავე ბოლოს, სადაც ახლა „ლიჯის“ ეძახიან და მეგრების თავადს ეკუთვნის.

ჩვენ დარწმუნებით არაფერი ვიცით ზესხურისა და ხიდურის მცხოვრებთ შემდეგს ბედზე, ე. ი. XV საუკუნის შემდეგ. ზესხურელებზე „ლეგენდა“ მინც დარჩენილა, რომელიც მოყვანილი გვაქვს ზემოთ, ხიდურელებზე კი არც ლეგენდაა დარჩენილი ხალხში. ზემოთ ვსთქვით, რომ ზესხურიდან ლაშხეთს გადმოსახლებულან „დოღვანი“ და ჯანხოთელი; ამბობენ, რომ ლაშხეთში მცხოვრებნი 4 მეკომური გვარად გაგნიძეები ხიდურიდან გადმოსახლებულანო; აგრეთვე რაჭველი ნანუკაშვილები და გოგრიჭიანებიც ხიდურიდან გადასულანო. ეს ამბავი გვაფიქრებს, რომ ზესხურისა და ხიდურის მცხოვრებნი, შემდეგ იმისა, რაც იგინი ყმად ჩაუვარდნენ რაჭველ ჯაფარიძეს, — გადასახლ-გადმოსახლდნენ სხვა-და-სხვა ადგილას, რომ თავიდან აეშორებინათ ჯაფარიძის ბატონობა.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია საბუთის მიხედვით შემოვავლოთ ხაზი იმ ადგილებს, რომელნიც სვანებს მიუციათ ჯაფარიძისათვის. სვანეთის მხრივ ეს ხაზი დაიწყება ლაშხეთის თავიდან, მოჰყვება ჩრდილოეთისკენ მდ. ლაშხურის იმ ადგილამდე, სადაც მდ. ზესხური და მდ. ყორულდი ერთმანერთს უერთდებიან. აქედამ საზღვარი აჰყვება ქედს დიდ ქედთან შეერთებამდე; ჩრდილოეთით სამზღვარი გაივლის დიდ ქედის მწვერვალებზე და მივა სოფ. ღებსა და გლოლის სამზღვრამდე. სამხრეთის მხრივ სამზღვარი დაიწყება იქვე ლაშხეთის თავში, ავა პირდაპირ მთა ჭითხარას მწვერვალამდე, აქედამ ივლის ქედზე ჩრდილო აღმოსავლეთით, რამდენიმე ვერსის სიშორეზე სამხ-

რეთით, გაუცლის მთა-გორას და ისევე შეუერთდება ლების და გლოლის შუა სამზღვარს აღმოსავლეთით.

სწორედ რომ სამეფო სისხლია! ჩვენ როგორც <sup>ქრისტიანული</sup> ~~ქრისტიანული~~ სხვა ადგილებიც საბუთისა გაზვიადებული გეგონია. მაგალითად, სვანების „სარჩელი“ მეფის წინაშე, სადაც ამდენს გაჭირებას და შეწუხებას ანგარიშობენ თავის თავზე. შესანიშნავია სწორედ ეს „სარჩელი“; იგი ნათლად გვაჩვენებს, რომ 300—400 წლის წინათ სვანების „სარჩელსა“ და ახლანდელს შუა თითქმის ცვლილება არაფერი მომხდარა. სვანებს დღესაც ჩვეულებად აქვსთ, რაც უნდა დიდი დამნაშავე იყვნენ, თავი დაჩაგრულად გაჩვენონ, ამისათვის ივინი არა ზოგვენ არც მკვერმეტყველებას და არც სხვა რაიმე ხერხს. ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ დამნაშავე სვანი პირველი მირბის საჩივრულად და ისე იკატუნებს თავს. ისე დაჩაგრულად გეჩვენებათ, რომ პირველის შეხედვით სრულიად მართალი და უმანკო გეგონებათ და ძრიელ თანაუგრძნობთ კიდევცა, ხოლო, როდესაც მისი მოწინააღმდეგეც მოვა, საჩივრის გარემოებას კარგად შეიტყობთ, მაშინ დარწმუნდებით, რომ ეს შენი უმანკო და უდანაშაულო სვანი ქვესკნელამდი მტყუანია. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავის სვანეთის აღწერაში<sup>1</sup> 1867 წ. მოგზაურობის დროს იხსენიებს: „როდესაც სოფ. ფარს მივედი და ხალხს ვამხილე, რომ გულგრილად ეკიდებით სარწმუნოებას და ეკკლესიაში არ დასდინხართ, ხალხმა პასუხად ეს მითხრა: „ჩვენ უმეცარნი ვართ, ამიტომ არ დავიარებით ეკკლესიაში და სხვა-და-სხვა ქრისტიანულს წესებას არ ვასრულებთო. საჭიროა მართებლობამ „ძალა“ (!) იხმაროს, ძალა დაგვატანოს, რომ კარგი ქრისტიანები შევიქმნეთო“...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი თავის გასამართლებლად ამას ეტყოდა ყოვლად სამღვდელოს, ხოლო ისიც კი მტკიცედა გვრწამს, რომ ხალხი ამას ეუბნებოდა არა წრფელის გულით. 1875 წელს, როდესაც თავისუფალი სვანეთი აჯანყდა, მაშინდელ ქუთაისის გუბერნატორმა ბ-ნ მალაფეევმა ხალხის ყრილობას სიტყვიო მიჰმართა და უსაყვედურებდა ხალხს, რომ სრულიად უმიზეზოდ მთავრობას წინააღმდეგობას უწევთო. ერთმა სვანმა ამაზედ აი რა მიუგო: „გველსაც კი უყვარს თავის წიწილით; თუ ჩვენში ქალიშვილებს ეხოცავდით, ალბათ მიზეზი გვქონდა, თორემ შვილები ჩვენც ძლიერ გვიყვარს; მიზეზი ჩვენი სიღარიბეაო და რათ გიკვოროთ, რომ ჩვენ, როდესაც ხმა გავარდა, ბეგარას გვიმატებს მთავრობაო, აჯანყდით“... ასე იმართლა სვანმა თავი, თუმცა იმან კარგად იცოდა.

<sup>1</sup> „Обозрение Сванетских приходов“. Православное обозрение, 1867 г.

რომ ქალიშვილებს სვანეთში სიღარიბის გამო არასოდეს არ ჰხოდნენ. სვანი ოღონდ არ გამტყუნდეს, სვანმა ოღონდ გაჭირების დროს პასუხი მოგცეთ, თავი იმართლოს და ეს გამართლება, გამტყუნებულნი სიტყვით იქნება თუ საქმით, იმისთვის სულ ერთია.

ჩვენ განგებ მოგვყავს ზემოხსენებული მაგალითები სვანების სიტყვა-პასუხისა იმის დასამტკიცებლად, რომ მეტად საეჭვო და გაზვიადებულია საბუთში გამოხატული სვანების გაჭირება ჯაფარიძის მტრობის გამო და მიცემული სისხლის საზღაური.

საბუთში, სხვათა შორის, სამი რამ არის კიდევ ყურადღების ღირსი: ერთი ისა, რომ სვანებს XV საუკუნეში „ჩერობა“ ჰქონიათ გამართული ისე, როგორც ახლა სადადიანო სვანებსა აქვთ; მეორე, — რომ მაშინდელი სვანები მინავალან სამუშაოდ კახეთს, სამცხეს და გურიას და მესამე კიდევ, — რომ დადიშქელიანების გვარი იმ დროს მათს მოადგილე რუჩეგიანზე სუსტი ყოფილა, რადგანაც სვანების შუაჯაცები პირველად რუჩეგიანს ეხვეწებიან და მერმე დადიშქელიანსა. ამ საბუთზე ადრე დადიშქელიანები წერილობით ქართულს მატყუარებში არ იხსენებია.

ვის და სად ჩაუვარდა პირველად ხელში დედანი ამა საბუთისა, ნამდვილად არაფერი ვიცი; ვფიქრობთ კი, რომ განსვენებულს ბროსსეს უნდა ეშოვნა იგი სვანეთში მოგზაურობის დროს, რამდენადაც გვახსოვს 1848 წელში. მართალია, ბროსე თავისუფალ სვანეთში არ გადმოსულა, ხოლო ყოფილა ლაშხეთის საზოგადოებაში; რომელიც ახლოა თავისუფალ სვანეთზე. იმ დროის მომსწრე კაცებმა მითხრეს, რომ უშკულში ბროსსეს მყოფობის დროს ლაშხეთში ერთის უშკულის ეკლესიიდან ლაშხეთელს მღვდლებს მამა-შვილს დავით და სიმონ გაბიანებს რალაც ქალაღებში წაეღოთ; შეიძლება ამ ქალაღებში ერია ეს საბუთიც. ჩვენ ესეც ვიცი, ბ. ნ. დიმ. ბაქრაძისაგან, რომ ბროსემ ეს საბუთი ფრანგულად დაბეჭდა „Bulletin scientifique“-ში<sup>1</sup>. კარგია აგრეთვე ვიცოდეთ, სად ინახება ამჟამად დედანი ამა საბუთისა? ეს მით უფრო საჭიროა, რომ ცისკრის რედაქციას ძლიერ ბევრის კორრექტურულის შეტომებით დაუბეჭდია იგი; იქ არა თუ ასოებია ერთმანერთში არეული, მაგალ., სანი და ხანი, ვინი და კანი და სხვა. არამედ თვით სიტყვებიც ისე გადასხვაფერებულია, რომ აზრი იკარგება. საბუთში ნახმარია გაჩერებული ნიშნები. დედანი რომ მოინახებოდეს, ამ შეცდომებს გაასწორებს კაცი და ეს საჭიროა აზრის გასაგებად.

<sup>1</sup> t. IV, № 7

მიუზბრუნდეთ ისევ მგზავრობას. მთა-გორის მწვერვალზე, მეტი თუ არა, ორი საათი მაინც დავრჩებოდით, ამ ხნის განმავლობაში რის ნახვაც გვინდოდა — ვნახეთ. ბოლოს ისევ ავდარბა დასძლი დარსა: წვიმამ დაუშო. დილას წასული გეგი ჯერ კიდევ არსად სიანდა. ჩვენი გზა პირველად სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიჰყვებოდა. შემდეგ ეშვებოდა დაღმართს და მიდიოდა მთის ძირამდინ; რომელსაც ლებელნი „გორის ბოლოს“ ეძახიან. გზაზე წვრილი და ცივი წვიმა ძვლამდინ გვატანდა და მოსვენებას არ გვაძლევდა; ისე ძრიელ ციოდა, რომ ცხენივით ჩამოვხტი და ქვეითი სიარული ვარჩიე. გზაზე ჯგუფ-ჯგუფად გვხვდებოდნენ ლებელუბის საქონელი, რომელიც აქ დაილალობდა მშვენიერს და ბალახით სავსე საბალახოებში. რამდენიმე ლებელი შეგვხვდა, რომელნიც სოფლივით მოსულიყვნენ მთიდან სამუშაო ხარების წასაყვანად.

როგორც იყო ჩავიარეთ გორის დაღმართი და საღამო იყო, როდესაც გორის ძირში მივედით. გორის ბოლოდამ 2—3 ვერსის მანძილზე გამოდის მარჯვენა ტოტი მდ. რიონისა, რომელსაც აღმოსავლეთით აჰყუდებია „ფარის“ (ისტორიულის „ფაზის“), ან სვანების „ფაცის“ ქედი. გორის ბოლოს ლებელუბს რამდენიმე ხის ჯანგვალი უდგიათ. როდესაც ოსეთიდან ჯოგებს მოჰრეკენ, აქ აჩერებენ დასასვენებლად. აქ შეჰხვდებით აგრეთვე ქერით დათესილს ყანებს. ჩვენ აქ რამდენსამე ლებელს შევხვდით, რომელთაც ოსეთიდან ჯოგები მოუდიოდათ. მოსვლისთანავე ერთს ჯანგვალში შევედით თავშესაფარად და სველ ტანისამოსის გასაშრობად ცეცხლზე. ცეცხლს ირგვლივ ლებელუბი უხსდნენ. თავაზიანობა არავინ გავგიწია, საჯდომი ალაგი არავინ დაგვითმო. ამაზე ცოტა არ იყოს ჩემმა ამხანაგებმა ცხვირები ააბზიკეს „უზრდელები არიან ლებელუბი, მათს ადგილში მივედით და საჯდომს ალაგსაც არ გვითმობენო“ — წაიბუტბუტა ერთმა ჩემმა ამხანაგმა. როგორც იყო მივსწივ მოვსწიეთ ლებელუბი და ყველამ საკუთარი ადგილი დავიჭირეთ გარდა გიერგისა, რომელიც ჯერ კიდევ გარეთ იყო და ძროხებს უვლიდა. შემოვიდა გიერგიც. გიერგი ყველამ იცნა, მოიკითხეს ერთმანერთი, თამბაქო უთავაზეს და გააბეს ზემო-რაჭული გაბრტყელებული ლაპარაკი.

აქედამ სოფ. ლებამდი 18 ვერსია. ამაღამვე ლებში წასვლაზე ჩემმა ამხანაგებმა ცივი უარი მითხრეს; ერთობ დაღალულები იყვნენ ყველანი. არც გეგი იყო ჯერ მოსული. მოვიდა გეგიც და თან მოგვიტანა ისევ არჩვი. დაღალულს გულზე ეს ძრიელ გვიამა. არჩვი იმ წამსვე იქვე ლელეში წაათრიეს, გაატყავეს, გარეცხეს და ჩადგეს ქვამში. არჩვის დანახვაზე ლებელნიც მორბილდნენ, გავგითავაზიანდნენ. მაგრამ ახლა ჩვენებმა დაუწყეს ბღვერა. მე მაინც კიდევ იმედს არ

ვკარგავდი, რომ ამალამ ღებში წავალთ-მეთქი. ვიკითხე, — წამომ, ყველა ვინმე ღებში თუ არა-მეთქი? ერთმა განაცხადა სურვილი. ჩვენ ორის წილად არჩვის ცალი გვერდი ბეჭიანად მოგვცეს, **გამოვეყნო** თხოვეთ ამხანაგებს და გავსწიეთ.

ჩვენი გზა მიდიოდა მდ. რიონის მარჯვენა ნაპირს, ვიწრო ხეობაში. ადგილ-ადგილ ღების ყანებ-სათიბები გვხვდებოდა. ხეობა დაფარულია ტყით. გზად გავიარეთ „ბრილის ჭალა“ და XV საუკუნეში 16 მეკომურით დასახლებული „თევარეშო“ (ახლანდელი თევრეშო). აქ დღეს მარტო საზამთროდ ინახავენ ღებელები საქონელს, რადგან თივის მომზადება აქ უფრო ხელს აძლევს ხალხს, ვიდრე სოფელში. როცა სოფ. ღებს მივუახლოვდით, რიონის მარცხენა ნაპირას გავედით. ხიდი ჩანგრეული იყო. ცხენი წყალში გავუშვით, ჩვენ კი ხიდზე გავედით. მივედით იქაურ მღვდლის სახლში მ. მიხ. გავაშელა-შვილთან. ჩვენ დიდის ხნის ნაცნობები ვიყავით, ერთად და ერთს დროს ვკბილავდით ბერძნულ-ლათინურ გრამატიკების სიბრძნეს, რომელმაც მამა მიხ. გული აუცრუა და სწავლაზე ხელი ააღებინა.

მდ. რიონი იქ, სადაც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან სოფ. ღებს უახლოვდება, ცოტაოდნად გზას იცვლის, — ჯერ სამხრეთისკენ უხვევს და მერე აღმოსავლეთისაკენ მიდის. დასავლეთით და სამხრეთით რიონს სოფ. ღებთან მაღალი კლდე გადაჰლობია და ძალაუნებურად სწორე გზა შეუცვლევინებია. ამ კლდის თავზე, რომელიც ამასთანავე კალთაა დიდის ქედისა, გვარიანს მანძილზე გაშლილა დავაება და მასზე დასახლებულან ღებელები, გარდა რამდენისამე მოსახლისა, რომელნიც გაშენებულან რიონის მარჯვენა ნაპირას. სოფელს შუაში დაუტოვებია ტრიალი მინდორი, ესრედ-წოდებულა ჯვარის, ან „ჯარის“ ყანა. ჯვარის ყანის თავში გამოდის მოდილო და მშვენიერი წყარო, რომელსაც სოფელი სასმელად ხმარობს. ამ წყაროს სამი სპილენძის მილი აქვს; წყარო, როგორც ეტყობა, ვერ ჰხვდება სოფელს და ამიტომ აქ მუდამ ქალების და ბავშვების გროვა დგას თავიანთ წყლის ჭურჭლებით და ყველას წყალი რიგ-რიგად ეძლევა. სოფლის თავში ჩრდილოეთის მხრით ღებელების სახნავი ადგილებია გაშლილი; სახნავი მიწა ძლიერ ცოტაა ისე, რომ, დამარწმუნეს, ვითომ, ღებში ისეთი ოჯახი ძნელად გამოერევა, რომელსაც წლის სარჩო მოუვიდეს თავის ყანებიდამ. სიმინდს, პურს და ღვინოს ღებს აწვდენს ქვემო-რაჭა. სოფ. ღებში 154 მეკომური ცხოვრობს. შორიდანაც და შიგნითაც ღები პირველს შეხედვაზედვე სვანურს სოფელს მოგაგონებთ; იგივე ორ და აქა-იქ სამ სართულიანი ქვის სახლები, ერთი მეორეზე დაახლოებული, რამდენიმე კოშკი, როგორც საზოგადოდ მთელს სვანეთშია; ასე რომ ყველა ეს და სხვაც!

მრავალი, ვიმეორებ — ლებს სვანურ სოფლის ფერსა ხდებს. სთი-  
ბი ადგილები ლებს ახლო არა აქვს. თივა მოაქვთ მთიდან ერთი ორის  
დღის სავალზე. სასახლკარე და საწვავი ხე-ტყე ბევრად უფრო და ახ-  
ლოსაც სოფელზე.

\*  
\* \* \*

სოფ. ლები ვიწრო ხეობაშია გამომწყვდეული: ჩრდილოეთით  
მას უძევს კავკასიის დიდი ქედი, სამხრეთით მთა-გორიდან გამომ-  
ვალი ქედი. სვანები სოფ. ლებს ეძახიან „კეზა“-ს, რომლის ეტიმოლო-  
გიური მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია. თვითონ ლებლები კი  
თავის სოფელს „ლებს“ ეძახიან. „ლება“ სვანური სიტყვაა და ჰნიშ-  
ნავს „როფს“. სოფლების ასეთს სახელებს დღესაც შეჰხვდებით ორ-  
თავე სვანეთში; მაგალითად, სადადიანო სვანეთში ლაშხეთის საზო-  
გადოებაში ერთი პატარა სოფელი მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნა-  
პირზე იწოდება „ღვებ“-ად; თავისუფალ სვანეთში მულახის სა-  
ზოგადოებაში არის სოფელი „ღვებრა“ (როფის მომსავსო); საბა-  
ტონო სვანეთს ეცერის საზოგადოებაში „ღვებალდ“ (პატარა როფი).  
ერთის სიტყვით, სადაც სოფელი ვიწრო და ორის მხრით შემოზღუ-  
დულს ხევში მოჰყოლია, იქ სვანებს „ლები“, ან, უფრო სწორედ,  
„ღვებ“-ი დაურქმევიათ. სახელწოდება „ლები“. სხვათა შორის,  
საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ახლანდელ ლებლების წინაპარ-  
ნი სვანები ყოფილან და სვანური ენა ჰქონიათ სალაპარაკო ენად.  
ლები ერთად-ერთი მაგალითი როდია სოფელთა სვანურად სახელ-  
წოდებისა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში; ლებზე სამ ვერსზე და-  
შორებული სოფ. „ჭიორა“ (სვანურად — ჭივერ—გაჭირვებული, ლა-  
რიბი), სოფ. „გოლოლა“ (სვანურად გოლა — დაფერდება), სოფ.  
„უწერა“, „ურავი“, „ლიხეთი“ და სხვა სახელები სვანური გვგონია.  
რაჭას რომ თავი დავანებოთ და ლეჩხუმის მაზრაში გადავიდეთ,  
იქაც შევხვდებით სოფლების სვანურ სახელებს. ჩვენის აზრით, თვით  
მაზრის სახელწოდება „ლეჩხუმი“-ც სვანური სიტყვაა; სვანები ამ-  
ბობენ „ლაჩხუმი“, რაიც ქართულად ნიშნავს „უბალახო ადგილს“. სვა-  
ნეთთან შედარებით, ეს სახელი მართლა რომ უსაფუძვლო არ არის.  
სოფლები ლეჩხუმის მაზრაში: „ცაგერი“ (ცაგერ—ეკლიანი ადგილი),  
„ლუხვანო“ (სვანური უხვან — მთაგორიანი ადგილი მრისხანე სა-  
ხისა), „ლაცორია“ (ლაცვრია — მისატოვებელი ადგილი), „სურ-  
მუში“ (ერთობ თოვლიანი ადგილი), „მახაში“ და სხვა, ჩვენის აზრით,  
სვანური სახელებია.

ზემოთ მოყვანილის სოფლების სახელები რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სვანეთის ძველი სამზღვრები ბევრად შორს ყოფილა, ვიდრე დღეს ვხედავთ. ამასვე ვხედავთ სვანეთის დასავლეთ და ჩრდილოეთის მხარესაც. სვანეთის დასავლეთ სოფელ ლახამულიდამ სამეგრელოს სამზღვრამდე 60—70 ვერსი სიგრძე იქნება მდ. ენგურის ჩაყოლებაზე. როგორც ეს ხეობა, სადაც ძველად სოფლები ყოფილა გაშენებული, ისე მის აქეთ-იქით ჩაყოლებული მთა-ტყე საბალახო ძველადაც და ახლაც სვანეთისა ყოფილა.

აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში ერთი ხეობაა, ესრედ-წოდებული „დალ“-ის<sup>1</sup> ხეობა, რომელიც ბუნებას ყოველის გვარის სიუხვით აუვსია. აფხაზების გარდასახლებამდე ეს ხეობა მარღანიების, თუ მარშანიების საკუთრება ყოფილა; მათ შემდეგ ამ ხეობაში დასახლებულან ხან მეგრელები, ხან რუსები. 1878 წელს კი, რა წელსაც ჩვენ დალის ახლო მთებზე დავდიოდით, აქ ესახლა ერთი რუსის ოჯახი და ძალიან მდიდრადაც სცხოვრებდა. ჩუბუხევის საზოგადოებაში სოფ. ცალერს არის ერთი გვარეულობა — გვარმიანები. გვარმიანები დღესაც დარწმუნებით ამბობენ, რომ ჩვენი წინაპრები დალის ხეობითგან ყოფილან გადმოსახლებულნიო.

ჩრდილოეთის მხრივ, — როგორც მკითხველს მოეხსენება, — სვანეთს კავკასიის დიდი ქედი უძევს. ჩვენ ვიცით, რომ ამ ქედის ჩრდილოეთის კალთები, რომლის ახლო ადგილები დღეს ჩეგემის, ბახსანის (ურუსბიევის) და ყარაჩის საზოგადოებათ უჭირავთ, ჩვენს დრომდე სვანეთის კუთვნილებას შეადგენდა და დაბეგრული იყო სვანების მიერ. მაგალითად, ჩეგემის საზოგადოება ყოველ-წლევ იხდიდა 12 ვერძს მულახის საზოგადოების სასარგებლოდ, ბახსანი და ყარაჩა აძლევდა ბეგარას, ან საბალახოს საბატონო სვანებს, ან მათ ბატონებს. ქრისტიანობის ნაშთი, რომელსაც დღეს მოგზაურნი პოულობენ ჩეგემის, ბახსანის და ყარაჩის არე-მარეში, ამტკიცებენ, რომ აწინდელ მკვიდრთა წინედ აქ უცხოვრია ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელს ხალხს და, ჰფიქრობენ, რომ ეს ხალხი ოსები უნდა ყოფილიყვნენო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ოსები კი არა, სვანები უნდა ყოფილიყვნენ ამ ადგილებზე, რომელნიც გადასახლებულან სვანეთში მხოლოდ მაშინ, როდესაც ისლამის აღმსარებლებმა

<sup>1</sup> „დალ“ სვანურად ჯერ ერთი ნიშნავს კლდეებში მცხოვრებ მთიურს ქალს და მეორე დედოფალს, თოჯანს (кучка). დალის ხეობა ამ მნიშვნელობით არის სახელწოდებული. ავტ.

ახლანდელ მცხოვრებლების წინაპართა ძალა დაატანეს და ან თავის ნებით გამოექცნენ თვით ისლამის აღსარებას.

ამნაირად თუ ჩვენ მიერ ნაჩვენები ძველი სამზღვრები სა მართალი გამოდგა, მაშინ სტრაბონის სიტყვები, რომ სვანეთს მის დროს 200,000 მეომარი გამოჰყავდაო, რამოდენადმე ჰკარგავს ზღაპრულს ხასიათსა.

მივუბრუნდეთ ისევ ღებს და ღებელებს. ბ-ნ რადდეს გამოკვლევით სოფ. ღები 4397 ფ. სიმაღლეზე სდევს, მესტია კი — თავისუფალ სვანეთში — 4626 ფ.-ზე. აქედამ სჩანს, რომ ღებს მესტიაზე უფრო დაბალი მდებარეობა აქვს და, მაშასადამე, პირველი უფრო ბარი ადგილიც უნდა იყოს. ხოლო საქმით კი სხვას ვხედავთ: მაგალითად, მესტიაში სხვათა შორის ხარობს ნიგვზის ხე, რომელსაც თბილი ჰავა უნდა და ღებში კი ეს ხე არსად მოიპოვება. კიდევ სხვა საბუთებიც არის, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ მესტია უფრო ბარი ადგილია, ვიდრე ღები, და უეჭველია, რომ ბ-ნი რადდე სცდება სიმაღლის გამოანგარიშებაში.

ღებში მოდის ქერი, ქუბა და დიკა. ამ დროს როდესაც ჩვენ აქ მივედით, მკა დაწყებული იყო და ყანები ოქროს ფერად ბიბინებდნენ. მეორე დღეს, 26-ს ივლისს, კვირა დღე იყო. მაზრის უფროსს ხალხი დაბარებული ჰყვანდა სოფლის მოხელებების ამოსარჩევად. ეს ამბავი ძრიელ მიამა, რადგან შემთხვევა მეძლეოდა, მენახა ყრილობა და მის ყოფა-ქცევა არჩევნების დროს. ხალხი დილიდამვე მოდიოდა და იყრიდა თავს ჯვარის ყანაში, სადაც სასოფ. „კანცელარიაც“ დგას. წირვის დროს ზოგი ხალხი ეკლესიაში წავიდა, რომელიც იმავე ჯვარის ყანაშია აშენებული. ეკლესია, მაცხოვრის სახელზეა, ძველია ახლად განახლებული.

უშუალოდ გავონილი მქონდა, რომ ძველის საყდრის კარებთან მებეგრე უშუალოების საჯდომი ქვები იყოვო. ეს ქვები ახალის ეკლესიისათვის მოუხმარებიათ. ეკლესია მაინცა-და-მაინც ბევრით არაფრით არის შესანიშნავი; კარგად მოზრდილია და წირვის დროს ბევრი ცარიელი ადგილი იყო დარჩენილი. ეტყობა, არც ღებელები ეტანებიან ეკლესიაში სიარულს. როცა წირვა გამოვიდა, ხალხმა „კანცელარიისკენ“ გასწია, წინ მიუძღოდათ მაზრის უფროსი. ხანგრძლივი ყაყანი ასტეხა მამასახლისის ამორჩევამ; ძველს სცვლიდნენ და ამის მაგიერად ირჩევდნენ მონადირე გიო ლომჯანიძეს, რომელიც პირველად ძლიერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს კი მაინც დაიყოლიეს. ყრილობაში 200 კაცი იქმნებოდა. როდესაც ყრილობას, მის ქცევას ვუყურებდი, ისე მეგონა, რომ სვანეთის რომელსამე ყრილობაზე ვარ მეთქი. შეიარაღებული, შავგვრემანნი ანუ, უკეთ რომ

ვსტქვათ, რკინის ფერნი ვაჟ-კაცნი, მაღლა ლაპარაკ-ყაყანი, უცვლელ წაქიდებ-მორიგება, — ყველა ამას რომ ვხედავდი, სვანების ყრილობის ნამდვილი სურათი წარმომიდგა თვალწინ.

არჩევანის შემდეგ, ნაცნობებს ვსთხოვე ქალების სიმღერა-ფერხული ეჩვენებინათ ჩემთვის. ბევრი ხვეწნა დაგვჭირდა, მინამ ქალებს დავიყოლიებდით. მე მსურდა, აქაურების და სვანების სიმღერის კილო და ფეხი შემედარებინა. ამასთანავე მინდოდა შემეტყუო: იციან ლებში რომელიმე სვანური სიმღერა, თუ არა? სვანებისა და ლებელელების საერთო სიმღერა მარტო ერთი გავიგონე აქ, სახელდობრ, „უშკულა ხევი დაიძრა“. ამ სიმღერაში ნაამბობია, სვანები როგორ შეესივნენ ზემო-რაჭას და შესაძლოა, ეს ამბავი ისტორიულადაც ნამდვილი იყოს. ისტორიიდან<sup>1</sup> ვიცი, რომ სვანები ორჯელ დასცემიან ქუთაისს და ერთხელ კიდევ გადუწვავთ: მე-XI საუკუნეში მეფე გიორგის დროს და XIV საუკუნეში ბაგრატ დიდის დროს. შესაძლებელია, რომ სვანებმა, ქუთაისში როდესაც მიდიოდნენ, რაჭაზე გაიარეს და ეს შემთხვევა არის გამონატული სიმღერაში, რომელიც ქვემოთ იქმნება მოყვანილი.

თვით ფეხის ხმარება ფერხულის დროს ცოტათი ჰგავს სვანურს, განსხვავება უფრო მეტია. აქ მარტო ერთნაირი ფეხის ხმარება სცოდნიათ ყოველს სიმღერის დროს, სვანეთში-კი მეტადრე უშკულის საზოგადოებაში, რომელიც განთქმულია მთელს სვანეთში თავისი სიმღერა-ფერხულით სხვა-და-სხვანაირი ფეხის ხმარება იციან; მაგალითად, სიმღერა „რაქანა“ სხვანაირ ფეხის ხმარებას თხოულობს, „თარაყულ“, „კვიცი მურგველ“, „დიდება თარინგლეზელარ“, „დიდება ლამარია უშველას“, „ყაისირა“ და სხვას სხვანაირი ფეხი უნდა.

მომყავს აქავე სიმღერა „უშკულა ხევი დაიძრა“ შეუცვლელად, როგორათაც შენახულა იგი ლებში და უშკულში, თუმცა უშკულის საზოგადოებაში, სადაც სვანურად ლაპარაკობენ, მრავალი შეცდომებია სიმღერაში ენის შესახებ.

უშკულა ხევი დაიძრა.  
ლებში

ოს იძრა ცა და ქვეყანა,

ეს ეცერი და უშკული<sup>2</sup>

<sup>1</sup> დიმ. ბაქრაძე, Записки Кав. геогр. общ. кн. VI, 1864 წ.

<sup>2</sup> ეცერი თავ. დადიშქელიანელის საყმოა; უშკული საზოგადოება თავისუფალ სვანეთში.

შეიქნა დიდი ჯარია.  
 მათ რომ აბჯარი ჩაიცივს,  
 არ მოშორდება თვალია.  
 რეხის<sup>1</sup> წყალზე რომ ქვე დასხდენ,  
 თითო ფარფალი<sup>2</sup> დალიეს,  
 მით იზიარეს თავიო.  
 ბრილი<sup>3</sup> ჰქალას რომ დავიდნენ,  
 მიწას დაასხეს ზარიო.  
 თევრეშო კარგი სოფელი,  
 გარ გავუაროთ მხარიო.  
 ზოლის<sup>4</sup> თავზე რომ მოვიდნენ,  
 მაცხოვარსა (ღების) კი მიართვეს  
 რქა თეთრი ქერა ხარიო.  
 დედა მლთისას (უშკულის) მიართვეს  
 რქა დახვეული ვერძია.  
 ჭიორა<sup>5</sup> კაც სოფელი  
 დავლა (?) ქალაქის კარია;  
 ზემოთა კარსა მიადგა  
 შავი სევანისა ჯარია,  
 ქვემოსა კარსა გარ გადგა  
 შავი სისხლისა ღვარია.  
 ხელო და ხმალო გასქერი,  
 გულო ნუ შეგეშინდება!  
 სისხლისა ნატალახევსა  
 ფეხი ნუ მოგვიცურდება.  
 ბოცორ<sup>6</sup> დასჭრეს და გაიქცა,  
 ვით რომ დედალი ცხვარია.  
 ვინც რომ მელექსეს იტყვიან,  
 გიორგი თათრუანიო<sup>7</sup>.

უ შ კ უ ლ შ ი

უშკულა ქევი დაიძრა.  
 ეცერსა კაცი გავგზავნე:  
 ეცერო, თქვენი ჭირიმე,  
 გვახმარე თქვენი ძალია.  
 შეიყრა სულა სევანეთი,

1 რეხის წყალი ღების დასავლეთით არის.

2 სასმელის ჭურჭელი, ჭიქა.

3 ღების ახლოა.

4 ღების ახლოა.

5 სოფ. ღებს ქვემოთაა.

6 კაცის სახელია.

7 გიორგი თათრუანს ზესხვას უცხოვრია.

შავი სვანეთის ჯარი.  
სულა სვანეთის თავია (წინამძღოლი),  
თავია დედა მლთისა (უშკულის),  
დედა მლთისა და უშკული.  
ნეშკას რომ გა-გავიარეთ,  
ვერ მოშორდები თვალია (სვანეთის-კარს);  
ბრილი ჭალაზე ქვე ჩადგა  
მათი (სვანების) ულუსი ჯარია.  
დილას შევკაზმე ცხენები,  
მანდილა თეთრი ჩითილა.  
თითო ფარფალი დავლიეს,  
მავრამა ტურფა შეიქმნა.  
მიწას ავაძლებ ძრიელა (მძრევა)  
თავრეში კარგი სოფელი,  
თავამ ქალაქის კარია.  
ხური თავზე რომ შევედი (ჯარი),  
ამაგრეს ხიდი კარია;  
ხიდი კარში რომ შევედი  
ომი შეიქნა მ-ძნელია;  
სისხლისა ნამატალახა (ნატალახევი)  
ფეხი ნუ მოცურდებო.  
ყარაჯი<sup>1</sup> მამად გვიძახის:  
უშკულა თქვენი ჭირიმე,  
აწი კი არის წასვლის დრო,  
მეტად გვიქნია ძნიანი (ზიანი),  
მაცხოვარი (ღების) ჩვენიც არის,  
ნახევარი ღებას არის.  
უშკულა თქვენი ჭირიმე (ღებს ეხვეწება),  
ნუ გაგვიწყვიტე ხალხიო,  
გვემართოს თქვენი ბეგარა  
რქა თეთრი ქერა ხარო.  
აღზიძესა ემართოს (უშკული ამბობს)  
რქა დახვეული ვერძია.  
ეს მაცხოვარსა (ღებას) შევსწიროთ,  
არა გვიწყინოს ზიანი.  
ჭიორა გაუტეხელი,  
ზედა დარბაზში ჩავედით;  
ქვეითი კარსა გავიდა  
წითელი სისხლი ღვარათა.  
გვემართოს თქვენი ბეგარა (ჭიოცაძეს)  
წელიწადში ორ გაბიწი<sup>2</sup>.  
ნარაი<sup>3</sup> ხიდი გავვიტყდა,

<sup>1</sup> კაცის სახელია.

<sup>2</sup> გაბიწი, ან კაბიწი — ჰურის საწყავია.

<sup>3</sup> ნარაი — ადგილია ოსეთში.

ორასი კაცი დაგვერჩვი (სვანები)  
პეტრე-პავლობას დღესაო.  
ბოყოს<sup>1</sup> მიაღვა ჯარო (სვანას),  
ბევრი ქალ ტირე ბავშებო.  
ჯაფარიძემ დაგვიძახა:  
უშგულა, თქვენი ჰირიმე,  
გვემართოს თქვენი ბეგარა  
წელიწადში ოთხ მარჩილი.  
ცარი ვედენი გელასა<sup>2</sup>  
ნეფე მიყევდა ყურ აღმა.

უშკულის საზოგადოებაში სიმღერა „უშკულა ხევი დაიძრა“-ს მცოდნე მოხუცმა (სვანეთში სხვაგან არსად არ იციან) შემდეგი მიამბო. ძველად სოფ. ღებში ყოფილა ვინმე „აღზიძე“ დიახ კარგი და შეძლებული მოსახლე, ხოლო თავის ცუდის ყოფაქცევისა გამო ყველასაგან მოძულებული. გარდა ამისა, აღზიძემ ბოლოს და ბოლოს ღების ბატონობა მოინდომა თურმე (ღები უბატონო საზოგადოებაა). ხალხი ამაზე გამწყრალა, აღზიძე სახლობით საზოგადოებრივად განუდევნია და მისი უძრავ-მოძრავი ქონება ხალხს თავისთვის დაუსაკუთრებია. ამდგარა აღზიძე, აუღია ერთი კვახი (გოგრა), გაუვსია მიწით, უშკულს მოსულა და აქაურ ღვთისმშობლის ეკკლესიის კარზე ჩამოუყვინდნია ეს მიწით სავსე კვახი ნიშნად იმისა, რომ უშკულს შეჰვედრებია და რაღასაც შეხვეწნია. უშკულს შეუწყნარებია აღზიძის ვედრება და თავის მფარველობის ქვეშ მიუღია (ეს ჩვეულებაც ეხლაც არის). უშკული მოციქულებს ჰგზავნის ღებში და სთხოვს, აღზიძე ისევ მიიღონ; ღები ამაზე უარს ამბობს. ეს უშკულს შეურაცხყოფად ჩაუთვლია, თავი მოუყრია და დაუდგენია: ჯარით წავიდეთ ღებზეო. ამასთანავე უშკული სთხოვს დანარჩენ სვანეთის საზოგადოებათაცა, ეცერიდამ დამოკიდებული, რომ ჯარში მონაწილეობა მიიღონ. სვანეთი ასრულებს უშკულის თხოვნას. მთელის სვანეთის ჯარი მიდის ღებს, აოხრებს სოფ. თევრეშის, ღებს, ჰიორას, გლოლას, ბოყოს და კიდევ სხვა სოფლებს, ყველგან ბეგარას ადებს: ერთს სოფელს ხარს, მეორეს ძროხას, მესამეს ამდენსა და ამდენს მარჩილს და სხვა. ამ ბეგრებიდან ღები ჩვენს დრომდე იხდიდა ხარს ყოველწლივ. ორი მებეგრე უშკულელი დღესაც ცოცხალნი არიან. მებეგრეთ უშკული ჰგზავნიდა ათ კაცს სამარიამობოთ. ამათ მთელი სოფელი უნდა გაჰმასპინძლებოდა, აღზიძე კი უშკულმა ვალდებულად ჰყო ეძლია მებეგრეთათვის ერთი ვერძი იქვე ღების მაცხოვრის შე-

<sup>1</sup> ბოყო — სოფ. ზემო რაქაში.

<sup>2</sup> გელა სვანური სახელია, ჯარის წინამძღოლი ყოფილა.

საწირავად, რომ მაცხოვარს „არა სწყენოდა ღების ზიანი“, რომელიც სვანეთის ჯარმა მიაყენა ალხიძის გამო...

რაკი სიტყვამ მოიტანა, ჩვენ აქვე მოვუთხრობთ მკითხველს, რომ ვიცით ღებისა და უშკულის ურთიერთობასა და მტერ-მოყვარეობაზე წარსულში. ეჭვს გარეშე გვგონია, რომ ღები და უშკული ძველად ერთმანეთს უმოყვრდებოდნენ; ამისი დასაბუთებისათვის საბუთი სხვათა შორის ის არის, რომ ღებსა და უშკულში ერთი მგორის ნათესაობა ჯერ კიდევ არ შემწყდარა. ისიც დარწმუნებით ვიცით, რომ ორ საზოგადოებათა შორის დროგამოშვებით მტრობა ჩამოვარდებოდა ხოლმე. სახელდობრ, როდის, რა წელს ჩამოვარდა პირველი მტრობა ღებსა და უშკულს შუა, ამისი დაბეჯითებით თქმა ძნელია, რადგანაც სვანები წელთ აღრიცხვას არ მისდევენ.

\*  
\* \* \*

უბრალო სვანი ვერ გეტყვისთ, მერამდენე წელიწადია წრეულს ქრისტეს აქეთ. როგორც საქრისტიანო ქვეყნებსა და ხალხებს ქრისტეს დაბადება აქვსთ მიღებული წელთ-აღრიცხვის დასაწყისად ან ურად, ისე სვანებს რომელიმე შესანიშნავი მოვლენა, შემთხვევა დაუდვიათ წელთ-აღრიცხვის დასაწყისად. ამგვარი შემთხვევა ახლანდელის სვანებისათვის არის 1812 წელი, როდესაც სვანეთშიაც ყამი გაჩენილა. რომ ჰკითხო სვანს: ესა-და-ეს ამბავი, შემთხვევა როდის მოხდაო, მოგიგებს,—ყამიანობამდე, ან ყამიანობის შემდეგაო. არიან ისეთნი საზოგადოებანიც, რომელთაც წელთ-აღრიცხვა ან იმ დროთგან დაუწყვათ, როცა, ვსთქვათ, სეტყვას ძალიან დაუზარალებია, ან კიდევ როცა მეტად დიდი უმოსავლო წელიწადი ყოფილა. მაგალითად, უშკულის საზოგადოებაში ამ 80 წლის წინათ მოსულა დიდი სეტყვა და ხალხი დაუმშევია. უშკულულს რომ ამ დროთა ამბავი ჰკითხო, ან გეტყვის დიდის სეტყვის წინათ იყო ესა-და-ესაო, ანა და იმის შემდეგ მოხდაო. რუსთა მმართველობის შემოღების შემდეგ, სვანებმა შემდეგი შემთხვევანი ჩაინიშნეს დროისა და წლის განუსაზღვრელად: ა) რუსის ჯარის შემოსვლა სვანეთში 1858 წ. თ. გ. ერისთავის წინამძღოლობით; ბ) გრაფ ლევაშოვის მოსვლა 1869 წელს, როცა თავისუფალს სვანეთს რუსის ბეგარა (1 მ. 30 კაპ. კომლზე) დაედვა; გ) თავისუფალ სვანეთის აჯანყება 1875 წ. და დ) სოფელ ხალდეს აოხრება რუსის ჯარისგან, 1876 წ. ამნაირად იმ დროსი და წლის აღნიშვნა, — თუ როდის ჩამოვარდა პირველად მტრობა უშკულსა და ღებს შუა, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ნამდვილად არ

შეგვიძლიან; ამ 80—100 წლის წინათ-კი რაც მომხდარა ამ მტრობის გამო, ვეცდებით დაახლოებით მაინც აღვნიშნოთ.

ჩვენის აზრით, უკანასკნელად მტრობა მოხსენებულ დროს გადოებათა შორის დაიწყო 1815—1825 წწ. ამ დროს რაჭაში რუსის მმართველობა შემოდის; ახალი წეს-წყობილება, კანონი იკიდებს ფეხს. ეს ახალი კანონი სხვათა შორის სდევნის კაცის მკვლელებს რაჭაში. ერთი ამგვარად დევნილი კაცის მკვლელი ჩნდება ზემო რაჭას. სოფ. ჭიორას, ვინმე „დეტო“. რუსის მთავრობა დეტოს აპატიმრებს. მაგრამ დეტო ყარაულებს უსხლტება ხელიდამ და, რადგან რაჭაში ვერსად იფარავს თავს, უშკუღში მიდის თავშესაფარად. მთავრობა ლებ-ჭიორასაგან ითხოვს, დეტო დაიჭირეთ და წარმოადგინეთ, ლები თავის მხრით უშკუღისაგან ითხოვდა ამასვე. უშკუღი დეტოს მიცემაზე უარს უთვლის ლებს, ლები ამას პთაკილობს და ბეგარას (ესთხარს) უსპობს უშკუღს. ამ დროს ჩნდება უშკუღელი ყაჩადი ჯამათა ჭელიძე, რომელიც სულ ერთიანად ჰრევს უშკუღისა და ლების ურთიერთობას. ჯამათა მეორე არსენა შეიქმნა ლებ-ჭიორასათვის კერძოდ და ზემო რაჭველებისათვის საზოგადოდ. მისი სახელი და მასზე გამოთქმული ლექსი, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, კიდევ ბევრ ხანს იქნება დაუფიწყარი ლებ-ჭიორაში. ჯამათამ ხელზედ დაიხვია ის შემთხვევა, რომ ლებმა უშკუღს ბეგარაზედ უარი უთხრა და დეტოს ამხანაგობით მტრობა დაუწყო ლებს. დეტო საჭირო იყო მისთვის: როგორც ადგილობრივი მცხოვრები, მცოდნე თავის საზოგადოების ვითარებისა და გზა-კვალისა. ჯამათა ვადუდგებოდა ხოლმე ლებ-ჭიორელებს, ოსეთიდან მომავალთ. სასვანო გორზე, ართმევდა პირუტყვს, ქეჩა-ნაბადს, ჩოხას, შალებს და სხვა ბარგს. თუ ხელცარიელი ლებელი ან ჭიორელი შეხვდებოდა, იჭერდა, უშკუღს მოჰყავდა და იღებდა პატრონთაგან გამოსასყიდელს ფულს, სახსარს. ის კი უნდა ვსთქვათ, რომ ჯამათას კაცი არ მოუყვავს. ლები ძლიერ შეწუხდა, სასვანო გორაზე — ამ ჯამათას სადარაჯოზე სიარულს თავი დაანებეს, ხოლო ჯამათასაგან მაინც ვერ განთავისუფლდნენ; მან თავისი ცარცვა-გლეჯის ასპარეზი სოფლის მახლობლად გადაიტანა, სახელობრ, გორის ბოლოს, რომელიც ჰშორავს ლებს 18 ვერსით. ჯამათას ხელობა — ცარცვა-გლეჯა სხვა სვანებსაც მოეწონათ და ამხანაგობა გაუწიეს. უკანასკნელად ლების სამტროდ ჯამათას გაჰყვა 40 კაცი სვანი (ზოგნი მათგანი ახლაც ცოცხალნი არიან უშკუღსა, კალაშსა და იფარში) და უნდოდათ, ჯოგი წაერთმიათ, და თუ ამას ვერ მოახერხებდნენ, ჰფიქრობდნენ, კაცები შევიპყრათ და მერე დავსახსროთო, ე. ი. სახსარი, სასყიდელი ავიღოთო. აქ-კი ჯამათას ბედმა უმტყუნა; ერთმა ლებელმა მონადირემ დღისით მოჰკრა თვალი ლებს



ჯამათას და მის ამხანაგებს და ეს ამბავი სოფელს შეატყობინა. იმავე დამეს მთელმა ლებმა თავი მოიყარა და გასწია დაბანაკებულ ჯამათასკენ. გათენდა თუ არა მეორე დღეს, სვანებმა დაინახეს, რომ წაღვარშემო შემორტყმიან ლებელნი, რომელნიც ემუქრებიან, თუ არ დაგვენბდებით სასიკვდილოდ არ დაგინდობთო. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ სვანებმა გარდასწყვიტეს გაქცევა, რადგანაც მთელს ლებთან ხელ-და-ხელ შებმა მათ ხეირს არ დააყრიდა. ყველანი ამ აზრისანი იყვნენ, გარდა ჯამათასი, რომელმაც გაქცევაზე უარი სთქვა და ისევ სიკვდილი არჩია. მაშინ დანარჩენმა სვანებმა თავისი არ დაიშალეს. ეცნენ ლებელების გროვას. გააბეს და გაიქცნენ. დარჩა ჯამათა. ლებელებსაც ეს უნდოდათ. ოღონდ ჯამათა, ეს თავიანთი თავზარდამცემი ჩაეგდოთ ხელში, თორემ სხვა სვანებს არ დასდევდნენ. ჯამათას ლებში ბევრი ნაცნობები ჰყავდა. ურჩიეს ტყვედ მისცემოდა და როცა ეს არ იკადრა, ერთმა ლებელმა, რომლის ვინაობა დღემდის ვერ გაუგია ამის მსურველს ჯამათას შეიღს ნასყიდას, თოფი ჰკრა დ ჯამათა სასიკვდილოდ დაიჭრა. მძიმედ დაჭრილი ჯამათა ცხენზე უკულმა დააკრეს და ისე მიიყვანეს სოფლად. აქ, ჯვარის ყანაში, გულქვავ ლებელებმა ფიცარზე დააკრეს, რომელსაც მთელი ლები ქალებიანბავშვებიანდ გარს შემოეხვია და უყურებდა მომაკვდავს ჯამათას. ხელ-ფეხ შეკრული და მომაკვდავი ჯამათა ძრიელ გულმაგრად და უშიშრად დაუხვდა თურმე სიკვდილს, იგი გაბრაზებულ მგელსავით ებრძოდა თურმე თავის მკვლელებს სიტყვიერად; ეუბნებოდა, მე ჩემი თავი დასისხლული მყავსო, ე. ი. ლებს იმოდენა ზარალი მოუტანე, რომ ჩემი სიცოცხლე ვერ აგიყენებთ იმ ზარალსაო. ამ დროს ერთი სამწუხარო შემთხვევა მოხდა. ერთი ლებელი ორის წლის წინათ რომელიღაც სვანს დაეჭრა თოფით: ტყვიას მკლავებში გაველო და ორთავე ხელები წაზდენოდა. ეს ლებელი თავის უბედურებას თურმე ჯამათას აბრალებდა, თუმცა ჯამათა აქ არაფერს შუაში იყო. როდესაც მომაკვდავ ჯამათასთან მივიდა ეს ლებელი, შეხედა, თვალებიდან ცეცხლი გადმოყარა ჯამათას სიძულვილის გამო, შეახტა გულზე, ჩაჰკრა მაგრად ორივე მუხლები და ჯამათამ იქვე სული დალია. მისი გვამი, როგორც ბოროტის კაცისა, ნაკურთხს მიწას არ მიბარეს, არამედ დამარხეს რიყეზე, სოფლის თავში.

ჯამათა ამაყის თემის კაცი იყო და ეს თემი, რასაკვირველია, არ შეარჩენდა ლებელებს თავის კაცის მოკვლას. მეორე წელს, ჯამათას მოკვლის შემდეგ, ეს თემი წავიდა ლებისკენ და უნდოდა მოეკლა რომელიმე ლებელი კაცი; ლებელებს ვერ შეხვდნენ და ორი ჰიორელი მოჰკლეს. ამნაირად „ისისხლეს“ ჯამათა.

ამ დროს ღებისა და უშკულის საქმეში ერევა რუსთა მთავრობის წარმომადგენელი ბოჩაული თ. ალ. მიქელაძე, რომელსაც იმ დროს რაჭის ერთს სოფელში ჰქონდა დანიშნული ბინა და იქ ჩინური სავაჭრო-და ვითომ სვანებს. თ. მიქელაძეს მოჰყავს უშკულში ჩინური ბალოცია და თხოულობს მოკლულის ჭიორელების სისხლს. უშკულის საზოგადოება ორ მეკომპურზე თითო ძროხას იძლევა ჭიორელების სისხლში და ამნაირად რიგდებიან თ. მიქელაძე და უშკული. ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1844 წლისა, როდესაც როგორც ნამდვილად ვიცით, თ. მიქელაძე სვანეთში იყო. ამითი თავდება უკანასკნელი მტრობა უშკულსა და ღებ-ჭიორას შუა.

დღეს როგორათაც უშკულელები, ისე ღებ-ჭიორელები თავისუფლად დაიარებიან ერთი-ერთმანეთში თავიანთ საქმეების გამო. უკმაყოფილოა მხოლოდ ჯამათას შვილი ნასყიდა. იგი ჯერ მესამედ მისულა ღებში და თხოულობს თავის მამის ძვალს, რომ მიაბაროს წინაპართ სამარხს, ხოლო ღებელებმა ეს თხოვნა ვერ აუსრულეს, არ ვიცი განგებ, თუ იმიტომ, რომ თვითონაც ვერ მონახეს, რადგანაც, შეიძლება, რიყეზე, რიონის პირად დამარხულის ჯამათას ძვლები მდ. რიონმა წააღწია. ღებს კი ჰსურს ნასყიდა შეირიგოს და გულნატკენად არ დასტოვოს. ამისათვის სოფელმა ბარე სამი ხარი აჩუქა; ერთმა მოსახლემ შვილიც მოანათვლინა, რომ ნათესაობა ჩამოვარდეს ნასყიდასა და ჩვენ შორისო. ნასყიდა მანაც თავისას არ იშლის: „თუ მამიჩემის ძვალი არ დამიბრუნეს — მეუბნებოდა იგი ერთხელ — ისეთს საქმეს დავმართავ ღებს, რომ საიქიოს მამაჩემთან პირნათლად შემეძლოს წარვსდგეო“.

ჯამათაზე ლექსი ღებში ვერავის ვერ ვათქმევინე; იმათ ეგონათ, რომ მე განგებ ჯამათას საქმეზე ვიყავ მისული, როგორც გამომძიებელი, თუმცა ჩემი მასპინძელი ბევრს ეუბნებოდა, რომ ჩემი აზრი სულ სხვა იყო და არა გამომძიება და საქმის შეყენება. უშკულში ამ ლექსს სათაკილოდ სთვლიან და არა თუ არ სწავლობენ, ამ ლექსის მცოდნე ღებელებთანაც-კი ხშირად მოსდისთ უსიამოვნება, თუ ეს ლექსი რომელმამე უშკულელმა გაიგონა. რაკი საქმე ამნაირად იყო, ვსთხოვე ღებში მყოფს უშკულელს, დაესწავლა ეს ლექსი და ჩემთვის გარდმოეცა სამერმისოდ, რაიცა კიდევაც ამისრულა. უეჭველია, თვით ღებელებს უკეთ გააღწევილი ექმნებათ ჯამათა, მე კი ყოველს შემთხვევაში მოვიყვან უშკულელის გარდმოცემულს.

ე უშკულელმა ჯამათამ  
კარ-და-კარ ჩამოუარა  
ხალდეშლებ-უშკულელებსაო,  
გორი ბოლოსა წავიდეთ,

ჩოხა-ნაბადსა ვიშოვით.  
 ე რომ ღებურთა გაიგეს,  
 პირიდან ყრიდენ ცეცხლსაო:  
 ღებურნო ახალგაზრდანო!  
 ე რა ამბავი ჩვენსაო?  
 რაც ღებს ახალი კაცია,  
 ყველა თელა ქვეშ არისო:  
 ჯამათა მოსულა ჩვენსა,  
 მოუყვანია სევანთ ჯარი,  
 ვეცადოთ არ წაგვივიდეს  
 ე ურჯულოი ჯამათა,  
 თავი იყარეს ღებურთა:  
 ხოლის თავსა რომ მოვიდნენ,  
 წინ თაზილა (სევანი) შეეყარათ.  
 გასწიეს და ქვე მივიდნენ  
 ყველანი გორი ბოლოსა;  
 აქ ჯამათა შესაფრულა  
 არყნარსა და ბუჩქებშია.  
 ე პატიანთ პაპუჩა  
 მეწვერედ გამოგზავნესაო,  
 შალიკაშვილი თედორე  
 არყებს ევლება თავსაო:  
 ე ხუციშვილი პეტრეი  
 პირილამ აყრის ცეცხლსაო;  
 თამაზიკიანთ დევლეთა  
 ვეცხლის თოფს უსვამს ხელსაო:  
 თუ სადმე ჯამათა ვნახე,  
 მე მოუწითლავ გვერდსაო;  
 ჯამათა მიდის ბაჯგებში,  
 ფინთიხი მოხვდა ბარძაყში.  
 შე საწყალო ჯამათაო,  
 ღები მოგდევს ჯართაო,  
 უკან თოფი მოგაყოლეს,  
 სისხლი მიგდის ღვართაო.  
 დაიპირეს, აიყვანეს,  
 უკულმა დააკრეს ცხენზე.  
 ხოლი თავსა რომ მოვიდნენ,  
 ერთი არჩევანა ქნესა:  
 ზოგნი იძახდენ — მოვკლათო,  
 ზოგნი არ ეთანხმებოდენ.  
 წყალი ითხოვა ჯამათამ  
 ქვე მიუტანეს ჯამითა  
 ნახევარი . . . . .  
 ნახევარი წყალიაო;  
 აწია და ქვე დალია,  
 როგორც ნათავი არაყის.

ღებელ ქალებზე ეს-ლა გვეთქმის: მზეთუნახავს აქ ნურავინ ეძებს, აგრეთვე ლერწამ ტანისას და შავ-წარბთვალას. მნახველს თვალში ეჩოთირება მათი ტანთ ჩაცმულობა. თავზე ლეჩაქი ჰქვარავთ ღობლის ერთი ყური ქუსლებში სცემს. ლეჩაქზე მსხვილი და სხვა-სხვა დიდი ურიბები. აცვიათ პერანგი და პერანგზედ მოკლე დაბამბული ახალუხი. წვივებზე შავი ბაიჭები აქვთ. ფეხთ უმეტესს ნაწილად არა აცვიათ რა და ფეხშიშველნი დადიან. ყელზე და გულზე აყრიათ კაკი-ლები რამდენსამე წყებად სხვა-და-სხვა ფერისა და ღირსებისა. წელზე აკრავთ პრტყელი სარტყელი. ქალი აქ დიდს ჯაფაშია. წისქვილი, შეშა — ქალების საქმეა, რადგან მამაკაცები მუდამ საშოვარზე არიან წასულნი. შეგეცოდებათ წისქვილს მიმავალი ღებელი ქალი, რომელსაც თავის ოდენი გუდა ჰკიდია სიმინდით სავსე...

ღებში სხვათა შორის ორი ჩვეულება შეგნიშნე, რომელიც სრულიად ჰგავს ამ გვარსავე სვანურს ჩვეულებას, ერთი ისა, რომ ღებელი რამდენს სტაქანს სასმელსაცა სვამს, იმდენჯერ ჰლოცავს ყველა სუფრაზედ მჯდომს თითოეულად და მეორე, როცა ბავშვების გროვაში გავერიე, ვნახე წაჩხუბებული ბალები; ერთი მათგანი ესაყვედურებოდა მეორეს: „შე ობოლო, შიშველო, მშიერო, ჯაბანო და სხვა“. ღებში სკოლა არ არის. არც მალალი და არც საშუალო სასწავლებელი არც ერთს აქაურს არ გაუთავებია.

27-ს ივლისს გამოვეთხოვე ღებს. მე და ჩემი თანამოგზაურნი საცოდავის ძროხებითურთ უწერას მივედით. აქ ვნახე უწერას წყლები. 28-ს დ. ონს მივედით. აქ ჩემი ამხანაგები, გარდა ერთისა, სვანეთს დაბრუნდნენ თავიანთ ძროხებით, მე კი სოფ. სორს გავათიე ღამე. 29-ს სოფ. ნიკორწმინდას დავრჩი, ნაქერალას უღელტეხილზე გადმოვიარე და 30-ს ქუთაისს მივალწიე.

## უშგულის აღწერა

(სვანთა ყოფა-სმოკაბილა)

უშგულის საზოგადოება ძვეს მდ. ენგურის სათავეს ახლო და თავისუფალის სვანეთის თავში მდებარეობს. აღმოსავლეთით უშგულს ქსაზღვრავს ნაწილი კავკასიის დიდის ქედისა, მუდამ თოვლით დაფარული, და დიდ ქედსა და სვანეთის ქედს შუა ჩამჯდარი „ნაკ-ზაგარის“ უღელტეხილი; დასავლეთით — სერები და კალის საზოგადოების ადგილები; სამხრეთით — ნაწილი სვანეთის ქედისა და ჩრდილოეთით — დიდ ქედიდგან გადმოსული შტო. ამნაირად უშგულის ოთხი სოფელი ყიზიანი, ჩუბიანი, ჩაყაში და მუყემერი (ძველად ზემო და ქვემო უშგული) გამომწყვდეულია მთებს შუა. სიგრძე უშგულისა ზემოთ ნაჩვენებ საზღვრებში დაახლოებით 10 ვერსი იქმნება. სიგანე-კი ორთა-შუა რიცხვით  $1/2$  ვერსი. უშგულში ჩამოდის ორო მდინარე: ენგური და ქვიშირი. ამ მდინარეების სათავეები 5 ვერსზე მოშორებულია სოფლიდგან. მდ. ენგურის აყოლება ადგილს სოფლიდამ სათავემდე ჰქვიან „შხარი“ (დაპობილი). შხარი შეადგენს სათიბ-სამწყესურს ადგილებს ხალხისას. მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე გაშლილია სათიბები, მარცხენაზე — არყის და შქერის ტყეები. მდ. ქვიშირის ხეობას „ატკვერი“ ჰქვიან. ბუნება აქაც ისეთივეა, როგორც ენგურის ხეობაზედ: სათიბ-სამწყესური ადგილები, არყისა და შქერის ტყეები, ამ ორს მდინარეს შუა მდებარეობს ქედი „ლეზგარა“, რომელიც სოფლის თავში სწყდება. ლეზგარას სოფლის თავში კალთა გაუშლია, ცოტათი მოფერდო. ამ ფერდობზე გაშენებულია უშგულის სამი სოფელი ყიზიანი, ჩუბიანი და ჩაყაში, რომელთაც მდ. ენგური და ქვიშირი აქეთ-იქით ჩამოუდის და ჩაყაშის ბოლოში ერთმანერთს უერთდებიან: მეოთხე სოფელი — მუყემერი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. შხარის და ატკვერის ხეობაში

ხშირად შეხვდება კაცი „ნაქარბაქ“-ებს (ქარბაქ-ს სვანები ეწოდებიან შემოკრულს ადგილს საჯოგეში, სადაც მწყემსი საღამოს წახიოს შეამწყვდევს მეორე დილამდე). ორთვე ხეობათა საბალახო ადგილებს სერილია უწინდელის დროის გზებით. ხალხი ამბობს, „მუსურობ“-ა (უთოვლობა) იყოვო და ჯოგებს ისე ინახავდნენ როგორც ეხლა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებლებიო. მაშინდელი დარჩენილი არიან ეს ქარბაქები და გზებიო. ძნელი დასაჯერებელია, რომ სადაც ადგილის სიმაღლე 7000—7200 ფუტამდე აღის, როდესმე „მუსურობა“ ყოფილიყოს. ქარბაქები და გზები ჩემის აზრით იმას ამტკიცებენ, რომ უშგულში ძველად მეტი ხალხი ყოფილა.

ჩრდილოეთით და სამხრეთით უშგულს ქედები ჩამოჰყვება; მარჯვნივ ქედის ქვედა ნაწილი სახნავ-სათეს ადგილებად არის გადაქცეული, ზემოთ-კი სამწყესური ადგილებია; მარცხნივ ქედზე გაშლილია არყისა და შქერის ტყეები.

ერთი მეორესთან შედარებით უშგულს სათიბი და სამწყესური ადგილები ექვსჯერ მეტი ექმნება, მინამ სახნავ-სათესი და ოთხჯერ მეტი — მინამ ტყეები. სახნავი მიწა არა ჰყოფნის ხალხს; არიან ისეთი მოსახლენი, რომლებსაც 4 დღიურზე მეტი სახნავი ადგილი არა აქვთ. 12 ქცევაზე მომეტებული ყანა არც ერთს მოსახლეს არა აქვს. ამ ადგილის სიმიცირესთან ნიადაგიც მწირი და გობია; საჭიროა ყოველ მესამე წელიწადს მოსახლემ ყანას ბატივი დააყაროს; თუ არა და დაბუნი მოსავალი მოუვა და ზოგჯერ სულ არაფერს მისცემს ყანა. უშგულში არ იციან ანუელი. შემოდგომაზე ხვნა-თესვა აქ არ შეიძლება. ჰხენენ ყანებს მარტო გაზაფხულზე. სთესვენ აქ ქერს, ქუბას, დიკას და წვრილ ცერცვს (ნეცინ ლედერ). სიცივის გამო სხვა ნამუშევარი არაფერი ხარობს. უმთავრესი სარჩო უშგულელებისა ქერია და ამიტომ მომეტებულად ამასა სთესვენ. მაგალითად ავიღოთ მოსახლე, რომელსაც 10 ქცევა ადგილი აქვს; აქედგან ერთს ქცევაში დიკას დასთესს. მეორეში ცერცვს, ორში ქუბას, დანარჩენს ექვს ქცევაში ქერი ექმნება. ხვნა-თესვა უშგულში რიგით 21-ს მარტს უნდა იწყებოდეს და თავდებოდეს 7-ს ივნისამდე. თუ „ნებიანი“ და დარიანი ტაროსები დადგა, მარტში დათესილი ქერი 15 აგვისტომდე მოიმკება. საზოგადოდ მკა ბევრჯელ გასწევს 15 ოქტომბრამდე. ერთ ნალჯომს (ქცევაზე ცოტა ნაკლებია) უნდება თესლად სამი ლედვლიაქი (ზომაა) ქერი. ქერი იძლევა ერთს ცამეტად, (самь 13-ть),—ქუბა ერთს რვად, დიკა ერთს ექვსად. ქერი უშგულში ოთხ-კუთხიანი იცის. თითო თაველს 20—50 მარცვალი ასხია. მარცვალი მსხვილია, მაგრამ სქელი კანი (ქატო) აქვს და დაფქვა-დაცრის შემდეგ ბევრსა კლებუ-

ლობს. 84 ლედვლიაქ ქერის მარცვალმა მოსცა 54 ლედვლიაქივე დაფქვილი. ქუბა და დიკა რაც მარცვლად არიან, იმას იძლევიან ფქვილადაც. ქერს უშგულში კევრით არა პლეწვენ; რამდენსამეუხარუხნული გადაბამენ ერთმანერთს, ატრიალებენ ნამჯა-მოყრილ კალოზე ნამჯა-მოყრილსა. ბი ფიწლებით აზურდულს ნამჯას ჰქეჩავენ და ილეწება კალო. ამნაირად გალეწილი ქერი მეტს იძლევა ჩალას, მინამ ბზეს და ამიტომ განიავება სულ ცოტას ხანში თავდება. დიკას და ცერცვს კევრით პლეწვენ; ქუბას ჰბერტყენ ხელით. ლეწვას უშგულში იწყებენ განაკიდ შემოდგომაზე, როდესაც ნამჯა და თივა შემოტანილი აქეთ სახლში. თუ შემოდგომას ჰინჰყელიანი ტაროსი დაიჭირა, ლეწვას ზამთრისათვის გადასდებენ. კალოები აქ აყალოსი არ იციან, არამედ ძირში მოთიბული სათიბია. ზამთარში თოვლს გახვეტენ კალოდამ, რომელიც გაყინული და ჰიქასავით გასიპულია. ამ გაყინულს კალოზე უფრო ემარჯვებათ ლეწვა, რადგანაც მუშაობაც ადვილია და არც მარცვალი იყარგებაო. რადგანაც ზამთარში მარცვალს მზეში ვერ გაახმობენ, ამისათვის ხალხი იძულებულია გაფიცხოს იგი ცეცხლზე, რომ საფქვავად ვარგოდეს. ოთხფეხ რკინის კერაზე გადაფარებენ ფართო ქვის ფილაქანს, ქვეშ ცეცხლს შეუკეთებენ, ფილაქანი ხურდება, ზედ აყრიან საფიცხად მარცვალს და ამნაირად გაფიცხული მიაქვთ წისქვილში.

როგორც სხვა რამეები, ისე პურის ცნობაც განსხვავებულად იციან უშგულში. მთელს სვანეთში, გარდა უშგულისა, იციან თითო პური ჯერად სადილ-ვახშმად კაცის სულზე; უშგულში-კი სამ-სამი პური, მომცროები, სულზე. ამ პურს უშგულში „შვეთ“-ს ეძახიან; სადილიანო სვანები-კი უშგულელების „შვეთ“-ს „შაბათ“-ს ეტყვიან ხოლმე, არ ვიცით-კი — რატომ. სადილს და ვახშამს გარდა, როდესაც სამ-სამი შაბათი ეძლევა კაცს ჯერად, თითო შვეთი საუზმედ და სამხრად (ლენცელ-ლემად) უნდა მიეცეს ოჯახის ყველა წევრს, თუ შიმშილობა არ არის. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ უხვად სმაქამაში უშგულელები განირჩევიან სხვა სვანებისაგან. უშგულელს რომ ტანისამოსი ან პირუტყვი აკლდეს, ვერავინ უსაყვედურებს, ხოლო თავის დროზე თუ სასმელ-საჭმელი არა აქვს, ეს-კი მეტის-მეტი სირცხვილია. არა თუ ოჯახის წევრები უნდა იყვნენ მსუქნად, ძალღირა არის, და ისიც-კი რომ ოჯახს გამხდარი ჰყავდეს, დიდი სირცხვილიაო.

ბოსტნეულობას უშგულში არ მისდევენ. აქა-იქა სთესვენ კარტოფილს, ჭლაქვს, ჭარხალს და ნიორს. სხვა არაფერი ხარობსო, ამბობს ხალხი. თუთუნი მოდის, მაგრამ ძლიერ მდარე თვისებისა.

სათიბები უშგულში სოფლად არა აქვთ; სთიბავენ მთაში, მაგრამ ისე ახლოა ეს მთა, რომ დილიდამ საღამომდის სამ გზობას იხამს თივის მომტანი, ე. ი. სამჯერ მოიტანს თივას ხარებით. ჩემი დაკვირვებით, ერთს ქცევა ადგილზე ათი მარხილი თივა მოუტანს, მშვენიერებაზე ჩემ თვალწინ მოთიბეს ერთს დღეს 80 მარხილი თივა. უშგულის თივა კარგი და პირუტყვის მაშენია. თიბვას იწყებენ 15 ივლისის მომყოლს ორშაბათს. მოსახლეს, რომელსაც ჰყავს 20 მსხვილი ფეხი საქონელი, ერთი ცხენი, 25 ცხვარი, 8—10 თხა ზამთარში გამოსაკვებად, უნდება დაახლოვებით 130 მარხილი თივა და 65 მარხილი ბზე და ჩაღა.

ტყეები ძლიერ ნაკლებადაა აქვთ უშგულში. საშენი ტყე სულ არ მოიძებნება და, როცა საჭიროა, უნდა მოიტანონ ცხენისწყლის ხეობიდან, რომელიც უშგულზე მოშორებულია 25—30 ვერსით. საწვავი შეშა უშგულში არის არყის ხე და შქერი. შქერი იმნაირია, რომ ნაჯახი არც კი მიუდგება, რადგანაც ერთი რომ წვრილია და მეორე ნახევარი მიწაშია დამალული და რაც ზემოთ ამოსულა, ის დაწოლილია მიწაზე; ამის გამო შქერს ძირიანად სთხრიან. კონებად ჰკრავენ, როგორც ნაჩას და ისე მოაქვთ შინა. შქერის ხორა უფრო თივის ზვინსა ჰგავს, მინამ შეშას. რაკი წვრილია, შქერს ბარაქა არა აქვს, თუმცა ცეცხლი უკვამლო და კარგი იცის. უშგულელებს უყვართ ორის წლის გამხმარი შქერი საწვავად. ყველაზე უფრო სწვავენ არყის ხეს. რაკი ხალხს ტყე არა ჰყოფნის, ამისათვის ნება-უნებურად ახალგაზრდა ტყე უნდა მოსჭრას, რადგანაც ტყის დამთავრებას ვერ მოუცდის პატრონი. სწვავენ არყის ხეს შტოებიანად, გაუშენდელად. კვარის მაგიერ უშგულში ხმარობენ არყის კანს. კვარს ბევრად სჯობია. როგორც მითხრეს, 30 წელიწადია საჭირო, რომ ახლად მოჭრილი ტყე ისევ საჭრელად მოესწროს პატრონსაო. სიძვირის გამო ტყეებს ისე მომჭირნედ ეკიდებიან, როგორც ყანებს. შეშის ჭრის დროს ერთს ფიჩხს არ დაავდებენ ძირს და არ დაჰკარგავენ ტყეში. კარგი ტყე ისე ფასობს, როგორც კარგი ყანა. საშუალო რიცხვით, შეძლებულს ოჯახს უნდება წელიწადში 100—160 მარხილი შეშა.

უშგულს ამჟამად 61 მეკომპური შეადგენს; იგი შორიდან ახალს მხახველს ქალაქი ეგონება, სადაც 50—60 სხვა-და-სხვა ქარხანა უნდა მუშაობდესო. ასი ქვეითკირის სახლი, რომელთაგან 39 უკაცურად დგას, გარედამ შეუღლესავი, 59 კოხტა, მაღალი, წვრილი და შეღესილ-შეფეთქილი კოშკი, 63 ნაძვის შესანახავი შენობა „მაჩ“-ი, 15 წისქვილი და შვიდი ეკკლესია — სულ 244 ქვეითკირის უშგულის შენობა გაწყაბული არის  $\frac{3}{4}$  ვერსის სიგრძეზე მდ. ენგურის ორსავე ნაპირას. შენობები ერთი მეორეზე ახლო სდგანან და ბრტყელის ქვეით



არიან გადახურულნი. საზოგადოდ შორიდან უშგულის შენობანი თავის გარემოთი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ კაცზე. როგორც ნათქვამია, უშგულში ითვისება ორას ორმოც-და-ოთხი ქვის შენობა და არც ერთი ხის შენობა არ მოიძებნება. საშენ მასალად უმთავრესად ჰხმარობენ ასპიდს, იმის შემდეგ შიფერს, გოანიტს და ძლიერ იშვიათად რიყის ქვას. ასპიდი ოთხ-კუთხედიანი იშოვება, თითქო განგებ გათლილი იყოს კალატოხისაგან. შიფერი, რასაკვირველია, ასპიდზე რბილია და ამისათვის იმისგან აშენებულის სახლის კედლები დროს განმავლობაში ისე უღუღლებიან ერთმანერთს, რომ კაცი ვერ არჩევს — სად იწყება ერთი ქვა და სად თავდება მეორე. საკირე ქვა სოფლის ახლო იშოვება და ხალხი ადვილად გამოსწვავს ხოლმე კირსა. შენობების სახურავად უშგულში ყავარი არ იციან, ჰხმარობენ ასპიდისავე ფართო და თხელს ფილაქნებს. ამ ფილაქნებით გადახურული შენობა 20 წელიწადს ისე გასძლებს, რომ არაფერი ხელი არ უნდა. შემდეგ კი — რაკი ქვები გაინძრევ-გამოინძრევა — შესწორებას ჰთხოვლობს.

ხის მასალა უშგულს „ცენადამ“ (ცხენისწყლის ხეობა) მოაქვს, რადგან ადგილობრივ არ იშოვება. ხეებში ყველაზე უფრო მოსწონთ ნაძვი, რომელიც სხვაზე უფრო გამძლეოთ მიაჩნიათ. სახლები ოთხ-კუთხიანებია; სიგრძე-სიგანეზე 12—20 საყენამდე; სიმაღლით ორ სართულიანია. სახურავი ორივე კედრითა აქვთ. სახლს უნდა ჰქონდეს მიდგმული „გუბანდი“ (სასტუმრო) და კოშკი. ყველა სახლს გრძელი თუ მოკლე ტალანი აქვს ქვედა სართულში. ამ ტალანში მომეტებულად ორი ერთიანი კარია ჩამოკიდებული, ერთი მეორეზე კარგს მანძილზე დაშორებული. ერთს ამათვანს — გარეთა კარს (ქამე ყორ) ეძახიან, მეორეს — შიგნითა კარს (ისგჳ ყორ). რომ სახლში შეხვიდეთ, ორივე ეს კარები უნდა გაიაროთ. ორს ადგილას იმიტომ ჰკიდებენ სვანები კარებს, რომ ზამთრობით სიცივე არ შემოვიდეს სახლში; რაც ერთს — გარეთა კარში სიცივე შემოიპარება, იმას შიგნითა კარი დაუხვდება და იქვე გააჩერებს, შიგნით არ შემოუშვებსო.

შევიდეთ სახლში. ორს კედელზე მიდგმულია ფიცრის „გვალ“-ი. რომელშიაც დაბმულია მსხვილფეხი პირუტყვი. „გვალი“-ი იმნაირად მოწყობილია, რომ ერთი კარი აქვს საქონლის შესასვლელ-გამოსასვლელი და თითოეულის პირუტყვისათვის თავგამოსაყოფი ადგილი ბავსკენ. გვალ-ი ძირს ქვის ფილაქნებით არის დაფენილი, ზევით ჰერი აწყვია. შუა ადგილას კედელში ფანჯარაა გაკეთებული. ყოველ ცის-ამარა დღეს გვალს სწმენდენ და ნაკელს ამ ფანჯრიდანა ჰყრიან გარეთ სანეხეზე. ხშირად გვალის თავზე ოჯახს ფარები აქვს


გაკეთებული, რომელშიაც თხა-ცხვარს ამწყვდევს. მესამე კედლის სიგრძეზე გამართულია ოჯახის წევრთა ლოგინები. ლოგინებს წინ სვეტები აქვთ ამართული, ბოძებში ან სვეტებში კავებია (წმ) — შერ-ჭობილი; კავებზე ჩამოკიდებულია იარაღი მამაკაცებისა: თოხვი, ხაჩარი, ფიშტო და სხვა. დაგვრჩა მეოთხე კედელი სახლისა, რომელიც სხვაზე უფრო წმინდად და ფაქიზად არის შენახული. აქ კედელზე მიდგმულია 2—3 საყენის სიგრძე და დაახლოვებით ალაბის სიგანე ერთიანი ქვა, რომელსაც უშგულში „ბოჯარ“-ს ეძახიან. ამ ქვაზე სდგას საფუარი (ჭურჭელი, რომელშიაც ცომი სდგას), პურის საცომავი გობი (ჯარ), საცერი და სხვა პურის ცხობის დროს სახმარი მოწყობილობა. ამ ქვის მახლობლად ოჯახს ცეცხლი უნთია. ცეცხლზე დადგმულია ოთხ-ფეხა რკინის კერია და ზედ გადაფარებული აქვს ქვის ფილაქანი, რომელზედაც პურებს აცხობენ. კერიას ზემოთ და ჰერს ქვემოთ სხვენია ცეცხლზე გადაფარებული, რომ ცეცხლის ნაპერწკალი ჰერში არ ავარდეს და ცეცხლი არ გაჩნდეს. სხვენზე მობმულია ნაჭა, ე. ი. საქვაბე რკინისა, ან და, ვისაც ეს არა აქვს, — ხისა. ოჯახი კერიას ირგვლივ უსხედს. დასაჯდომდა აქვთ სკამები ორგვარი; ერთი — „საკურცხვილ“ ჰგავს სავარძელს და მეორე — „ლირგიმი“ — დივანს. საკურცხვილი ერთის კაცისათვისა, ლირგიმი — კი იმ სიგრძეა, რომ 7—8 კაცი მოთავსდება ზედა. უშგულში იციან სხვანაირი სკამებიც. იმ ადგილს, რომელიც უჭირავს კერიას, მებელს, ბოჯარს, ე. ი. სადაც ჯალაბი ზის, ეძახიან „ყველფ“-ს. მთელის სახლის იატაკი მოფენილია საზოგადოდ ბტყელის ქვებით, მაგრამ „ყველფ“-კი უფრო ლამაზად მოწყობილია, მინამ დანარჩენი ნაწილი იატაკისა; იატაკიდან ერთი-ორი ხის მსხვილი ბოძი უდგია ჰერს, რომ უკანასკნელმა ძირს არ ჩამოიწიოს. ქვედა სართული ბნელია; ორი-სამი პატარ-პატარა ფანჯრები იმდენს სინათლეს ვერ იძლევიან, რომ მოზრდილი ოთახი გაანათონ. ქვედა სართულიდან ზემო სართულში შეიგნითვე არის ასავალი. თუ რაიმე ასატანი ან ჩამოსატანია, ამითი დაიარებიან. ეს არის „ლობი“. ჰერში გაკეთებულია კიდევ „საკვამ“-ი (საკვამური). ამისი მნიშვნელობა ცხადია; აქ ისიც უნდა დაუვმატოთ, რომ სახლის ერთს კუთხეში ყველის საკეთებელი მოწყობილობაა შენახული და ერთს ადგილას კიდევ წყლის ჭურჭლები სდგას, აი უშგულელის და საზოგადოდ სვანის სახლის ქვედა სართული, რომელსაც „მაჩუბს“ ეძახიან.

ეხლა ავიდეთ ზედა სართულში, რომელსაც „მაყიბსაც“ ეძახიან. მაგრამ უფრო-კი „დარბზხად“ წოდებულია. დარბზი მაჩუბიდან გაყოფილია ხის ჭერთ. სახლის სიგრძე-სიგანეზე გადებულია ღირეები; ამ ღირეებზე დადებულია რგვალი და წვრილი ხეები. ჭერებ შუა

ადგილებს ხავსით გამოავსებენ, შემდეგ აყრიან ყამირს და სტუგენიან ზაფხულობით ჯალაბი დარბაზში ადის; თან მიაქვს ავეჯი, ლაგინები და სხვა საჭირო ნივთები. დარბაზში დგას ხის კილობნები ხოლოთისა და ფქვილის შესანახავად. შემოდგომაზე ოჯახი ისევ „მაჩუბში“ ბრუნდება და დარბაზს ავსებენ თივა-ჩალა-ბზით პირუტყვის საკვებად.

სვანის სახლი უშნო იქნებოდა, თუ რომ გვერდით ამართული არა ჰქონდეს 8—9 სართულიანი ლამაზი კოშკი. კოშკი ოთხკუთხიანი ქვის შენობაა; იმისი ერთი კედლის სიგანე 7—8 არშინამდეა ძირში, თავში-კი ცოტათი ნაკლებია. შიგნით კედლის სიგრძე 4 1/2 არშინია; კედლის სისქე-კი — 1 1/2 არშინი. გარეთაც და შიგნითაც კოშკი კირით არის შელესილი. კოშკი ერთი მეორეზე დადგმულ ოთახებად არის დაყოფილი; თითოეულს ოთახს ქვის თალი აქვს შეკრული; ძირი ოთახი კოშკისა იწოდება დილეგად, აქედამ იმის მნიშვნელობაც ცხადია. მეორე და მესამე სართულში ხშირად შეხვდებით ჩაკირულს ქვევრებს და კილობნებს; ჩხუბის დროს, როდესაც მტრის შიშით ოჯახს გამოსასვლელი გზა შეკრული ჰქონდა, ქვევრებში წყალს ინახავდნენ და კილობნებში დაფქვილს, რომ კოშკში დამწყვდეულნი მშვიერ-მწყურვალნი არ დახოცილიყვნენ. ერთის სართულიდამ მეორეში ხის კიბეები უდგია და იმათზე დაიარებოდა. თავში კოშკს ყურები (შდულვარ) აქვს გაკეთებული, რიცხვით მომეტებულად სამი და იშვიათად — ორი და ოთხი. ეს ყურები ისე უხდება კოშკს, როგორც ლამაზს ქალს ლამაზივე თავ-სახურავი. ყურებთან კოშკს ჭუჭრუტანები (სამცხვირ — амрразуры) აქვს, საიდგანაც ჩხუბის დროს სვანი თოფს ესროდა მტერსა. აქვე ზედა სართულში ჰყრია რიყის ქვა; ეს საჭირო იყო მაშინ, როდესაც მარტო მტერი კოშკის ძირს მოადგებოდა; თოფის ხმარება აქ არ ხერხდება, რადგანაც პირდაპირ ძირს ჭუჭრუტანიდამ თოფის სროლა მოუხერხებელია. აი მაშინ ამ რიყის ქვებს დაუშენდნენ მტერს კოშკის თავიდან. კოშკს თითო სართულში თითო ფანჯარა აქვს, რომლის სიმაღლე 1/2 ალაბია, სიგანე ძირში — 1/4 და თავში — 1/6 ალაბისა. კოშკი ორივეს მხრივ ქვით არის დახურული. ეხლა სვანეთში კოშკს არავინ აშენებს და არც ახსოვთ, როდის უშენებიათ. ჩვენის ფიქრით-კი, სვანების კოშკები 400—500 წლისა მაინც უნდა იყოს. ერთი საერო სიმღერა, რომელიც XIV საუკუნეს ეკუთვნის, კოშკს იხსენიებს უმგულში.

არქიტექტურით და სიმაგრით კოშკი ბევრად სჯობნის სხვა ქვით-კირის შენობებს სვანეთში. ეტყობა, სვანს ყველა თავისი ღონე-შეძლება კოშკისათვის მოუხდომებია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ლამაზიც გამოსულიყო და მაგარიც. ცხადია, რომ სვანები იმ დროს,



როდესაც ამდენი კომუკები აუშენებიათ, კარგს ეკონომიურს ყოფაში ყოფილან და ეს კარგი ყოფა, თუ დავერწმუნეთ ხალხს, მათს ცემას, სვანეთში მაშინ ყოფილა, როდესაც საქართველოში თანამედროვეობდა. ზევით ვამბობთ, რომ კომუკი მაგარი შენობაა-თქო; დასამტკიცებლად ჩვენის ნათქვამისა მოვიყვანთ რამდენსამე საბუთს. 1876 წელს, როდესაც მთავრობის წინააღმდეგობისათვის სოფ. ხალდე იქმნა დანგრეული, ჯარმა კომუკებს მთის ზარბაზნები დაუშინა დასანგრევად და სოფლის დასამორჩილებლად. ჩვენ დამსწრე ვიყავით ამ ამბავისა და უნდა ვსთქვათ, რომ ზარბაზნებმა სრულიად ვერაფერი აგნეს-რა კომუკებსა. როდესაც ჯარი სოფლად შევიდა, კომუკებს ლაღუმი მისცეს პირველად ერთს კედელში, მაგრამ როცა ამითაც კომუკი არ დაინგრა, მაშინ-კი ოთხსავე კედელში შეუკეთეს. როდესაც ოთხსავე კედელში შედგებული ლაღუმი ერთს და იმავე დროს ააფეთქეს, მაშინ-კი კომუკი ძირიანად წამოიქცა და რამდენიმე მათგანი დაუნგრევლად წამოიშლართა მიწაზე. მულახის საზოგადოებაში, სოფ. ზარდლაშის ახლო, ზედ გზასთან დღესაც არის წამოგორებული დაუნგრეველი კომუკი; ამისთვის სადგამ ადგილს უღალატნია, წამოქცეულა. მაგრამ დაცემის შემდეგ მიწაზე მთლად დარჩენილა.

მტრის მოგერების დროს გარდა კომუკი სხვაფორივაც გამოსადეგარია სვანებისათვის. კომუკში ინახავენ სხვა-და-სხვა ხიბაკ-ხუბაკს. არაყს, ლორებს, ყველსა და ხორცს ზაფხულში სიგრილისათვის. რომელს მოსახლესაც კომუკი არ უდგია, იმას ბევრი რამ აკლია. ფასობაში კომუკი ერთი ნალჯომი (დღიური) ჰდირს, ე. ი. ერთი მესამელი სახლ-კარობისა.

კომუკების და სხვა ქვითკირის შენობების წყალობით უშგული ლამაზია, და ერთის შეხედვით ფაქიზიც არის; ხოლო როცა სოფლად შედიხართ, სულ სხვა სურათსა ჰხედავთ; ჰხედავთ, რომ სოფელში უწმინდურება არის, რომლის მიზეზად უნდა ჩაითვალოს „ლაჰუნწულა“-ი (სანებვე). ჩვენ ვიცით, რომ უშგულელს პირუტყვი მთელს წელიწადს სახლში უბია. პირუტყვს ყოველ დღე ბინას უწმენდენ. ნაკელს გარეთ ჰყრიან. ამნაირად მთელის წლის ნაკელი გროვდება ერთს ადგილას და ამგვარი გროვა ნაკელისა ყოველს მოსახლეობასა აქვს. ცხადია, რომ ეს ნაკელის გროვა გააბინძურებს სოფელს. ეს ასეა, მაგრამ ნებვი ისეთი საჭიროებაა უშგულელისათვის, რომ უიმისოდ ცხოვრებაც შეუძლებელი იქნებოდა. თუ ნებვი არ დააყარა ყანას—ნამუშავარი არ მოვა. მოდი და ამის შემდეგ უთხარი უშგულელს, სახლის ახლო ნუ ჰყრი ნაკელს, ყნოსვას მოგიწამლავსო.

ერთის მოგზაურისათვის ვიდაცას განუმარტავს, თუ რამდენად საჭიროა უშგულელისათვის ნებვი, და იმ მოგზაურს აი რა აზრი

შეუდგენია: სვანებს ისე უყვართ ნებვი, რომ მზითვად აძლევენ ქალებსაო. ამისი გამოჯავრებული მეორე მოგზაური სრულიად უარ-პყოფს არა თუ ნებვის მიცემას მზითვად, არამედ სრულიად ყველს გვარს მზითევს. ღმერთმა შეიღობა მისცეს ორივეს!.. სახლში მინდურად სცხოვრობს უშგულელი და ან როგორ არ უნდა სცხოვრობდეს უწმინდურად, როდესაც პირუტყვებსა და პირმეტყველებს შუა 3—4 საყენი-დაა მარტო. ამას დაუმატეთ უშგულელის ქვეშაგების უვარგისობა, უსუფთაობა და ადვილად წარმოიდგენთ უშგულელების სიწმინდე-სიფაქიხეს სახლში. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ავად-მყოფობა ხშირი არ არის. იცის მღიერი, კბილის ტკივილი, თიაქარი, ჭია, ანთება და იშვიათად სახადი. სხვა გადამდები სნეულება უშგულში არაფერი იცის და ეს უნდა მიეწეროს კარგს ჰაერს, რომელიც აქ სწორედ სასწაულს სჩადის. სოფლის უწმინდურებაში სახლების ერთმანერთის ახლო დგომასაც წილი აქვს. ზოგიერთი სახლი ერთი მეორეზეა მიკრული; სადაც სახლები დაშორებული არის, იქ სახლსა და სახლს შუა მანძილი ერთს საყენს არ აღენატება. ეს მანძილია ქუჩა; ქუჩები მიხვეულ-მოხვეულია.

უშგულში, როგორადაც სხვაგან სვანეთში, ჯოგები არ იციან. ამის მიზეზია ხანგრძლივი ზამთარი და თივის სამყოფად ვერ შენახვა, თორემ ზაფხულში უშგულის საბალახოები რამდენსამე ათი ათას პირუტყვს ჰყოფნის. მერე როგორი საბალახობია? გაზაფხულდება თუ არა, უშგულელები მეწველ ძროხებსა და თხა-ცხვარს გარდა დანარჩენს პირუტყვს გარეკავენ საბალახოდ. პირუტყვი მთელი ზაფხული შემოდგომამდე თავის ანაბარაა გაშვებული. არც მწყემსი, არც არავითარი ყურისგდება არ ეჭირება. პირუტყვი დასეირნობს ვრცელს მთა-მინდვრებში, და პატრონი მარტო შემოდგომაზე მოსძებნის, რომ საზამთროდ სახლში მირეკოს. ის უშგულელი ცალკე მოსახლობას ვერ გაჰბედავს, რომელსაც არა ჰყავს ერთი უღელი ხარი, ერთი ძროხა და სამი-ოთხი თხა-ცხვარი და ღორი. შეძლებულს ოჯახებს-კი ჰყავთ 10—12 ძროხა, ამდენივე ხარი, 2—3 ცხენი, 30 თხა-ცხვარი და 15—20 ღორი. ამაზე მეტის პირუტყვის შენახვა უჭირს მოსახლეს ზამთრობით. უშგულში ამჟამად ითვლება 165 საულლე ხარი, 209 მეწველი ძროხა და 52 ცხენი. წვრილ ოთხ-ფეხზედ ცნობები ნამდვილად ვერ შევკრიბეთ. ქათამს ძვირად მოაშენებენ ხოლმე, მთელს საზოგადოებაში 40—50 ქათამი თუ იქნება, ისიც ბევრია. ჰაერის სიცივისა გამო კრუხი 20 კვერცხიდან 6—10 წიწილსა სჩეკს. ინდაურის, ბატის და იხვის ხსენება აქ სულ არ არის. არ იციან აგრეთვე ჯორი და ვირი. მცოდნე კაცების სიტყვით, სვანური — და მაშასადამე უშგულისაც — საქონელი კარგის ჯიშისაა და კიდევაც მოსწონთ. ჩვენ-

კი ამას ვიტყვით, რომ სილამაზით სვანურს საქონელს ჩრდილოეთ კავკასიის საქონელი სჯობია; ხოლო სვანური საქონელი ბევრად უფრო გამრჩეა და ხორცად უფრო გემრიელია.

უშგულელს ძლიერ უყვარს მოყვანილის ტანისა, და რუხი ფერის ხარი. უშგულის მეწველი ძროხა განთქმულია სვანეთში; კარგი ძროხა 6 ვერმუტის ბოთლს რძეს იძლევა დღეში; როგორც რიგია, ისეთი მოვლა რომ ჰქონდეს, რატომ 12 ბოთლს არ უნდა მოიწველდეს! ხარ-ძროხის ტყავებს ზოგს ჰყიდიან ლაილაშსა და ონში ფართალზე, ზოგს ქალამნად იყვრებენ. თხა-ცხვრის დახეილ ტყავებისას საზამთრო ქურქებს იყვრებენ.

\* \* \*

უშგულელის და საზოგადოდ სვანის ტანისამოსი იყო (ეხლა ცოტა არ იყოს სხვა გვარი ტანისამოსი აცვიათ) მოკლე, ძლივს მუხლამდე ჩამოწეული შალის ჩოხა; შალისავე შარვარი, პაიჭები, სამუხლები და ყაბალახი; ადგილობრივის ტილოს პერანგი, ან ჩითეულობისა; ქული ნაბდისა და ტყავისა. უშგულში წმინდა შალეები არ იციან; რადგანაც დიდი ყინვები იცის ზამთრობით, ამისათვის საჭიროა მსხვილი და თბილი შალეები შეიკერონ ჩოხებად.

ქალამანი ორგვარი იციან: ბანდული და რგვალი. ბანდულს ხმარობენ სამგზავროდ, სანადიროდ, ერთის სიტყვით, ცუდს გზებზე; რგვალს ქალამანს-კი — უფრო შინ, სოფლად. როგორც ბანდულში, ისე რგვალს ქალამნებში ჩაიტანებენ ხოლმე წინდების მაგიერ „თომს“ (წერექე). არც ერთი ბალახი ისე თბილად არ ინახავს ფეხს ზამთარში, როგორც თომი და ამიტომაც ყოველს შემოდგომაზე ოჯახი ერთ მარხილ თომს ინახავს ცალკე ამ დანიშნულებისათვის.

ზამთარში როგორც კაცები, ისე ქალები იცვამენ ტყავის ქურქებს. ღართს ადგილობრივ არავინ აკეთებს და ამისათვის ძვირად ვისმე აქვს. ქალებს აცვიათ გრძელი პერანგი თავის ამხანაგითურთ, ზედ წინ-გახსნილი და ღილებ-დაწკრილებული, დასიპრული ახალუხი; თავზე ჰხურავთ ლეჩაქები, რომელთაც ურიბებით იყრებენ. სიმდიდრედ მიაჩნიათ, თუ ვისმეს ყანაოზის პერანგისა და ხავერდის ქათიბი აქვს. ფეხსაცმელი ქალებისა იგივეა, რაც კაცებისა. სარტყელს თითონვე იქსოვდნენ შალისას და უფრო ცისფრად შეღებილი სარტყელი უყვარდათ. შეძლებულს ქალებს ჰქონდათ გულზე ჩამოკიდებული „ჩაფრასტ“-ი (нагрудник). ყელზე აბიათ ქალებს სხვა-დასხვა გვარისა და ფერის მძივები. ყველაზე უფრო მოსწონთ ქარვა და წმინდა გიშერი.

უშგულელს უნდა ჰქონდეს თოფი, ხანჯალი და აქა-იქ ფიშტოცა.



დაშნას უშგულში არა სცემენ პატივს და არც ვისმე აქვს. ჩხუმში დაშნა ვერაფერს ახერხებს სვანეთში, რადგანაც ყოველს კაცს გრძელი და მსხვილი ჯოხი აქვს და დაშნაინს კაცს ჩხუმის დროს, ჯიხის შემწეობით ახლო არავინ მიიკარებს. სადაც თოფია, იქ, რასაკვირველია, ტყვია-წამალიც უნდა იყოს და იმათი შესანახავი ჭურჭელიც ასეც არის. სვანს სარტყელზე აქვს ჩამოკიდებული „ვაზნა“, რომელიც გადაკიდებული აქვს „საპირწამლე“. ქამარზევე აქვს ჩამოკიდებული კვესი, საქონე (ლალტომარ). საქონე საჭიროა, რომ იარაღს წააცხოს ხოლმე და დაქანგებისაგან დაიცვას. ვისაც თოფი აქვს, იმას უთუოდ მასრები, ან როგორც იმერეთში ეძახიან, ქილებიც უნდა ჰქონდეს ჩოხის ჯიბეში. შეიარაღებულს კაცს მასრებში გამოუღეველად უნდა ჰქონდეს თოფის წამალი, გამოწყული თითო თოფის სროლა. მასრებს დაცობილი აქვთ თოფის ფინთიხები; საჭირო და საჩქარო დროს სვანი უცებ ამოიღებს ჯიბიდან წამლიანს ქილას, კბილით ფინთიხს ახდის და პირში ჩაიდებს; როგორც-კი ერთის ხელით ქილიდამ თოფში წამალს ჩაჰყრის, მაშინვე პირით ფინთიხს მიიტანს თოფის ტუჩთან დასაცობად და ამ ფინთიხს სწრაფად ჩასწევს ხოლმე ზუმბით. დატარიელებულს მასრას მაშინვე ავსებს წამლით ვაზნიდამ.

წამოსადგობით და ახოვანებით უშგულში უწინ განთქმული იყო ხალხი; აქ ხშირად შეხვდებოდა ადამიანი საყენის სიმალლე კაცსა. ხელა-კი, მას აქეთ, რაც მოზარდ თაობამ სამუშაოდ სიარული დაიწყო სხვა-და-სხვა ადგილას, ხალხი დაწვრილმანდა. საზოგადოდ უშგულში შუა ტანისა და ჩასკვნილი ხალხია, ფერად შავგვრემანი; აქვს მოშაო თმა-წვერი. წმიდა თეთრს ვერც კაცს და ვერც ქალს ვერ შეხვდებით. კაცები წვერს იპარსავენ და თმას იკვეცენ იმნაირად, რომ წინ შუბლის შუამდე ჩამოაწევენ, მერე ყურებამდე; ყურებს უკან თმა უფრო გრძლად არის მოკვეცილი, ასე რომ საყელოს ზედაპირს ჰფარავს, ისე აქვს გადაფენილი. ქალები თმას ნაწნავებად იკეთებენ; გრძელსა და შავს ქალის თმას, როგორც სხვა საქართველოს კუთხეებში, უშგულში ვერა ჰნახავს კაცი, თუმცა ქალის თმა დიდი სამკაული ჰგონია ხალხსა.

უშგულში, სადაც 500 სული კაცი სცხოვრობს ამჟამად, ორი კოჭლია, სამი ბრმა (მოხუცებულნი) და ოთხი ცურუ. ყიყვი, რომელსაც ზოგიერთ სოფლებში ჰხედავენ კაცი, აქ არ იცის. უშგულელი საზოგადოდ ამაყი და ავ-გულია; მოთმინება იცის, მოთმინებიდან გამოყვანილი-კი არც სხვას ჰზოგავს და არც თავის თავს. ტყუილად-კი არ დარქმევია ამ საზოგადოებას „უშგულ“-ი, რომელიც ქართულად უკულმას, უკულმართს ჰნიშნავს. უშგულელები დანარჩენს სვანებს ძველის დროიდან შემდეგის ეპიტეტებით შეუშკაით:

უშგვლარ, დავარ!  
უშგვლარ, ჭეცარ!  
ესე იგი:  
უშგულელებო, დევებო!  
უშგულელებო, მხეცებო!



მართლაც უშგულს თავისუფლების დაცვისათვის ხშირად ეჭირებოდა დევის ძალა და სასტიკი მხეცური ღონისძიება იმათ წინააღმდეგ, ვინც ჰლამობდა იმის დამორჩილებას.

აქ ცოტა ხანს უნდა შეეჩერდეთ და თვალი გარდავაგლოთ უშგულის წარსულს, რამდენადაც ამის ნებას მოგვცემს ჩვენ მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცოდნა.

\*

\* \*

უშგული, როგორც ნათქვამია, თავისუფალ სვანეთის თავში მდებარეობს; უშგულზე უფრო ახლოა რაჭა-ლეჩხუმი, ნაწილი ოსეთისა, და საღადიანო სვანეთი, ვიდრე სხვა სოფლები სვანეთისა. ყველა დასახლებულის ქვეყნების თავადიშვილებს მუდამ სურვებიათ უშგულის და შემდეგ თავისუფალის სვანეთის დაპყრობა, მაგრამ ცდას ყოველთვის ამაოდ ჩაეარა, რადგანაც უშგული წინ უხვდებოდა და პასუხს აძლევდა თოფითა და ხანჯლით, როგორც ეს ქვემოთ აღმოჩნდება. უწინდელი უშგული ისე ფრთხილად უდგა თავის თავს, რომ ცხენოსანს თავადსა და აზნაურს სოფლად არ გაატარებდა. ასეთის ამბის მომსწრენი დღესაც მოიპოვებიან უშგულში. რომელსამე თავადიშვილს რომ უშგულში მოსვლა სდომებოდა, ცხენი სამის ვერსის სიშორეზე უნდა დაეტოვებინა სოფლიდამ და თვითონ ფეხით შემოსულიყო. მაგალითები მიაბმეს, რომ ზოგიერთ თავადიშვილს ეს არ ეკადრა და ცხენით უკან დაბრუნება ემჯობინებინა უშგულში ქვეითად შესვლასა. ასეთის ქცევით უშგული ცხადად აჩვენებდა რომელსამე თავადიშვილს, რომ იგი, რაკი უშგულში ფეხს შესდგამს, სრულიად არ არის „თავადი“, არამედ თანასწორია უშგულელებისა და ტყუილად იფიქრებს, გაიტანოს რამე უშგულიდამ. თუ თ. დადიშქელიანებმა თავისუფალი სვანეთი ვერ ჩაიგდეს ხელში პირველად, ეს უშგულის წყალობით იყო. თუმცა ლატალი — ეს საბატონო სვანეთის მესაზღვრე საზოგადოება მუდამ ფრთხილად იყო, რომ დადიშქელიანის გვარს ფეხი არ შემოედგა თავისუფალს სვანეთში, მაგრამ, როგორც სჩანს, რამდენჯერმე-კი მომხდარა ესა.

ფუთა დადიშქელიანმა, რომელიც ეხლანდელის დადიშქელიანების წინაპარი იყო, მთელს სვანეთში გაიკვლია თურმე გზა და ბოლოს

უშგულს მიაღწია და მოინდომა იმისი დამორჩილება. ეს განძრახვა ფუტას ძვირად დაუჯდა; უშგულელებმა მოჰკლეს ეს გამბედავი კაცი. ამავე გვარიდამ უშგულს მოუკლავს კიდევ ყვარყვარე. ასევე უშგულელებმა ხალხის გარდმოცემა და დღემდე უშგულში დარჩენილი მესახეებ საერო სიმღერა.

მართალია, გარდმოცემა დაწერილ ისტორიულ ფაქტისავით არ არის შესაწყნარებელი, მაგრამ იმისთანა ხალხში, როგორნიც არიან სვანები, რომელთა არა აქვთ ლიტერატურა და დაწერილი ისტორია. ამგვარი გარდმოცემანი ცოტათ თუ ბევრად დაწერილ ისტორიის მაგიერობასა სწევენ. განა ძველთა ერთა ზოგიერთმა ზებირმა გარდმოცემამ შემდეგში ნამდვილი ისტორიული ფაქტები არ შეამოწმა და არ დაამტკიცა? ასე ვუყურებთ ჩვენ გარდმოცემას ფუტაზე და ეს გარდმოცემა ნამდვილ ამხად მიგვაჩნია.

ფუტა დადიშქელიანზე ორგვარი გარდმოცემა არსებობს, ერთმანერთისაგან ცოტაოდნად განსხვავებული. ერთი მოთხრობილი აქვს ბ-ნ სტოიანოვს თავის „Путешествие по Сванетии-“ში, რომელიც დაბეჭდილია Записки Кавк. Отд. Имп. Русск. Геогр. общ. წიგ. მე-Х, 1876 წ. ამ ლეგენდის სიტყვით ფუტა მოჰკლეს უშგულელებმა ასე: მიიპატიჟეს სოფლად, გაუკეთეს სადილი; ნასადილევს უღალატეს და თოფით მოჰკლეს. მთელმა საზოგადოებამ შეაგროვა ერთი სროლა თოფის წამალი და თოფისავე ტყვია; მოიტანეს თოფი, გასტენეს; სროლის დროს ყველამ ხელი მოჰკიდა და ამწირად მოჰკლეს ფუტა. ეს იმიტომაო, უმატებს ჩვეულებრივ ბ-ნი სტოიანოვი, რომ მარტო ერთს არავის დაჰბრალდეს ფუტას მოკვლა, არამედ მთელს საზოგადოებასაო. ფუტას დარჩა შვილი ისლამი; იგი მამის სიკვდილს უხდის უშგულს. ამ მაგიერის გარდახდას თთ. დადიშქელიანების ორის თთვის სტუმარი, ბ-ნი სტოიანოვი, ერთობ აზვიადებს. მეორე ვარიანტი ამ ლეგენდისა, რომელიც, ჩვენის აზრით, უფრო ახლოა ჭეშმარიტებაზე და უშგულშივე გვაქვს გაგონილი და ჩაწერილი, მოგვითხრობს შემდეგს ფუტას მოკვლაზე.

შემდეგ ეცერის (დადიშქელიანების სამყოფი რეზიდენცია) დაპყრობისა, ფუტა დადიშქელიანმა მოინდომა მთელის სვანეთის ხელში ჩაგდება. მტრობით, ძალ-მომრეობით რომ ვერაფერი გააწყო, მოყვრობას მიჰყო ხელი, ე. ი. სხვა-და-სხვა თავისუფალ სვანეთის სოფლებში რამდენიმე მოსახლე კერძ-კაცად, ნაცნობად გაიხადა. ამითი ფუტამ იმას მიაღწია, რომ ყველა სოფელში გზა გაიკვლია და მისვლა-მოსვლას არავინ უშლიდა. ეს მოახერხა ფუტამ ყველგან, გარდა უშგულისა, რომელმაც იგი არც მოყვრად და არც მტრად ახლო არ

მიიკარა. ამისათვის გულმოსულმა ფუთამ დაუწყო უშგულის მტრობა; რამდენჯერმე მოვიდა პირუტყვის წასართმევად, მაგრამ უშგული ყრველთვის წინ-და-წინვე შეუტყობდა ხოლმე და ფუთა სირცხვილელული ბრუნდებოდა შინ. უკანასკნელად ფუთა თავის მხლებლებით სოფ. მუყმერის ახლო ჩაესაფრა, თოფის სასროლს მასშიღებ. სოფელმა ეს შეიტყო. ამ დროს სოფ. მუყმერში სტუმრად ექვსი დვალეთელი იყო. ამათ ჰქონდათ უჩახმახო თოფი. სვანეთში მაშინ თოფი არ იყო და მთელი სოფელი ამ უჩახმახო თოფსა სინჯავდა და ეკითხებოდნენ დვალეთლებს, ეცხსნათ თოფის ხმარება. დვალეთლებმა თოფი გასტენეს და სთქვეს: თუ ფუთას მოკვლა გინდოდათ, ამ თოფით მოვკლავთო. სოფელი დასთანხმდა. რაკი თოფი უჩახმახო იყო, მოკიდებული აბედი დაადევს იმ ადგილას, სადაც თოფს ჩახმახთან ფალია აქვს. პირი თოფს ფუთასკენ უყვეს. გავარდა თოფი, ფინთიხი ფუთას მხლებელს მოხვდა თითში და მოსჭრა. ფუთას გაუკვირდა ამბავი თოფისა, რომელიც არ იცოდა რა იყო, გაუკვირდა თოფის ხმაცა და ისიც, რომ თოფის ხმის შედეგი მის მხლებელის თითის წახდენა იყო. ფუთა გაფაციცებით მიაცქერდა იმ კოშკს (ახლაცა სდგას ეს კოშკი), საიდგანაც თოფი გამოვარდა. ამ დროს კოშკიდან გამოსროლეს მეორედ თოფი; ფინთიხი ფუთას შიგ პირში მოხვდა და უკანალში გავარდა. ამგვარად ფუთას მოკვლას ჰმოწმობს აგრეთვე ერთი ადგილი საერო სიმღერისა, რომელიც ამ შემთხვევის გამო დარჩენილა უშგულში.

უშგულარ დავარ, უშგულარ ჰეცარ!

იმ ხაჩმავნედ მაწვდი ფუთას!

ფუთა ბოლან, ფინდიხშე...

აი ქართული თარგმანი:

უშგულელებო დევებო, უშგულელებო  
მხეცებო!

რას აქნევენებთ მართალს ფუთას!

ფუთა ბოლანო (?) ფინთიხით გადინარო.

სასიკვდილოდ დაჭრილი ფუთა თავის მხლებელთ უკან წაიღეს. ამასთანვე ერთი ფუთას მხლებელი ეცერს წავიდა ფუთას შვილ ისლამთან ამბის შესატყობინებლად. როგორც-კი გაიგო მამის სამწუხარო ამბავი, ისლამი მაშინვე გამოვიდა ეცერიდან მამის მისაგებებლად და კალას ჭალას შეხვდა. ფუთას კიდევ ედგა სული, როცა ისლამი მოვიდა, მაგრამ სიცოცხლის პირი-კი აღარა ჰქონდა. რაკი ისლამმა ეს გაიგო, დაეკითხა მამას—ფუთას: ის გირჩევნია, რომ კარგი აღაპი გადაგიხადო, თუ გისისხლოვო?... ფუთამ მიუტყო: მე შენ ვერ მისისხლებ და ისევე ის ემჯობინება, აღაპი გადამიხადოო. სთქვა ეს ფუთამ და



კიდევაც ამოუვიდა სული. (ოხჩად ქვინ) მოკლულის მამის გვამი ისლამმა ეცერს წაასვენა და დამარხა.

რამდენისამე ხნის შემდეგ შეჰყარა ისლამმა თავისი საქმის წინააღმდეგ მამის სურვილისა — უშგულს გასწია სამტროდ. თავისუფალ სვანეთის სხვა საზოგადოებათა შეიტყვეს, ეწყინათ ისლამის ამგვარი კადნიერება და წინ დაუბნდნენ გზაზე, — პირველად ლატალი, შემდეგ ლენჯერ-მესტია, მულახ-იფარი, კალა, — და სანამ ისლამი თავის ჯარით უშგულს მოადწევდა, ჯარი სულ ამოუხოცეს. როდესაც ისლამი რამდენისამე მსლებელით უშგულს მოახლოვდა, კაცი გაგზავნა მოციქულად და სთხოვა უშგულს შერიგება და მამის სისხლი (წორ). უშგული დაყაბულდა; მიიღო ისლამი სოფლად, მისცა გადაჭრილი საქონელი სისხლში, დააფიცა, გვიერთგულყო, და განუტევა სახლში. სოფელს რომ გასცილდა, ისლამს შეხვდა დედა-შვილი. ისლამი თხოულობს ამით რამდენისამე წლით და ჰპირდება რომ შემდეგ დაგასაჩუქრებთ და ისე განგიტევებთო. დედა-შვილის პატრონები უარს არ ეუბნებიან. ისლამმა შვილი თვითონ შემოისვა ცხენზედ; აი ისლამი მიდის გზად წმ. ბარბარეს ეკკლესიის ახლო. აქ უცებ ცხენი ძირს ეცემა და კვდება, უნაგირი ზედ ემტვრევა. შეშინებული ისლამი დაიჩოქებს და ეხვეწება უშგულის წმ. ბარბარეს: ოღონდ მე ცოცხალი გამიშვი და უშგულისაგან არაფერს არ წავიღებ და არც არაფერი მინდაო. ისლამმა იფიქრა, რომ უთუოდ უშგულის სალოცავებს სწყინთ, რომ მამიჩემის სისხლი მიმაქვსო; ადგა და როგორც დედა-შვილი, ისე სხვა საქონელიც, რაც უშგულელებმა მამის სისხლში მისცეს, ყველა იქ დასტოვა. ამას გარდა ისლამი უშგულის ღვთისმშობელსა და წმ. ბარბარეს დაჰპირდა ყოველს წელიწადს თითო ხარს, რასაც ისლამი თავის სიცოცხლეში უტყუარად ასრულებდა. ამნაირად გადარჩა უშგული ისლამის მტრობასა.

ფუთას მოკვლის შემდეგ გასულა რამდენიმე ხანი. ეცრის დადიშქელიანები გამრავლებულან და ერთი ამათი განაყოფი, დუდა დადიშქელიანი, ბეჩოს საზოგადოებაში წამოსულა სამოსახლოდ. ეს შტო ისე გაძლიერებულა, რომ ეცრის დადიშქელიანთაგანი ისლამი (არა ფუთას შვილი) „ქაშაგში“<sup>1</sup> გადუგდია, სახელდობრ, ბერიანთში. ისლამი ბერიანთში დარჩენილა ათი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში ისლამი მუხლთ მოდრეკილი ეხვეწებოდა თურმე „ქაშაგის“ (ყაბარდოს) თავადებსა და ბატონებს, რომ ჯარი გაეყოლებინათ იმისთვის ეცრის დასაბრუნებლად. აი როგორ მოგვიტხრობს ამას საერო სიმღერა, რომელიც მარტო უშგულში იციან.

<sup>1</sup> ქაშაგი არის ეხლანდელი ყაბარდო.

....დუდაუშა ლუქდუსულვი  
 ისლამ ოთკვარახ ბერიანთე;  
 ეშდ ლეთ ზაილდ ბერიანთს ჯადა,  
 ლულა მეტყვეფვი ჯეროლა,  
 ნალგვრალუ ქაშგარეში,  
 ნაჩქეენილუ ფუსნარეში....

ესე იგი:

დუდაიანთ ამპარტავენბს  
 ისლამი ვადუგდიათ ბერიანთს;  
 ათი წელი იქ დაპყო (ისლამმა)  
 მუხლი მოცვეთილი ჰქონდა,  
 ნახვეწარი ქაშაგებისა (ყაბარდოელებსა).  
 ნაჩოქარი ბატონებისა....

ამგვარად ისლამის მუხლთ-მოდრიკეთ ხვეწნას გაუჭრია; ქაშაგე-  
 ლებს ლაშქარი მიუტიათ, ანუ, როგორც სიმღერა ამბობს, „ბერიანთ  
 ადქუთვან ლაშგარი“ (ბერიანთით დაიძრა ლაშქარი) და ეცერს მოუ-  
 ყვანია. ისლამს ეცერი დაუჭერია და დუდას შთამომავალი გაურეკია.  
 აი ამ დუდა დადიშქელიანის შთამომავალს, ვინმე ყვარყვარეს მოუნ-  
 დომებია უშგულის დაპყრობა. ძალით რომ ვერაფერი გაუწყვია, შვი-  
 ლობილად აუყვანია ერთი უშგულელი, მონადირე ბექა. ყვარყვარე  
 რამდენჯერმე მისულა სტუმრად თავის შვილობილ ბექასთან და ეს  
 უკანასკნელიც ყვარყვარესთან. ყვარყვარე დაფიცებული ყოფილა  
 უშგულის ერთგულებაზე. ერთს ზაფხულში იმან სოფ. ყიზიანის (უშ-  
 გულშია) პირუტყვების წართმევა მოინდომა, მოსდვა თურმე ხელი და  
 მიერეკებოდა იდუმალ. ამ დროს ყვარყვარესთვის შეეხედნა ბექას  
 ცოლს და მაშინვე ქმართან გაქცეულიყო. ბექას ყვარყვარეს საქციე-  
 ლი ძლიერ სწყენოდა, დასწოდა უკან, ეხვეწნა ბევრი, რომ პირუტყ-  
 ვი დაეტოვებინა, მაგრამ ყვარყვარეს არ შეეცმინა; მაშინ ბექამ  
 ესროლა მშვილდისარი და ყვარყვარე იქვე მოკლა. მკვდარი სოფლად  
 წამოეღო, დაემარხა. ყვარყვარეს ტანისამოსს დღემდე გაჩვენებენ  
 ხოლმე უშგულელები თავიანთ ღვთისმშობლის ეკკლესიაში. ამითი  
 გათავებულა დადიშქელიანების წადილი უშგულის დაპყრობისა და  
 იგი ხელშეუხებელი დარჩა დადიშქელიანების მხრით სამუდამოდ.

დადიშქელიანები მოიშორეს უშგულელებმა, მაგრამ მოსვენებას  
 მაინც ვერ ეღირსნენ; იმათი დაპყრობა ესლა სხვა მხრის თავადიშვი-  
 ლებმა მოინდომეს და ამ თავადიშვილებთან სხვა-და-სხვა მიზეზის გა-  
 მოც ბრძოლა ჰქონდათ. რომლიდგანაც ძველი უშგული ყოველთვის  
 გამარჯვებული გამოდიოდა. რასაც ამის ქვემოთ მოვუთხრობთ მკითხ-  
 ველს უშგულსა და სხვა თავადიშვილებს შუა ბრძოლაზე, ის ნამდვილი  
 ამბავია და არა ლეგენდა. უშგულის საზოგადოებას სამხრეთით უძველ-  
 ლაშხეთის საზოგადოება. ეს საზოგადოება ცხენისწყლის ხეობაშია და

თავია ესრეთ-წოდებულის სადადიანო სვანეთისა. მცხოვრები აქ 300—350 მეკომური იქნება. ძველად ლაშხეთსაც, როგორც თავისუფალს სვანეთს, თავისი ამორჩეული მახვშიები ჰყვანდა თურმე, მგეგაღი რამ დროს განმავლობაში სხვა-და-სხვა თავად-აზნაურობის გვარებში იმოდენა მოახერხეს, რომ ლაშხეთი საყმოდ გაიხადეს. როგორც მიაბო ლაშხეთის მოხუცებულმა, რომელსაც ას რვა წელიწადი მიუდის, სამსახურიდამ გამოსულმა მღ. სიმონ გაბიანმა, ლაშხეთს ყველაზე პირველად დაჰბატონებია ლასხიშვილი<sup>1</sup>. ლასხიშვილის გვარეულობა გადუვდია ჯაფარიძეს, ჯაფარიძე—ყიფიანს. არც ერთი გვარეულობა ისე უდიდესად არ იყო თურმე, როგორც ყიფიანი. ყიფიანებში ყველაზე შესანიშნავი ყოფილა სიმღერა „ყანსავა“-ს და გარდმოცემის ბეჟანა ყიფიანი. ეს ბეჟანა ყიფიანი მოუკლავთ უშგულელებს ცენას ხეობაში, „ნაშალვარე ლარაში“. ამ შემთხვევაში ე. ი. ბეჟანას მოკვლაზე ჩვენ შარშანაც ვსთქვით ორიოდ სიტყვა „ივერიაში“, დაწვრილებით აღწერას-კი შემდეგისათვის გპირდებოდით და აი ეხლა კიდევაც ვასრულებ ამ დაპირებას.

ლაშხეთში ყოფილა ორი მეგობარი (ლაცლამგვა) კაცი, სახელდობრ დოჩა გაბიანი და ფარცველან ფარცველანი. ფარცველანს ჰყოლია მახინჯი და. დოჩას ეს ფარცველანის მახინჯი და ცოლად მოუწოდომებია. ფარცველანი თურმე ამისი წინააღმდეგი იყო; მე ვიცო, უთხრა თურმე ფარცველანმა დოჩას, შენ ჩემს დას ცოლად ვერ იგუებ ბოლომდე, გაგდებ, ეს მე მეწყინება და ჩვენი მეგობრობა მტრობად შეიცვლებაო; რომ ასე არ მოხდეს, თავი დაანებე ჩემს დასაო. დოჩას მაინც არ დაუშლია თავისი და შეუერთავს ფარცველანის მახინჯი და, რომელიც ერთს წელიწადს ჰყოლია და შემდეგ გაუგდია. ეს ფარცველანს სწყენია; აუღია პატარა კვანი, თავის სახლსა და ყანებში ამოდებული მიწა ჩაუყრია, წამოუღია და უშგულის ღვთისმშობლის კარზე ჩამოუყიდნია. ძველად ეს იყო ნიშანი საზოგადოების შეხვეწნისა და ამგვარს ხვეწნას საზოგადოება ყოველთვის ასრულებდა. უშგული თავს იყრის. ფარცველანი სთხოვს ყრილობას დოჩა გაბიანის ძლიერად დასჯას. ყრილობა პატივსა სცემს ფარცველანის ხვეწნას და უშგულის მაშინდელის მახვშის ბეგამ რატიანის წინამძღოლობით მიდის ლაშხეთს დოჩა გაბიანის დასასჯელად. დოჩას სოფლად ვერა ნახვენ. უშგული თავს ესხმის დოჩას სოფელს შგედს და კიდევ ორ მახლობელს სოფელს — ნაცულსა და ღვებს. რაც რამ პირუტყვი გააჩნიათ ამ სამ სოფელს, უშგული ართმევს. შგედელები მიდიან ლაშხეთის მაშინდელს ბატონ (მახვში) ბეჟანა ყიფიანთან და

<sup>1</sup> ლასხიშვილები დღეს ლეჩხუმში აზნაურებად ითვლებიან.

სთხოვენ შეეწიოს მათ და უშგულს დაატოვებინოს წართმეული საქონელი. ბეჟანა საჩქაროზე თავს უყრის მთელს ლაშხეთს და უკან ედგნება უშგულელებს, რომლებსაც გზა ცხენისწყლის ხეობაში უშგულელებს ბეჟანა მდევარით მოდის ფარარის (ადგილია) ბოლოს.

უშგული ამ დროს ფარალათად ზის ცენას წყაროზე, რომელიც ფარარს ჰშორავს ერთის ვერსით. ცენას იმ ყამად ცხოვრებულა ვინმე გიერგი, გვარად თოდრუანი, მოხუცი და ბრმა. როდესაც ქალებს უთქვამთ გიერგისათვის, რომ ბეჟანა ყიფიანი თავის საყმოთი უშგულს მოსდევსო, იმას, გიერგს, მშვილდისარი მოუთხოვნია და უთხოვნია ქალებისათვის დანიშნულს ადგილას დაეჯდინათ იგი და ამასთანავე ეთქვათ, თუ ამა-და-ამ ადგილას როდის გამოივლის ბეჟანა თავის ჯარითაო. ქალებს მოხუცის სურვილი აესრულებინათ; ქალებმა დანიშნულს ადგილს დასვეს და შეატყობინეს, როცა ბეჟანა იმ ადგილს მოვიდა, რომელიც გიერგიმ ქალებს დაუნიშნა. მაშინ გიერგის აეღო მშვილდისარი, პირი ბეჟანას ჯარისაკენ ექმნა, ესროლნა და ისარი ბეჟანას მობაირადეს მოხვედროდა და იქვე მოექლა. ბეჟანას ერთობ სწყენოდა ეს შემთხვევა, უფრო აეჩქარებინა ფეხი, რომ მალე დასწეოდა უშგულს და ჯავრი ამოეყარა მათზე.

ბეჟანი მიუახლოვდა თუ არა უშგულელებს, მაშინვე მუქარა დაღმინება დაუწყო. უშგულის მახვში ბეგაში თავაზიანის სიტყვით მიეგება თურმე ბეჟანას და ურჩია უბრძოლველად დაბრუნებულიყო უკან. ბეჟანას ყური არ ეთხოვა მახვშის რჩევისათვის და მაინცა-დამაინც ბრძოლა მოენდომებინა. მახვშის რომ არაფერი გასვლოდა, უშგულისათვის ეთქვა, რომ მამაცად ებრძოლნათ და სირცხვილი არ ენახათ. ამასთანავე დაეძახნა ბეჟანასათვის: თუ მაინცა-და-მაინც არ იშლი ჩვენთან ბრძოლას, ისროლე შენი ისარიო. ბეჟანას მახვშისათვის ესროლა ისარი, მახვშიმ ზელი მიაგება თურმე და ისარი დაიჭირა. ამგვარად მახვში გადაარჩა. მერე ბეგაშს ესროლა ბეჟანასათვის ისარი. ბეჟანას, მახვშის წამხედვარს, ისრის დაჭერა ნდომებოდა, მაგრამ ვერ დაეჭირა, ისარი სახელოში შესულიყო, მარჯვენა ილიაში მოხვედროდა და მარცხენაში გასულიყო. ბეჟანა მაშინვე ჩამოვარდნილიყო ჯორიდან და იქვე მომკვდარიყო. ეს რომ ლაშხეთლებს დაუნახავთ, ელდა სცემიათ, შეშინებიათ და უკან გაქცეულან. უკან უშგული დასდევნებია და ერთის მოამბის მეტი, და ისიც გლახისა, არავინ გაუშვიათ ცოცხალი. სადაც ეს ბრძოლა მომხდარა, ის ადგილი დღემდე იწოდება „ნაშალვარე ლარე“-დ (ნაომარი, ნაბრძოლარი სათიბი).

ეს ამბავი მომხდარა ზაფხულში. სიცხის გამო ბეჟანა ყიფიანს მართო დარაიის პერანგი სცემევია. ეს პერანგი გაუხდიათ, მოუკიდნიათ



გადარჩენილ მოამბისათვის; ამ მოამბისათვის ხელები უკან შეუკრავთ, ლაშხეთს გაუშვიათ და დაუბრუნებიათ: ეს პერანგი ბეჟანას ცოლს მიუტანეთ. გლახა მოამბეც ასე მოქცეულა. როდესაც ბეჟანას სახლს მიახლოვებია, დაუნახავს, რომ იმისი ცოლი გალავანზე გადმომდგარიყო და მოუთმენლად მოელოდა თავის გამარჯვებულის ქმრის ამბავს. ბეჟანას ცოლს რომ ეს გლახა დაენახა მისკენ მიმავალი, ეცნო და დაეძახნა: — აბა, შე გლახა, რა ამბავი მოგაქვსო? — ჩამოდი და ნახავ, რაც ამბავი მომაქვსო, მიეგო გლახას. ცოლს ქმრის პერანგი ეცნო, გულს შემოჰყროდა, გალავნიდამ გადმოვარდნილიყო და ძირს დანართხოდა. ბეჟანას ცოლი მაშინ ორსულად ყოფილიყო.

\*  
\* \* \*

გამარჯვებული უშგული ნაშოვარიტურთ მშვიდობით დაბრუნებულიყო სოფლად. უშგული ბეჟანა ყიფიანის მოკვლის გამო გადაეკიდა მეორე ძლიერს და შინაურს მტერსა. ბეჟანა ყიფიანს ცოლად ჰყოლოდა მულახის<sup>1</sup> მახვშის ქავშუბის და, მარიხი, შესანიშნავად ლამაზი ქალი. მახვში ქავშუბს ერთობ სწყენია თავის დის მარიხის სიკვდილი, დაუფიცნია, რომ ამას იგი არ შეარჩენს უშგულს. თავი მოუყრია მულახის საზოგადოებისათვის და უთქვამს: ჩემი და მარიხი უნდა ვისისხლო უშგულელებისაგან და ან მომეხმარეთ, ან-და მახვშითობას თავი უნდა დავანებოვო. საზოგადოებას ჰყვარებია მახვში ქავშუბი, არ გაუნთავისუფლებია მახვშობისაგან და მოხმარებას დაჰპირებია. ამის შემდეგ ჩამოვარდნილა საშინელი მტრობა უშგულსა და მულახს შუა. ქავშუბს მოსვენება არ მიუცია უშგულისათვის. ერთს დღეს უშგულის მახვშის ბეგაშს უთქვამს ყრილობისათვის: გაგვიჭირა საქმე ქავშუბმა და რამე მოვუხერხოთო. გარდაუწყვეტიათ ქავშუბის ვითომ-და შესარიგებლად მოპატიყება უშგულში და მოკვლა. მულახში ქავშუბისათვის მოციქული გაუგზავნიათ და შეუთვლიათ, რომ მოსულიყო და შერიგება მოეხდინათ. ქავშუბი ამაზე დათანხმებულა; მოსახლიდგან თითო მძევალი მოუთხოვნია და თავის მაგიერ მძევლად-კი ერთად-ერთი შვილი მახვში ბეგაშისა. მოციქული უშგულს დაბრუნებულა და ეს ამბავი ყრილობისათვის გარდაუცია.

ყრილობა ერთს ამბავზე შეწუხებულა, სახელდობრ იმაზე, რომ ქავშუბი მახვშის შვილს თხოულობს მძევლად, რადგანაც მახვშის მაგის მეტი შვილი არა ჰყოლია. ამ ამბავს მახვშის არც-კი უმხელდ-

<sup>1</sup> მულახი თავისუფალს სვანეთში მდებარეობს და ჰშორავს უშგულს 25 ვერსით.



ნენ თურმე და სჯა ჰქონდათ იმაზე. თუ როგორ ააცდინონ მახვმის შვილს მძევლად წასვლა. მახვშიმ, როცა შეამჩნია, ~~თუ რა უნდა~~ რაღაცას თავისთვის და მახვმის იღუმალ ლაპარაკობდა და უთბრა; უშგულელებო! მეუბნებით, რომ მე თქვენი მახვში ვარ და როგორი მახვში ვყოფილვარ, თუ რაღაცა საქმეზე ლაპარაკობთ და მე-კი ველარ მიმხელთ! ყრილობას ეთქვა რაშიაც ყოფილიყო საქმე. მახვმის ამნაირი აზრი ყრილობისა თავის თავზე საწყენად დარჩენოდა და ეთქვა: ჰო! კარგი შვილი მყოლია, თუ უშგულად ჰღირს და უშგულის მაგიერ ვერ ვიმეტებ. ეს ეთქვა და იქვე გამოეყვანა შვილი მძევლად. მახვმის შემდეგ ყველა მოსახლეს თითო მძევლი გამოეყვანა და გაეგზავნა მულახისაკენ; იქიდან ქავშუბს ეახლა იმდენი კაცი, რამდენი მძევალიც უშგულიდამ მოდიოდა და უშგულისაკენ წამოვიდა. უშგულის მძევლები რომ მულახს ჩავიდნენ, ქავშუბი თავის მომყოლ კაცებით უშგულში ამოვიდა. უშგული ქავშუბს თამოყრილი დახვედროდა ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში, ქავშუბი და იმასთან მყოფი კაცები სადილად მიიპატიჟეს იქვე, ეკლესიის გალავანში. დღესაც უჩვენებენ ქავშუბის საჯდომს ქვასა, რომელიც დღემდის არის იმავე ადგილას. დანარჩენი მულახლებიც დააჯდინეს, მაგრამ იმნაირად, რომ თითო მულახელს ორი უშგულელი უსწდა აქეთ-იქით. ქავშუბს მახვში ბეგაში მოუჯდა გვერდით. შეუდგნენ ჭამას. შუა სადილზე მახვში ბეგაშმა დაიძახა თურმე: უშგულელებო ეხლა დროა წითელი სასმელი მოვაყოლოთო. უშგულს წინათ განზრახული ჰქონდა ქავშუბისა და მულახლების დახოცვა იმ დროს, როდესაც მახვში წითელს სასმელს ახსენებდა. სთქვა ეს მახვშიმ და მაშინვე ქავშუბს შეასო „დვალეთური“ დანა (ლუდლუ გჳჩ), გულში. მახვმის წახედეს ყველამ და ერთი მულახელი არ გაუშვეს ცოცხალი. უშგულმა იცოდა, რომ იმის მძევლებს მულახლები დახოცავდნენ, როცა ამ ამბავს გაიგებდნენ, მაგრამ ქავშუბისა ისეთი ჯავრი სჭირდა, რომ მძევლებიც-კი, თითო კაცი მოსახლიდამ, და იმათში ერთად-ერთი შვილი მახვმისა სასიკვდილოდ გამოიმეტა, ოღონდ ქავშუბი მოეკლა.

მახვში ბეგაშმა მძევლების ცოცხლად დასაბრუნებლად ეს ხერხი იხმარა; იმან გაჰგზავნა მულახში კაცი და შეუთვალა: ჩვენ მოკვალით ქავშუბი და იმისი გამოჩავრებული, მასთან მყოფი მულახლებიც. მკვდრები არ დაგვიმარხავს; თუ გაგვიცვლით მკვდრებში ცოცხალ მძევლებს ხომ კარგი, თუ არა-და, ამ თქვენს მკვდრებს ხორაზე შეეყრით და ცეცხლს წაფუკიდებთ. ჩვენს მძევლებს მაინცა-და-მაინც რაც გინდოდეთ, ის უყავით; მათზე ძალიან არ შეეწუხდებით, რადგანაც იგინი ზოგი ბუშია, ზოგი ნაყინი და ზოგიც ტყვედ წამოყვანილი ოსეთიდან და სხვა-და-სხვა ადგილებიდან. მოკლულ მულახლების

პატრონებმა და განსაკუთრებით ქავშუბის ცოლმა მოისურვეს თავი-  
ანთი მკვდრები მიეღოთ, რომ მიწისთვის მიებარებინათ. ამნაირად  
ყველა მძევლები უშგულისა გაუცვალა მულახმა მოკლულებში.

ამ უკანასკნელმა შემთხვევამ, ე. ი. მულახების დახოცვამ უფროდ  
გაამწვავა მტრობა უშგულსა და მულახს შუა. მულახმა დიდს შე-  
წუხებაში ჩააგდო უშგული (მულახი სამჯერ უფრო დიდია მცხოვრებ-  
თა რიცხვით უშგულზე). შეწუხებული უშგული მიჰმართავს ლატალს  
(თავ სვანეთის საზოგადოებაა), დახმარებასა სთხოვს მულახის წინა-  
აღმდეგ და, ნიშნად გაჭირების დროს მოხმარებისა, უშგული ჰპირდებ-  
ა ლატალს 12 ნაჭერს რკინას ყოველს წელიწადს. ლატალი სცდი-  
ლობს მოარიგოს მულახი და უშგული, მაგრამ მულახს ვერ იყოლი-  
ებს მორიგებაზე. თავისუფალ სვანეთის სხვა სოფლებმაც ურჩი-  
ეს მულახს, უშგულთან საქმე მორიგებით გაეთავებინა, მაგრამ  
არავისი არ შეისმინა მულახმა. მოთმინებიდამ გამოსული ლატალი  
საჩხუბრად მიდის მულახში. იქილამ მულახი ეგებება. ჩხუბი იმართე-  
ბა „ცივარემის“ სათბობში, რომელიც მულახშივეა და ძვეს მდ. ინგუ-  
რის ნაპირზე. პირველს დღეს მულახი ამარცხებს ლატალს. მეორე  
დღეს ეს უკანასკნელი მესტიას სთხოვს მოხმარებას და ჰპირდება 6  
ნაჭერს რკინას. მესტია ეხმარება. იმართება მეორე დღეს კიდევ ჩხუბი.  
ერთის მხრით, მულახსა და, მეორეს მხრით. ლატალ-მესტიას შო-  
რის. ამ ჩხუბში ლატალი და მესტია იმარჯვებენ, მულახს სასტიკად  
სჯიან ჯიუტობისა და საზოგადო კავშირის დარღვევისათვის და სამუ-  
დამოდ აშლევინებენ უშგულის მტრობას.

როგორც ნამდვილად მითხრეს, 12 ნაჭერი რკინა, რომლიდგანაც  
ექვსი ნაჭერი მესტიას უნდა წაეღო, ლატალს მიჰქონდა უშგულიდამ  
1854 წლამდე. რკინა რაც უნდა ყოფილიყო, არავინ არჩევდა; მოუყ-  
რიდნენ თავს თოხს, ნაჯახს, ნამგალს, ცელს და წვრილ ნატებს რკი-  
ნას, რიცხვით 12-ს, და მისცემდნენ ლატალელებს. იმავე დროს უშ-  
გულს, ლატალს და მესტიას ფიცი დაედვათ ერთმანეთ შუა, რომ იგი-  
ნი ყოველთვის ჭირშიაც და ლხინში ერთად ყოფილიყვნენ: მტრისა  
მტერი, მოყვრისა მოყვარე და ვინც ეს ფიცი მოშალოს, კრულმცა არის  
ქრისტეს ჯვარისაო... ეს ფიცი მოკლედ დაწერილიაო, — მითხრა ამი-  
სა და სხვა ძველ ამბების კარგად მცოდნემ და შესანიშნავის ხსოვ-  
ნის მექონე ღრმა მოხუცებულმა, უშგულში მცხოვრებმა გუა ჩარქე-  
ლიანმა, — ღვთისმშობლის „გულანის“ ერთს გვერდზეო. როდესაც  
ეს გავიგე, მოვინდომე ნახსენები წიგნის გადახედვა. წიგნი გულანი  
სხვა სოფელში აღმოჩნდა, სხვის ხელში იყო დროებით. მივედი იქ და  
დაწერილი აღმოჩნდა ხუცურად შემდეგი: „სახელით ღვთისათა მამი-

სა ძისა სულისა წმინდისათა ესე წიგნი დავწერთ ყოვლად წმინდა მშობლ უშკულისა მთავარ მოწამე გორგი სეტისა მაცხოვარ ლატა-ლისათვის დაომებითა შუა მდგომლობითა უშკული მესტეპანისა ერთმანერთისათა ერთგულობასა ზედა მტერის მტეობისა ზედ მოყვრისა მოყვარისა რომელმან სოფელმან ესე წიგნი შეგვიშალოს კრულმც არის ქრისტეს ჯვარისა“.

სამწუხაროდ, ქორონიკონი არ უწერია ბოლოს, თორემ გაიგებდა კაცი, რომელს წელს მომხდარა ეს ამბავი სამ საზოგადოებათა შუა.

\*  
\* \*

კაცი იფიქრებს, რომ ამდენ მწუხარება-გაჭირების გამოვლის შემდეგ უშგული მოჭკვიანდებოდა და ხანჯალსა და თოფს არავის წინა აღმდეგ არ იხმარებდა, მაგრამ საქმით-კი სხვასა ვხედავთ. უშგულმა არც შემდეგში დაზოგა მოსაკლავად თავისი შემაწუხებელი. ამნაირად მოჰკლა მან მალყარელი თავადიშვილი დევეთგერ მურზაყულოვი, აზ. ყიფიან ყიფიანი და თ. სურამ გარდაფხაძე. შეეჩერდეთ პირველზე, ე. ი დევეთგერ მურზაყულოვის მოკვლაზე. დევეთგერ მურზაყულოვს განუზრახავს უშგულის რომლისამე ეკლესიის გაცარცვა. ამ აზრით უშოვნია თანამოაზრენი და ამდენისამე ამხანაგითურთ უშგულს წამოსულა. დევეთგერთან ყოფილა აგრეთვე იმისი ბიძაცა. უშგულში რომ მოსულან, დევეთგერს უთქვამს თავის ბიძისათვის, რომ წაეყვანა რამდენიმე კაცი და წასულიყო კალის საზოგადოებაში წმ. კვირიკეს ეკლესიის გასაქურდავად; უშგულში-კი მე გავქურდავ წმ. ბარბარეს ეკლესიასაო. დევეთგერის ბიძა ამაზე დათანხმებულიყო და წასულიყო რამდენისამე ამხანაგით კალას. დევეთგერს და იმის ამხანაგებს წმ. ბარბარედამ იმავე ღამეს მოეპარათ რამდენიმე ვერცხლის თასი, შარნები (მძივები) და სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთები და კიდევ წასულან თურმე მალყარისკენ. უშგულმა მეორე დღეს გაიგო წმ. ბარბარეს გაქურდვა; მაშინვე გაჰზავნა სხვა-და-სხვა მხრისკენ მღევარ-მაძებარნი. ამ ძებნაში უშგულელები თავს წაადგნენ თურმე დევეთგერის ბიძას და იმის ამხანაგებს, რომელთაც წმ. კვირიკე ვერ გაექურდათ. უშგულს გაუხარდა ამათი ნახვა, ეგონა, ამათ გაცარცვეს წმ. ბარბარეო, მაშინვე დაიჭირეს ყველა და შებოჭილი სოფლად მოიყვანეს. ამათ ყველაფერი უთხრეს უშგულს, უთხრეს, რომ წმ. ბარბარე გაცარცვა დევეთგერმა და არა ჩვენაო. უშგულს ერთი დაჭერილთაგანი მალყარს გაუშვია და შეუთვლიათ დევეთგერისათ-



ვის, რომ თუ უნაკლოდ არ დააბრუნებ ყველა ნივთებს, რომელიც წმ. ბარბარედამ წაიღე, შენს ბიძასა და ამხანაგებს ყველას დაგზოცავთო. ეს კაცი მისულა მალყარს მთელს მალყარს საწყენად დარჩენოდა დევთეგერ ყულოვისა და იმის ამხანაგების მიერ უშგულის ეკკლესიის გაცარცვა, რადგანაც მალყარს და უშგულს შუა ძველის დროიდან ერთობა და უშიშრად მისვლა-მოსვლა ჰსუფევდა. მალყარის ყრილობას ძალა მიეყენებინა დევთეგერისათვის, რომ უნაკლულად წაიღოს ყველა ნივთები წმ. ბარბარესაგან წამოღებული და ადგილობრივ დააკმაყოფილოს უშგული. დევთეგერს მეტი ღონე არა ჰქონდა, ყველა ნივთები წამოიღო უშგულს. ნივთები რომ დათვალეს უშგულში, ერთი „შარნი“ (მძივი) აკლდა. დევთეგერს უთხრა ყრილობამ: თუ ამ შარნს არ მოიტან, აქედან ცოცხალს აღარ გავიშვებთო. ეს შარნი თურმე ერთს ქალს მისცა მალყარში დევთეგერმა და ქალმა არას გზით არ გამოაჩინა და არ დაუბრუნა დევთეგერს. უშგულმა დევთეგერი მძევლად დაიტოვა შარნის მაგიერ; დევთეგერმა მალყარლების პირით შეუთვალა თავისიანებს, რომ როგორმე ეშონათ ის შარნი ქალისაგან. ქალს, როგორც ნათქვამია, არ მიეცა. როცა ამაში დარწმუნებულიყო უშგული, ამდგარიყო და ღვთისმშობლის გალავნის გარედ, სწორედ იმ ადგილას, სადაც მულახის მახვში ქაფშუბი გამოფატრეს, მოეკლა დევთეგერ მურზაყულოვიც. ამნაირად უშგულმა შეიძინა ახალი ძლიერი მტერი, მალყარი.


გავიდა რამდენიმე წელიწადი. დევთეგერ მურზაყულოვის ჭირისუფლებმა შერიგება და სისხლი (წორ) მოითხოვეს უშგულისაგან. უშგული დაყაბულდა. ორივე მხარემ 12 მედიატორე ამოირჩია: ექვსი სვანი და ექვსი მალყარელი. მედიატორებმა შემდეგ საქმის გამორკვევისა 200 მოზვერი ხარი მიუსაჯეს დევთეგერის ჭირისუფალთ სისხლში, რადგანაც ჩვეულების ძალით მალყარში თავადიშვილის სისხლი 15 კაცად ჰლირსო. ამ 200 მოზვერ ხარიდამ, მედიატორების დადგენილობით, 100 ხარი წმ. ბარბარეს უნდა დარჩეს საპატივოდ გაცარცვაში და 100 ხარი კი უშგულმა უნდა იზღოს დევთეგერის სისხლშიო. უშგულმა უარი ვერ განაცხადა თავიანთ ამორჩეულ მედიატორების განაჩენზე და სისხლის გარდახდას შეუდგა. როგორც ყოველს ამგვარს შემთხვევაში, გაჰყიდა რამდენიმე საეკლესიო ყანა, აიღო 70 მოზვერი ხარი და მაშინვე ჩააბარა მოკლულის დევთეგერის იქვე მყოფ ძმა-ბიძებს. 30 ხარსაც უშგული შემდეგისათვის დაჰპირდა და ხუთის წლის შემდეგ ჩააბარა დევთეგერის ჭირისუფალთ. ამ 30 ხარის მიცემის დამსწრე ერთი ღრმა მოხუცებული დღესაც ცოცხალია უშგულში. ამის შემდეგ უშგულსა და მალყარს შუა მორიგება და

ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ჩამოვარდა, რომელიც დღემდე არავის დაურღვევია.

დევეთგერ მურზაყულაგის მოკვლის შემდეგ უშგულს მოუკლავს კიდევ ორი თავისი შემაწუნებელი: აზ. ყიფიან ყიფიანი და თ. სურამ გარდაფხაძე. ამათ მოკვლის ამბავს ჩვენ ვრცლად აღარ მოუუთხრობთ მკითხველს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამათთვისაც უშგულს საზღაური სისხლი გარდახდა და ამითი მოიშორა საუკუნოდ ეს ორი გვარი. ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი ცხადად დაინახავს, რომ უშგულს, ამ პატარა საზოგადოებას, შვიდი თავადი და აზნაური მოუეკლავს, რათა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა, თავისუფლება. დავუმატებთ კიდევ, რომ უშგული რომ ასე არ მოქცეულიყო, ე. ი. ხანჭლით და თოფით არ დახვედროდა ყველა იმათ, ვისაც უშგულის ხელში ჩაგდება და დამონაგება ჰსურდათ, დღეს შეიძლება სახელი „თავისუფალი სვანეთი“ სულაც არა ყოფილიყო ხმარებაში, არამედ გარდაქცეულიყო „საბატონო სვანეთად“, როგორც დღეს იწოდება ქვედა ნაწილი სვანეთისა, სადაც თთ. დადიშქელიანები ჰბატონობენ. ამგვარად შეინახა უშგულმა თავისი დამოუკიდებლობა რუსების შემოსვლამდე სვანეთში.

როდესაც მთავარ-მმართველმა ვორონცოვმა ურჩია სვანებს მონათლულიყვნენ — ნათლიად მე და ჩემი მეუღლე დაგიდგებითო. სვანებმა უთხრეს, რომ ჩვენ ჩვენი თავი ქრისტიანები და მონათლულები გვგონიარ და, თუ ჩვენმა „პაპებმა“ თავის უმეცრებით მონათვლის წესები არ იციან, თანახმანი ვართ ხელმეორედ მოვინათლოთო. სვანები მონათლეს. თ. ვორონცოვმა ფული შეაძლია საჩუქრად, მაგრამ სვანებმა ფულის მაგიერ თოფები სთხოვეს, რაიცა თ. ვორონცოვმა ადვილად აუსრულა. ამ თოფებში ყველას სჯობდა ერთი ყირიმული თოფი, რომელიც დღესაც შენახული აქვს, როგორც ძვირფასი განძი, მიმღების მემკვიდრეს იფარის საზოგადოებაში, სახელდობრ, ქურდიანს. სვანები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

ასე გარდმოგვცა ჩვენ ეს ამბავი ერთმა იმ სვანთაგანმა, რომელიც მთავარ-მმართველ ვორონცოვთან ყოფილიყო. იმისი მოთხრობა სრულიად არ ეთანხმება ბ-ნ ბოროზდინის მიერ „Кавказския воспоминания“-ში დაბეჭდილს ამბავს. ბ-ნი ბოროზდინი დიდის მკვერმეტყველებით სწერს, რომ სვანები, რომლებზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ, წავიდნენ ვორონცოვთან იმის სათხოვნელად, რომ სვანეთი (თავისუფალი) მიიღე რუსეთის მფარველობის ქვეშაო. ამას იმიტომ თხოულობდნენო, — მოგვითხრობს ბ-ნი ბოროზდინი, — რომ თავისუფალი სვანეთი ერთობ შეწუნებული იყო თთ. დადიშქელიანებისა და



დადიანებისაგანაო. შეწუხებული-კი არა და, ბოროზდინის სიტყვით, მთელი თავისუფალი სვანეთი თთ. დადიშქელიანებს ერთხელ ვითომ კიდევაც ამოუწყვეტიათ, ასე რომ სულდგმული არ დაუტოვებმათ და უწინდელის მცხოვრებლების მაგიერ დადიშქელიანებს ახალი (დადიანების) დაუსახლებიათ!!!

ჩვენ დავარწმუნებთ მკითხველებს, რომ თთ. დადიშქელიანებს არასოდეს თავისუფალ სვანეთზე შესამჩნევი გავლენა არა ჰქონიათ. არა თუ მთელის თავისუფალ სვანეთის ამოწყვეტა არ შეეძლოთ, ერთი სოფელიც ვერ ჩაიგდეს ხელში, თუმცა ცდა არ დაუკლიათ. პირიქით, თავისუფალი სვანეთი ისე ეურჩებოდა თთ. დადიშქელიანებს, რომ თავის ადგილ-მიწაზე გზათაც არ გაატარებდნენ ხოლმე; ამისი მომსწრენი დღესაც ცოცხალნი არიან. რაც შეეხება ამ ქვეყნის სახელწოდებას, ეს სახელწოდება ებლანდელია; ამ სვანეთის სახელწოდება არის და იყო უწინაც „უბატონო სვანეთი“ და „ზემო ხევი“ (ყაბე ჯეე). ქვედა ნაწილს სვანეთისას, რომელსაც ეხლა „სათავადო სვანეთს“ ეძახიან, სვანები უწოდებდნენ და ახლაც უწოდებენ „ქვემო ხევს“ (ჩვაბე ჯეე). ასეთი სახელწოდებაო — „ქვემო“ და „ზემო“ ხევი,—ამბობს ერთს თავის წერილში სვანეთის შესახებ პატივცემული ჩვენი ისტორიკოსი ბ-ნი დ. ბაქრაძე, — ჩვეულებრივი სახელწოდებაა საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებისა და კუთხეებისაო.

ტყუილია ის აზრიცა ბ-ნის ბოროზდინისა, ვითომ დადიანები აწუხებდნენ თავისუფალ სვანეთსაო. პირიქით, ჩვენ რამდენიმე მაგალითი ვიცით, რომ თავისუფალი სვანები, ნამეტურ ლატალის საზოგადოება, ერთობ აწუხებდა დადიანის ქვეშევრდომ მეგრელებს; ართმევდა ჯოგებს, აწიოკებდა სოფლებსა და სხვა.

1859 წ. სვანეთში გალაშქრება რუსეთის მხედრობისა ამგვარმა შემთხვევამ გამოიწვია: ლატალმა მეგრელებს ჯოგი წაართვა. ეს ჯოგი უნდა დაებრუნებინა ლატალს პატრონებისათვის, მაგრამ სანამ რუსის ჯარმა ძალა არ მიაყენა, მანამ არ დაუბრუნა. არავის გაუგონია, რომ დადიანის ბრძანებით მეგრელები თავს დასხმოდნენ თავისუფალ სვანეთს; ამას ვერც გაბედავდნენ მეგრელები. ერთი საშუალება, რომლითაც დადიანი მტრობას უწყევდა თავისუფალ სვანეთს, ის იყო, რომ გზას შეუკრავდა ხოლმე ლეჩხუმზე; მაგრამ მტრობა სვანებისათვის ისე საგრძნობელი არ იყო, როგორც პირველის შეხედვით იფიქრებს კაცი. სვანს მარილს გარდა ყველა თავისთვის აუცილებლად საჭირო სახსარი ცხოვრებისა სვანეთშივე ჰქონდა. მარილს-კი თავისუფალი სვანი რაჭიდან მოიტანდა. სადაც დადიანი გზას ვერ შეუკრავდა....

უშგულმა რომ შეიტყო, რატიანმა მესამედ მოგვატყუაო, დაეცა

იმის ოჯახს, რაც რამ საქონელი ებადა, სულ ერთიანად წაართვა და თვითონ რატიანიც რამდენისამე ხნით თავის საზოგადოებებში განდევნა. ამის შემდეგ, უშგული უფრო ფრთხილად იყო და არც ერთი საქმეც ვო კაცს უშგულში აღარ უშვებდა. დანარჩენს საზოგადოებაში-კი სხვა ნაირად მიდიოდა საქმე; იქ დადიოდნენ დრო გამოშვებით მთავრობის ვაგზავნილი კაცები, მაგალითად თ. მიქელაძე, დეკანოზი ქუთათელაძე და სხვანი, რომელნიც ურჩევდნენ ხალხს — რუსის ქვეშევრდომობა მიიღეთო. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამ მხრით თ. მიქელაძის მოღვაწეობა: იმან იფარის საზოგადოებაში რამდენიმე კაცი დაიხსლოვა, აქ დაიდო ბინა და აქედამვე სცდილობდა სხვა საზოგადოებანიც დაეთანხმებინა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღებინებინა.

იფარის საზოგადოებაზე ახლოა მეორე საზოგადოება თავისუფალის სვანეთისა — მულახის საზოგადოება. თ. მიქელაძემ იფარიდან აქ გაიკვლია გზა, ბოლოს იქამდე მიიყვანა ეს ორი საზოგადოება, რომ კიდევაც დაინიშნა ამ ორის საზოგადოების ბოქაულად. ჩვენ გვინახავს იმდროინდელი ოფიციალური მიწერ-მოწერა თ. მიქელაძესი. ამ მიწერ-მოწერაში თ. მიქელაძეს ეწოდება „Ипаро-Мулахский пристав“-ი. ამნაირად, თ. მიქელაძე მკვიდრად დაბინავდა შუაგულ თავისუფალს სვანეთში. იმის საბოქაულოს დასავლეთით, რომელშიაც მარტო იფარისა და მულახის საზოგადოება იყო, იდგა დაუმორჩილებელი მესტია, ლენჯერი და ლატალი, სამივე ამაყი საზოგადოება; აღმოსავლეთით კალისა და უშგულის საზოგადოება. თ. მიქელაძეს უფრო ამ ორ საზოგადოებაზე ეჭირა თვალი, რადგანაც ეს საზოგადოებანი გზაზე არიან, ზედ სვანეთის მისავალზე. კალამ და უშგულმა რომ გზა შეჰკრან, მაშინ ვერც იფარ-მულახში მივა კაცი. ეს კარგად იცოდა მიქელაძემ და ამისათვის ბევრი შრომა გასწია, რომ უშგული თავის ნებაზე მოეყვანა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა! თ. მიქელაძემამო—მითხრეს უშგულში—ეს ჩვენი ურჩობა და გაუგონლობა გარდაგვიხადა ერთხელ, როდესაც უშგულს ახდევინებდნენ ორის რაჭველის სისხლსა; მიქელაძემ მაშინ რუსის ჯარი მოიყვანა და ორს კომლზე თითო ძროხა გარდასახადი დაგვაწერაო.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თუ თავისუფალი სვანეთი რუსეთს შემოუერთდა, შემოუერთდა ქართველი მოხელეების მეცადინეობით, რომელნიც სამსახურში იყვნენ. ამ ქართველს მოხელეებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ თთ. ალექსანდრე მიქელაძეს და სვიმონ ამირეჯიბს. ჩვენ არც ერთი არ გვახსოვს პირადად, მაგრამ ხალხი ორთავე ამათ დღემდე პატივისცემით იხსენიებს. სვანები აქებენ იმათს გამბედაობას, კაცურს კაცობას. თ. მიქელაძემ სხვაფრივაც

შეაყვარა თავი სვანებს: თუ-კი რომელიმე სვანი თავის მთებს გარდასცილდებოდა და სადმე მიქელაძეს შეხვდებოდა, უკანასკნელი ყველგან პატივით იღებდა; როგორც პურ-მარილის კაცი, მიქელაძე სვანებს ყველგან უმასპინძლდებოდა; იმისი სასახლე კულაში სვანების სასტუმრო იყო. თუ რამეს დაავალებდა სვანი, მიქელაძე შრომასა და ცდას არ აკლებდა, რომ სვანის საჭიროება დაეკმაყოფილებინა. ჩვენ ვიცით, რომ 1875 წლის სვანეთის აჯანყების მოთავესათვის იყო ტფილისში დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან, რომელსაც წარუდგინა დატყვევებული სვანის შვილი და სთხოვდა განთავისუფლებას. დატყვევებულის შვილმა მითხრა, რომ დიდმა მთავარმა პატივი სცა თ. მიქელაძის თხოვნას, ნება დართო გაენთავისუფლებინათ მამაჩემი ქუთაისის საპატიმროდამ, მაგრამ როცა ტფილისიდან დაებრუნდით, მამაჩემი მკვდარი დაგვხვდაო. ამგვარი შემწეობა სვანს არასოდეს არ ავიწყდება.

\*

\* \*

დაუბრუნდეთ ისევ უშგულს. თ. გრიგოლ წერეთლის მოციქულების უშგულს მოსვლის შემდეგ გაიარა რამდენიმე (ნამდვილად ვერ მითხრეს) წელმა. უშგულში მოვიდა იმავე აზრით თ. ციოყ გარდაფხაძე. თავადი გარდაფხაძეები სახლობენ სადადიანო სვანეთს, ჩოლურის საზოგადოებაში, იგინი თავის თავს ოსეთიდან მოსულეზად სთვლიან. თ. გარდაფხაძეებს თავიდგანვე ჩაუგდიათ ხელში ჩოლურის საზოგადოება, რომელიც მესაზღვრეა სამხრეთით თავისუფალის სვანეთისა. ჩოლურიდან თავისუფალს სვანეთში ერთს დღეზე ადრე გადავა კაცი. ამ სიახლოვის გამო თთ. გარდაფხაძეებს მისვლამოსვლა და გავლენაცა ჰქონდათ თავისუფალს სვანეთზე. გარდაფხაძეების სამყოფი ადგილი იმითიც არის შესანიშნავი, რომ თავისუფალ სვანეთიდან გარდმოსულს ამათ სოფელზე უნდა გამოეარნა და ღამე იქ გაეთია. ამისათვის გარდაფხაძეებს ბევრი ნაცნობი ჰყვანდათ სვანეთში. ვისიც ჯავრი სჭირდათ, კიდევ ატყვევებდნენ და სახსარს იღებდნენ, მაგრამ ეს იშვიათი იყო, რადგანაც ამითი იგინი სვანეთს მისვლა-მოსვლას უნდა გამოსთხოვებოდნენ. ერთი ამ გარდაფხაძეთაგანი — ციოყი გამოცდილი და საქართველოს ყველა კუთხეებში ნამყოფი იყო. იმაზე დიდის ამბით იტყოდნენ ხოლმე: ისე შორს უვლია, რომ შავი ზღვა უნახავსო (ე. ი. ფოთში ყოფილაო). ერთს დღეს ეს ციოყი ჰსტუმრებია უშგულელს ჯამათა ჰელიძეს, რომელიც ღებელებმა მოჰკლეს, როგორც მკითხველს უნდა ახსოვდეს შარშანდელის ჩემის წერილებიდან. ციოყს ურჩევია ჯამათათვის, რომ ორიოდ

ამხანაგი კიდეც ეშოვნათ და წასულყვენ და ნალჩიკს, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იმ დროს „ნამესტნიკი“ იყო თურმე, ციოყის სიტყვით, იგინი კარგს საჩუქარს მიიღებდნენ და მერე ისევ დაბრუნდებოდნენ სახლში. ჯამთა საჩუქრის ხსენებამ მადაც მოიყვანა; სთხოვა თავის დაახლოვებულს ორს უშგულელს წაყოლა და კიდეც დაიყოლია. ამნაირად თ. ციოყ გარდაფხაძე და სამი უშგულელი, რომელთაგანი ერთი დღესაც ცოცხალია, უშგულის იღუმალ წავიდნენ და ნალჩიკს ნამესტნიკთან. ნალჩიკში ნამესტნიკს ვერ მიუსწრეს, პიატიგორსკში გაესწრო და ესენიც იქ მივიდნენ. წარსდგნენ ნამესტნიკთან (რომელი იყო ეს ნამესტნიკი ამის მოამბე იქ მყოფ სვანმა ვერ მითხრა, — უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი, ან მურავიოვი და ან თ. ბარიატინსკი). ნამესტნიკს ძლიერ იამა თურმე ამათი მისვლა, გამოპკითხა ძველებური ამბები. ჯამათა ჭელიძემ აქ ისეთივე პასუხი მისცა ამის თაობაზე ნამესტნიკს, როგორც ბორჯომში მიყვანილ სვანებმა თ. ვორონცოვს. ნამესტნიკმა განაგრძო და გვითხრაო, რომ ხელმწიფე თქვენ ცუდს არასდერს გიზამთ, კარგს-კი ბევრსაო.

მეორე დღეს ისევ დაებარებინა ნამესტნიკს და ისევ იმაზე ჰქონდათ ლაპარაკი, რაზედაც წინა დღეს. მესამე დღესაც ეგვეც სცენა გამეორებულყო. გამოთხოვების დროს ნამესტნიკს ხუთ-ხუთი თუმანი საჩუქრად მიეცა და გამოეშვა. ამათ დაბრუნებამდე უშგულს გაეგო, მათი წასვლა. როგორც-კი უშგულში შემოვიდნენ, მაშინვე ყრილობა მოხდა, რომ დაესაჯათ საზოგადოების დაუკითხველად მოქმედებისათვის. „ჩვენაო — მითხრა იქ ნამყოფმა სვანმა — ვიცოდით, რომ უშგული ჯარიმას გარდაგვახდევინებდა. რომ შეგვევედრებინა თავი, ავდექით სამნივე ჩვენ, ერთი ხარი გავიძღვანიეთ ღვთისმშობლის ეკკლესიაზე, სადაც ყრილობა უნდა მომხდარიყო, და მისვლისთანავე დაუჩოქეთ საზოგადოებას და ეს ხარიც მივართვით: ჩვენდა სასიამოვნოდ, ყრილობამ შეისმინა ჩვენი ვედრება, თორემ ჩვენც იმ ყოფას დაგვაწევდა, რაც გეგი რატიანსა“. ამ დროს განმავლობაში თ. მიქელაძე და რუსის მოხელეებიც ქვედა საზოგადოებათა ნელ-ნელა იერთებენ. მარტო უშგული რჩება ცალკე, განზე მდგარი. უშგული ამას ხედავს და იცის, რომ მარტო იმისი ურჩობა ვერაფერს გააწყობს. ასე რჩება საქმე 1857 წლამდე, რა წელსაც სვანეთს მიღის რუსის ჯარით პოლკოვნიკი უსლარი, რომელმაც შემდეგში მეცნიერულს ასპარეზზე უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა, ვიდრე სამხედრო საქმეებში. ბ-ნი ბოროზდინი სხვა შეცდომებთა შორის სვანეთის შესახებ უსლარის სვანეთს მისვლაზედაც სცდება. ბოროზდინის სიტყვით, უსლარი რუსის ჯარით სვანეთს წავიდა ზუგდიდიდან ლენხერით და მივიდა ეცერს. უსლარი სპეციალურად მიდიოდა სვანეთს თ. კონს-



ტანტინე დადიშქელიანის საქმეების შესახებ. თ. კონსტანტინე დადიშქელიანი ვითომ უსლარს შეხვდა ხუდონს, და სხვა და სხვა. უსლარს ბოროზდინის აწერილის გზით არ მისულა სვანეთს და არც სვანეთის ეცერს არა ყოფილა. უსლარი 1857 წ. წამოსულა რაჭით, გადუვლია სადადიანო სვანეთი და მერმე ლატვარის უღელტეხილით ჩასულა თავისუფალ სვანეთის საზოგადოებაში — სახელდობრ კალას. საიდგანაც იმას ფეხი არც ქვემოთ და არც ზემოთ არ უცვლია. აქ — კალას მოჰკვებებია იმას თ. კონსტანტინე დადიშქელიანი და აქედამვე წასულა რაჭით ქუთაისს, სადაც იგი დახვრიტეს თ. გაგარინის მოკვლის თაობაზე. უსლარსა და თ. დადიშქელიანს, როგორც მითხრა დამსწრე კაცმა, ჰქონდათ ერთმანეთში ლაპარაკი. თ. დადიშქელიანი სთხოვდა უსლარს, გაერჩია იმისი და იმის სახლ-კაცების საქმე და ისე მოეხსენებინა მთავრობისათვის; უსლარი-კი მაინც-და-მაინც ურჩევდა თ. დადიშქელიანს წასულიყო ქუთაისს, სადაც იმის საქმეს განიხილავდნენ. თ. დადიშქელიანი ამას დაადგა ბოლოს, როდესაც უსლარმა თ. კონსტანტინე დადიშქელიანი ქუთაისს გაისტუმრა, ამით მან თავისი პირდაპირი მინდობილობა გაათავა.

ახლა უშგულს მიაქცია ყურადღება უსლარმა. გაიგო, რომ უშგულის გარდა სვანეთი ასე თუ ისე შეერთებულია რუსეთთან. მოინდომა ეს საქმე თვითონ გაეთავებინა და კიდევ გათავდა ერთის კაცის მეცადინეობით, რომელზედაც რამდენისამე სიტყვის უთქმელობა უსამართლობა იქმნება. ჩვენ ვამბობთ ლაშხეთელ მღვდელ სიმონ გაბიანზე, რომელიც უეჭველად უნდა ჩაითვალოს თ. სვანეთის და განსაკუთრებით უშგულის პირველ მისიონერად. მღვდელი სიმონ გაბიანი ბუნებით სვანია, სცხოვრობს სადადიანო სვანეთის ლაშხეთის საზოგადოებაში, სოფელ შგედს. როგორც დიდის ხნის დამსახურებული, იღებს პენსიას 130 მანეთს. მღვდელი სიმონი დღეს 108 წლის მოხუცია, მაგრამ ისე ცოცხალი, ისე ჯანმთელი, რომ არავინ დაიჯერებს, თუ იმისი წლოვანობა 60 წ. აღემატება. ტანად პატარაა, თმაწვერ გაყვითლებული, თავისებურად ჩაცმა-დახურვის და ცხოვრების მოყვარე ეს „პატარა ხუცესი“ (კოტოლ ბაპ) დანახვისთანავე მიიქცევს მნახველის ყურადღებას. საღმრთო წერილი უსწავლია ცაგერის მონასტერში, მღვდლად კურთხეულა მარტვილში. საღმრთო წერილის ცოდნაში ბევრი რამ აკლია, ნამეტურ ტიბიკონში, მაგრამ ეს სრულიადაც არ უმლიდა პატარა ხუცესს, რომ ღმერთი წმინდის გულით შეეყვარა და ხალხის გულიც მოეგო. უშგული დღესაც წმინდანსავით უყურებს ამ ხუცესს. წარსულიდამ ბევრი რამ ახსოვს სიმონ მღვდელსა. იგი იცნობდა უწინდელს საქართველოს ეგზარხოსს ისიდორეს, ახსოვს თთ. ივ. მუხრანბატონი და გ. რ. ერისთავი, როდესაც

იგინი ქუთაისში ყოფილან სამსახურში. ბარტლომეი, ბაქრაძე, უსლა-რი, რადდე, — ყველა იმის დროს ყოფილან სვანეთში. ბევრს საინტერესო რამეებს მოჰყვება თავის ნაცნობობის შესახებ დიდი ხნის თან. მოვიყვან ორს. როდესაც ეგზარხოსმა ისიდორემ (ეზლახდელი პეტერბურგის მიტროპოლიტი) დამიბარა ტფილისშიო, მიამბო სიმონ მღვდელმა, — დიდი მადლობა მითხრა სვანეთში მოღვაწეობისათვის და სკუპიოთი დამაჯილდოვაო. სკუპიოზე უარი განვაცხადე და შევატყე ეგზარხს არ ეჭაშნიკაო. რომ დამემშვიდებინა ეგზარხოსი. მოვახსენე: თქვენო მეუფებავ, მე რომ ეს თქვენი საჩუქარი წავიღო, სვანები სხვანაირად იფიქრებენ რასმე და შეიძლება ისე არ გამიგონონ, როგორც აქამდის მიგონებენ. ჩემის აზრით, ის ემჯობინება ეს სკუპიო იმას უბოძოთ, ვისაც გაუხარდება და მე-კი თქვენი ლოცვა-კურთხევა გამატანეთ სვანეთშიო.

ერთი ახირებული ხასიათი სჭირს სიმონ მღვდელსა: თავის ხანგრძლივს სიცოცხლეში გული (მკერდი) არ შეუტრავს, ასე რომ მუდამ გულ-ღია დადის; პერანგის ღილსაც არ იბნევს. თ. გ. ერისთავს არ მოსწონდა ესა და რამდენჯერმე მთხოვა, რომ პერანგი მაინც შემეგბნია, მაგრამ მე მაინც ჩემი მემართებოდა. ერთხელ ქუთაისს დამიბარა, გამოცხადდი ჩვეულებრივ გულ-გაღებული. როდესაც გამოვეთხოვე, თ. ერისთავმა მიბრძანა, რომ ხვალ თქვენ მოგიტანენ ახალ ტანისამოსს, ჩაიცვით და ისე მობრძანდითო. თურმე თ. ერისთავს ებრძანა, რომ ხვალისათვის ახალი ტანისამოსი შეეკერათ ჩემთვის. მეორე დილას თერძმა მომიტანა და თავის ხელით შემიბნია ახალუხისა და კაბის დუგმები. ავდექი და თ. ერისთავთან მივედი. ლაპარაკის დროს ყველა დუგმები ახალუხისა და კაბისა შემხსნოდა ჩემდა გაუგებრად და ერისთავმა ისევ დაინახა ჩემი გაღელილი გული. ერისთავმა რომ ამას შეჰხედა, მითხრა: მამაო, როგორც გიწირავს, ისე სწირე. ეტყობა, ვერაფერი დუგმა შენს გულს ვერ შეჰკრავსო...

უწინდელს დროში ლაშხეთის საზოგადოების სოფელს მახაშს ბეგარა ჰმართებია უშგულისა. ყოველს მარიობას მახაშს რვა დორა ღვინო უნდა მიეტანა უშგულისათვის. მებეგრეებს სიმონ მღვდლისათვის ეთხოვნათ წაყოლა, რაზედაც უკანასკნელი დათანხმებულა. წასულა უშგულს, სადაც ძლივს გადარჩენილა სიკვდილს. საქმე იმაშია, რომ რაჭველს თ. მერაბ წულუკიძეს ჰმართებია ბეგარა თუ შესაწირავი უშგულის ღვთისმშობლისა 18 კასრი ღვინო, რომელიც თ. წულუკიძეს ყოველ წელს უნდა მოეტანა უშგულისათვის. ამ ბეგრის შესახებ სიგელი ჰქონია მიცემული თ. წულუკიძეს. ეს სიგელი უშგულს ჰქონდა შენახული (ახლაც არის ეს სიგელი, მაგრამ დაგლეჯილია) ეკკლესიაში. თ. იაშვილებსა (ეს იაშვილები ცხოვრებულან

სოფ. სადმელს და გარდაუსახლებია რუსის მთავრობას ურჩობისათვის) და თ. მერაბ წულუკიძეს დავა ჰქონიათ ადგილების შესახებ და ეს სიგელი საჭიროდ აღმოჩენილა. თ. მერაბ წულუკიძის ნაცნობი ყოფილა სიმონ მღვდლის მამა. ამისათვის უთხოვნია, რომ როგორმე მიეტანა ეს სიგელი უშგულიდამ. სიმონის მამას ეს მოუხერხებია; წამოუყვანია ორი უშგულელი თ. წულუკიძესთან სიგელის უკან დასაბრუნებლად. სიმონის მამა და ორი უშგულელი რაჭას რომ მისულან. თ. იაშვილებისას გაუთენებიათ ღამე. თ. იაშვილებს ეს ამბავი გაუგიათ და უთქვამთ ორის უშგულელისათვის, რომ ეს სიგელი თ. წულუკიძისათვის არ მიეტანათ, თორემ ის ბერებს გარდასცემს და უშგულის საქმე დაიღუპებაო. ორ უშგულელს ეს დაუჯერებიათ, ამდგარან ღამე და ეს სიგელი ისევ უკან წაუღიათ. ამათ ეთქვათ უშგულისათვის, რომ დავით გაბიანს, სიმონის მამას, უშგულის დაღუპვა უნდოდაო და სხვა და სხვა. უშგული ამ შემთხვევის გამო ძალიან ემდუროდა დავით გაბიანს და რა-კი შეიტყეს, რომ სიმონ მღვდელი იმისი შვილიაო, პასუხი მოსთხოვეს და მუქარაც დაუწყეს. მე ამ ამბისა არაფერი ვიცოდით, მითხრა სიმონმა. საქმე იქამდე მისულა, რომ სიმონი კინდამ მოუკლავთ, რომ ორი ნაცნობი პაპი არ გამოსარჩლებოდა და აგრეთვე თავის მოხერხებულის პასუხით თავი არ მოეწონებინა უშგულისათვის.

ამგვარმა ლაპარაკმა ხალხი მოალბო და რაკი შეიტყო, რომ სიმონი კეთილი კაცი უნდა იყოსო, ყრილობამ წინადადება მისცა, დაეფიცა უშგულის ერთგულობაზე. სიმონმა ეს თხოვნა აასრულა. უშგულმა თავის მხრით დაუდვა სიმონ მღვდელს ერთგულობის ფიცი. ამიერიდგან სიმონ მღვდელი შეიქნა ერთი ერთგული წევრი უშგულისა. ამ დროდამ სიმონ მღვდელი რჩება უშგულში, იგი თავის მრევლს თავს ანებებს ლაშხეთში და უშგულში იწყებს მისიონერულს მოღვაწეობას უსასყიდლოდ. იმ დროს უშგულში, როგორც საზოგადოდ სვანეთში, პაპები ძალაში იყვნენ. სიმონ მღვდელი კარგს განწყობილებას იჭერს ამათთან. როგორც ერთი მთავარ-პაპთაგანი. იგი დაიარება მათთან წირვაზე, როცა რიგით შეხვდება, სწირავს, როცა არა, ისმენს პაპების ახირებულს წირვას. ერთ ადგილას ბინა არა აქვს; მთელი საზოგადოება იმისი სახლია, სადაც უნდა, რომელს ოჯახშიაც ისურვებს, რჩება რამდენიმე დღე და ღამე და ყველანი მოხარულნი არიან იმის მისვლისა. ყველა ოჯახში „პატარა მღვდელი“ ლაპარაკს უგდებს ქრისტესა და იმის რჯულზე. ცოტა ხნის განმავლობაში იქამ-

დე მიაღწია, რომ მთელი უშგული მონათლა. ეს იყო მაშინ, როდესაც სვანეთში არსად მღვდელი არ იპოვებოდა. გადის წელიწადები. მთავრობა მღვდლებს ჰგზავნის სვანეთში და ამ დროს მთავრობას ხვდება უშგულში მღვდელი სიმონი. ეს გაიგო მაშინდელმა საქართველოს ეგზარხოსმა ისიდორემ და ამიტომაც არასოდეს არ ივიწყებდა სიმონ მღვდლის მოღვაწეობას. შემდეგში სიმონს ენიშნება ჯამაგირი 400 მანეთი. უშგულში მღვდლობდა იგი 1866 წ. ამ წელს იგი სტოვებს უშგულს და მიდის თავის სახლში. უშგული ძლიერ სწუხს იმის წასვლას. აი ამ სიმონ მღვდელმა მოიყვანა უშგული პოლკოვნიკ უსლართან და მიაღებინა რუსის ქვეშევრდომობა 1857 წელსა.

1888 წ.

---

## იალბუჯის გარემო

(ლინკილგან)

მკითხველს ეცოდინება, რომ სვანეთის უკანასკნელი მთავარი თავადი კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანი სიკვდილით დასჯილ იქმნა ქუთაისს 22 ოქტომბერს 1857 წ. სამხედრო გუბერნატორის თავ. გაგარინის მოკვლის გამო; მთავრის ძმები: ბექირბი, ისლამ, თენგიზ და ციოცი გადასხლებულ იქმნენ რუსეთში. მთავრის ცოლშვილსა და ძმებს მთავრობამ მისცა ასორმოც-და-ათი ათასი მანეთი და იმისს მამულს ხაზინა დაეპატრონა. კავკასიის მთავარ მართებლის თავ. ვორონცოვის დროს შედგენილის გეგმის თანახმად ეს მამული შეიცავდა ას ორმოც-და-ათს ათასს დესეტინას, რომლის მოშეტებული ნაწილი იყო ტყეები და საბალახო მთები. მამული იწყება სოფ. ფარიდგან, სადაც მთავარს რეზიდენცია ჰქონდა, ჩაჰყვება დასავლეთით მდ. ენგურის ხეობას, მიდის სამეგრელო-სამურზაყანოსა და აფხაზეთის სოფლებამდე, გადადის კავკასიის დიდს ქედზე ჩრდილოეთით და იპყრობს სათავეს ყუბანის მდინარის გარშემო მდებარე მთა-ტყეებით და აგრეთვე თერგის თემში ბაღსანის სათავეს ახლო მდებარე ადგილებით. ნაჩვენებს მამულში აძოვებდნენ ჯოგებს მეგრელები, სამურზაყანოელები, აფხაზები და ჩრდილოეთის კავკასიის მთიულები. სვანეთის მთავარი ართმევდა მათ ბეგარას — საბალახოს: ას ცხვარში ერთი მიჰყავდა, ცხენზე და ხარზე და საზოგადოდ მსხვილ საქონელზე ათ-ათ შაურს იღებდა. რაკი მთავრობის ხელში გადავიდა ეს მამული, ცხადია, იმანაც მოინდომა, რომ შემოსავალი მიეღო, ის შემოსავალი, რომელიც დადებული იყო მთავრისაგან. მთავრობამ უფრო მოხერხებულად დაინახა ეს მამული სვანეთის ბოქაულებისათვის ჩაებარებინა, რომ იმათ აეღოთ საბალახო და შემოსავალი ხაზინაში წარედგინათ. ბოქაულებმა ერთობ შეამცირეს ხაზინაში შესატა-

ნი ფული. ერთმა მათგანმა მხოლოდ სამი თუმანი აჩვენა მამულიდან შემოსავალი ერთს წელს, მაშინ როდესაც ნამდვილად შემოდიოდა ათასზე მეტი თბა და ცხვარი და ამდენივე ფულად. ზაზინამ კუდი თვალით შეხედა ბოქაულების ამგვარს ქცევას და მამული გადასცა თავ. თენგიზ დადიშქელიანს, რომელსაც სამას-სამასი მანეთი შეჰქონდა ხაზინაში ყოველს წელს. შემოსავალთან შედარებით, რასაკვირველია, ესეც ცოტა იყო, მაგრამ მეტი, მინამ 30 მან., ბოქაულებისაგან წარდგენილი. ასე მიმდინარეობდა საქმე 1882 წლამდე, როდესაც სახელმწიფო ქონებათა მმართველობამ მოინდომა ვაჭრობით გაცემა მამულისა. აქაც ისე მოხერხდა საქმე, რომ მამული თენგიზს დარჩა 600 მანეთად წელიწადში, 1888 წ.-კი საკუთარი აგენტი დაენიშნა და, როგორც მითხრეს, აგენტის ხელში მამულს შემოუტანია 3.000 მანეთზე მეტი. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საბალახოს აღება ამ მამულიდამ ბოლოს ხანებში დიდი დავიდარაბა იყო. ჯოგის პატრონები სცდილობდნენ გადასახადი აეცილებინათ თავიდან, ამისათვის იმათ. მწყემსებს გარდა, საკუთარი ყარაულები ჰყავდათ დაყენებული და როგორც-კი დაინახავდნენ სვანეთიდან წამოსულს 50—60 შეიარაღებულს სვანს საბალახოს ამკრეფლებს, მაშინვე ან წინააღმდეგობას გაუწევდნენ და ან ჯოგებს გამორეკდნენ თავიანთ ადგილებში, სადაც საბალახოს არ იხდიდნენ. ბევრჯელ მომხდარა საბალახოს მკრეფელებსა და ჯოგის პატრონებს შუა შეტაკება, სისხლის ღვრა. ჯოგის პატრონები (მეგრელები, სამურზაყანოელები და აფხაზები) ბოლოს ისე გაკადნიერდნენ, რომ ზოგიერთი საბალახო ადგილები მისაკუთრეს. მოიჯარადრე მამულისა თავ. თენგიზი ამ ამბავს ყოველს წელს ატყობინებდა მთავრობას. შეიქნებოდა ერთი გაუთავებელი მიწერ-მოწერა, გამოძიება და ბოლოს ხაზინა მაინც აგებდა. ამგვარმა გაუწეულმა მდგომარეობამ საქმისამ გამოიწვია კომისიის დანიშვნა მთავრობისაგან. კომისიას ცნობაში უნდა მოეყვანა მამული თავ. კონსტანტინე დადიშქელიანისა. ეს კომისია დაინიშნა 1878 წ. მას შეადგენდნენ თავ. ზ. ჯორჯაძე, გრ. კლდიაშვილი, აგრონომი კ. ვასილიევი და მიწის მზომელის თანაშემწე აივაზოვი. 28 ივლისს ყველანი თავმოყრილი ვიყავით ბეჩოს, სადაც არის ბოქაულისა და მომრიგებელ-მოსამართლის რეზიდენცია და იღვა ადგილობრივი რუსის კამანდა. კომისია დილასვე შეუდგა თავის საქმეების გადასინჯვას, გადაშალა თავ. ვორონცოვისაგან დამტკიცებული გეგმა თავ. მურზაყან<sup>1</sup> დადიშქელიანის მამულისა, კავკასიის ხუთ ვერსიანი ქარტა, გა-

<sup>1</sup> ამერიდგან კონსტანტინეს მაგიერ ვიხმართ სახელს მურზაყან, რადგან ეს იყო მისი სვანური სახელი.



დახვდა საჭირო საბუთები ამ მამულის შესახებ და გადასწყვიტა, რომ პირველად მოეველო ის საზღვრები თავ. დადიშქელიანის მამულისა, სადაც ადრე მოდის თოვლი და შემდეგ ბარად ჩამოსუთნისა ანაირად კომისიას ჯერ თერგისა და ყუბანის ქვეყნებში მდებარე გილები უნდა მოეველო და შემდეგ დაივლიდა იმ მთებს, რომელიც სამეგრელო-სამურზაყანო-აფხაზეთსა და სვანეთს შუა ჰქვევს. გადავსწყვიტეთ დღესვე დანძრეულ ვიყავით ბეჩოვად და მივსულიყავით ეცერს თავ. თენგიზთან, რომელიც კომისიას უნდა გაჰყოლოდა მთებში. ნასადილევს ეცერს გავსწიეთ.

აქ საჭიროდ მიმაჩნია ბეჩოს მოკლედ აღწერა და ამისათვის ცოტას ხნით გვერდი უნდა ავუქციო ჩვენს მოგზაურობას. ბეჩო შეადგენს სათავადო სვანეთის აღმოსავლეთს ნაწილს. იგი შეიცავს ვიწრო ხეობას, რომელიც მოზმულია კავკასიის დიდს ქედზე და მიიმართება სამხრეთ დასავლეთისაკენ. ბეჩო ირგვლივ შემოზღუდულია მთა-ქედებით. ჩრდილო აღმოსავლეთით დიდი ქედი უძევს, რომელზედაც ამართულია მთა „უშბა“<sup>1</sup> მექონი 16500 ფ. სიმაღლისა. ყველა მოგზაურნი, რომელნიც-კი სვანეთში ყოფილან, ერთის ხმით სწერენ და ამბობენ, რომ მთელს კავკასიაში მაგისტანა დიდებული, ლამაზი და თავისებური მთა არ მოიპოვებაო და სხვა რომ არა იყოს-რა საინტერესო სვანეთში, მარტო იმისთვის ღირს იქ წასვლა, რომ ამ მთას შეხედოს და ისიამოვნოს ადამიანმაო. უშბიდგან ორი ტოტი გამოდის, რომელიც აქეთ-იქით ჩამოჰყვება ბეჩოს ხეობას. სამხრეთ-აღმოსავლეთის შტო, ესრეთ-წოდებული „ბალზაგარ“, შეადგენს საზღვარს საბატონოსა და თავისუფალ სვანეთს შუა. ამ ბალზაგარს არ გადასცილებია ბატონობა თ. დადიშქელიანებისა, თუმცა ცდა არ დაუკლიათ. უშბას ახლო გამოდის მდ. ბეჩოს ჭალა, რომლის ორთავე ნაპირებზე გაშენებულია ბეჩოს სოფლები. ამ მდინარეს რომ არ გაეკვალა გზა სამხრეთ-დასავლეთისკენ, მაშინ ბეჩო წარმოადგენდა გრძელსა და ვიწრო თავ ახდილს კიდობანს. ამგვარი მდებარეობა ხეობისა უნდა იყოს მიზეზი, რომ დარქმევია ქართული სახელწოდება „ბეჩო“.

ბეჩოს ხეობის სიგრძე დაახლოვებით შვიდს ვერსს არ აღემატება, სიგანე კი, ორთა შუა რიცხვით, ნახევარ ვერსამდის არის. ნაპირებზე

<sup>1</sup> უშბა სვანურად ჰნიშნავს გადარეულს, ეშმაკს, ანუ, როგორც იმერეთში იტყვიან, კუდიანს. სვანეთის ზედა სოფლებში უფრო „ბაკს“ ეძახიან. სიტყვა ბაი-კი ჰნიშნავს ორად გაბობილს რასმე, რაიცა შეჰფერის ამ მთის მწვერვალს, რომელიც ორად არის გაყოფილი. რამდენიმე წელიწადია, რაც ინგლისელ მგზავრებს უნდათ ამ მთაზე ასვლა, მაგრამ ისეთი მიუვალი აღმოჩნდა, რომ ჯერ-ჯერობით ყოველი მათი ცდა ამოი გამოდგა.

მდებარე ადგილები ყანებად და სათიბებად არის გადაქცეული. მათზე მობმულია ტყეები და ტყეებს ზემოთ საბალახო ადგილები. ბეჩოში 70 მეკომური გლეხი ითვლება და ორი ოჯახი თ. დადიანელებისა.

დადიანელები  
ბიზლიჩიძე

როდის დაეპატრონენ ბეჩოს დადიანელები. ნამდვილად არ ვიცით, როგორც არ ვიცით ისიც, თუ რომელს საუკუნეში მოვიდა სვანეთში დადიანელების წინაპარი, რომელსაც ლეგენდა უწოდებს „ფუთას“. ლეგენდის გადმოცემით, ფუთა შვილი იყო ისლამბერისა. იმას დარჩა სამი შვილი: ოთარი, სოსთმანი და დუდა. ისლამბერმა ამნაირად გაუწაწილა თავისი მამული შვილებს: დუდას მისცა სამი სოფელი: დოლი, ქასთვანი და ებუდი. რომელნიც ერთად იწოდებიან „ლეჩყანად“. სოსთმანს დანარჩენი სოფლები ბეჩოსი და ოთარს ეცერი და ჩუბეხევი. ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი ხალხური სიმღერა, რომელშიაც გამოხატულია ბრძოლა ეცერის ბატონ სოსთმანსა და დოლელებ-ებუთლებს შუა. სოსთმანი და მისი საყმო ისე აწუხებს ხსენებულს ორს სოფელს, რომ, სიმღერის სიტყვით, იმათ თავისს ყოფას არ-ყოფა ერჩიათ (ლირდედ-ნაურდი ჯიცხონდახ). ბავშვებს აკუნებდამ ართმევენ. ცოლებს სტაცებენ და სხვა მრავალ ტანჯვას აყენებდნენ სოსთმანი და ეცერლები. სოფ. დოლში ამ დროს სცხოვრობდნენ ორი ძმა ვიციბი და ნაცბუ. იგინი ვერ იტანენ ამ ტანჯვას და გადასწყვეტენ—ან თავი შეაკლან ეცერსა და იმის ბატონს და ან დაიხსნან სოსთმანისაგან თავისი სოფლები. სამს წელს აშხადებენ ტყვია-წამალს. ერთს ღამეს შეეპარებიან ეცერლებს კოშკში, საიდგანაც თორმეტი წელიწადი ებრძვიან სოსთმანსა და იმის საყმოს. ბოლოს ტყვია-წამალი ელევათ. გამოელევათ აგრეთვე ხორაგეულობა და დაღალულ-დაქანცულს ძმებს ცოტა ხნით თვლემა მოუვათ. ამითი ისარგებლებენ ექვსი მოსახლე „რიჩიანები“, ეპარებიან ძმებს კოშკის ძირში, სამ-კუთხივ საძირკველს გამოუთხრიან. მაგიერად ხის სვეტებს შეუყენებენ, იქვე მიიტანენ შეშის ხროვას, ცეცხლს წაუკიდებენ და მისი ალი, შემოერთყმის რა კოშკს, ცამდე ადის. ძმები იღვიძებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სიცხისაგან კოშკის კედლება ხურდება. თითო სროლა ტყვია-წამალი კიდევა აქვთ. გაიხედავენ კოშკიდან და ეცერის ბატონი „დიდ-თავა“ სოსთმანი თავის სახლის ხარხაზე სდგას და ხითხითობს, რაკი ჰხედავს ძმების დაღუპვას. ძმები თოფებს ესვრიან და სოსთმანს ჰკლავენ. შემდეგ კოშკი ენგრევათ და შიგ ეტანებიან. თითონ ილუპებიან, მაგრამ თავის სოფელსაც იხსნიან სოსთმანისაგან. ძნელია დაჭეშმარიტებით იმისი თქმა, თუ ლეგენდისა და სიმღერის სოსთმანი ერთი და იგივეა, თუ სხვა-და-სხვა. ჩვენ-კი უფრო უკანასკნელის აზრისა ვართ და ვფიქრობთ, რომ სიმ-

ღერის სოსომანი „რიჩვიანების“ გვარისაა, რადგანაც სადადიშქელიანო სვანეთის ბატონები ესენი იყვნენ უწინ, სანამ დადიშქელიანის წინაპარი გაჩნდებოდა სვანეთში. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ დადიშქელიანების შესახებ ლეგენდები არსად არ იხსენიებენ, როგორც ბეჩოს წინააღმდეგობა გაეწია მათთვის. თითონ სიმღერის ერთ-ერთი ვილი ამბობს, რომ სოსომანის დროს ეცერში „შვიდი კერია“ (იშვგიდ კერა), ე. ი. მეკომური რიჩვიანები, რომელთაც სიმღერა „როჩვიანების“ ეძახის. სცხოვრობდნენ და სოსომანის მეგობრობი ძმანი, ვიცები და ნაცბუ დოლელები, რიჩვიანებისაგან დაილუპნენო.

დღეს, როგორც ნათქვამია. ორი კომლი დადიშქელიანი სცხოვრობს ბეჩოში. მთავრობამ ამათაც ჩამოართვა მამული. ამათ მამას თავ. ოთარ დადიშქელიანს მონაწილეობა მიელო ჩრდილოეთ კავკასიის მთიულების აჯანყებაში, რომელიც მოხდა შამილის გავლენის გამო, და ამიტომ ჩამოერთვა მამული. თავ. ოთარს ცოლად ჰყავდა ბახსანელ თათრის თ. ურუსბიევის ქალი. რომლის გამოისობითაც თითონაც მაჰმადიანობა მიელო. ოთხს მის შვილებში ცოცხალნი არიან მარტო სამი, ამათში ორნი დღესაც მაჰმადიანები არიან და ერთი ქრისტიანია. თ. ოთარის შვილებისათვის მთავრობას უნდა მიეცა მამულის მაგიერ ცამეტი ათასი მანეთი, მაგრამ დღემდინაც კაპეიკი არ მიუღიათ. თუმცა ხვეწნა მუდარას არ აკლებენ, სადაც ჯერ არს. 1869 წ. ქუთაისის გუბერნატორმა გრაფ ლევაშოვმა პროექტი წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ სვანეთში რუსის კომანდა დაეყენებინათ, და ადგილ-ბინად უჩვენა ბეჩო, როგორც სახაზინო მამული. გრაფის აზრი მთავრობამ მოიწონა. 1872 წ. ყაზარმები კამანდისათვის მზად იყო. კამანდა დარჩა სვანეთში 1882 წ. ამ წლიდან ბეჩოდამ კამანდა გადმოიყვანეს სამულამოდ, რადგანაც დანიშნულს მიზანს სრულიად ვერ ემსახურებოდა და იმისი შენახვა კი ძვირად უჯდებოდა მთავრობას.

ეხლა-კი ისევ ჩვენს მგზავრობას მივუბრუნდეთ. ჩვენ ნასადილევს გამოვედით ბეჩოდამ. ბარგი-კი დილითვე გავგზავნეთ ეცერს თ. თენგიზ დადიშქელიანის სახლში. სადაც იგივე გველოდებოდა. ჩვენ ვიყავით ხუთნი და ცოტა რომ გავიარეთ, გზის ახლო დუქანი შეგვხვდა. დუქნის პატრონი მეგრელი იყო. როდესაც სვანეთში მიმავალი გზები შეკრული არ არის, მაშინ ამ დუქანში იპოვება შაქარი. ჩაი, მაგარი სასმელები, საპონი, წუმწუმა, სანთელი, ხანდისხან ღვინოც და მომეტებულად სვანური არაყი. შეიკვრებოდა გზები, დუქანში რაც რამე ჰქონდა გაიყიდებოდა და დუქნის პატრონი მთელი ზამთარ-გაზაფხული დუქანს მიჰკეტავდა და თითონ სოფლებში დასეირნობდა. ამჟამად მედუქნეს ცოტა ღვინო ჰქონდა. თ. ჯ. ისუჩვა, რომ

მგზავრობა ღვინით დაგველოცა. მოვატანინეთ ორი ბოთლი, ღვინო მდარე იყო, მაგრამ ფასი-კი ბოთლში რვა-რვა აბაზი გადაგვანდევინა. მედუქნე ყველაფერს მამასისხლად ჰყიღდა, რადგან, ვადამოტანა ძვირად უჯდებოდა. ყველაზე უფრო ბევრს სვანურს ვადამოტანა, მყიდველი სალდათები იყვნენ, რომელნიც ხშირად კოლოტებივით ეგორნენ ღუქნის გარშემო. ერთი ბეჩოს მამასახლისი სალდათებმა არაყის სმით გახეთქეს. როგორც მათი კარგი ნაცნობი, ვგონებ ახალს წელიწადს დაეპატიუნათ და იქამდე ესმევინათ, სანამ სული არ ამოჰხლომოდა. ამ მიზეზის გამო კამანდის უფროსმა აუკრძალა მედუქნეს ვაჭრობა და მას შემდეგ ღუქანი დაიკეტა. ამ ერთის ღუქნის მეტი არც წინათ და არც შემდეგ სვანეთში არასოდეს ყოფილა. ამ მხრით სვანეთი შესანიშნავია. 1847 წლიდან დღემდე მას ჰქონდა ერთი ღუქანი და ერთი სკოლა, ისიც ერთს წელიწადს. როგორც ვასცილდები ღუქანს, იქვე მდ. ბეჩის ჭალაზე ხიდი. ჩვენ ამ ხიდზე უნდა გავსულიყავით მდინარის მარჯვენა ნაპირზე და ისე გვევლო ეცერამდე. ვაგუარეთ სოფ. დოლსა და ქასთვანის და მივედით სოფ. ებუთს. ეს სოფელი მალღობზეა გაშენებული (5553 ფ.), უწინ ბეჩოს საზოგადოებას ეკუთვნოდა და ეხლა ეცერზეა მიწერილი. ებუთიდან ეცერამდე გზა გვერდ-გვერდ მიდის, თანდათან უხვევს მარჯვენა მხარისკენ. ეცრის საზოგადოებას რამდენიმე სოფელი შეადგენს; ზოგი ენგურის მარცხენა ნაპირზე სძევს, ზოგი მარჯვენაზე. საზოგადოებას შეადგენს 150 მეკომური, ამათში სამი კომლი თ. დადიშქელიანები არიან. საბატონო სვანეთში ეცერი თავისის მშვენიერის მდებარეობითა და სინოყიერით პირველი საზოგადოებაა. წინაპარი თ. დადიშქელიანებისა — ფუთა აქ მოვიდა და დაესახლა. დადიშქელიანების წინა მოადგილე რიჩვიანებიც ეცერში სცხოვრობდნენ. როდესაც დადიშქელიანების გვარი გამრავლდა, ეცერში ვეღარ თავსდებოდნენ და ჩუბხევსა და ბეჩოსკენ უნდა გაეწიათ. ყველას ეზარებოდა ეცრის მოშორება და ეს იყო თითქმის თავი და თავი მიზეზი ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტისა დადიშქელიანების გვარში. ძველადგანვე თ. დადიშქელიანები დასახლებულან ეცრის თავში. აქ სახლობს ეხლანდელი ბ-ნი თ. თენგიზი. თავის წინაპრების „გემი“ (სვანური სახლი) მიუტოვებია და აუშენებია ხის დიდი ოდა. თ. თენგიზი ამაში სცხოვრობს თავისის ოჯახით. შენობებში შესანიშნავია საგვარეულო კოშკი. მისი სიმაღლე 80 ფ. ეს ერთად-ერთი კოშკია ეცერში, რომელიც მთლად დარჩენილა. საზოგადოდ სადადიშქელიანო სვანეთში კოშკები ძლიერ ნაკლებად არის და რაც არის, ისიც თავმონგრეულია. თ. დადიშქელიანების ბატონობას კოშკებისათვისაც დაუსვამს მონობის ბეჭედი. რომ ყმებს კოშკებიდან წინააღმდეგობა არ გაეწიათ ბატონებისათვის, უკანასკნელს



კომპეტი უნგრევიათ. აი ეს არის მიზეზი, რომ დღეს ეცერს მარტო დადიშქელიანის კომპი გადაჰყურებს. თ. თენგიზისა და იმის კარ-მიდამოს დაწვრილებით აღწერას ჩვენ აღარ შევუდგებით, რადგან ეს შორს წაგვიყვანს. თ. თენგიზზე ლაპარაკს ჩამოვაგდებთ მხოლოდ აქა-იქ, სადაც ამას მოითხოვს რაიმე საჭიროება. თ. თენგიზი ძლიერ მხიარულად შეგვხვდა. ერთი შესანიშნავი ხასიათი ჰქონდა მას. რაც უნდა ცუდს გუნებაზე ყოფილიყო, უამივით რომ ჰხარებოდეს თქვენ ნახვა, ამ დროს თავს ისე დაგანახებდათ, რომ თითქო თქვენისთანა საყვარელი მას სხვა არავინა ჰყავს, და ვერ შეატყობდით, თუ ამ ქცევაში ცბიერობა გამოიხატებოდა; პირიქით, როცა ეს საჭიროდ მი-აჩნდა, გულით მხიარული, გარეგნობით რაღაც მწუხარებით მოცულს აღმიაწს წარმოგიდგენდათ. მისი პირველი ღირსება სტუმართ-მო-ყვარეობა იყო. რაც სვანეთში მოითხოვება სტუმრისათვის, იმას ყო-ველთვისა ჰქონდა. თავი და თავი იმისი ცხოვრების წყარო იყო იმ მთების შემოსავალი, რომელიც უწინ თ. მურზაყანს ეკუთვნოდა და დღეს ხაზინის საკუთრებაა. ყოველს წელს ეს მთები აძლევდნენ მას 500-800-მდე თხა-ცხვარს და 500 მან. ფულს. ამ შემოსავლით თითო-ნაც კარგად სცხოვრობდა, სტუმარსაც უხვდებოდა და წყალობასაც გაცემდა ხშირად. იმან კარგად იცოდა, როდის უნდა გაეცა და ვის-თვის მიეცა და ამიტომაც ეს გაცემ-მიცემა ყოველთვის ერთი-ორად უბრუნდებოდა მასვე. თ. დადიშქელიანების გვარში თავ. თენგიზის ოდნე არავის უსარგებლებია სვანეთით. ამისი მიზეზი ის იყო, რომ იგი ოფიციალურად სვანეთის ბოქაულის თანამემწე იყო და ამ თანამდებობამ გააძლიერა მისი გავლენა იქაც, სადაც მას როგორც და-დიშქელიანს არაფერი ხელი არა ჰქონდა — თავისუფალს სვანეთში. თ. თენგიზი სცდილობდა ყოველი ბოქაული ხელში ჩაეგდო და კი-დეც ახერხებდა, მაგ გვარებში დაოსტატებული იყო. რაკი თითონაც კომისიას უნდა გაჰყოლოდა მთებში, ამისათვის ერთ ფაცა-ფუცში და მარაგება-მხადებაში იყო. როგორც გამოცდილმა კაცმა, იცოდა რა დაგჭირდებოდა მთებში. იმის სიტყვით, ყველაზე უფრო საჭირო იყო დაფქვილის წაღება, მისი შოვნა ჩრდილოეთ კავკასიის სოფლებშიაც მეტად ძნელი იყო. იმას მოემზადებინა ორი ჯორის საპანე დაფქვილი, ერთი გულა სვანური არაყი და ერთიც — ღვინო, ჩაი-შაქარი და რა-ღაცეები კიდევ. საღამოს ცხრა საათზე ვახშამი გაშლილი იყო ოდას დარბაზში. ჩვენს გარდა სხვა სტუმრებიც ჰყავდა მაშინ თენგიზს, მეგრელები და ოსები. იმათთვის ცალკე იყო დადგმული სვანური გრძელი ტაბაკი, რომელზედაც ბლომად ეყარა ხორაგეულობა. თავ. თენგიზი მოწადინებული იყო ამაღამ კარგი დრო გაგვეტარებინა, რადგანაც მთებში კარგა ხანს მოგვიხდებოდა დარჩენა და შეიძლება

ხანდახან ნაკლულევანებაც გვეგრძნო სასმელ-საჭმლისა. რასაკვირვე-  
ლია, წინააღმდეგობას არავინ გაუწევდით. პურმა და ღვინომ მალე  
გაახარა ჩვენი გული და გაიმართა სადღეგრძელოების ~~ქმედება~~ ~~მსახურება~~  
ყვა სიმღერა სვანური, ქართული, მეგრული და ოსური. ~~ქმედება~~ ~~მსახურება~~  
„მრავალ უამიერი“ სვანურად გადაეთარგმნა თავისებურად და მე სი-  
ცილი ვეღარ შევიკავე, როდესაც თ. ჯ. დაიწყო სვანურად მისი მღე-  
რა. თარგმანი გამოდიოდა ასე: საუკუნოდ იყავ (ივასუე ხარი). დიდ  
ხანს არ ავიღეთ სუფრა. ნვანხმევს ფერხული მოაბმევინა თენგიზმა  
სვანებს და კარგა ხანს შევექეცით. ღამის ოთხს საათზე საწოლად  
დავიშალენით.

\*  
\* \* \*

დილით ეცრისა და ფარის მამასახლისებს ნაბრძანები ჰქონდათ,  
თავთავიანთი საზოგადოება მოეყვანათ დანიშნულს ადგილას. ამ  
დღეს, 29 ივლისს, კომისიას უნდა გაეგო და დაედგინა საზღვარი  
ეცრისა და ფარს შუა. ამ ორს საზოგადოებას, რომელთაგან პირველი  
ეცრის დადიშქელიანების საყმა და მეორე იყო თ. მურზაყანისა,  
შუაში ჩამოუღდის ფინის ღელე. საჭიროა აქვე შევნიშნო, რომ ეცრისა  
და ფარის დადიშქელიანები შთამომავალნი არიან ბაბა ციოყისა, რო-  
მელსაც ჰყავდა ხუთი შვილი. უფროსს შვილს ერქვა თენგიზი და  
უმცროსს თათარყანი. ბაბა ციოყმა სიცოცხლეშივე გაუყო მასული  
შვილებს: თენგიზს მისცა ფარი და ჩუბუხევი, თათარყანს ეცერ-ცხო-  
მარი. უკანასკნელი სვანეთის მთავარი მურზაყანი იყო შვილიშვი-  
ლის-შვილი ამ თენგიზისა. თათარყანი ბაბუა იყო ეხლანდელის ეცრის  
ბატონის თენგიზისა. კომისიას ის საზღვრები უნდა გაეგო, რომელიც  
დაუდვა ბაბა ციოყმა თავისს შვილებს, თენგიზსა და თათარყანს.  
ამისი გაგება კომისიას შეეძლო ხალხისაგან და კიდევ ამიტომ იყო  
საჭირო იმათი ერთად თავის მოყრა. ორივე საზოგადოება დილას  
თავმოყრილი იყო.

ძველის დროიდგან სვანეთში შემოღებული იყო ბუკის დაკვრით  
მოწვევა ხალხისა. ბუკი უთუოდ იყო ადგილობრივ ეკკლესიაში.  
გაისმორდა თუ არა იმისი ხმა, ხალხი მაშინვე შეუდგებოდა ყრილო-  
ბაში წასასვლელად მომზადებას. პირს დაიბანდა, ჩაიცვამდა სადღე-  
სასწაულო ტანისამოსს, გამოეწყობოდა იარაღით და გასწევდა  
„ლალხორისკენ“ (ფორუმი), რომელიც ყოველს საზოგადოებას მიჩე-  
ნილი ჰქონდა. რამდენიც უნდა ყოფილიყო ოჯახში მამაკაცი, ყველანი  
მიდიოდნენ ყრილობაში, მიდიოდნენ ქალებიც, მაგრამ ყრილობაში  
მარტო ის ქალები იღებდნენ მონაწილეობას ან რომელთაც არა ჰყავ-



დათ ოჯახში მამაკაცები და ან ჰყავდათ, მაგრამ დროებით სხვაგან იყვნენ წასულნი. სოფლის „მახვში“ (მამასახლისი) ყრილობას გამოიუცხადებდა მიზეზს, რამაც იგინი შეჰყარა, ხალხი მოისმენდა და გაიმართებოდა კამათობა და ბაასი. რაკი მორჩებოდნენ საზოგადო საქმეებს, შეიქნებოდა ნიშანში თოფის სროლა, ცეკვა-სიმღერა და ორფერხული, რომელშიაც ქალებს დიდი ადგილი ეჭირათ. ხშირად მოხდებოდა, რომ ყრილობა არაყს იშოვიდა ამ შემთხვევისათვის; იგი ან აიღებდა ბეგარას არაყით იმ მოსახლესაგან, რომელსაც იჯარით მიცემული ჰქონდა სასოფლო ადგილი. ანდა, ვისმე დაჰპირდებოდა ხარ-ძროხის ტყავებს, რომელთაც საზოგადოება მოკლეს ხანში დაუკლავდა მსხვერპლად „ღმერთებს“, როგორადაც ამას თხოულობდა ქველადგანვე შემოდებული ხალხის ჩვეულება. ეცერ-ფარის ყრილობას დღეს, რასაკვირველია, არ ექნებოდა არც ფერხულ-სიმღერა და არც არაყის სმა; სამხიარულო შემთხვევა, ნამეტურ ფარელებისათვის. სრულიად არ იყო დღეს. იმათ ამჟამად სულ სხვა დარდი აწუხებდათ. ყრილობის ადგილად დანიშნული იყო ეცრის განაპირა ადგილი, საიდგანაც ფარის სოფლებიც კარგად სჩანდა. ფარელების მოსვლამდე ეცერი თავ-მოყრილი იყო. როდესაც კომისია მივიდა ყრილობაში, ფარელები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსული. ნახევარი საათის ცდის შემდეგ გამოჩნდნენ ჩვენკენ მომავალი ფარელებიც; 150 კაცამდე იყვნენ ბაწრად გამბულნი გზაზე. მზიანი დღე იყო, თოფები ყველას გამოეღო ბუდიდგან, ბეჭზე ჰქონდათ გადადებული და ლულებს ლაპლაპი გაჰქონდა მზეზედ. შორიდან გვესმოდა იმათი მაღალი და გაჯავრებული ლაპარაკი. ბოლოს, როგორც იყო, მოაწიეს ჩვენამდე, კომისიის წევრებს როგორღაც უსიამოვნო თვალთ შეხედეს, რამდენმამე კაცმა ყრილობიდან ცივად სალაში მოგვცა, რომ ნამეტან უზრდელობად არ ჩამოგვერთმია მათი ქცევა, და შემდეგ მოშორებით დადგნენ ეცრის ყრილობისაგან. კომისიის ერთი წევრი, რომელსაც ამიერიდგან „მოხელეს“ ვუწოდებთ<sup>1</sup>, ცოტა არ იყოს გაჯავრებული იყო ფარელებზე დაგვიანების გამო და მოსალოდნელი იყო, რომ თავისს სიტყვას ლანძღვა-გინებით დაიწყებდა, მაგრამ თავი შეიკავა, ზედავდა რა, რომ ფარელები უიმისოდაც ვერ იყვნენ კარგს გუნებაზე. იგი ჩადგა ეცრისა და ფარის ყრილობას შუა და სთხოვა ერთმანეთზე ახლო მოსულიყვნენ, თორემ ასე შორს ვერ გააგონებ-

<sup>1</sup> ამ მოხელესა და კომისიის მეორე წევრს ხშირად მოუხდებოდათ ხოლმე ერთმანეთში გამწვავებელი ბაასი და ამისათვის ჩვენც ხშირად შეგვხვდებოდა იმათზე ლაპარაკი. მკითხველმა დაიმახსოვროს, რომ „მოხელედ“ ყოველგან ერთი და იგივე წევრი გვყავს გამოყვანილი და იმის მოკამათედ ერთი და იგივე წევრი.

და ლაპარაკს. რაკი ფარელებმა ფეხი არ მოიცვალეს, გაჯავრებულმა მოხელემ ეცერლებს დაუყვირა ფარელებთან ახლო მისვლა. ეცერლებმა ახლო მიიწიეს. მოხელემ მოკლედ გადასცა ყრმობის კომისიის დანიშნულება, უთხრა, რომ თ. მურზაყანის ცილის-შვილსა და ძმებზე მთავრობას ბევრი ფული დაეხარჯა და იმის მაგიერ ჰსურს თავადის მამულით ისარგებლოსო. ამისათვის საჭიროა გავება ნამდვილის საზღვრების თავ. მურზაყანის მამულის მხრივ. პირველად კომისიამ უნდა დანიშნოს საზღვარი ეცერსა და ფარს შუა და სთხოვს ყრილობას უჩვენოს ნამდვილად საზღვრებიო.

— აბა, მიუბრუნდა მოხელე ფარელებს. პირველად თქვენა სთქვით, რომელია თქვენი და ეცერლების საზღვარი?

ფარელების მხრით წინ წამოდგა ერთი მოლაპარაკე და სთქვა: — ფარი და ეცერი თ. დადიშქელიანების სვანეთში მოსვლამდე დიდის ხნის წინათ ყოფილან დასახლებულნი თავ-თავიანთ ადგილებზე და საზღვარიც ჰქონიათ. თუ არ ძალმომრეობით, იგი საზღვარი არასოდეს არ იცვლებოდა. ჩვენა გგონია, რომ კომისია ძალას და მიკერძვას არ გამოიჩენს, და, თუ ეს შევამჩნიეთ, მაშინ ჩვენც მაგ ძალას დავადგებით და ერთს მტკაველს ჩვენს ადგილს არავის დავანებებთ, თუ გინდ ამას გადავყვეთ ყველა. მე მიკვირსო, განაგრძო ფარელმა: რომ შენ. ამდენი ხანი სცხოვრობ სვანეთში, კარგად იცი ჩვენი და ეცერის საზღვარი და კიდევ გვეკითხები, საზღვარი მიჩვენეთო. ჩვენი საზღვარი უხსოვარის დროიდგან ყოფილა აი ეს ფინის ღელე, რომელიც ეცერსა და ფარს შუაა. ღელეს მარჯვნივ ადგილები ჩვენია და მარცხნივ—ეცერლებისა.

ეცერის მხრით წამოდგა თ. თენგიზის ძმა, თ. ბექირბი დადიშქელიანი, და განაცხადა, რომ ეცერლების მიწები ფინის ღელეს იქითაც არიანო. ამაზე ფარელებმა ყაყანი შექნეს და მკვანე სიტყვები გაავგონეს თ. ბექირბის. თ. ბექირბის გული მოსდის და ყვირილს იწყებს. ფარელები უარესად ბრაზდებიან და რამდენსამე წამს ასტყდება ერთი არეულება და ყვირილი. მოხელე სცდილობს დააშოშმინოს ფარელები, მაგრამ არავინ უგონებს. ბოლოს ფარელები ჩუმდებიან. აღელვებული თ. ბექირბი ვერ იკავებს თავს და ხელ-ახლა უჯავრდება ფარელებს. ეს იწვევს ფარელების მხრით სამაგიეროს. ბექირბის ახლა ეცერლებიც მიემხრნენ. ასტყდება ისევ საშინელი ყვირილი. სამასამდე შეთოფ-იარაღებული სვანი ორ მოწინააღმდეგე დასად დაყოფილ მგლებივით უყურებს ერთმანეთს. არის ერთი ჩოჩქოლი, მისვლა-მოსვლა, მუქარა. კომისიის წევრები ვერაფერს აწყობენ. ამ ხალხის მღელვარებამ რამდენსამე წამს გასტანა. ბოლოს ერთი ფარელი წამოიძახებს: წავიდეთ ჩვენს სოფელში, იქ მობრძან-

დნენ ეცერლები თავიანთის ბატონებით და იქ გავსცემთ საკადრისს პასუხსაო. სთქვა თუ არა ეს, ფარელები იმ წამსვე გაუდგნენ ფარისკენ წასასვლელად. გაჯავრებული მოხელე, რაც შეუძლიან, უყვირებულად ფარელებს, რომ სახლში ნუ წახვალთო, მაგრამ ყურადღებას აქცევს, ხალხი მიდის სახლში. მოხელემ ცხენი მოითხოვა, მიიხრა გავყოლოდი მეც, გავსწიეთ და წინ მოვუარეთ ფარელებს. წინ მიმავალნი მოხელემ შეაჩერა. სთხოვა, ორიოდ სიტყვა მოისმინეთ და მერე რაც გინდათ, ის ჰქენითო. ხალხი შეჩერდა. მოხელე დაუყუჩლა და იმდენი ელაპარაკა, რომ უკან დააბრუნა. აქ მოხელე მაშინვე ბეჭირბის მიუბრუნდა და გაჯავრებულმა გადასცა: ლაპარაკში არ ჩაეროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია ოქმს შეადგენს, რომ თქვენ ხელს გვიმლითო. აქ თ. თენაიზიც, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა, ჩაერია საქმეში და უთხრა თავისს ძმას, რომ ყრილობას გაცალეო. თ. თენგიზი, როგორც ნათქვამია, ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა. უეჭველია, იგი, როგორც ეცრის მემამულე, სცდილობდა საზღვარი ეცერლების სასარგებლოდ დარჩენილიყო, მაგრამ ამ სურვილს აშკარად ვერ ამჟღავნებდა, რადგან თითონ იყო თ. მურზაყანის მამულის მოიჯარადრე და მამასადამე, ამ მამულის ინტერესები უნდა დაეცვა. რომ ეცერლებს არ აწყენიოს და კომისიამაც ეჭვის თვალით არ შეხედოს, იგი გაჩუმდა, მოერიდა ყრილობაში ჩარევასა და ლაპარაკს. ცხადი იყო, რომ მას თავის მავიერ ძმა გაენდო ეცერლების მხრით მოლაპარაკედ, მაგრამ როდესაც შეატყო და საჭიროდ დაინახა, უთხრა ძმას ყრილობიდან გასვლა და კიდევ გავიდა. თ. ბეჭირბის ყრილობიდან გასვლის შემდეგ მოხელე ისევ მიუბრუნდა და ფარელებს სთხოვა, დამშვიდებულად ელაპარაკათ და არ აეტეხათ კვლავ აყალმაყალი. ფარელებმა მიუგეს გადაჭრით, რომ თუ მათსა და ეცერს შუა ფინის ხეობა არ დარჩება საზღვრად, მაშინ ჩვენ უთუოდ სახლში წავალთ და ნებით არავის დავაჩაგვრინებთ ჩვენს თავსაო. ცოტა ხნის ლაპარაკს შემდეგ ეცერლებიც დაიყოლია კომისიამ და საზღვრად ფინის ღელე დარჩა.

ამასობაში საღამო შეიქნა. ღამით კომისია ფარს უნდა წასულიყო. ეს იყო 30-ს ივლისს. ღამის გასათევად სვანეთის ბლალოჩინისას მივედით. მასპინძელი ამქამად სახლში არ იყო. სახლი ხისაა, შეტკეჩილი, ერთ სართულიანი და სამოთახიანი. ეს სახლი სკოლისთვის აშენებულია 1864 წ. კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელის საზოგადოების ხარჯით.

დიად, სკოლისთვის იყო ეს სახლი აშენებული, მხოლოდ სკოლაცი არასოდეს არა ყოფილა იქ. დღესაც ხელ-უხლებლად სდგას აქ რამდენიმე ყუთი სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთით გამოტენილი, მო-

მეტებულად „ლუშნუ ანბანი“ (სვანური ანბანი), რომელიც მეს-  
დგა განსვენებულის პ. უსლარის მოგონილის ასოებით. 1872 წ. მას-  
წავლებელიც დაინიშნა აქ, რამდენიმე კვირა ფარელებს დაეძინა  
დადიოდნენ, მაგრამ როდესაც მშობლებმა გაიგონეს „ლუ გვიშვე,  
ხედა ხი დეცარქი“ (მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა) და „ნუგე-  
შინის მცემლო“, სვანურად „ნუ გეშინია“-დ თარგმნილი, უმჯობე-  
სად დაინახეს შვილები ისევ სახლში წაყვანათ და სამწყესტურში გა-  
ეგზავნათ, ვიდრე ხვთის გამობა ესწავლებინათ „ლუშნუ ანბანის“  
წყალობით.

ამნაირად სკოლაში მარტო მასწავლებელი დარჩა. მან სცადა თა-  
ვისუფალს სვანეთში გაემართნა სკოლა და აირჩია მესტიის საზოგა-  
დოება. აქ მაშინ მღვდლად იყო მ. ილარიონ გერსამია, ხალხისაგან  
პატივცემული, რომელსაც ავაზაკებმა ბოლო მოუღეს ქუთაისში  
შარშან. მ. გერსამიას მეცადინეობით რამდენიმე ბავშვი შეაგროვეს  
და დააწყებინეს სწავლა. „ლუშნუ ანბანმა“ აქაც ვერ იხეირა. რამ-  
დენსამე ხანს შემდეგ მასწავლებელი მღვდლად ეკურთხა, ბავშვები  
თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ და ეს იყო და ეს, მას აქეთ სვანეთს  
სკოლა აღარ ჰღირსებია. აი მოკლედ დასაბამი და დასასრული სწავ-  
ლა-განათლების ისტორიისა სვანეთში!

ასე და ამნაირად კომისია ამ სახლში დაბინავდა. მოხელემ ფა-  
რის მამასახლისს უბრძანა, რომ სახვალოდ ხუთი ცხენი ეშოვნა. მა-  
მასახლისი რომ ცხენების საშოვნელად წავიდა, ჩვენ ჩაის სმას შე-  
ვუდექით.

აქ უადგილო არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ფარის სა-  
ზოგადოებაზე, როგორც რეზიდენციაზე უკანასკნელის სვანეთის  
მთავრისა. ფარის საზოგადოებას სულ ხუთი სოფელი შეადგენს.  
ადგილ-მდებარეობა ულამაზოა. სახმარი ადგილები ხალხს ნაკლებად  
აქვს. შეძლებულს მოსახლეს აქ უფრო ნაკლებად შეხვდებით, მინამ  
სვანეთის სოფლებში. თ. დადიშქელიანების გვართაგანი ერთი აქ და-  
სახლდა, სახელდობრ ბაბაციოცი. ეს ბაბაციოცი, თუ ვერწმუნებით  
ლეგენდას, მეზუთე მოდგმა იყო დადიშქელიანების თავდაპირველის  
წინაპრის ფუთასი. სასახლე ფარელ დადიშქელიანებს შიგ სოფელ-  
ში ჰქონდათ. იგი, გარდა სიდიდისა, არაფრით განირჩევა სვანურის  
სახლებისაგან. დღეს ეს სახლი დანგრეულია. თ. მურზაყანის დროს  
აქმენებინათ ორი სახლი თათრულს გემოვნებაზე. ერთი ამთაგანი  
დღეს სასოფლო კანცელარიად არის გადაქცეული, მეორე უჭირავს  
ფარელს მოსახლეს.

ჩაი დიდის ხნით გათავებული გვექონდა, რომ ვაოფლიანებული  
მამასახლისი შემოვიდა ჩვენთან. საცოდავს თავის ფეხით დაეარნა



ყველა მოსახლე, ვისაც-კი ცხენი ჰყავდა, მაგრამ ვერას გამხდაროყო. მოახსენა მოხელეს, რომ ხუთის ცხენის შოვნა არ შეიძლებაო, სამი ვიწოვე და ისინიც იმიტომ, რომ მე და ჩემს ძმებსა გვყავსო, მოხელეს გული მოუფიდა და ლანძღვა დაუწყო მამასახლისს. უარეს გუნებაზე მამასახლისი იყო. ერთის მხრით სოფელში არ უგონებდნენ და მეორეს მხრით მოხელე უჯავრდებოდა. რას მიჯავრდებო, უთხრა მამასახლისმა: შენ ხომ ჩემზე უფროსი ხარ, აბა სცადე და შენ იშოვნეო. აქვე მოგიყვან ცხენების პატრონს, შენ იცი და იმათო, და გავიდა კარში. ერთ საათს შემდეგ სამი ფარელი შემოიყვანა მამასახლისმა, დაუყენა წინ მოხელეს და უთხრა: აი ცხენების პატრონებიო. სამივე ფარელი მამასახლისს შეაშტერდნენ, მამასახლისს იგინი სხვა მიზეზით მოეყვანა და ცხენების გაქირავებაზე არაფერი გაემხილა, რადგან მაშინ არ მოვიდოდნენ მოხელესთან.

— განა მაგისტვის მოგვიყვანე აქაო, შეესივნენ სამნივე მამასახლისს: ხომ ვითხარით წინადაც, რომ ცხენებს არ გავაქირავებთო. მამასახლისი ჩუმად იდგა. მოხელე მიუბრუნდა სამს ფარელს:

მოხელე. თქვენ გყავთ ცხენები?

ფარელები. გვყავს.

მოხელე: ხვალ აი, ამ სოფლამდე გვაქირავეთ და ფულს მოგცემთ.

ერთი ფარელთაგანი. ჩემი ცხენი სუქნად არის და ვერ გაქირავებ.

მეორე. მე ამ დღეებში სხვა სოფელში ვაპირებ და მანამდი არ მინდა ცხენი ვხედნო.

მესამე. რა ქირა უნდა მომცეთ, რომ ცხენიც დავღალო და მეც მოვცდე, მე ვერ გაქირავებ.

ამნაირად ყველანი უარზე დადგნენ. გაისმა მოხელის ჩვეულებრივი ღრიალი. ფარელები როგორც შემოვიდნენ, ისე გავიდნენ სახლიდან. უკვირდათ და ამბობდნენ, ხომ არ გადარეულა, რა აყვირებს; ცხენები ჩვენია, გვინდა ვაქირავებთ, გვინდა არაო! დავრჩით ოთახში მე, მოხელე და მამასახლისი. მამასახლისი, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, რომ მოხელემ ვერაფერი გააწყო. აი, ბატონო, უთხრა: სადაც შენ არ გიგონებენ, ჩემი რა უნდა შეისმინონო, ჰკრა ფეხი და სახლში წავიდა.

დავრჩით ოთახში მარტო ჩვენ ორი. ბევრი უსიამოვნო სიტყვები გამაგონა მოხელემ სვანების შესახებ. იმის აზრით, სვანები ნადირები არიან, იმათთან კარგი არ გადის, იმათი მოჰკვიანება, მოთოკვა შეიძლება მხოლოდ ძალითაო და სხვა მრავალი. მოხელეს დაავიწყდა, რომ იმ ძალის ხმარებამ სვანების შესახებ, რომელზედაც იგი

ამყარებდა სვანეთის მოშინაურების იმედს, 1875 და 1876 წელს სამწუხარო ნაყოფი მოიტანა (მაშინ არეულობა იყო სვანეთში). მეტი ვუმტკიცებდი მოხელეს, რომ სვანები მხეცები არიან და ღირსეულად საჭიროა იმათის ხასიათის გაგება და იმისდა გვარად მოქმედება, მაგრამ ჩემს სიტყვებს ბანზე აგებდა, როგორც „ყმაწვილისას“, რომელმაც ცხოვრებისა ჯერ არა იცის-რა.

მოხელე რომ ამ ამბავში იყო ცხენების შოვნის შესახებ, კომისიის სხვა წევრები გარეთ დასეირნობდნენ მინდორზედ ამ საუცხოვო გრილს სადამოს. როდესაც სეირნობა მოჰბეზრდათ, ისინიც ჩვენს ოთახში შემოვიდნენ. ვახშობამაც მოაღწია და ყველანი სუფრას მოვუსხედით. ვახშამზე კომ. წევრმა ჰკითხა მოხელეს ცხენების თაობაზე. მოხელეს არაფრად ეამა დავიწყებულ უსიამოვნების გახსენება და ცივად უთხრა, რომ ორი ცხენი ვერ ვიშოვნეთო. წევრმა შეამჩნია, რომ მოხელე ქეიფზე არ იყო, და სიტყვა აღარ გაუვრძელებია.

მეორე დღეს მამასახლისი დავიბარეთ თავისი სამის ცხენით. რადგან ორი ცხენი ვერ ვიშოვნეთ, შევუთვალეთ ბარგის წასაღებად მეორე სოფლამდე ერთი უღელი ხარიც მოეყვანა თავისი. მამასახლისი ისე იყო შეწუხებული, რომ ოღონდ ჩვენ მალე მოვშორებოდით იმის სოფელს და რაცკი რამ ჰქონდა თავისი, არას იშურებდა. მოგვიყვანა უღელი ხარი და სამი ცხენიც. ქირა-კი მაშინვე გვთხოვა. მოხელემ ცხენზე ოთხი აბაზი შეაძლია, მამასახლისმა მანეთი ითხოვა. მე სახლში ძმები მყავს, იმათიც არის ეს ცხენები და თუ რაც დამაბარეს, ის ქირა არ მივუტანე, სახლში უსიამოვნება მოგვივართ. მოხელე მეტს არ აძლევდა. კიდევ უსიამოვნება. აქ წევრიც გაერია და როცა გაიგო, რომ საქმე ოთხის აბაზისა და მანეთის მიცემაზეაო, უთხრა მოხელეს, რომ მიეცა. მოხელეს წევრის გარევა არ ეამა და შელაპარაკდნენ. მაშინ წევრმა თავისი საკუთარი ფული აიღო და ხელში ჩაუდგა მამასახლისს. მოხელემ ეს თავის შეურაცხყოფად მიიღო, უთხრა წევრს, რომ მაგ გვარის ქცევით სულ გადამირვე ხალხს და თუ კიდევ ჩაგიდენია რამ მაგ გვარი, მაშინ ყველაფერს განკარგულებას შენ დაგიტოვებ და როგორც გინდოდეს, ისე მოიქეციო....

ამასობაში ცხენებს ბარგი აჰკიდეს ბიჭებმა და გზას გაუდგნენ. ჩვენც გავყევით უკან. იმ დამეს ჩვენ უნდა მივსულიყავით სოფ. თავრარს, ჩუბხევის საზოგადოებაში. ამ სოფლიდამ ჩვენი გზა იღვა ჩრდილოეთით კავკასიის დიდ ქედისაკენ. სანამ სოფ. თავრარს მივიდოდით, ფარის საზოგადოებაში მდებარე სოფ. ღეშტერი უნდა გავგეარა. აქამდე გვყავდა მამასახლისის ხარები ნაჭირავები, აქ სხვა

უნდა გვემოვნა, მაგრამ ხარების მოვნამ არც აქ ჩაიარა უდავლად-  
რაბოთ. გზაზე ბარგს დავეწიეთ და კიდევ გავუსწარით სოფ. ლეშ-  
ტერს. მისვლისთანავე შევუდექით ხარების ძებნას, რომ ბარგი წაე-  
დოთ სოფ. თავარამდე. საქმის დღე იყო. სოფელური თივას ჰხიდავ-  
დნენ სათიბებიდან. ბარგის მოსვლამდე რამდენსამე კაცს შევეხვე-  
წეთ დაეთმო ჩვენთვის ხარები თავარამდე ქირით, მაგრამ ყველამ  
ცივი უარი გეტკლიცა.

წევრზე გულმოსული მოხელე ხშირად წამოიძახებდა ხოლმე:  
აბა, ერთი მაგ ვაჟბატონმა უქადავოს თავისი ფილოსოფია და გამო-  
ართვას ქირით ხარებო! ამ ფრაზას პირველად თავისთვის ამბობდა  
და ბოლოს თითონ წევრსაც გააგონა. წევრმა პასუხად უთხრა, რომ  
თუ ჩვენი ხალხი არაფერს გვიგონებს, ასე ცივად გვექცევა, ჩემის  
აზრით, ეს თქვენივე ბრალი უნდა იყოს; რამდენიმე წელიწადი სვა-  
ნეთში მოხელედ ყოფილხართ და თქვენის მოღვაწეობის ნაყოფს  
დღეს ვხედავთ; ვანა ამდენის წლის განმავლობაში შეუძლებელი  
იყო ის მაინც ჩაგეგონებინათ ხალხისათვის, რომ მთავრობისაგან გა-  
მოგზავნილს კაცს ქირით ხარი და ცხენი არ დაუკაოსო? ერთი მიჩ-  
ვენეთ მაინც, რა გააკეთეთ ამდენის ხნის განმავლობაში სვანეთში და  
რითი აღბეჭდეთ კვალი თქვენის აქ სამსახურისაო? მოხელეს ლახვა-  
რივით ეცა ეს სიტყვები, პასუხად ლანძღვა-გინებას მოჰყვა, ლანძღ-  
ვა-გინებით შეგვამკო ყველა იქ მყოფნი და მაშინვე მოგვცილდა.  
ბევრს ხანს ლაპარაკობდა თავისთვის გაჯავრებული მოხელე, მაგრამ  
აზრი ლაპარაკისა არ გვესმოდა, რადგანაც ჩვენზე შორს იყო. ამ  
დროს იმის ახლო ერთმა კაცმა ხარებით მარხილი თივა ჩამოართონი-  
ნა. ამ კაცს ქართულიც სცოდნოდა. როგორ მოახერხა, არ ვიცი და  
ეს კი იყო, რომ მოხელე იმას მორიგებოდა ხარებზე: ეს სვანი დაე-  
თანხმა თავარამდე წაეღო ჩვენი ბარგი ქირით. მოხელე ამ დროს  
გამხიარულებული იყო, იგი თითქო ნიშნს უგებდა ბ-ნს წევრს, რომ  
ისევ მან მოაწყო საქმე და იშოვნა ხარები. ამ დროს მამასახლისის  
ხარებმაც მოაღწია ჩვენის ბარგით. ლეშტერელმა კაცმა თივის მარ-  
ხილი სახლში წაიღო, თივა შინ დაჰყარა და ხარები ცარიელის მარ-  
ხილით ჩვენ მოგვგვარა. მაშინვე უთხარით ბიჭებს ბარგი მარხილში  
ჩაეწყოთ და საჩქაროდ გაეწიათ თავარას. მაგრამ სადღა გასწევ!  
სწორედ იმ დროს, როდესაც ხარები ჩვენის ბარგით გზას გაუდგნენ,  
მოვარდა ხარების პატრონის ძმა, ხარებს ხელი სტაცა, შეაჩერა და  
თავისი ძმა ძლიერ შესტუქსა — როგორ თუ შენ ამისთანა მუშაო-  
ბის დროს ხარებს ვიდაცეებს აძლევი და ოჯახსა ჰლუპავო. ჩვენ  
განრისხებული შემოგვხვდა და ხარები გამოუშვა მარხილიდამ. ყვე-  
ლანი სახტათ დავრჩით ამ მოულოდნელს ამბავზე, ვერც ერთი ვერ

მივედი ამ გაჯავრებულს კაცთან, რომ ან წყრომა და ან თხოვნა გავვეცხადებინა მისთვის. ის სულ თავის ძმას უჯავრდებოდა, სტუქსავდა, რომ ამისთანა დროს ხარები გვაქირავა, რომ იგრი ჩას მოვლებს იმდენს, რასაც დღეის ხარების მოცდენა ოჯახს ზარულს მოუტანსო. მოხელეს რომ ეს სიტყვები გადავუთარგმნე, მეტად ავს გუნებაზე დადგა. იგი იმ დროს მზად იყო სცემოდა თავხედს სვანს ყრონჭში და მერე რაც იქნებოდა-იქნებოდა. მაგრამ თითონ ძმებმა გამოიხსნეს მოხელე ამ განსაცდელისაგან. ხარების მომყვანმა გადაწყვეტით უთბრა თავისს ძმას, რომ უთუოდ მივაქირავებ ხარებს კომისიას, რადგანაც სიტყვა მივეციო, და თუ შენ ამაზე გული გტკივა და წყენად გრჩება ეს საქმე, მერე გამისწორე ანგარიშო. აქ მოწინააღმდეგე ძმაც შეჩერდა და ამნაირად გადავრჩით ხიფათს. ხარები ისე ჩვენ დაგვრჩა და ბარგი წავიღეთ თავრარს.

\*  
\* \*

მადლობა ღმერთსაო, ვსთქვი გუნებაში: ამ ერთს დაბრკოლება-საც გადურჩით, ვნახოთ რა იქნება შემდეგ. როგორ მიგვიღებენ ჩუბეხეველები, სადაც ეხლა ჩვენ მივდიოდით. ეს-კი ვიცოდით, რომ ჩუბეხეველები ფარელებზე უფრო ჯიუტები იყვნენ და ნამეტანის სიამ-ტკბილობით არ მოგვეგებებოდნენ.

სოფ. ლეშტერსა და თავრარს შუაში ღელე ჩამოუდის. ძირსა და გვერდებზე ამ ღელეს ფხვიერი მიწა აქვს და ყოველ წვიმის დროს საოცრად დიდდება და ჰგლეჯს ნაპირებს. მცხოვრებლებს ამ ღელეში წისქვილები დაუმართავთ და წელიწადი ისე არ გავა, რომ რამდენიმე წისქვილი არ ჩააქანოს ღელემ ენგურში.

სოფ. ლეშტერი ზედ ამ ღელის მარცხენა ნაპირზე ძევს. გავსცილით თუ არა სოფელს, მაშინვე ჩავეშვით ღელეში. თავდაღმართი ისეთი ჩაქანებული იყო, რომ არა თუ ცხენებით, ფეხით ჩასვლაც გავვიჭირდა. კომისიის წევრს სულ გული მოსდიოდა ამ გლახა გზის გამო მოხელეზე, — რა დიდი თავის ტეხა უნდა, რომ ბილიკი მაინც გაეკეთებინა ხალხისათვისაო. ჯერ მარტო მე მელაპარაკებოდა ამას, მაგრამ როდესაც წინ წასული მოხელე, რომელიც ორს სვანს მიჰყავდა ხელმოკიდებული, ერთს ადგილას შეჩერდა, წევრმა დაცინვით ჰკითხა: „ბ-ნო მოხელე! ამ გზაზე როდისმე გივლიათო?“ მოხელემ ქვა ნაკრავივით მოარიდა პირი წევრს და თავის მხლებელ სვანებს დაუყვირა: გასწიეთო! ბევრ ხანს რაღაცეებს ლაპარაკობდა გაჯავრებული მოხელე, მაგრამ მე და წევრს გარკვევით არ გვესმოდა სიტყვები, ვიცოდით-კი ორივემ, რომ მოხელე წევრის ქებაში არ

იყო. ჩავიარეთ დღე, გავედით მეორე ნაპირას და ისეთსავე აღმართს შევუდექით, როგორც იყო თავდაღმართი. ავიარეთ აღმართი, გზამ გვერდზე გადაუხვია და მიგვიყვანა სოფ. თავარას. აქ ჩუბხეული ზევის საზოგადოება თავმოყრილი დაგვხვდა. სოფ. თავარას მოზრდილი მინდორია გაშლილი. ეს არის „ლალხორ“ (ფორუმი). მოხელემ მოკლედ აუხსნა ხალხს კომისიის აზრი და საგანი, უთხრა, რომ 12 კაცი, ნასიარულები იმ მთებში, სადაც კომისია მიდიოდა, გამოერჩიათ და გამოეყოლებინათ ჩვენთვის. ზევით დამავიწყდა მეთქვა, რომ ფარის საზოგადოებასაც თორმეტი კაცი უნდა მოეცა ჩვენთვის ამავე საგნისათვის. არც ფარელებსა და არც ჩუბხეეულებს უარი არ უთქვამთ; არ უთქვამთ იმიტომ, რომ ძველდაც მთავრის ხელში და ეხლაც, როდესაც მთები თ. თენგიზსა აქვს იჯარით აღებული, ფარი და ჩუბხეევი მიდიოდა მთებში საბალახოს მოსაყრებად. საბალახოდამ თითო კაცს მთებში გამოკლეს ერთი ცხვარი ეძლეოდა. ეს იყო მიზეზი, რომ საბალახოს ასაყრებად გაყოლა ხალხს რიგით ხვდებოდა: წელს რომ 12 მოსახლე კაცებს გაჰგზავნიდა, გაიხად სხვა 12 მოსახლეს შეხვდებოდა ეს რიგი და ასე იყო ყოველს წელს.

მზე დაწურვაზე იყო; ხალხი დაიშალა; ჩვენ-კი ამ მინდორში დიდხანს დავრჩით, ვსიამოვნებდით იმ მშვენიერის სურათით, რომელიც წინ წამოუდგება კაცს ამ თავარის ფორუმიდამ. ჰხედავ ჩრდილოეთისკენ დიდს ქედს, დასავლეთისაკენ მდ. ენგურის ვიწრო და ტყით შემოსილს ხეობას, აღმოსავლეთისკენ თითქმის მთელს სვანეთს და სამხრეთისკენ ესრედ-წოდებულს სვანეთის ქედს, რომელიც შუაზე ჰყოფს ენგურისა და ცხენისწყლის ხეობას.

კარგა ხშირი ბინდი იყო, როდესაც ბინაზე მივედით. ღამე უნდა გაგვეთია სვანეთის სახლში. იქვე სოფლად ქვის სახლს გარდა ჩვენს ამაღამდელს მასპინძელს ხის ჯარგვალიც ჰქონდა და ეს ჯარგვალიც დაგვითმო ჩვენ. ვახშობამდე მოხელემ სოფლის მოხელენი იხმო და გამოუცხადა, რომ ხვალისათვის ყრილობა მოეხდინათ ადრე და რამდენიმე ჯორი ეშოვნათ ჩვენთვის ქირით, რადგანაც ცხენები მთაში არ გამოგვადგებოდნენ. ჯორების შესახებ მამასახლისმა მიუგო, რომ სჯობს ხვალ თითონ უბრძანოთ ჯორის პატრონებს, რომელნიც ყრილობაზე იქმნებიან.

— მე რომ ამაღამ ვუთხრა, — განაგრძო მამასახლისმა: — ვაი თუ ხვალ აღარც პატრონი მოვიდეს და აღარც ჯორი მოიყვანოს და საღამე სხვაგან წავიდეს განგებ.

მეტი ჯანი არ იყო, მოხელე დაეთანხმა მამასახლისის მოსაზრებას. ამასობაში ვახშამიც მოგვიტანეს. ვახშმად ჩვენთან იყო ადგი-

ლობრივის მრევლის მღვდელი მამა წერეთელიც. მამა წერეთელი რაჭველია; ამ მრევლში იგი 20 წელიწადზე მეტია, რაც არის საწრუხნაროდ, გარშემორტყმულს საზოგადოებას ეს მღვდელი უფრო ად გაუსვანებია; იმის მაგიერ, რომ მღვდელს თავისი კვალი დაეჩინა აქაურობაზე, თითონ აქაურობას უმოქმედნია მღვდელზე. რამდენჯერმე საჩივარშიაც ჩავარდნილა. სასულიერო მთავრობას გადაუწყვეტია მისი მეორე მრევლში გადაყვანა, დათხოვნაცა, მაგრამ მამა წერეთელს საქმე ისე მოუკვარახტინებია, რომ დღესაც თავის მრევლშია. თითონ ჩვენს მოხელესთან ბევრჯელ მოსვლია უსიამოვნება. მამა წ-ლი თავმოყვარე კაცია და თავს არავის დაუდებს. დღესაც საიდურავი ჰქონდა მოხელეს ამ მღვდელზე. აი საქმე რაში მდგომარეობს: მთავრობას გამოეცხადებინა ჩუბეხევის საზოგადოებისათვის, რომ თქვენს საზოგადოებაზე ირიცხება გადუხდელი ბეგარა ათას ხუთას მანეთამდეო. საზოგადოებას ეს სწყენოდა: ჩვენს საზოგადოებაზე გადაუხდელი ფული არა დარჩენიათ-რაო, და გუბერნატორთანაც ეჩივლათ. საჩივარი დაეწერა ქართულად მამა წერეთელს, როგორც სასოფლო მწერალს. თხოვნაში მოხსენებული იყო, რომ ის ფულები, რასაც ხელმეორედ მათგან თხოულობს ხაზინა, საზოგადოებამ უნაკლულად გადინადა, მაგრამ მოხელემ, რომელიც იმ დროის ბოქაულად იყო, არ ჩააბარა ხაზინას, თითონ „გადაყლაპა“. სწორედ ეს სიტყვა იყო მოყვანილი საჩივარში გუბერნატორთან და ეს „გადაყლაპვა“ აბრაზებდა მოხელეს. ვახშამზე მოხელე მიუბრუნდა მამა წერეთელს და ეუბნება:

— მამაო, ეს რა დაგიწერიათ, რომ ვითომ მე ჩუბეხევის ფულები „გადაყლაპე“?

— მე, როგორც სასოფლო მწერალი, მოვალე ვიყავ მათი საჩივარი დამეწერა და, თუ საჩივარში გადაყლაპვის მაგიერ ის სიტყვა არ არის ნახმარი, რომელიც თქვენ, მოხელეს, გეამებოდათ, ეს იმიტომ, — რომ საჩივარი მოკითხვის ბარათი არ არის; რაც შეეხება იმას, რომ მოხელემ საზოგადოების ფულები ჩაყლაპა, გადაყლაპა თუ გააპნია, ეს სულ ერთია, რადგანაც საზოგადოებისათვის ფულები სამუდამოთ დაიკარგა.

მოხელემ ხმა-მაღალი ლაპარაკი დაუწყო მ. წერეთელს. წერეთელმა ეს იუკადრისა და შენიშნა, რომ თქვენ უფლება არა გაქვთ გამიწყრეთ, რადგან თქვენ ჩემი უფროსი არა ბრძანდებითო.

— ამ შემთხვევაში მე თქვენ გელაპარაკებით, როგორც საზოგადოების მწერალს, და არა როგორც მღვდელს.

— მაშ თუ ეგრეა, მე დღეიდგან ხელს ვიღებ სოფლის მწერლობაზე და ვნახოთ ვინ წაუკითხავს თქვენს ქაღალდებს მამასახლისს!



ვააბრაზებდა მოხელეს. არ იცოდა რა ექნა, რითი დაესაჯა მთავრობის წარმომადგენლების არაფრად ჩავდება. ისევ მამასახლისს ეცა და უბრძანა, წაეყვანა ყველა მოხელეები, დაეჭირათ ის კაცი, და ამ მოყევანათ. მამასახლისმა სამართლიანად უთხრა, რომ თუ-კი იმის წინ ასე უკადრისად მოიქცა ჯორის პატრონი, სახლში ხომ სულაც არ შეგვიშვებსო და წასვლაზე გადაწყვეტილი უარი სთქვა. მოხელე გაუწყრა. აქ მამასახლისმა ველარ მოითმინა, აიძრო კისრიდამ ჯაჭვი და მოხელეს წინ დასდვა ქვაზე: მომკლა ამ მამასახლისობამ, მეტა აღარ შემიძლიანო.

— უსიკვდილოდ მე ამ ჯაჭვს აწი აღარ დავიკიდებ, რაც უნდა მომივიდეს, ყვიროდა გაცხარებული მამასახლისი.

მამასახლისის ამგვარს ქცევაზე ყველამ პირი დავალეთ. მოხელესათვისაც მოულოდნელი იყო ეს ამბავი. ცოტა ხნის სიჩუმეს შემდეგ დაუტკბა მამასახლისს და სთხოვა ჯაჭვი ისევ დაეკიდა, მაგრამ მამასახლისს გაგონებაც არ უნდოდა ამ რჩევისა. მოხელემ გვითხრა, გვერჩია მამასახლისისათვის ჯაჭვის დაკიდება. შემოვესიეთ ყველანი, ბევრ ხანს იუარა, იფხაკურა, მაგრამ ბოლოს ღმერთმა ინება და მამასახლისი დავიყოლიეთ. ჯორის შოვნის თაობაზე-კი ხმას როგორ გავსცემდით. ეს საქმე მოხელემ თ. თენგიზს მიანდო, რომელიც წინა დღით მოვიდა ჩვენთან თავის ბარგიანად ბიჭებით. ჯორის პატრონი თ. თენგიზის კარგი ნაცნობი იყო და მივიდა იმისს სახლში. კარგა ხანს უტადეთ და მერე თავადის კაცმა ჯორიც მოიყვანა.

მკითხველს ეგებ ეუცხოვოს მამასახლისის ქცევა, რომ მამასახლისობა არ უნდოდა და იკითხოს ამის მიზეზი? სვანებს ძველის დროიდგანვე ჰყავდათ ხომ „მახვიები“ (მამასახლისები) და თუ ცუდი ხელობა იყო ეს სამსახური, როგორ ირჩევდნენ მაშინ მამასახლისებს? ძველი და ეხლანდელი მამასახლისობა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ძველი მამასახლისობა დიდაც საპატიო იყო, მაგრამ დღეს, როდესაც იმისი როლი გამოიცვალა, როდესაც ძველი ჩვეულება სრულიად ვერ შეურიგდა ეხლანდელის კანონის მოთხოვნილებას, მამასახლისობაც უმადური სამსახური შეიქმნა. ერთის მხრით ხალხი თხოულობს მამასახლისისაგან, რომ იგი ძველს ჩვეულებითს სამართალს არ გადუდგეს და მეორეს მხრით მმართველობის წარმომადგენელნი თხოულობენ მისგან კანონის მოთხოვნილების ასრულებას. რა ექმნა მამასახლისს? იმისთვის შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ორის ღმერთისთვის სამსახური. ან უნდა მოემადლიერებინა კანონის წარმომადგენელნი და მაშინ ხომ ხალხის ჩვეულებისათვის ზურგი უნდა შეექცია, და ან ხალხი მოემადლიერებინა, მაგრამ მაშინ მთავრობისაგან ელოდებოდა წყრომასა და

რისხვას. ამ ორში მამასახლისი ირჩევდა უკანასკნელს, ე. ი. მთავრობის რისხვას, მანამ ხალხისას, რომელიც უფრო ძლიერი და საგრძნობელი იყო მამასახლისისათვის. ამგვარს ყოფაშია დღემდე მამასახლისის სამსახური სვანეთში და, ჩემის აზრით, კიდევ უფრო გასტანს ასე....

\*  
\*   \*

როგორც იყო, მოვრჩით მამასახლისის ჯიუტობასაც და ჯორის შოვნასაც. ეხლა სოფლად საშოვარი აღარაფერი გვქონდა, წასასვლელად არაფერი გვაბრკოლებდა. ნაშუადღევს ზუთი საათი იყო, რომ სადილი ვსჭამეთ და სოფ. თავარადგან გავუდექით გზას. ჩვენს ქარავანს 50 კაცი შეადგენდა, გვყავდა 15 ჯორი და 4 ცხენი. თან მიგვქონდა ყველაფერი, რაც-კი მგზავრისათვის საჭიროა მთა-ადგილებში: გამომცხვარი პური, დაფქული, არაყი, სხვა-და-სხვა მაგარი სასმელები და თევზბულობა, ქუთათისიდან წამოღებული ღვინო, ცამეტი დასაკლავი ცხვარი და ორი ქვაბი, ნაჯახები და სხვა რამე. მზიანი დღე იყო და კიდეც ცხელოდა. ამ დღეს ექვსი ვერსი გავიარეთ და ერთს სათიბში დავბინავდით. ჩვენი გზა ჩრდილოეთით მიიმართებოდა „დონღუზორუმის“ უღელტეხილისაკენ, რომელსაც სვანები „ბიზინგის“ და „ქამუკის“ კარკს (ხარხი) ეძახიან. ამ უღელტეხილს სამხრეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადაჰყავს კაცი. ძვესიგი იალბუზის სამხრეთ: მზე ჩასული იყო, როდესაც მივედით ბინაზე სათიბ „თეკერს“. სათიბი თეკერი ვრცელია, ირგვლივ არტყია ბუჩქები და დაბალი ტყე. მისვლისთანავე ბიჭებმა უცებ ჩამოყარეს დატვირთულ ცხენ-ჯორებიდან ბარგი და ერთს ადგილას დააწყეს. გავიყავით რამდენსამე ჯგუფად და ყველა ჯგუფმა თავთავისი ბინა-ადგილი მივიჩნიეთ. წარმოიდგინეთ მთაში გაშლილი, აქა-იქ უსწორმასწორო სათიბი, რომელსაც გარს არტყია მოშორებით ხშირი და მაღალი ტყე და ახლოს-კი ნაირ-ნაირი ბუჩქები; ბუჩქებში შაშვებისა, გულ-წითელასი და სხვა ჩიტების გაფრენ-გამოფრენა, ჭიკჭიკი; რამდენიმე კამკამი მთიური წყარო სათიბშივე; ექვს ადგილას დანთებული ცეცხლი, რომელსაც გარს უსხდა მხიარული ჯგუფი თანამოგზაურთა; სამს ადგილას ხის ტოტებზე ჩამოკიდებული დაკლული ცხვარი, რომელსაც საჩქაროდ ატყავებენ სახელოებ-შეკეცილი სვანები; ჯორ-ცხენების მაღიანი ჭამა და ხრამახრუმი სათიბის ნოყიერ ბალახისა; ზევიდამ კამკაში ლურჯი ცა, საუცხოვოდ მოჭედული ურიცხვის ვარსკვლავებით, რომელთაც ცოტა არ იყოს თავისი სიმშვენიერე 12-ს საათზე ამოსულმა მთვარემ წაართვა; გრილი და წმინ-



და ნიავე, საამოდ მაშრიალებელი ხის ფოთოლთა და გამაგრილებელი კაცისა; ყოველის მხრით შორს-შორს უთოვლო და თოვლიანი მთის მწვერვალნი სხვა-და-სხვა შეხედულობისა და სიმაღლის მექანიკა... წარმოიდგინეთ და ეს იქნება მკრთალი აღწერა იმ დიდებულ სურათისა, რომლითაც ჩვენ ვსიამოვნებდით ხუთს აგვისტოს სათიბ თეკერში. ჩვენ, „ბატონებს“, როგორც გვეძახოდნენ სვანები კომისიის წევრებს, ერთს ბუჩქის ძირში გავგვიკეთეს ბინა, ძირს ხის ფოთლიანი შტოები დაგვიგეს, თავით უნაგრები დაგვიდეს, შორი-ახლო ცეცხლი დაგვინთეს. ეს იყო ჩვენი ბინა. თორმეტ საათზე ვახშამი მზად იყო. ყველა მოწადინებული ვიყავით მშვენიერის სურათის შესაფერი ვახშამი მიგვერთმია. მოხელემ მთელი ჩვენი ბარგი გადაქეპა, უნდოდა, რაც-კი გავაჩნდა საჭმელ-სასმელი ყველა მოენახა და ცოტ-ცოტა ყველასაგან გვეგემა. უცებ ჩვენს სუფრაზე გაჩნდა: ცივად მოხარშული ხბოს ხორცი, კალმახი, ხიზილალა, ზუთხი, სარდინკა, ყველი და ცხვრის მოხარშული და შემწვარი ხორცი, იქვე გაჩნდა ერთი ბოთლი კონიაკი და ტიკტორა ღვინო. ყველა ამას მოხელე თავს დასტრიალებდა, ახლო არავინ მიგვაკარა, მომჭირნე დიასახლისივით უნდოდა ყველაფერი ბლომად გვექონოდა და ამასთანავე სხუმისთვისაც დაგვრჩენოდა რამე, რომ ყველაფერი იმ ღამესვე არ შეგვეჭამ-შეგვესვა. ბოლოს, როგორც იყო, მოხელე მორჩა თავისს საქმეს და გვადირსა თქმა — დასხედითო. ჩქარა ფეხმოკეცილნი გარს ვერტყით ხორაგით სავსე სუფრას. პირველად კონიაკი მივაცოლეთ და შემდეგ ჯერი ღვინოზე მიდგა. ყველანი ვიძახოდით, რომ ღვინო ცოტა დაგვენარჯა, მაგრამ როდესაც სამი-ოთხის სტაქნის შემდეგ თავში გავვიჯდა, მაშინ-კი ღვინოს სმაზედ უარი არავის უთქვამს.

მოკყვა ჭიქა ჭიქაზედ, გაისმა ჩვენს ჯგუფში „მრავალ უამიერ“ ქართულად, რუსულად და სვანურადაც-კი. რომ აღვსილიყო ფილა ჩვენის მხიარულებისა, მოხელემ სვანებს უბრძანა ემღერათ სვანური სიმღერები. ამნაირად გაისმა ხუთს ადგილას ერთი მეორეს მიყოლებით სვანური სიმღერა და მეექვსედ ჩვენი ჯგუფი განაგრძობდა თავის სიმღერას. ტოლუმბაშად ნაცნობი მოხელე გვყავდა. როდესაც სადღეგრძელო სვანეთზე მივიდა, მოხელემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მან დაგვიხატა სვანეთის უწინდელი და ეხლანდელი მდგომარეობა და ის დაასკვნა, რომ ეხლანდელი სვანეთი სულ არა ჰგავს უწინდელს, გამოკეთდა, ხალხმა შეიგნო კანონის მოთხოვნილება და ეს მოხდა მხოლოდ სვანეთში მოსამსახურე მოხელეობის წყალობითაო. ამ სიტყვამ კამათობა გამოიწვია. უნდა გამოვტყუდო, სთქვა ერთმა კომისიის წევრმა, რომელიც ჩვენს სიმღერა-მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა: რომ მე ვერაფერი ნაყოფი აქ მო-

სამსახურე მოხელეობისა ვერ დავინახე რაო. პირიქით, მე ვხედავ-  
რომ აქ მოსამსახურეთა სრულიად არაფერი გაუკეთებიათ და ვერა-  
ფერი კვალი ზედ-მოქმედებისა ვერ დაუტოვებიათ <sup>ტყუარა</sup> <sup>საქმე</sup>  
დამარწმუნა ბევრმა მაგალითებმა, რომელსაც ვხედავ <sup>საქმე</sup> <sup>საქმე</sup>  
მყოფობის დროსაო. როდესაც ვხედავდი სცენებს, ბ-ნო მოხელე,  
თქვენსა და მამასახლისებს-შუა, მე ჩემს გულში ვამბობდი, ნუ  
თუ რუსეთის სამფლობელოში ვარ მეთქი? მე დავრწმუნდი, განაგ-  
რძო წევრმა: რომ თქვენ ვერც ნდობა, ვერც პატივისცემა და ვერც  
სიყვარული ხალხისა ვერ დაგიმსახურებიათ. რითი უნდა აიხსნას ეს  
ამბავი? თქვენ გგონიათ, რომ სვანები მხეცები არიან? ტყუილი აზ-  
რია, მათი თქვენთან დამოკიდებულება მარწმუნებს, რომ სვანებმა  
კარგად იციან კაცის ცნობა, რომ ისინი არჩევენ ავს კარგისაგან და  
სხვა-და-სხვა. ამის გამგონე მოხელემ ბევრი მკვახე სიტყვები გააგო-  
ნა წევრს, ასე რომ უკანასკნელი იძულებული შეიქმნა ვახშმიდგან  
ამდგარიყო: იგი მოგვშორდა და შორი-ახლო ბუჩქს ქვეშ ჩამოჯდა.  
მოხელემ-კი ლაპარაკი არ შესწყვიტა, თავისას უმტკიცებდა კომისი-  
ის დანარჩენს წევრებს, რომ მოხელეობამ ბევრი სიკეთე შესძინა სვა-  
ნეთსაო და სხვა ამგვარები. წევრს კარგად ესმოდა, რომ მოხელეს  
ხანგრძლივი და გაჯავრებული ლაპარაკი იმის სიტყვებმა გამოიწვია,  
და რამდენსამე წამს შემდეგ ისევ მოვიდა ჩვენთან და ფეხზე მდგო-  
მი დაეკითხა მოხელეს: ბ-ნო მოხელე! ერთი მიბრძანეთ, რა იყო  
მიზეზი თავისუფალ სვანეთის აღელვებისა 1875 წ. და სოფ. ხალდეს,  
დაქცევისა 1876 წ.? ეს კითხვა ლახვარივით ეცა მოხელეს. მას ამ  
კითხვაზე გაახსენდა ერთი წერილი, დაბეჭდილი „С. П. Ведо-  
мости“-ებში, რომლის ავტორადაც, როგორც მახსოვს, თითონ მო-  
ხელე ასახელებდა აკაკის და ნიკოლაძეს. წერილში, როგორც მითხ-  
რა თვით მოხელემ, სვანეთის აღელვების ბრალს მდებდნენ მე და  
თ. თენგიზსაო, ვითომ ჩინების მიღება გვინდოდა და განგებ ავაჯან-  
ყეთ ხალხიო. მოხელე დარწმუნდა, რომ ბ-ნი წევრიც სწორედ იმ წე-  
რილის აზრისა უნდა იყოსო და, რასაკვირველია, ამგვარი მძიმე ბრალ-  
დება მოთმინებიდგან გამოიყვანდა. ნამეტან ბრაზ-მოსულმა მოხელემ  
ხელიდამ ვადისროლა ღვინის ჭიქა, იქვე მიაყოლა ხელსახოცი, რო-  
მელიც მუხლებზე ჰქონდა გადაფენილი ვახშმობის დროს, ბზიკის  
ნაკბენივით წამოვარდა და მოგვშორდა, გასწია სათიბის ბოლოში და  
დაიწყო ბოლთის ცემა, რომ „ნიავს მისცეს ფიქრი თვისი, შავად  
მღელვარი“. ავიშალენით სუფრიდამ და ყველანი წევრს ვესაყვედუ-  
რებოდით: თქვენი ბრალია, ასტეხეთ ლაპარაკი და ასეთი უსიამოვნო  
ბოლო მიეცა ჩვენს ლაზათიანს ვახშამსაო, ბევრს ხანს არ გაუვლია,  
რომ ყველანი ბუჩქების ძირში დავსწევით დასაძინებლად გარდა მო-

ხელისა, რომელიც ისევ მარტო დასეირნობდა ჩვენზე მოშორებით. იმის ჩვენთან მოსვლამდე მე კიდეც დამძინებოდა და მარტო დღეს ვნახე დაღვრემილი მოხელე. სისხამი დილა იყო, როცა წინა ფეხზე ვიყავით. ბიჭები ფაცა-ფუცობდნენ. ზოგი ჰკაზმავდა ჩვენს ცხენებს, ზოგი საბარგოს, ზოგი ბარგს ჰკრავდა და საპალნეს ასწორებდა, რომ ცუდს გზაზე რომელსამე ცალს ხრამისაკენ არ გადაეწია მეორე ცალი ცხენითურთ.

აი, მზად არიან ბარგის ცხენები: მოხელემ წინ გაისტუმრა მეზარგულენი, რადგან ჩვენ მაინც მალე დავეწეოდით. ჩვენთან დავიტოვეთ მარტო სუბუქად დატვირთული ჯორი, რომელსაც სხვათა შორის ჩაის მოწყობილობა ეკიდა. ბარგის წასვლის შემდეგ ჩაი გავიკეთეთ და შემდეგ ჩვენც გავუდექით გზას.

სანამ გზას გავუდგებოდეთ, მინდა მკითხველს მოკლედ გავაცნო კომისიის ერთი წევრი, თავ. ზ. ჯ., და იმის სვანეთში მოღვაწეობაზე რამდენიმე სიტყვა ვსთქვა.

კახელი თავადიშვილი ზ. ჯ-მე სვანეთის ბოქაულად დაინიშნა 1868 წ. და დარჩა ამ თანამდებობაში რვა წელიწადი. რვა წელიწადი კარგი ხანია, რომ მოსამსახურემ, რომელსაც მთლად აპარია სვებედი ისეთის პატარა კუთხისა, როგორც არის სვანეთი, რითიმე თავი იჩინოს, თვალსაჩინო საქმე გააკეთოს. მით უფრო მოეთხოვებოდა ეს თ. ჯ-მეს, რომ იგი ამ ხნის განმავლობაში სრული ბატონი იყო სვანეთისა. იმის დროს სვანებმა მეტი უფროსი არ იცოდნენ და თ. ჯ-მე წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც დიდის უფლების პატრონი. მაგ გვარ გაუნათლებელს ხალხში, როგორც არიან სვანები, ყველაზე უფრო საჭიროა ხელისუფალმა ხალხის ნდობა დაიმსახუროს, რომ ზნეობისა და პატიოსნების მხრით მაგალითი იყოს ხალხის შესახებდავად მაინც. თუ ეს ორი თვისება და ღირსება არა აქვს ხელისუფალს, იმისი მოღვაწეობა ვერასოდეს სასურველს ნაყოფს ვერ გამოიღებს ხალხის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, თ. ჯ-მე მტკიცედ არ ადგა ამ აზრს. თ. ჯ-მეს, როგორც იმის წინა-მოადგილეებს, პირველს წლებში მომეტებულად სადადიშქელიანო სვანეთში შეხვდა მოქმედება. იგინი სულ ბატონ-ყმობაში ტრიალებდნენ და იმათს საქმეებს არ არჩევდნენ. თავ. დადიშქელიანების ყმები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თ. ჯ-მე ბატონებს უდგება, იმათ მხარეს იჭერს. ამან არა თუ სადადიშქელიანო სვანეთში, თავისუფალშიაც, სადაც ამგვარი აზრი მალე გავრცელდა, ფრთები შეაკვეცა თ. ჯ-მის გავლენას ხალხში. ერთი დავიდარაბის ამტეხი და გაუთავებელი საქმე სვანეთში ძველის დროიდგანვე არის დედაკაცების მოტაცება. თ. ჯ., როგორც ბოქაული, ამ საქმეებში ძალაუვნებურად უნდა გარეუღლიყო. ხალხ-


ში ხმა იყო დავარდნილი, რომ ამ საქმეებში თ. ჯ. სწორს სამართალს არ ადგია, როგორც ჰსურს, ისე ათავეებს საქმეს, მიუხედავად კანონისა, ჩვეულებისა და საერო სამართლისაო. ესეთი მსჯელობისა საქმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჯ-ძეს გავლენა არა ჰქონდა ხალხში. ძულებით-კი ხალხს თ. ჯ-ძე არ სძულდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ის ხელისუფალი, ის მოხელე, რომელსაც შესამჩნევი არც ავი და არც კარგი არ მოუქმედნია, ხალხს არც შესძულდება და არც შეუყვარდება, ესევე ითქმის ჯ-ძეზედაც. კერძო ცხოვრებაში თ. ჯ-ძე მხიარული და პურ-მარლის მოყვარე კაცი იყო. განათლება საკმაოდ ჰქონდა მიღებული და ხალისით ეტანებოდა ლიტერატურას. იმის სახლში ჰნახავდით, ადგილობრივ გაზეთებს გარდა, რუსეთის სხვა-და-სხვა ყურნალ-გაზეთებსაც, ერთი ხასიათი სჭირდა თ. ჯ-ძეს, რომელიც სვანებს სრულიად არ მოსწონდათ: გინება იცოდა. ცოტა რამ საქმარისი იყო, რომ მას „აღეღო პირი თვისი საგინებელად“. სვანებმა საზოგადოდ არ იციან გინება და სხვისაგან რომ გაიგონებენ. ძლიერ ეჩავრებათ. იმ უწმაწურის სიტყვებით გინებას, რომელსაც ქართლში და ან იმერეთში გაიგონებს კაცი, სვანი კიდევ რომ უნდოდეს, ვერ მოახერხებს. თ. ჯ-ძე-კი მაგ გვარებში დახელოვნებული იყო და ხშირად უძახოდა სვანებს ძ...შვილებს, რაიცა სვანებს ნეტად სწყინდათ და დიდადაც ეთაკილებოდათ.

გრაფ ლევაშოვი მოვიდა სვანეთში. თავისუფალი სვანეთი თავ-მოყრილი დაუხვდა იფარის საზოგადოებაში, ესრეთ წოდებულს „სვიმონ“-ში (მინდორია). გრაფმა სხვათა შორის ჰკითხა თურმე ხალხს, ხომ არაფერს ემდურით თქვენს ბოჭაულსაო? ხალხიდან გამოვიდა ერთი კაცი და მოახსენა გრაფს, რომ გვაგინებსო, ძ...შვილებს გვეძახის და გთხოვთ მოაშლევინოთო. გრაფს თურმე გაეცინა და უთხრა პასუხად: თ. ჯ. იმ ქვეყნიდან არის, სადაც გინება ხუმრობად მიღებულია. ნუ მიიღებთ საწყენად მაგის გინებასაო. თუ ასეაო. მიუგო სვანმა, მაშ როდესაც იგი ძ...შვილებს დაგვიძახებს, ჩვენ ძ...ბოჭაულს ვეტყვით და ნურც მაგას ეწყინებაო. ამითი გავათავებთ თ. ჯ-ზე სიტყვას. კომისიის სხვა წევრების გაცნობაც ეგებ საჭირო იყო, მაგრამ მაგასაც თავს ვანებებ, რადგანაც ჩვენი წერილი უიმისოდაც ერთობ გრძელდება. მაშ დავიწყეთ ისევ მოგზაურობა.

\*

\* \*

ჩვენი გზა დაღმართს მიჰყვებოდა მდ. ნაკრას (ვაკე) ხეობაში. ნახევარი ვერსი არ გვექნებოდა გავლილი, რომ მშვენიერს ტყეში შევედით. ისეთი დიდი ხეები შეგვხვდა, რომ ვ-ვმა თითო ას მანეთად



დაფასა ტფილისში. ჩავიარეთ დაღმართი და მდ. ნაკრას ნაპირზე მივედით. ნაკრას ხეობა ვიწროა და ნამეტურ ზედა მიმდინარეობაში უახლოვდება თუ არა მდინარე ენგურს, თანდათან ფართოვდება, აქ ქველად ხალხს უცხოვრია. დღესაც ბევრია სახლების ნანგრევები. ჩვენი გზა ჩრდილოეთისკენ იდვა, ზედ მდინარის მარცხენა ნაპირზე. ორისავე მხრით მდინარეს მაღალი ქედები ჩამოჰყვება და ეს იყო მიზეზი, რომ მზემ მარტო შუადღისას დაგვხედა. შუადღემდე გზიდან აღმოსავლეთის ქედი გვეფარა და ნაშუადღევს დასავლეთისა. ცხადია, აქ ვაკვლეთული გზა არ იქნებოდა. 'სკცილობდით ადიდების დროს წყლისაგან ქვიშა მოყრილი ნაპირი მოგვენახა და იმაზე გვევლო, რადგან ეს უკეთესი იყო ცხენების სავლელად. სადაც ეს არ იყო, რიყეზე დავდიოდით. რიყეზე სიარული ძალიან უჭირდათ ჩვენს ჯორებს; რას არა სკცილობდნენ საწყალი პირუტყვები, რომ ქვებს შუა ფეხი არ გასკედოდათ, მაგრამ ამ ხიფათს მაინც ვერ იცილებდნენ თავიდან. ჩაუვარდებოდათ თუ არა ფეხი ქვებში, მაშინვე შეჩერდებოდნენ, თითქო განგებ ვინმემ მიაკრა ფეხით მიწასაო. მაშინვე უნდა ჩამომხდარიყო ზედ მჯდომი და ჯოხის შემწეობით ამოეგდო ერთ-ერთი ქვა და ამნაირად გამოეხსნა ჯორის ფეხი ამ ქვის მახისაგან. ჯორს რომ ამ დროს ფრთხილად არ დახვედროდი და ფართხალი დაეწყო, შიგვე მიიმსხვრევდა ფეხს. გზაზე ხშირად გვხვდებოდა წამოქცეული დიდი ხეები. ერთის თავით მიბჯენილი იყო ბრეკზე, მეორე თავით შუა წყალში იყო. არ შეიძლებოდა ამ ხის ქვეშ გასვლა, რადგან დაბლა იდო, ვერც ზედ გასვლა იყო მოხერხებული, რადგან ერთობ მსხვილი იყო და ჯორ-ცხენი ვერ გადახტებოდა. ირგვლივ შემოსასვლელი გზა აღარა ჰქონდა. მივადგებოდით თუ არა ამგვარს ხეს, შევჩერდებოდით. ბიჭები ნაჯახებს ამოიღებდნენ და შეიქნებოდა ერთი ჩახი-ჩუხი. ხე უნდა გაჭრილიყო, რომ ჩვენი გასასვლელი გზა გაკეთებულიყო. ამგვარი ხეები ერთს საათზე მეტს გვაჩერებდა ხოლმე. საათის პირველზე მივედით ერთს ცოტად გაშლილს ადგილას, ზედ მდინარის პირას. ამ ადგილს „ბაბაშ“-ს ეძახიან. გადავსწყვიტეთ აქ სადილის ჭამა. სადილს გემრიელად გიახელით, გუშინდელი უსიამოვნება არავის გახსენებია, რადგან ცუდმა ვზამ, როგორც ზამთრის ყინვიანმა ღამემ მოძულე ცოლ-ქმარი, ერთ-მანეთს შეგვარივა.

ჩვენს ქარავანში ერთი მოხუცებული ერია, ვიჩი ცინდელიანი. ეს ცინდელიანი საზოგადოებამ გაგვატანა განგებ, როგორც კარგად მცოდნე თ. მურზაყანის მთებისა. ამ მოხუცს სოფლადვე ვსთხოვე, რომ თუ სადმე შესანიშნავი ადგილი შეგვხვდებოდა გზაზე, ეამბოხოლმე ჩემთვის. ვიჩის აზრით, ამნაირ შესანიშნავ ადგილთაგანი იყო

ეს „ბაბაშ“-იც. ძველად აქაო, მიაშობო ვიჩიმ: მიჩვეული ყოფილა ტყის კაცი, ბალნით შემოსილი. ყველა აქ გამვლელ-გამომვლელს უღალაჯებდა თურმე და ჭოლოკს დაუშენდა ტყიდგანაო. ამ მიზეზით მგზავრი აქ არასოდეს არ ისვენებდა. ერთს სვანს ეს ამბავი არა სცოდნოდა და დაესვენა. დაინახა ტყისკაცმა მივიდა მგზავრ სვანთან და გვერდზე მოუჯდა. სვანს შეეშინდა და ხელით აჩვენა ბალნიანს კაცს: წადი, გამშორდიო. ტყის კაცმაც ესევე გაიმეორა. სვანი გზას გაუდგა, ისიც უკან გაეკიდა; დაჯდა და ტყის კაცმაც მოიკეცა. ერთის სიტყვით, ტყის კაცი ყველაფერში ჰბაძავდა სვანის მოქმედებას. ბოლოს ერთი აზრი მოუვიდა სვანს თავში. დააკვესა და ცეცხლ-მოკიდებული აბედი თომით გამოტენილ ქალამანში ჩაიდვა. ტყის კაცმაც მოკიდებული აბედი გამოართვა და, რადგან ქალამანი არ ეცვა, ბალნით შემოსილ ფეხზე დაიდვა. შემოუბერა ნიავმა, ბალანს ცეცხლი წაეკიდა. იქილამ მთელს ტანს მოედვა და ტყის კაცი დაიწვა. ამნაირად ამ სვანმა თავიც გადირჩინა ხიფათისაგან და სხვა მგზავრსაც მოაცილა ეს ტყის კაცი. მას აქეთ ამ ადგილას ის არავის უნახავს.

ნასადილევს ცოტა ხანს შევისვენეთ და მერე ისევ გავსწიეთ ჩვენს გზაზე. მივედით იქ, სადაც რამდენიმე დიდი წიფელა დგას, რომელთაც, არ ვიცი რისთვის, ოსების წიფელებს ეძახიან. ამ ადგილს იქით-აქეთ ორი მოდიდო ხევი ჩამოუდის. ერთს ხევში ოთხი წყალ-ვარდნილია და მეორეში ხუთი. სწორეთ რომ მშვენიერი სურათია! არსად დაგვისვენია საღამოს რვა საათამდე და კიდევ მივედით დონღუზორუმის უღელტეხილის ძირში, სადაც არის კლდის ქვაბი. სვანები ამ ადგილს ეძახიან მურზა ბაჩარას (მურზას ქვაბი). კლდის ქვაბი ავღარში რამდენსამე კაცს შეიფარავს; რადგანაც კარგი დარი იდგა, ამ ქვაბში დადგომის სურვილი არავის გამოუტყხადებია. ბანაკი დავეცით ქვაბს ახლო კაცის სიმაღლე ბალანში.

მურზა მონადირე სვანი ყოფილა. იმასაც სწვევია ერთხელ ტყის კაცი, სწორედ ისეთივე, როგორიც „ბაბაშ“-ში ყოფილიყო. დღე მურზას ჯიხვი მოეკლა, ღამე ქვაბში წამოელო და გაეტყავებინა. როდესაც ჯიხვის გულ-ღვიძლი შამფურზე ააგო თურმე და ცეცხლს მოუფიცხა შესაწვავად, ამ დროს ესტუმრა ტყის კაცი და მიუჯდა ცეცხლს. მურზამ მწვადი შესწვა, შეულოცა „დალს“ — ჯიხვების ბატრონს, შემდეგ ნახევარი თითონ დაიტოვა და ნახევარი ამ დაუპატიჟებელს სტუმარს უთავაზა. ტყის კაცმა ერთ ლუკმად გადაყლაპა თავისი წილი, მერე ადგა და მთელი გატყაული ჯიხვი, რომელაც მურზას ჰქონდა ჯიხვზე ჩამოკიდებული, ცეცხლზე დააგდო შესაწვავად. მურზას ეწყინა, წამოავლო ჯიხვს ხელი და ცეცხლიდგან გადმოიღო. ტყის კაცმა მეორედ დააგდო ცეცხლზე. მურზას გული მოუ-

ვიდა, ეცა ტყის კაცს, კარში გაიყვანა და თითონ ქვაბში დაბრუნდა. ტყის კაცი ისევ ქვაბში შემობრუნებას აპირებდა, იმ დროს მურზამ თოფი ჰკრა გულში, ტყის კაცმა იქვე ჩაიკეცა და მოკვდა. მურზამ დღეს მურზამ ნახა, რომ ტყის კაცი პერად (ქაფად) ქცეულა და თოფის ტყვია მისცურავს.

შესანიშნავია, რომ ჩუბენეველებს ნამდვილად სწამთ ტყის კაცების არსებობა, როგორც ნაკრას ხეობაში, ისე ზოგიერთ ადგილებშიაც ენგურის ხეობაში. ხალხის რწმუნებაზე დამყარებულნი ზოგიერთი მოგზაურნიც-კი ჰფიქრობენ, რომ შეიძლება ენგურის ხეობაში ოდესმე კაცის მსგავსი მაიმუნები სცხოვრობდნენო.

როგორცა ვსთქვით, ჩვენ აქ ღამე უნდა გავგეთია: ჩვენ აგვიჩინეს ერთი ადგილი ბინად, მოგვიწყეს როგორც-კი მოხერხდებოდა, და მერე თითონ დაბინავდნენ თაბუნ-თაბუნად, დაინთეს ცეცხლი და ვახშმის მზადებას შეუდგნენ. ვახშმის მზადების რიგი და წესი ყველგან ერთი და იგივე იყო, ამისათვის აქ ავსწერთ დაწვრილებით, რომ ხშირად გამეორება არ დაგვჭირდეს. ჩვენი მიმყოფი ხალხი თაბუნებად იყო გაყოფილი. თაბუნში 5—15 კაცამდე იქნებოდა. თითოეულს კაცს თავისი საგზალი დაფქვილი და ყველი თითონ მიჰქონდა ზურგით. სადაც-კი ღამე გაუჩერდებოდით, თაბუნი ცალკე ინთებდა ცეცხლს, დაფქვილს მოსცომავედა, ქვებს დააყრიდა ცეცხლზე გასახურებლად, რომ იმაზე გამოეცხო იმდენი ორ-ორი პური, რამდენი კაციც თაბუნში ითვლებოდა. თითო პურს ვახშმად მოირიგებდნენ და თითოს მეორე დღის სადილად შეინახავდნენ, რადგანაც დღით იმდენი დრო არ გვექნებოდა, რომ პურის გამოცობისათვის გაუჩერებულყავით. საკლავს ჩვენ ვაძლევედით და კაცის ანგარიშზე დაყოფდნენ ხორცს. ჩვენ, კომისიის წევრებს, მომეტებულად სოფელშივე გამომცხვარი პური გვექონდა და, როდესაც შემოგველეოდა, მაშინ-კი ქვებზე გამომცხვარსაც ვიახლებოდით. ხორციეულობას ცალკე ქვაბში გვიხარშავდნენ. საღამოს ყველანი დაღლილი და დაქანცულები ვიყავით ხოლმე. გამოცდილია, რომ ფეხით და ცხენით მოგზაურობა პირველს დღეს უფრო ღლის კაცს. ჩვენც ესე მოგვივიდა დღეს და გესურდა მალე მოგვესვენა. ზოგიერთი ჩვენთაგანი უვანშმოდ დაწვა დასაძინებლად. ვინც ზეზე ვიყავით, იმათაც რაღაც უგემურად ვივანშმეთ. გათავდა ვანშამიც, იქვე მივდეთ თავები და ყველას უცებ დაგვეძინა.

მთაში მოგზაურობას ერთი კარგი თვისება სჭირს, — წმინდა და გრილის ჰაერის წყალობით კაცს მალე ეძინება და რამდენისამე საათის ამგვარი ძილი სრულიად საკმარისია, რომ წინა დღის დაღლილობა გაჰქრეს და მოსვენებულად ჰქონდოდეს თავს.

მეორე დილას თ. ჯ. ექვს საათზე ფეხზე იყო და გველიძეობდა. ყველანი აცვივდით და აბარგვას შევუდექით. თ. თენგიზმა უთხრა ჯ-ძეს, რომ დღეიდგან მოგზაურთა განკარგულების მოხატვისათვის თვის დაეთმო, როგორც გამოცდილ კაცისათვის. მთავნი მუ უფრო გამეგება და ბარად შენაო, — უთხრა თენგიზმა. თ. ჯ. დათანხმდა. გაისმა თ. თენგიზის ქუხილივით ძახილი. ზოგს უთხრა წინ გაძლოა, ზოგს უკან ბარგთან დარჩენა და გამოყოლა, ზოგს კომისიის წევრების ხლება, რომ თავის დროზე მოხმარებოდნენ გზაზე, სადაც საჭირო აღმოჩნდებოდა. რვა საათზე დავიძარით ჩვენის ბინიდგან. წინ გვიძლოდა სამი გამოცდილი სვანი გზის მაჩვენებლად, მათ მივყვებოდით ჩვენ, ჩვენს უკან თენგიზი მოდიოდა თავის მხლებლებით და ყველაზე ბოლოს ბარგიანი ჯორ-ცხენები და ბიჭები. აღმართი იქვე დაიწყო, სადაც ბინად ვიყავით. გზა პირველად ბალახით დაფარულს ფერდობზე მიდიოდა. შემდეგ, რაკი თანდათან მალა ავიწიეთ, ბალახიც ჰქრებოდა და ქვის მოფენილს გვერდას შევუდექით და სულ მალა-მთის მწვერვალის ახლო ხეობაში შევედით, რომელიც გამოტენილი იყო დაუნდობელის თოვლ-ყინულით. ფერდობზე გზა მიკლავსულ-მოკლავსული იყო, ხეობაში-კი ჭიქურ მიიმართებოდა მწვერვალამდე. ეჭვი არ არის, გზა ცუდი გვექნებოდა. ნამეტურ იქ გაჭირდა საქმე, სადაც ფერდობი ქვებით იყო მოყრილი. რამდენიმე ასი საყენი სიგრძე და სიგანე ფერდობისა წვრილი ქვებით იყო დაფარული. ქვები აქ ცვივდებიან კავკასიონის მწვერვალებიდგან და ყოველს გაზაფხულ-ზაფხულზე თოვლის ზვავს მოაქვს გზა, უბრალო ბილიკიც-კი აქ არა სჩანს. როგორც ჩვენი ფეხი მიეკარა ამ ქვებს, მაშინვე რყევა დაიწყეს და სულ ერთიანად აღელდა ქვებით მოფენილი ადგილი. სადაც ჩვენ ფეხს ვადგამდით, იმას ქვეით დაღმართისკენ მირბოდნენ; მაგიერად ჩვენსა და ჯორების ფეხებს ზემოდამ აწვევოდნენ ქვები, რომელნიც აგრეთვე მიესწრაფებოდნენ დაღმართისაკენ. თუ მარჯვედ არ იყო კაცი, ზემოდამ მოწოლილი ქვების გუნდი ფეხებს მიუტრავდა იქვე და ხესავით გააჩერებდა, ისე რომ ვერც წინ და ვერც უკან ფეხს ველარ გადასდგამდა. დიდი მანძილი არ იყო ამნაირი ჩვენი გზა, მაგრამ რაც იყო, იმანაც ძლიერ შეგვილახა. დაგვიზილა ფეხები. ჯორებს კანჭები მუხლს ქვეით დასისხლიანებული ჰქონდათ. რამდენმამე ჯორმა ნალები დაჰკარგა. აქედამ თოვლზე გადავედით, რომელიც შარავხად გვეჩვენა.

\* \* \*

თოვლ-ყინული (გლეტჩერ), რომელსაც ამას იქით სვანულაში „დერე“<sup>1</sup> ხელს „დერე“-ს დაეუძახებთ, თუ მრავალ ნაპრალებს არ აჩენს, მართლა რომ კარგი სასიარულო გზა არის. მისი ზედაკანი ავდრის დროს მომეტებულად მოფიფქილია ახალის თოვლით; დარის დროს-კი ესევე ზედაკანი მორბილებულია. მზის სითბოსაგან და ორსავე შემთხვევაში ღრე-კლდეებში ნასიარულების ქვეითის კაცის ფეხი სირბილეს გრძნობს და ისვენებს. ამგვარ დერეზე ისე უჭირველად შეუძლიან ქვეითსა და ცხენოსანს სიარული, როგორადაც ნორჩ და მდაბალ ბალახით დაფარულს მინდორზე. ქვებისაგან უნებურად დაბეჭილი მგზავრის ფეხები აქ შეღავათს ჰპოვებს. ასეთია დერე, თუ იგი ნაპრალებს არ აჩენს, ხოლო თუ ნაპრალები ბევრია, მაშინ-კი ან სრულიად არ შეიძლება სიარული და ან შეიძლება, მაგრამ დიდის გაჭირებითა და შიშით. ერთს გარდა სვანეთის ყველა დერეები დავლილი მაქვს და შემიძლიან შემდეგი საზოგადო აზრი გამოვსთქვა მათ შესახებ.


ერთგვარი დერეები მობმულია ზედ კავკასიონის მწვერვალზე, ჰფარავს ზედა ნაწილს ქედისას სიგრძე-სიგანეზე, აქა-იქ ამართულ კლდეებს დერედამ თავი ამოუყვიათ, ისე რომ კლდის თავები დერეზე გვარიან მალა ამართულა, დერე ამგვარს კლდეებს გარს შემოხვევია, თითქო თავის ბრჭყალებში უნდა გამოარჩოსო, რამდენადაც დერე მთის ძირს უახლოვდება, იმდენად ვიწროვდება, რადგანაც გზაზე შეხვდებიან მთის ძირიდან ამომავალი ორივე მხრით ქედები, რომელიც ხეობას აჩენს. დერე ისეთი სქელი არ არის, რომ ამ ქედების თავს გადაიაროს და ამისათვის შიგვე თავსდება, როგორც კალაპოტში. დერე მიდის მთის ძირამდე, აქ დავაკება ხვდება, ფართოვდება და რამდენისამე ვერსის სიგრძეზეა განზიდული. ასეთია მაგალითად დონლუხორუმის, ხალდეს და უშგულის დერეები.

მეორე გვარი დერეები იწყება მწვერვალს ახლო და გადაჰყენია მთელს გვერდს კავკასიონის ქედისას, აქეთ-იქით ქედები არ აკრავს და ამისათვის დიდი სიგანე აქვს; სიგრძით-კი პირველ გვარის დერეებს ჩამოურჩება. ასეთია, მაგალითად, ჰადიშოს და ყორულდის დერეები. მრისხანე და დიადი შეხედულობა აქვთ ამგვარ დერეებს

<sup>1</sup> საყინულე და მყინვარი ნამდვილად ვერ ხატავს სიტყვა „გლეტჩერ“-ს და ჩემის აზრით ემჭობინება სვანური სიტყვა „დერე“ შემოვიდოთ ქართულს მწერლობაში.

იმათი ზედაკანი ათას სხვა-და-სხვა სიდიდისა და ფორმის ნაპრალებად არის დახეტილი. კაცს გეგონება უზარმაზარი თოვლის მთა ჩამოვარდნილა ციდამ, მიხეტილ-მოხეტილა და მიჰქავებია იმ ადგილს, სადაც დერე ძევს. ნაპრალი ზოგი სიგრძე ზგა, ზოგი სივანეზე. ზოგს რვეალი ფორმა აქვს. დიდს ნაპრალეში რომ ჩაიხედოთ, ძირს სადაც ჰხედავთ სიბნელეს, სხვას ვერას არჩევთ და რაღაც ჯოჯოხეთურს სურათს წარმოადგენს. არის ისეთი ნაპრალებიც, სადაც ეს-ეს არის ესლა დაუღლიათ პირი, ესენი შემდეგისათვის აპირებენ ფართოდ პირის დაღებას. დერეს ზედაკანზე ჰხედავთ აგრეთვე ორსართულიან სახლების ოდენა თოვლის ნამზვლევეებს (ГЛЫБЫ), რომელთაგან ზოგიერთი ცერზე დამდგარა, ძირი უფრო გასწვრილებია. მანამ ზედა-ტანი, თითქო ეს-ეს არის უნდა წამოიქცეს და იგრილოსო. ზაფხულობით 15 ივლისიდან აგვისტოს დამლევამდე დერეზე ახალი თოვლი დნება და რამდენსამე ადგილას პატარა მდინარეებს აჩენს. გზაზე ეს წყალი ნაპრალს ხვდება და შიგ აჩენს წყალ-ვარდნილს. რამდენიმე ამგვარი წყალ-ვარდნილი დერეზე საამურს ჰარმონიას გამოსცემს ზოლმე. ნამეტურ სასიამოვნოა იმისი გაგონება ღამე, როდესაც მოწმენდილი ცა ხშირის ვარსკვლავებით არის მოჭედილი და მთვარე ამაყად დაჰნათის დედამიწას. ზევიდამ მთვარისა და ვარსკვლავების შუქი, ქვემოდად გაქათქათებული დერესი ერთმანეთს ხვდება და ღამეს დღედ აქცევს. იქვე გესმის ნაირ-ნაირი ხმა დერეზე წყალ-ვარდნილებისა. სწორედ აუწერელია ეს სურათი. როგორც შევამჩნიე, წყალ-ვარდნილების კონცერტი ღამის ორ საათზე მეტს არა გრძელდება. ამ დროს ისეთი სიცივე დადგება დერეზე, რომ მდინარე წყლებს გაჰყინავს და გააჩერებს მეორე დღის 10—11 საათამდე, როდესაც ასევე განაგრძობს თავისს საუკუნო მუშაობას.

როგორც ნათქვამია, პირველ გვარის დერე ბევრად უკეთესია სასიარულოდ მეორე გვარ დერეზე. ქამუკის უღელტეხილის ხეობაში პირველ გვარის დერე ძევს. როგორც-კი ფეხი შევსდგით დერიანის ხეობაში, მაშინვე რაღაც სულის შეხუთვა ვიგრძენით. ეს საზოგადო ხასიათია კავკასიონის დღეე ყურეებისა. კაცს აქ სიარულის დროს თავი ბუჭუნჭუველა გგონია, რაკი ჰხედავ გარშემორტყმულს უზარმაზარ, მოღუშულ და მრისხანე ბუნების სურათს. ესეთი იყო დღევანდელი ჩვენის გზის სურათი. ფეხი გვიდგია სიძველისაგან ზოგან გაყვითლებულსა და ზოგან გალურჯებულს დერეზე, რომელზედაც არაფერი სიცოცხლის მომაგონებელი საგანი არ მოიპოვება. წინ, მარჯვნივ და მარცხნივ, შემოგვრტყმია ვეება და დიდი ქედებ-მთები. ზოგს მწვერვალს ქუდსავით დაჰხურვია უღნობელი თოვ-



ლი, თითქო მას არ უნდა, რომ მთის მწვერვალი მიწა ცას დანახვოს, რათა უმისოდაც მაღლა აწვდენილი ცას არ მიეჯახოსო. მეორე მწვერვალი შავი კლდეა, რომელიც ხეობისკენ ისეც წამოხრისო, თითქო შიგ უნდა ჩამოვარდესო და ამოგვსრისოსო. მესამე მწვერვალი ერთმანეთში არეული კლდე და თოვლია, ერთი რაღაც უღაზათო, უშნო, ასე რომ ერთხელ რომ შეჭხედავ, მეორედ აღარ გინდა იმისი დანახვა. მწვერვალების ახლო მცენარეობა და უბრალო ბალახი-კი არსად შეჭხედება კაცს. ხედავ მარტო მიყრილ-მოყრილ ქვებს, დერეებს და იმათს ნაგლეჯებს, შავს კლდეებს, მეწყერს. არსად ცხოვრების ნიშან-წყალი არ ეტყობა, არა სჩანს. ამას დაუმატეთ სამარის სიჩუმე და თქვენ დაახლოებით წარმოიდგენთ იმ მოღუშულ სურათს, რომელსაც მოგზაური ჰხედავს კავკასიონის ხეობებში.

სულ სხვანაირად იცვლება სურათი, როდესაც მწვერვალებზე აღიხართ. აქ თქვენს თვალს არაფერი უშლის შორს გაიხედოს ოთხკუთხივ ქვეყნისა. მოღუშული სურათი ხევისა ძირს გრჩება, იმისი დანახვა არ გინდა, რადგანაც შორს უკეთესს სანახავეებს ჰხედავ. სწუხბარ მხოლოდ იმას, რომ თქვენს თვალებს იმდენი შორსმჭვრეტელობა არა აქვს, რომ მთელს კავკასიას გადაავლოს თვალი: აქედამ სურათი მრისხანეა, მაგრამ ამასთანავე დიდებულიც. ამგვარად აღწერენ ხოლმე ამ სურათს ყველა მოგზაურნი, რომელთაც კავკასიის დიდს ქედზე უვლიათ. იგინი, სხვათა შორის, მოგვითხრობენ, რომ თუმცა კავკასიონის სურათი შვეიცარიის ალპების სურათებს ჩამოუვარდება სილამაზით, მაგრამ სურათი პირველისა უფრო დიდებულია, უფრო მრისხანეაო.

\*

\* \*

განვავრძოთ ისევ მოგზაურობა. რაც დერეზე ფეხი შევსდგით, მას აქეთ, აქა-იქ, თორემ სულ ქვეითად ვიარეთ. ცხენით სიარული არ მოხერხდა. ქვეითობის უჩვეველი კომისიის წევრები ძლიერ დაილაღნენ. ცოტა რაზემე ანჩხლდებოდნენ, და თითოეული მათგანი ვისმე წაეკიდებოდა, თითქო ამითი უნდოდათ სავალი გზა გაეადვილებინათ, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ცუდი გზა ისევ ცუდ გზად დარჩა, და ჩვენს ვაჟბატონებს მწვერვალებზე ასვლა არ ასცილდათ.

თერთმეტის საათის ნახევარზე უღელტეხილზე ვიყავით. უღელტეხილი უნაგირსა ჰგავს. მისი სიმაღლე 12,000 ფუტია, იმის მწვერვალს-კი 16,500 ფუტი<sup>1</sup> სიმაღლე აქვს. სვანეთიდან ჩრდილოეთ კავ-

<sup>1</sup> ივანიუკოვი და კოვალევსკი.

კასიაში ექვს ადგილას გადადის გზა. ყველა უღელტეხილს ესა სჯობია, რომელზედაც ეხლა ჩვენ ავედით. ვისაც სხვები არ უნახავს, იმისათვის, ცხადია, ეს უღელტეხილიც საშინელებაა. ასე ერეკნით ჩემს ამხანაგებსაც. უღელტეხილზე კალოს ოდენა ვაკეა, თოვლით დაფარული. აქ შევისვენეთ. ბანდულებში ახალი თომი ჩავიტენეთ, რომ დაღმართში ფეხები არ დაგვბეჭოდა. დავყავით კარგა ხანი. ჩვენი მებარგულნი უკან მოდიოდნენ, გვინდოდა იმათთვის მოგვეცადა, მაგრამ რაკი არსად გამოჩნდნენ, ისევ გზას გადგომა ვარჩიეთ. ყველამ ვიცოდით, რომ დაღმართში ისე არ დავიდლებოდით, როგორც აღმართში, და ამიტომ ცოტა კარგს გუნებაზე დავდექით. მაგრამ ეს იმედი ყველასათვის არ გამართლდა. ნამეტურ შეგვიწუხა დაღმართმა პატივცემული თ. ჯ-ძე. მისდა საუბედუროდ იგი გვარიანი მსხვილის ტანის პატრონი გახლდათ და სიმსხო ტანისა საგრძნობლად აწვებოდა მის ფეხებს. მწვერვალზევე ჯ-ძეს თენგიზმა ორი სვანი მიუჩინა, რომელნიც სიარულის დროს მხრებში უნდა ამოსდგომოდნენ და ამნაირად შეძლებისა გვარად ეხმარებოდნენ მოხუცს მგზავრს.

იალბუზი სამხრეთით გვედვა ახლო, ხოლო ვერ ვხედავდით, რადგანაც ჩვენსა და მას შუა ქედი იყო განზიდული. მწვერვალადამ გვარიანს მანძილზე ერთობ დაქანებული დაღმართი შეგვხვდა. ჯ. ეგონა აქ ნაბადზე დააბრძანებდნენ და ისე ჩაასრიალებდნენ სვანები, მაგრამ მისდა საუბედუროდ მოლოდინი არ აუსრულდა. დერეს ზედაკანი ისეთი უსწორ-მასწორო და მაგარი იყო, რომ, არა თუ ნაბადი, სქელი ბუმბულიც ვერ დაიფარავდა ადამიანს დაბეჭვისაგან. ამნაირად თოვლზე ნაბდით სოსიალი, რომელიც სტრაბონსაც არ გამოჰპარვია შეუუმჩნეველად და რომელიც დღემდე ზმარებაშია სვანეთში, არ მოხერხდა. ჯ. დარწმუნდა, რომ თავისმა ფეხებმა უნდა ატაროს თავისივე ტანი და გულნაღვლიანი შეუდგა გზას. ნულარ ვიკითხავთ იმას, თუ რამდენი წყევლა-კრულვა მოახვია თავზე სვანებსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიულებს, რომ იგინი „სადღაც ჯანდაბაში დასახლებულან თავიანთ თავის საუბედუროდ და სხვის შესაწუხებლად“. ჯ. გარდა ერთი ამხანაგიც ძლიერ დაგველა. როგორც ახალგაზრდას, მას სურდა ყოჩაღობა გამოეჩინა და ზოგიერთებს არ ჩამოგვრჩენოდა, მაგრამ ვერ შესძლო. დაოფლიანებული წამ-და-უწუმ ეწაფებოდა თოვლის წყალს, რომელმაც ცუდად იმოქმედა დაღალულს მგზავრზე. როდესაც ნახევარი დერე გავიარეთ და მივალწიეთ „ტობარს“, აქ დავისვენეთ და სადილი მოვითხოვეთ. დაქანცულები დავეყარეთ დერეზე. ყველანი, სვანებს გარდა, ვგრძნობ-



დით მუხლებსა და კუნთების ტკივილს. საბარგო ჯორი უკან იყო ჩამორჩენილი; სანამ ჩვენამდე მოაღწია, ორმა საათმა გაიარა. ამასობაში დაღალულს წევრს კიდევ გააცვივა. ჩვენი ნაბდები ზოგი ქვეშ დაუშვეთ, ზოგი ზევიდამ დავახურეთ, მაგრამ მაინც ვერ გავაძლიერებ ჩვენი ავადმყოფი, რომელმაც კარგს ხანს აცემინა კბილი ამასობაში საბარგო ჯორიც მოვიდა. საჩქაროზე ბარგი ჩამოხსნეს, ამოიღეს ხურჩინებიდამ ხორაგეულობა. გაშალეს სუფრა თოვლზე და რამდენსამე წამს შემდეგ მადიანად შევექცეოდით სადილს.

მთის ძირამდე კარგი მანძილი გვედგა, და ამისათვის, ზოგს უკანასკნელის ლუკმის გადაყლაპვა ჯერ კიდევ ვერ მოესწრო, რომ ჩვენ გზას გავუღდექით. ვიჩქაროდით კიდევ იმიტომ, რომ ცა მოიღრუბლა და გვინდოდა მთის ძირამდე ჩავგვესწრო წვიმისათვის, მაგრამ წვიმამ ჩვენს განზრახვას აღარ ათხოვა ყური და, სანამ ძირს ჩამოვიდოდით, ქათმებივით გავგწკაუბლა. ტაბარიდამ აქა-იქ თოვლზედაც შესაძლებელი შეიქნა ცხენით სიარული. როდესაც მთის ძირს მივუახლოვდით, იქ ღერე მივატოვეთ და ქედის მარცხენა ფერდზე გავედით. ეს ქედი კედელსავით ამართული იყო ჩვენსა და იალბუხს შუა. ამ ქედის წყალობით ამქამად უნახავი დაგვრჩა ორი ღერე იალბუხისა „აზაუ“ და „თერეფოლ“-ი. ვიარეთ, ვიარეთ და ბახსნელების საჯოგებებში ჩავედით, გავიარეთ მშვენიერი ფიჭვნარი და, როგორც იყო, მივაწიეთ მთის ძირში, სადაც დამე უნდა გაგვეთია. წვიმდა. უცებ შევუღდექით ხის კარვების კეთებას, რომელიც ნეშოთი დავხურეთ. ჩვენის ბინის ახლო მწყემსის „ყოში“ იყო. „ყოში“ მწყემსის კარავია. თუ მწყემსი შეძლებულია, ყოში ქეჩა-ნაბდისაგან აქვს გაკეთებული. ე. ი. კედლებიცა და სახურავიც სულ ნაბადია; თუ ღარიბია, ხისა და ბალახისაგან იკეთებს ყოშს. მწყემსმა ხშირად უნდა გამოუცვალოს საძოვარი ჯოგს. მაშინ ნაბდის ყოშს დაშლის, აპკიდებს ვირს ან ცხენს, მიაქვს ახალ საძოვარზე და ისევ გაშლის. თენგიზმა უთხრა ორ სვანს, მწყემსთან წასულიყვნენ და იმის მაგიერ ორი საკლავი ეთხოვათ. რაკი ყოში არაოდეს არ მენახა მეც წავედი ამ ორ სვანთან ერთად. მივედით. მწყემსი ყოშში იყო. ყოშში შევხედე ორ სპილენძის ქვაბს, ოთხ გუდას და კედელზე ჩამოკიდებულს მწყემსის თოფს. ერთ ქვაბში მაწონი ედგა და მეორეში — რძე. ოთხი გუდა „აირანი“<sup>1</sup> იყო სავსე. რამდენიმე თავი ყველი და ცხვრის ტყავები ყოშის ყურეებში ეყარა. ყოშის კართან ცეცხლი ენთო; იქვე ეგდო ორი ნამკლევი ცხვარი, ჯერ კიდევ გაუტყავებელი. წლითი-წლობამდე მწყემსი იკვებება ხორციით, რძითა და წვე-

<sup>1</sup> აირანი დამწუთებული რძეა, დღესა ჰგავს.

ლით. წელიწადი გავა, რომ სამჯერ ვერა ჭამოს ჰური და, თუ ჰამა, ისიც მაშინ, თუ ვინმე მგზავრი მოხვდა. მაგიერად მწყემსი უთავაზებს ხოლმე მგზავრს ხორცს, ყველს, მაწონს... ერთხელ ცხენმაც დასცა მწყემს ჩვენი მონდობილება. იგი მაშინვე გამიჭყინდა დაამ. შეგვიყვანა ქარბაკში, სადაც ცხვრის ჯოგი ედგა, ამოგვირჩია ორი, მოგვცა და თითონაც წამოგვყვა. წამოსვლისას მწყემსმა სვანებს რამდენიმე სროლა წამალი სთხოვა და მე — მარილი და თუთუნი. თუთუნი და წამალი იქვე მივეცი და მარილს-კი ბინაზე დავპირდი, თუმცა ჩვენც ხელმოჭირებით ვექცეოდით ამ საჭირო საღვევლს. მოვედით ბინაზე. მწყემსმა შესაფერო სალამი მისცა თენგიზს. უთხრა, რომ თუ ინებებთ. საკლავად ერთ მოზვერს კიდევ მოგართმევთ. თორემ შეიძლება, ჩემი ბატონი თქვენგან დიდად დავალებულია. გამიჯავრდეს, რომ საკლავად ცხვრები გამოგიყვანეთო. თენგიზმა მადლობა უთხრა პატივისცემისათვის და დაუმატა, რომ ამაღამ ორის ცხვრის მეტი არ არის საჭიროო. მსლებელ სვანებს გარდა ყველანი დადლილობას ვგრძნობდით და ვახშმის გაკეთებას საჩქაროდ შევუდექით. ვახშმად ნახევარი ჩვენთაგანი არ ამდგარა. ვინც ზეზე ვიყავით, იმათაც უგემურად ჩაგვიარა. მიზეზი დადლილობა იყო. მეორე დილას ადრე ავდექით. თ. ჯ-ძის კარავიდან ერთი წყევლა-კრულვა ისმოდა, სწყევლიდა გზას, რომელმაც ამდენი გაჭირვება გამოატარა ამ სიბერის დროს. არც სხვები ვიყავით უკეთესს გუნებაზე. ყველას გეტყიოდა ფეხები, მუხლები და კუნთები.

მალე გამოვედით ჩვენის ბინიდან. ცოტა რომ გავსცილდით ბინას, მოდიდო მინდორში გავედით. ამ ადგილიდან ძირიდან თავამდე სჩანს აღმოსავლეთის ნაწილი იალბუზისა თავისი დერეებით. რამდენსამე წამს ვუტკირეთ ამ კავკასიის ბუმბერაზ მთას. ამ ადგილს, სადაც ეხლა ჩვენ ვიდექით, „ქოლარ“-ს ეძახიან. აქ ძველად ერთი შემთხვევა მომხდარა სვანებსა და ყაბარდოელებს შუა. იმ დროს, როდესაც სადადიშქელიანო სვანეთს ბაბა-ციოცი ჰბატონობდა, სვანეთი და ყაბარდო (სვანურად ქაშაგ-ი) აშლილი ყოფილა ერთმანეთში. მაშინ ის ადგილი, სადაც დღეს ბახსონის ან ურუსების საზოგადოება გაშენებულა, დაუსახლებელი ყოფილა და ყაბარდოელებს საძოვარ ადგილებად ჰქონიათ. სვანები ამ ადგილებს თავისს საკუთრებად სთვლიდნენ, და ყაბარდოს ყოველს წელს ბეგარა უნდა ეძლია. ყაბარდომ რამდენსამე წელს ბეგარა არ მისცა სვანებს. მაშინ სვანებმა ძალა იხმარეს და რამდენჯერმე წაართვეს ჯოგები ყაბარდოელებს. ეს მტრობა გაგრძელდა თურმე რამდენსამე წელს. ბოლოს, რაკი ყაბარდო საბალახო ადგილს ვერ რჩებოდა, მოციქუ-



ლები ვაგზავნა სვანეთს და შერიგება სთხოვა. თავშესაყარ ადგილზე  
ბად სვანებისა და ყაბარდოელებისა დანიშნეს ეს ქოლარი. ყაბარ-  
დოს მაშინდელი ბატონი ყოფილა ვინმე ხადაჯუყვი, რომლის შთამო-  
მავლობა დღესაც თავადიშვილები არიან თავის ქვეყანაში. ხადაჯუყვი  
ჯუყვს თან ეახლა ასამდე არჩეული ყაბარდოელი. სვანების  
ბაბა-ციოყს წაეყვანა ამდენივე რჩეული სვანი. შუამავალი სვანებსა  
და ყაბარდოელებს შუა ბიზინგელი თავადი ურუსბეი ყოფილა, რომ-  
ლის შთამომავალი ბოლოს ბახსნის ხეობაში გადმოსახლდა. ამ ურუს-  
ბეის სურდა თურმე, რომ სვანებსა და ყაბარდოელებს აქ ჩხუბი  
მოსვლოდათ, ერთმანეთი გაეწყვიტათ და თითონ დაჰპატრონებოდა  
საცილობელს ადგილს. ეს თავისი სურვილი კიდევ განეხორციელებ-  
ბინა: სვანებსა და ყაბარდოელებს აქ შეტაკება მოსვლოდათ. მოცი-  
ქული ურუსბეი შერიგების მაგიერ მოწინააღმდეგეთ აქეზებდა თურ-  
მე. ბოლოს, როდესაც ვერ შეთანხმდნენ, სვანები და ყაბარდოელები  
ერთმანეთთან მივიდნენ პირდაპირ სალაპარაკოდ. ლაპარაკს მუქარა  
მოჰყვა. ამ დროს ერთმა ყაბარდოელმა ვეღარ მოითმინა, გაისროლა  
თოფი და მოარტყა სვანს. ცხადია, ორივე მხარე მაშინვე აირეოდა.  
სვანები ჩაესაფრნენ იქვე ახლო ბრეკს და დაუწყეს სროლა. მოჰკლეს  
რამდენიმე ყაბარდოელი. ხადაჯუყვს მოუკლეს თავისი საყვარელი  
ვეზირი — თავზაყი, და ერთმა ფარელმა სვანმა, სახელდობრ ჯაზ-  
დანმა თვით ხადაჯუყვი დასჭრა ბარძაყში. რაკი ხადაჯუყვი დაიჭრა,  
მაშინვე უბრძანა თავის მხლებლებს უკან წასვლა. ამნაირად გა-  
თავდა აქ შეტაკება. სვანები უკან დაბრუნდნენ ერთის მოკლულის  
სვანით, და ყაბარდოელები თავის გზას გაუდგნენ. ხადაჯუყვმა თა-  
ვისი ჭრილობა არ გაუმხილა სხვებს, სანამ სამშვიდობო ადგილას  
არ მივიდნენ, რომ გული არ დასწყვეტოდათ მის მხლებლებს. ბო-  
ლოს-კი, როდესაც ჭრილობამ შეაწუხა, სთქვა თურმე: „სვანების  
ერთმა ძაღლმა მეც მიკბინაო“. ეს შეტაკება და ხადაჯუყვის დაჭრა  
სვანებს გამოხატული აქვსთ ერისთავის სიმღერაში, რომელსაც სახე-  
ლად ჰქვია: „ხადაჯუყვ ისგვი ლაშგარი“. რამდენად ნამდვილია ეს  
ამბავი, ეს მიმინდვია მოხუც ვიჩი ცინდელიანისთვის, რომელმაც  
მიაშბო. ყაბარდოელები ალბათ თავის სასარგებლოდ მოუთხორობენ  
ამ შემთხვევას, მაგრამ ჩვენ იმათთან ამაზე ლაპარაკის შემთხვევა არა  
გვექონია. ეს იყო 8 აგვისტოს. აქედან ჩვენი გზა მდ. ბახსნას ორთა-  
ვე ნაპირებზე იდვა. ჯერ ვიარეთ მარჯვენა ნაპირებზე და მერე გა-  
დავედით მარცხენაზე.

\* \* \*

ბახსანის ხეობა ვიწროა. აქეთ-იქით ქედებზე ფიჭვნარი და მადე-  
ნარი არის გაშენებული. ხშირად შეხვდები ხრამებს, მგწვენიერს, სახო-  
გადოდ ხეობა ლამაზი არ არის. კომისიამ დილითვე განუცხადეს, რომ  
სვანი იმ აზრით, რომ იგინი გაჩერებულყვენ იქ, სადაც ძველი  
საზღვარი ყოფილა. სვანეთისა და ბახსანს შუა ვიარეთ ორს საათამ-  
დე, წინ წასული სვანები ვერსად ვნახეთ და ორ საათზე დავისვენეთ  
სადილის საქმელად. ნასადილევს ჯ-ქემ ჰკითხა ვიჩის, რამდენი გვიკ-  
ლია შენის აზრით საზღვრამდეო. ვიჩიმ მიუგო, რომ ძველი საზღვა-  
რი ურუსების საზოგადოების ქვემოთ 3—4 ვერსზე არისო, თითონ  
საზოგადოება ჩვენს ადგილზე არის დასახლებულიო. ჯ-ქემ ეს არ  
დაიჯერა და ვიჩის გაუჯავრდა, თქვენ მგონია გვასულელებთო, თო-  
რემ როგორ შეიძლება, რომ მთელი საზოგადოება თქვენს ადგილ-  
ზე იყოს დასახლებულიო. ვიჩიმ თავის სიტყვების დასამტკიცებელი  
საბუთები მოიყვანა. აი ზოგიერთი მათგანი: ბახსანელებიო, სთქვა  
ვიჩიმ, ჩემს ხსოვნაში დაესახლნენ აქ. მე მახსოვს, რომ აქ მარტო  
სამი მოსახლე იყო: ერთი ურუსბეი, დღევანდელი ბახსანის ბატონის  
პაპა, და ორიც იმისი გლეხი. ფარის საზოგადოებაში რომ დღეს  
სოფ. ლეშტერია, ძველად ეს სოფელი ამდგარა და ბახსანს ქვემოთ  
ადგილს გაგაშს დასახლებულა. რადგან გაგაშს ცუდი მოსავალი  
იცის, ამისათვის ლეშტერლები ისევ სვანეთს დაბრუნებულან თა-  
ვიანთ უწინდელს საცხოვრებელ ადგილას. დღესაც ლეშტერლებს  
დავსციინით და ვეძახით „ცხამშვ მეკდე“ (მათობელით გამწყდარნი),  
რადგან გაგაშს ბევრი მათობელა იცის თურმე. იქვე დღემდი იწო-  
დება ოთარის (დადიშქელიანის) სახელით არყის ხე (ოთარი უახვ-  
რილ); სვანების მჟავე წყალი (შვანრე სგიმარ); ადგილის მთა-კლდე-  
ები აქამდე ფარელების სანადირო ადგილებად არის დარჩენილი და  
სხვა... ჯ-ქემ ჰკითხა: თუ ეს მართალია, რასაც შენ ამბობ, რატომ ყო-  
ველ წელს არ ართმევდით ბეგარას, ისე, როგორც ართმევთ მეგრე-  
ლებსა და აფხაზებს? — იმიტომ არ ვართმევდითო, სთქვა ვიჩიმ:  
რომ უკანასკნელს ხანებში თავ. დადიშქელიანები და ურუსბეიებ-  
ერთმანეთს უმოყვრდებოდნენ და მოყვრობა და ბეგარის აღება  
როგორღაც ერთმანეთს არ მოეწყობა. მართალი ვითხრა, ჩვენ,  
ხალხს-კი გვინდოდა ბეგარის გამორთმევა, მაგრამ ბატონის ბატონი  
არ ვიყავით და რას ვიზამდით. ესეც უნდა ითქვას, რომ რაკი, ბეგა-  
რაზე ხელი ავიღეთ. ბახსანელები ძლიერ პატივსა გვცემდნენ, ისე  
ვიყავით იმათას, როგორც ჩვენს საკუთარ სახლებში და ამას გარ-  
და საჩუქარსაც ხშირად გვაძლევდნენ. ამითი გაათავეს ჯ-ქემ და ვი-

ჩემ ლაპარაკი. აქ უნდა მოვიხსენიო, რომ შვიდს აგვისტოს კომისიამ ერთი სვანი გავზავნა ურუსბეის მამასახლისთან და თანაგვანა მოწერილობა. მოწერილობაში კომისია სთხოვდა მამასახლისს მიპგებებოდა მთის ძირში და წამოეყვანა ყრილობისაგან ამორჩეული ათი კაცი საზღვრის საჩვენებლად. მამასახლისს, როდესაც ეს კომისიის მოწერილობა წაეკითხა, სწყენოდა და მიმტან სვანისთვის დაეწყო ჩხუბი, როგორ გაბედე მაგ გვარ ქალაღდის მოტანაო, სად ჩვენ და სად სვანების საზღვარიო. სოფლის ყრილობა მოეხდინა. სვანის სიტყვით ყრილობა ისე აღელდა ამ ამბით, რომ თავებს იხოცდნენ თურმე. მამასახლისისათვის ეთქვა ყრილობას, ხმა არ გაცეა ჩვენთვის, სვანი შიშობდა, რომ სოფლად არც-კი შეგვიშვებენო. როდესაც სვანი ამას გვეუბნებოდა, გამახსენდა სცენები სვანეთში ჩვენსა და ხალხს შუა და ვიფიქრე, სწორედ აქაც ჯიუტობას გაგვიწევს ხალხი-თქო. ეს ჩემი ფიქრი კიდევ გამართლდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიულეებმა სვანებზე ნაკლები გაუგონლობა, ჯიუტობა არ გამოიჩინეს ჩვენს შესახებ. როგორც ამას თავის ადგილას დაინახავს მკითხველი. გავგზავნეთ მეორე სვანი მეორე მოწერილობით. არც ეხლა ვინმე გვეკარება ბახსანიდგან. გავგზავნეთ მესამედ სვანი და მივსწერეთ მამასახლისს, რომ თუ იგინი არ გამოცხადდებიან კომისიასთან, მაშინ საზღვრების ჩვენებას სვანების თქმსაზე დაამყარებს და ბოლოს სანანურად დარჩებათ ბახსნელებს. ამ მუქარას გაეჭრა და ათს აგვისტოს ჩვენთან მოვიდა მამასახლისის კანდიდატი. ცხრა აგვისტოს ღამე სოფ. ბახსნის ახლო „თემენიკში“ გავატარეთ. სოფლიდამ თენგიზს ერთი ხარი მოუვიდა თავის ნაცნობისაგან და ის დაეკალით. საღამოს მოიღრუბლა. წვიმისა გვეშინოდა და კარების კეთების ფაცა-ფუცში ვიყავით. იპრიანა ღმერთმა და წვიმა არ მოსულა. მეორე დღეს, როგორც ვსთქვით, მამასახლისის კანდიდატი მოვიდა ჩვენთან. ჯ-ძემ მაშინვე უკან დააბრუნა და გაჯავრებით უბრძანა, მამასახლისის და ათი კაცი მალე მოსულიყო. როცა კანდიდატი წავიდა, კომისიამ სიტყვა ჩამოავდო იმაზე, თუ რა უნდა ქნას, ვინც იცნობა სოფელმა არ მიიღოს იგი. გადასწყვიტეს ეს ამბავი პიატიგორსკის ოლქის უფროსს შეატყობინონ.

დილის თერთმეტ საათზე როგორც იყო მოვიდა მამასახლისი რამდენისამე სოფელელით, მამასახლისს მოჰყვა აგრეთვე ბახსანის მებატონე თავ. ისმაილ ურუსბეი. თავ. ჯ-ძე მაშინვე მიუბრუნდა მამასახლისს და წყრომა დაუწყო, რომ იგი მთავრობის მოსამსახურე კაცების ბრძანებას არ ასრულებს და ეს მესამე დღეა, რაც იმის, მამასახლისის წყალობით ცუდ-უბრალოდ ხეტიალობენ ბახსანის ხეობაში და სხვა. მამასახლისმა თავი იმიით იმართლა, რომ ის ერთი

და საზოგადოება მრავალი, რომ საზოგადოებას ისე საწყენად დარჩა კომისიის აქ მოსვლა, რომ თავებს იზოცენო, და საღვთისმეტყველო სოფლის უნებურად კომისიისთან გამოცხადებულ მოსაზრებებს ამისთანა. მამასახლისის რაღაცეები კიდევ უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვა გამოართვა თავ. ისმაილ ურუსბეიმ, რომლის ხელში იყო თვით მამასახლისი და იმისი სამამასახლისო. თავ. ისმაილ შესანიშნავი კაცი იყო მთიულეთში (ის მოკვდა 1888 წ.) და საზოგადოებას გინდ წაღმა ატრიალებდა, გინდ უკუღმა. შუათანა ტანის, ჩასკვნილი, იგი ისე ცოცხლად იყურებოდა, რომ ცეცხლსა ჰყრიდა თვალებიდან. მამის იგი 47 წლისა იყო, მაგრამ სულ ყმაწვილის შეხედულება ჰქონდა. დიდი მოლაპარაკე, მჭევრმეტყველი და ბუნებით ჰკვიანი თავ. ისმაილი სულ მოძრაობად იყო გადაქცეული. რაც უნდა გეტქვა, ის მაინც თავისს ლაპარაკს არ შესწყვეტდა. შენს პასუხს აქა-იქ ჩააყვრებდა იმის დაუთავებელს ლაპარაკში და მერე ისევ თავისას განაგრძობდა. კომისიის ყველა წევრები ერთად მისცვივდნენ სალაპარაკოდ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეაჩერა. თავ. ისმაილი სადად იყო ჩაცმული და, როგორც ნამდვილს ჩერქეზს, არ მოსწონდა თურმე მდიდრულად ჩაცმა-დახურვა. წყლისფერი ადგილობრივი შალის ჩოხა, შავი სატინის ახალუხი, კრაველის დაბალი ქუდი, შავი სამოგვეს წულა-მესტი, ქამარი და ქამარზე სპილოს თეთრის ძვლის ტარიანი ხანჯალი, ჩოხაზე მასრების მაგიერ ბერდანკის თოფის პატრონები, — აი რა შეადგენდა თავ. ისმაილის ჩაცმულობას. ისმაილი განათლებული არ იყო, იცოდა მხოლოდ არაბული კითხვა და ამავე ენაზე ხელის მოწერა. თავისის გამჭრიახის ჰკუთნით, ისე განაკარგა თავის მამის დანატოვარი ყოფა-ქონება, რომ მთიულეტში ისმაილი პირველი შეძლებული მოსახლეა. ჩემს დღიურში, რომელზედაც აშენებულია ეს წერილი, არა მაქვს ნახევნები. თუ რა ქონების პატრონია თავ. ისმაილი და ეს ცნობები და აგრეთვე რამდენიმე სხვაც ამოღებულია მოსკოვის პროფესორების ბ-ნივანიუკოვისა და მ. კოვალევსკის წერილიდან „У подошвы Эльбурса“, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „Вест. Европы“-ს იანვრის წიგნში 1886 წ. პროფესორების სიტყვით, თავ. ისმაილს 80<sup>1</sup> ათასი დესიატინა ადგილი აქვს. ამათში მარტო ექვსი ათასი დესიატინა ადგილს სარგებლობას: 300 დესიატინა სახნავ-სათესად აქვს, დანარჩენი შეადგენს ტყესა და საძოვარ ადგილებს. თავ. ისმაილს ჰყავს რქიანი მსხვილი საქონელი 300 ცალი, 200 ცხენი და 1500 ცხვარი. ფულად

<sup>1</sup> ჩემის აზრით, 80 ათასი დესიატინა მიწა ერთობ გაზვიადებულია.

შემოუღის იმდენი, რამდენიც საჭიროა ოჯახისათვის სმა-ჭამას ვარ-  
და. თავ. ისმაილს სახლ-კარმიდამოს იქ ავსწერთ, როდესაც სოფლად  
ვესტუმრებით. აქ-კი ისევ ჩვენსა და ისმაილის შეხვედრაზე უნდა  
განვავაძოთ ლაპარაკი.


როგორც-კი მოგვიახლოვდა. თავ. ისმაილი. მაშინვე ცაენილამ  
ჩამოხტა, მათრახი მხლებელს გადასცა და ჩვენკენ გამოექანა. ყვე-  
ლას საერთოდ თავი დაგვიკრა და შემდეგ პირდაპირ თ. თენგიზთან  
მივიდა. თენგიზი ზეზე წამოუდგა და ზრდილობიანად ხელი გაუწო-  
და. ისმაილს ცხადად ეტყობოდა გაჯავრება და ემჩნეოდა, რომ ძლი-  
ერ ჩქარობდა ეს გაჯავრება სიტყვით გადაეცა თენგიზისათვის. ასეც  
მოხდა.

— ეგენი, ანიშნა ისმაილმა ჩვენზე; რუსები არიან და არ ეძრა-  
ხებათ, რომ ჩვენი ჩვეულება არ იცოდნენ, მაგრამ შენ-კი არ გება-  
ტივება, რომ ჩვეულება არ შეასრულე და სირცხვილი მაჭამე. ჩემთ-  
ვის დიდი შეურაცხებაა, რომ აგერ ჩემს კარამდე მოსულხართ, ტყე-  
ში დარჩენილხართ და ჩემს სახლში-კი არ შემობრძანდით. მართა-  
ლია, მე თქვენისთანა სტუმრების მისაღებად შესაფერი სახლი არ  
მექნება, ვერც ღირსეულად დაგიხვდები, მაგრამ, რაც უნდა იყოს,  
ტყეში და წვიმაში ღამის გათევას მაინც ჩემს ქოხში სჯობია. სტუმ-  
რის ხამი მე არა ვარ, თქვენზე ნაკლები სტუმარიც ბევრი უნახავს  
ჩემს ქოხს და, ნუ გეწყინებათ, უკეთესიცა.

— მე დილაც ვიცი, მიუგო თენგიზმა. ჩვენი ჩვეულება და კი-  
დეც ასე მოვიქცეოდი, როგორც თხოულობს ჩვეულება, მაგრამ მე  
კომისიას ვახლავარ და არა კომისია მე და ამისათვის ისე უნდა მო-  
ვიქცე და ვიარო, როგორც კომისია მიბრძანებს.

ისმაილმა სვანური კარგად იცოდა და თენგიზმა პირველმივე  
სთხოვა სვანურად ელაპარაკნა მასთან, რადგანაც თათრული თუმცა  
ვიციო, ხოლო ისე არა, როგორც შენ სვანურიო. ისმაილი ყაბულს  
გახდა ამაზე. კიდევ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ამ ლაპარაკის გამეო-  
რება შორს წაგვიყვანს.

როდესაც ისმაილი და თენგიზი ლაპარაკს მორჩნენ, ჯ-ძე მამასახ-  
ლისს მიუბრუნდა და მოსთხოვა ათი კაცი ბახსნის მხრით საზღვრის  
მაჩვენებლად. მამასახლისმა უთხრა, რომ ყრილობა იყო ხალხისა და  
გადასწყვიტა, კაცები არ მოგცეთ და ვერც მე მოვიყვანეო. მაშინ  
კომისიამ სხვა ვერაფერი მოახერხა და სვანების ჩვენებაზე დაამყარა  
საზღვარი. გავსწიეთ და რამდენსამე საათს შემდეგ ბახსანს. ან, რაც  
ერთი და იგივეა, ურუსების საზოგადოებას მივედიო. თენგიზს აქ  
სიძე ჰყავდა, დის ქმარი. თავ. ისმაილის სახლი-კაცი, თავ. აღნგერ  
ურუსები, და იმისას ჩამოხტა, ჩვენ-კი ისმაილმა მიგვიწვია თავისს



სახლში. ისმაილს საკუთრივ, ცალკე აქვს სასტუმრო. სასტუმრო ხისა იყო, ერთსართულიანი, მიწურის ბანით. სასტუმრო ოთახს იკავებდა ოთახიდან შესდგებოდა, იატაკი მიწისა იყო და კარები ხის რული ჰქონდა. სამ კედლის სიგრძეზე ტახტები იყო გაკეთებული. ერთს კედელზე ვეებერთელა ბუხარი იყო ჩამოკიდებული. ჩამოკიდებული-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ბუხარს შეადგენდა დაწნილი გოდორი, რომელსაც ძირი ფართო აქვს და იატაკამდე არ არის დაყვანილი. შიგნით ეს გოდორი ამოგლესილია ოფალო ტალახით. იატაკიდან ბუხრის ძირი ადლ-ნახევარზე იყო აცილებული. ამავე სასტუმროში რამდენიმე სამ-ფეხა სკამი იდგა, ოთახს ერთი კარი ჰქონდა და ორი მომცრო სარკმელი. თავის ოჯახისათვის ისმაილს ცალკე ჰქონდა სახლი. მაგრამ იმაში მე არა ვყოფილვარ. გარეგნობითკი შესანიშნავი არაფრით იყო. მესამე სახლი, ანუ ჩვენებური ოდა, ისმაილს გაუთავებელი ჰქონდა. ერთი ოთახი ამ ოდისა იმდენად მოეწყო. რომ თითონ იდგა. ამ ოთახში მიიწვია ერთი წვერი კომისიისა, რომელიც გზაზე ავად გაგვიხდა; ოთახის ერთს კედელზე ისმაილის იარაღი ეკიდა: რამდენიმე თოფი ახალის სისტემისა და სხვა რაღაც ძველის დროის იარაღები. ახალის სისტემის თოფები, როგორც თითონ გვიამბო, ისმაილს უცხოეთელ მოგზაურთაგან ჰქონდა ფეშქაშად მიღებული. ისმაილი ყოველს მოგზაურს ბინას აძლევს. პატრისა სცემს, ხელს უმართავს და ამისათვის იმასაც არა სტოვებენ მომდურავს. ისმაილი ცოლ-შვილიანია. იმისი ორი შვილი იმ დროს კავკავში სწავლობდა რეალურს სასწავლებელში და იმ ხანად-კი შინ იყვნენ. ისმაილს სამი ძმა ჰყავდა, და ერთს ამათგანს შვეიცარიაში უსწავლია ყველის კეთება. ეს ძმა — სახელდობრ ხამუზა — კარგად ლაპარაკობს რუსულად. იმისი გაცნობა მიუ უფრო სასიამოვნო იყო, რომ ვფიქრობდით. განათლებული კაცია, ქვეყნის ავი და კარგი უნახავს და ჩვენს საქმეში ხელს მოგვიწყობსო, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით. ისმაილს მეტოქე არა ჰყავდა: ძმებიც ისე ეჭირა ხელში როგორც შვილები, და ვერც ერთი ძმა ისმაილს ვერ გაუბედავდა სიტყვის შებრუნებას, იმისი სიტყვა ბეჭედი იყო. ხამუზამ მითხრა, რომ შვეიცარიაში მყოფობის დროს რამდენსამე ქართველს ყმაწვილს ვიცნობდით, და სხვათა შორის დამისახელა ჯათაროძე, მიქელაძე, მესხი და სხვებიც.

\*  
\* \*

სოფ. ბახსანს მოსკლისთანავე ისმაილმა ბინა გვიჩვენა; გვითხრა: ამ ჩემს ქოხში მოისვენეთ, რასაც შევიძლებ, პატრისა გცემთ, ამას

ითხოვს ჩვენი წესი, თუმცა სასურველი სტუმრები არა ხართ ჩემთვის! სთქვა ეს და მოგშორდა. ისმაილის ამგვარმა სიტყვებმა ცოტა არ იყოს ახირებულს მდგომარეობაში ჩაგვადო. თითქმის ჩვენთაგანი ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ახირებულია, თქვენმა მზემ! კაცი პირში გვეუბნება, არ მიყვარხართ, მწყისს კიდევ თქვენი სტუმრობა და იმავე დროს ჩვეულებას ვერსად წასვლია და გვიცხადებს, — რასაც შევიძლებ, პატივისცემას არ მოგაკლებთო! ყველა ჩვენთაგანს იმ დროს ბევრად ერჩივნა სხვის სახლში დადგომა საკუთარს ხარჯზე, მაგრამ ეს არ ზერხდებოდა იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ისმაილისათვის მეორე დიდი შეურაცხება და ამას ვერიდებოდით. გაიარა რამდენიმე ხანმა, ისმაილის სახლში ყველამ თავთავისი ადგილი მივიჩინეთ. ერთს მოზრდილს ოთახში, რომელშიაც ისმაილმა ნება-უნებურად მიგვიწვია. ჩვენ ყველასათვის ერთად ცოტა ხალვათი აღმოჩნდა. შემოვიდა ისმაილი, შემოიყვანა თავისი ძმა ხამუზა. ისმაილი თავის ძმის პირით მიუბრუნდა თ. ჯ-ძეს და ჰკითხა:

— კნიაზო! მე კიდევ ვერ გამოვიდა, თუ თქვენ ამ ჩემს მამულში მოდით თ. მურზაყანის ადგილების საძებრად. როგორ მოხდა ეს საქმე, რამ გამოიწვია კომისიის აქ მოსვლა, კარგი იქნება, რომ ამიხსნიდეთ.

— კომისიას აქვს წერილობითი საბუთიც, სადაც სჩანს, რომ მურზაყანის და იმის მამის ციოყის საკუთრება ყოფილა მდ. ბახსანის სათავე ახლო მდებარე ადგილებით. რომ თქვენ იჭვი არ აიღოთ ჩემს სიტყვებზე, ესლავე გაჩვენებთ იმ საბუთსაც, რომელსაც თქვენივე ძმა წაგიკითხავთ.

ჯ. ეს საბუთი მოითხოვა. ეს საბუთი იყო პირი იმ გრამატიკისა, რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ I-ს 1833 წ. უბოძებია მურზაყანის მამის ციოყისათვის (სხვა სახელი მიხეილი იყო). თ. ციოყ დადიშქელიანს ამ წელს მიეღო რუსის ქვეშევრდომობა. ისმაილისათვის ეს გრამატიკა მოულოდნელი საბუთი იყო, ცოტა ხანს შეჩერდა და შემდეგ ცბიერად გაიცინა და სთქვა:

— არ ვიცი! ამ უზარმაზარ კედელს (მოუთითა კავკასიის ქედს) კავკასია ორად გაუყვია და განა ჩემსა და მურზაყანის მამულს ვერ გასაზღვრავდა? მე ჩვენს ზნე-ჩვეულებას არ ვულალატე, პატივი დავედ კავკასიის სტუმართ-მოყვარეობას, თორემ ნება მქონდა ჩემს მამულში არც-კი შემეშვით. — სთქვა ეს. გატრიალდა უკან და გავკშორდა.

მისი ძმა ხამუზა ჩვენთან დარჩა. ბევრს ხანს ელაპარაკა ჯ. ხამუზას, ურჩევდა თავის ძმის ისმაილისათვის აეხსნა, როგორც განათლებულს კაცს, — რომ კომისია მთავრობისაგან არის დანიშნული და

იმისი მინდობილობა უნდა აასრულოს, რომ ისმაილმა კომიტეტს ბი-  
რად არაფერი დაბრკოლება არ უნდა მისცეს, არ აწყვენიოს. თორემ  
ყოველივე ეს მთავრობის ყურამდე მიაღწევს და საკუთარ თავს და  
დაურჩებაო. ხამუზა ერთსა და იმავეს იმეორებდა: ისმაილის საქმეა  
ეს, ისმაილმა იცის, ჩვენ, ძმები, ვერას გაუბედავთ, რადგან იგი ჩვე-  
ნი უფროსი ძმაა და უმცროსის ძმების რიგი არ არის უფროსის  
ძმის საქმეში გაერიონო. ამასობაში ისმაილის შინა ყმამ ჩაი შემო-  
გვიტანა. ერთ საათის შემდეგ ჩაის მოჰყვა ვახშამიც. ისმაილის მო-  
სამსახურემ ორის ხელით შემოიტანა სამ-ფეხა, რგვალი, გობის  
მსგავსი ვებერთელა ტაბაკი, ხორავით სავსე და ჩვენ ოთახის შუაში  
დადგა. ხამუზამ ღამე დაგვილოცა და გარეთ გავიდა. გავიდა ოთა-  
ხილამ აგრეთვე ვახშმის მომტანი ბიჭიც. მივუახლოვდით ტაბაკს  
და ირგვლივ მოვუხსედით. ტაბაკის შუაში ჯამით „თუზლუყ“-ი<sup>1</sup>  
იდგა, ირგვლივ ხორად ეყარა ხორცის ნაჭრები და აქა-იქ ნაჭრებს  
შუა ჩაკვებებული იყო პურის ნატეხები. არც დანა, არც საინი, არც  
ხელსახოცი, საზოგადოდ სუფრის მოწყობილობა არა ყოფილა. არ  
იყო აგრეთვე მარილიც. რომლის მაგიერობას „თუზლუყი“ ჩაღო-  
და. მაღიანად შევუღდექით ჭამას. ჩვენი ხელები, გარდა პირდაპირის  
თავიანთ დანიშნულებისა დანა-ჩანგლობასაც ასრულებდა. ჭამის  
დროს თავზე დაგვეყურებდა რვა კაცი — ჩვენი მხლებელი (სხვა სვა-  
ნები თავიანთ ნაცნობ ბახსნელებთან დადგნენ). ჩვენ ერთობ გავუ-  
სვით ხელი ჭამას და მალეც შევათხელეთ ხორავით დატვირთული  
ტაბაკი. ჯ. შეგვატყუო, რომ ზოგიერთი ჩვენთაგანი კიდევ არ ანებებ-  
და ჭამას თავს და დროით გავვიხსენა მთიულების ერთი ჩვეულება.  
ეგება არ იცითო, სთქვა მან: რომ ამ ხორავიდგან უნდა ივახშმონ  
ჩვენმა ბიჭებმაც; სხვას, რაც ჩვენ არ მოგვრჩება, მათ არას მოუტა-  
ნენ და თუ შეიძლება, აღვირი ასდევით თქვენს ჭამასაო, თორემ ეგ  
დამშეული სვანები გულში ბევრს შეგიკურთხებენო... ამ სიტყვებმა  
ჭამა შეგვაწყვეტინა, ავდექით სუფრილამ და ბიჭებს დავუთმეთ სუფ-  
რა, რომელზედაც ერთი ძვალი რა არის, ისიც არ გაუშვიათ. შემდეგ  
გავიგე, რომ ეგეთი ჩვეულება მართლა ყოფილა მთიულებში. როდეს-  
საც ჯალაბი სადილ-ვახშმობს, სადილ-ვახშმისათვის დამზადებულს  
ხორაგეულობას პირველად მიართმევენ ოჯახის უფროსს, მერე შემ-  
დეგს წლოვანობით გარდასცემს, ასე ჩაჰყვებიან და სულ ბოლოს  
ნასუფრალი ბავშვებამდე მივა. მეორე დღეს. 11-ს აგვისტოს, დი-  
ლა-ადრიან გავიღვიძეთ. როგორც ვიცით, თავ. თენგიზი ბინად თავის

<sup>1</sup> თუზლუყი რძისა და მარილისაგან გავითებული მწათხე საწებავია და  
ბევრად სჯობს მდოვს.

სიძე თავ. ადინგერ ურუსბეისას ჩამოხტა. ჩაის სასმელ-დ თენგიზ-თან მივედი. თენგიზი, თუმცა ადრე იყო, ამდგარი დამხვდა. ის თითქმისი, რომელშიაც თენგიზი ჩამომხტარიყო, იმის დის კნ. სალდათხანი იყო. ეს იყო ხის ოთახი. მიდგმული საჯალაბო სახლზე. ოთახი სუფთა იყო, იატაკი და კერი — ფიცრული, და ოთახს ორი ფანჯარა ჰქონდა. ორივეში შუშები ჰქონდა ჩამსხდარი. ერთ კედელთან ბუხარი იყო, მეორესთან ტახტი იდგა და მესამესთან — სტოლი. სტოლზე აღდუღებული სამოვარი ჩუხჩუხებდა. ორი-სამი საჯდომი სკამი და ერთს კუთხეში ღვთისმშობლის მოოქროვილი ხატი, — აი ეს იყო სულ ოთახის მოწყობილობა. კნენა სალდათხანი იმჟამად აქ არ იყო, იგი ჩვენ დავტოვეთ თავის ძმა თენგიზისას ეცერში. კნენა გაჰყვლია ცოლად თავ. ადინგერ ურუსბეის 1860. წ. კნენა იმ პირობით დათანხმებულა ადინგერ ურუსბეის ცოლობაზე, უკეთუ უკანასკნელი ქრისტეს რჯულზედ მოინათლებოდა. ძნელი ასასრულებელი იყო ესეთის პირობის ასრულება ადინგერის მხრით, მაგრამ კნ. სალდათხანი ისე მოსწონებია, რომ სიყვარულს რჯულისათვის უჯობნია, მონათლულა და სალდათხანი შეუერთავს. კნ. სალდათხანი მართლა რომ გასაგიყებელი ლამაზია, ძლიერ ლამაზია აგრეთვე ქმარიც და იმათი ოთხი შვილი — ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი ანგელოზებისა ჰგვანან. შვილებიც ყველა მონათლულნი არიან. ეს ერთად-ერთი ოჯახია მთელს საზოგადოებაში, რომელიც ქრისტეს რჯულს აღიარებს. როგორ უნდა იყოს ამ ერთად-ერთ ქრისტიან ოჯახის მდგომარეობა ორი ათას მაჰმადის მიმდევარს მცხოვრებთა შორის, ამას მკითხველი უჩემოდაც ნათლად წარმოიდგენს. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ ამ ქრისტიანს ოჯახს ზიზლით უყურებენ, როგორც გარეულები, ისე შინაურებიც. თუმცა ამ პირობებშია ჩავარდნილი კნ. სალდათხანი თავის ქმარ-შვილებითურთ, მაგრამ ის მაინც მაგრად სდგას ქრისტეს რჯულზე. ყოველ წელს მოდის სვანეთში, მოჰყავს შვილები მართო იმისთვის, რომ თავის სამშობლო კუთხეში წმ. საიდუმლო ზიარებისა მიიღოს და შვილებსაც მიიღებინოს. ყველა საეკლესიო მარხვებს და წესებს ფრთხილად ინახავს, როგორც ნამდვილი ქრისტიანი აღამიანი. მე დამარწმუნეს, რომ კნენა არაფერს ჰზოგავს, რომ ვინმე მაჰმადიანთაგანი მოაქციოს ქრისტეს რჯულზეო, მაგრამ ამოდ, ამ მხრით ქრისტიან სვანის ქალს ცდა ტყუილად უვლის. მაგისტანა ფანატიკ ხალხში, როგორიც ბახსნელები არიან და საზოგადოდ მაჰმადის მიმდევარი მთიულები, არა თუ სვანის ქალი, პავლე მოციქული რომ ადგეს, ვგონებ იმანაც ვერაფერი გააწყოს. ქმარი კნენისა



ადინგერი. თუმცა გარეგნობით ქრისტიანია, მაგრამ, როგორც მოთხრეს, ძლიერ გულგრილად ეპყრობა ახალს რჯულს. იგი გულგრილია მადიანია და რომ კნენა სალდათხანის ხათრი არა ჰქონდეს. ამ გარეგნულ ქრისტიანობასაც მალე მიატოვებდა.

\*  
\* \*

ჩაის დალევის შემდეგ მე და თავ. თენგიზი ჩვენს ამხანაგებთან მივედით, ისმაილის სახლში. თავ. ჯ-ს წინ უდგა ბახსანის მამასახლისი. მამასახლისად იყო თავ. ურუსბეი, ისმაილის სახლი-კაცი. ჯ. და მამასახლისს ცხარე ლაპარაკი ჰქონდათ. თალმაჩად ჩვენი ცნობილი ხამუხა ჰყავდათ. მე რომ თენგიზთან წავედი, თავ. ჯ-ს მამასახლისი დაებარებინა და ექვსი კაცი და ათი ცხენი მოეთხოვა ყარაჩამდე. მამასახლისს ფორმისთვის სოფელი დაეველო. ვითომ-და კაცებისა და ცხენების საქმებრად, მერე დაბრუნებულყო და ეთქვა, რომ ვერც კაცები და ვერც ცხენები ვერ ვიშოვეო. ჯ-ს ამაზე გული მოსდიოდა და ამის გამო ჰქონდათ ცხარე ლაპარაკი. აქ თითქმის ისეთივე ამბავი იყო ჯ-სა და მამასახლისს შუა, როგორც ვნახეთ სვანეთში ფარისა და ჩუბხევის საზოგადოებაში. მიზეზი-კი სვანეთში და აქ სხვა-დასხვა იყო. სვანეთში ხალხმა გაუწია ურჩობა მამასახლისებს და ამიტომ ვერ შეასრულეს კომისიის მოთხოვნილება, აქ-კი, ბახსანს, ხალხი და მამასახლისი არაფერს შუაში იყვნენ. მიზეზი აქ თავ. ისმაილი იყო. ისმაილს უნდოდა ჩვენი დაბრკოლება, როგორც შემდეგ გავიგეთ. და დედის მისის შვილი იქმნებოდა მამასახლისი და მისი საზოგადოება, ისმაილის სურვილს გადუდგებოდნენ. მამასახლისი-კი ამას ვერ გვიმყლანებდა და ყველა მიზეზს ხალხს ახვევდა კისერზე. როდესაც ცარიელის ლაპარაკით ვერაფერი გააწყო ჯ-მ, ამოიღო ბარგიდგან ღია ფურცელი (открытый лист). მამასახლისს მიაჩეჩა და უთხრა: აი ეს ფურცელი და თუ კაცები და ცხენები საჩქაროდ არ გიშოვნია, პასუხისგებაში ჩავარდებიო. ღია ფურცლის ხელში ჩაჩეჩებამ მამასახლისი ჩააფიქრა. დალუნა თავი და სდურთა თავის კანცელარიაში, რომ მწერალს წააქითხოს და გაიგოს მისი შინაარსი. მწერლად მამასახლისს სამსახურიდგან სიმთვრალის გამო დათხოვნილი რუსი ჰყავდა. ყოველ შეხვედრაზე ეს რუსი სულ იმას შემოგვიჩიოდა, რომ აქ, ბახსანში, კაცის ცხოვრება ძალის ცხოვრებააო, ზიარებისათვის რომ დაგჭირდეს, ერთ ცვარ ღვინოს ვერ იშოვი და ერთ ჭიქა არაყსაო. მართლაც, სასმელი აქ არაფერი იშო-

გება. იციან ორნაირი სასმელი „ვორაში“-ი და „სიურა“<sup>1</sup>. რომელნიც ცოტათი ლუდს მოაგონებენ კაცს, მაგრამ დათრობით არც ერთი არ ათრობს და სასმელადაც მიუჩვენეველისათვის ძელგია. ნამაჲსაჲსი ისმაილთან კაცი ეფრინა. მოდი, კომისიამ რაღაც ქაღალდს და რა ვქნათ. ისმაილი და მისი ძმა ხამუზა კანცელარიაში მისულიყვნენ, წაეკითხათ ფურცელი და გაეგოთ მისი შინაარსი. მამასახლისს კარგა ხანი დაავიანდა კანცელარიაში. ეს ჩვენ გვიხაროდა, ვამბობდით. — სწორედ ეხლა მივაგენით ნამდვილს საშუალებას და ეს ფურცელი გასჭრისო, მაგრამ მწარეთ მოვსტყუედიო! მამასახლისი დაბრუნდა ჩვენთან ღია ფურცლით ხელში და მუხლზე დაუდვა იქვე მჯდომარე ჯ-ძეს. მან სთქვა, რომ ამ ღია ფურცელს თერგის ქვეყანაში, სადაც ბახსანი ძევს, ძალა არა აქვს, რადგანაც მიცემულია ქუთაისის გუბერნატორისაგან და მარტო იმ გუბერნიაში გამოდგებაო. გულმოსულ ჯ-ძემ ვერაფერი პასუხი ვერ გასცა. რადგან მამასახლისი მართალს ამბობდა. ჩვენ და მამასახლისი მუნჯურად ვუყურებდით ერთი მეორეს. მამასახლისი ჩვენის ოთახიდან გავიდა. დავრჩით იმედდაკარგული.


ფიქრს შემდეგ ჯ-ს ერთი აზრი მოუვიდა თავში: კერძოდ დავუძახოთ რამდენსამე კაცსაო, დიდი ქირა მივცეთ და ეგება რამე გამოდნესო. ვსცადეთ ესეც, მაგრამ ამანაც უქმად ჩაიარა. მაშინ კომისიამ გადასწყვიტა ქაღალდით მოეხსენებინა ისმაილის მხრით ამგვარი დაბრკოლება პიატიგორსკის ოლქის უფროსისათვის. დავსწერეთ მოხსენება, დავბეჭდეთ და მამასახლისს დავუძახეთ. ჯ-მ უთხრა, რომ ეს ქაღალდი საჩქაროდ გაეგზავნათ ოლქის უფროსისთვის. მამასახლისმა ქაღალდს ხელი არ მოჰკიდა. მე ხელის მოწერა არ ვიცი, ჩემს მწერალს დავუძახებ და ის მიიღებსო. მამასახლისი ისმაილთან მისულიყო. როგორც აღმოჩნდა, ისმაილს ეთქვა, რომ არამც და არამც მამასახლისს კონვერტი არ მიეღო კომისიისაგან. მოვიდა მამასახლისი და გვითხრა, რომ ამ ორ კვირაში ის ქაღალდს ვერ გაუგზავნის თავის უფროსს და თუ მანამდე არ არის საჩქარო, მერე-კიო... ჩვენ, რასაკვირველია, მალე გვეკვირებოდა ქაღალდის გაგზავნა. ჩვენი მოხსენება ისევ ჩვენ დავგვრჩა. რა ვქნათ, არ ვიციო! თენგიზმა არჩია, ისევ სვანებს მივმართოთ, გაიყონ როგორმე ბარგი და ყარაჩამდე წავვიღონ. მეტი ქირა მივცეთ და ეგებ დავიყოლიოთო. ეს შენ მოახერხე როგორმეო. უთხრა ჯ-მ თენგიზს. თენგიზმა სვანები შეჰყა-

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ლუდს ძველი ხალხებიც ამ სახელს უწოდებენ. მაგალითად სანსკრიტულად — sūra და ზოგს სხვა ენაზე-sara, sur, ser, sür, sra...  
O. Illpagep, стр. 151.

რა და როგორც იყო დაითანხმა ყარაჩამდე გაყოლასა და ბარგის წაღებაზე. ყარაჩამდე გზის მაჩვენებლად გვჭიროდა კაცი. ერთმა სვანმა სთქვა, გზა მე ვიციო. ამასობაში სადილობამაც მოაწია. ისმაილის ბიჭმა შემოგვიტანა ტაბაკით ერთი ვეებერთელა ჩუღმე-ჩაოთხი ლი პური (კუბად). პურში წვრილად ჩაჭრილი აღმოჩნდა მთელი ვეოზი. მომტანმა პურს ზედა კანი ამოსჭრა. თითქო საარაყე ქვაბს თავი ახადაო. შიგ ხორცი თავის წვეწში მოხარშულ-დარგვალეზულიყო. ძირს წვეწი უდგა, რომელსაც პურის კანი გარე არ უშვებდა. ეს იყო ჩვენი და ჩვენის ბიჭების დღევანდელი სადილი. სადილზე ბევრი ვიცინეთ. გვაცინებდა ერთის მხრით ისმაილის ასეთი პატივისცემა სადილ-ვანშმად და მეორეს მხრით ისმაილისაგანვე ჩვენი დაბრკოლება. იმ ღამეს აქ დავრჩით. მეორე დღეს, 12 აგვისტოს, ბახსანიდამ უნდა გავსულიყავით.

დილით მთელი ბახსანი თენგიზის სადგომთან შეყრილიყო. გავიგე ეს და მეც მივედი. ყრილობიდან ერთი კაცი წინ წამოდგა და დაახლოვებით შემდეგი უთხრა თენგიზს: ვსწუხვართ. სთქვა ბახსანელმა, რომ ვერაფერი პატივი გეცით, პატივი-კი არა-და, კიდეც გაწყენინეთ. შენ კარგად გიცნობთ და ისიც ვიციო. თუ რა დიდი ბურჯი ხარ ჩვენთვის სვანეთში. უშენოდ ერთი ბახსანელი ფეხს ვერ შესდგამს სვანეთში. მაგრამ რას ვიზამთ! კომისიის მოსვლა არავის გვეავა. ნამეტურ ისმაილს, და იმის გამოჯავრებით შენც ვერას გემსახურეთ. მარტო რომ მობრძანებულიყავით, ჩვენ ვიცოდით რა პატივისცემითაც მიგიღებდით და გაგისტუმრებდით. ვთხოვთ, არ დაგვემდურეთ. თუ იკადრებთ, საზოგადოებას სურს, რომ რაც აქედამ ყარაჩამდე საკლავი მოგინდებათ შენ და სვანებს, სოფელმა მოგართვათ. თენგიზმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და დაუმატა: მე კარგად ვიცი თქვენი ამბავი, თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ, ეს ყველაფერი ისმაილის ბრალია, მაგრამ სვანებმა კარგად ვიციო ავისა და კარგის გადახდა, ნამეტურ ავისა, აქ თენგიზმა ხმა აუმაღლა: ასე გადაეცით ჩემს ძველს მეგობარს, თქვენს ისმაილს. ის ბატონია მარტო თავის სოფელში და მე-კი მთელს სვანეთში და სხვა-დასხვა!

ბარგის მილაგ-მოლაგებამ, დაყოფამ მებარგულ სვანთა შორის იმდენს ხანს ვასტანა, რომ საღამოს ჟამს ძლივს დავაწჩიეთ თავი ბახსანიდამ. ბახსანის ანუ ურუსბეის საზოგადოება სძევს მდ. ბახსანის მარცხენა ნაპირზე. ჩრდილოეთიდან სოფელს შუაში ჩამოუღის მოზრდილი მდინარე, რომელზედაც მცხოვრებლებს წისქვილები გაუშენებიათ. შენობები ბახსანელებისა ხისაა და თავის ბანებით ქართლის მიწურებს მოგაგონებს. დღიურში მეკომურთ რიცხვი 273 მი-



წურია. ჩემს მერე 1885 წ. აქ იყვნენ მოსკოვის პროფესორები ბ-ნი ივანიუკოვი და კოვალევსკი. იმათის სიტყვით, ხსენებულს წელს მე-კომპურთ რიცხვი ყოფილა 294, ხოლო მცხოვრებთა 2200 სული. თავი და თავი ცხოვრების წყარო აქ საქონლის მოშენებაა. იმავე პროფესორების სიტყვით, 1885 წ. მთელს საზოგადოებას ჰყოლია მსხვილი საქონელი 4860 ცალი ცხენებიანად, ხოლო ცხვარი ორმოც-ღარვა ათასამდე. სახაზინო ბეგარა ხდებათ აქ: მდიდარს მეკომურს ექვს მანეთზე ცოტა მეტი, ღარიბს-კი არა ნაკლებ მანეთ-ნახევრისა. ეხლანდელი ურუსებიელები და ძველი ქამუკელები, ან ბახსანელები ეკუთვნიან იმ მთიულებს ჩრდილოეთის კავკასიისას, რომელთაც ყაბარდოს მთიულებს ეძახიან (**кабардинские горы**). ბახსანელებს რჩული მაჰმადისა აქეთ და ლაპარაკობენ კილო შეცვლილ თათრულს ენას. ბ-ნ ზაგურკის გამოკვლევით<sup>1</sup>, ყაბარდოს მთიულების რიცხვი ცამეტ ათას სულს აღემატება. სცხოვრობენ ივინი მალყარში, ან ბალყარში, ბიზინგიში, ხულამს, ჩეგემს და ბახსანში. ამბობენ, ეს მთიულები ენით მონათესავე არიან კუმუხების (**кумык**) და ნოღაელებისა, მაგრამ ამას ჯერ-ჯერობით შემოწმება უნდაო... ნოღაელები (**ногайцы**) შემოსულან ჩრდილოეთ კავკასიაში მე-XII საუკუნეში. მათ სხვათა შორის დაუჭვრიათ ეხლანდელი ყაბარდოელების ადგილ-ბინა. მე-XIV საუკუნეში ნოღაელები გაუდევნია ადიგეს (**адыге**), რომლის შთამომავლობად ითვლებიან ყაბარდოელები. ამბობენ, ადიგე მარტო დიდ-ყაბარდოს დაეპატრონა და მთებში-კი ისევ ნოღაელების შტო დარჩა, საიდგანაც გაჩნდნენ ყაბარდოს მთიულებიცაო, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია. ნამდვილად დღეს მიაჩნიათ და მიაჩნდათ არა უსაბუთოდ, რომ ის ადგილები, სადაც დღეს ყაბარდოს მთიულები სცხოვრობენ, უწინ ეჭირათ ქრისტიანს ოსებს. შემდეგში ეს ოსები განდევნეს ყაბარდოდამ გადმოსულებმა და დღემდე მანდ სცხოვრობენ. მალყარზე, ბაზინგიზე და ხულამზე გადაჭრით ვერას ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება ბახსანელებსა და ჩეგემლებს, ისინი ჩვენს დროს არიან გადმოსული ყაბარდოდამ და ამათზე ეჭვის შეტანა ის იქნება, კაცმა რომ სთქვას (და ამბობენ კიდევ), რომ მეგრელები, გურულები და სვანები ქართველების მონათესავენი არ არიანო. მაგრამ თავი დავანებოთ ამ ისტორიასაც. ჩვენი საქმეა თვალთ ნახულისა და ყურით გაგონილის აღწერა და ისევ იმას მივუბრუნდეთ.

სოფლიდამ გამოსვლისას ხალხი თავ-მოყრილი იყო. მამაკაცები ჩერქეზულად იცვამენ. ხალხი ლამაზია. ქალებზე ვერას ვიტყვი იმიტომ, რომ თუ არ შორს, ახლო ვერავინ დავინახე და ისინიც ჩადრ-

<sup>1</sup> „Этнологическая классификация Кавказских народов.“

ჩამოფარებული. ხალხში რაღაც ხუმრობა-სიცილი ისმოდა. მარტო ისმაილს შეეკრა წარბები და უკმაყოფილოდ გვიყურებდა. მივედი მასთან, თენგიზის გარდა. ხელი ჩამოვართვით და მადლობა გადავუხადეთ პურ-მარილისათვის. ყველანი მოხარული ვიყავით, რადგან ლოს, როგორც იყო, მოვსცილდით ბახსანს. ეტყობოდა, რომ ნელები სწუხდნენ ჩვენს მოშორებას. ახირებული ბედი დაგვდევდა ამ მოგზაურობის დროს. სადაც-კი სოფლად შევედით (სურმუსს გარდა), ყველგან უსიამოვნებას შევეყრებოდით ხოლმე. მთაში-კი, სადაც მაწუხებელი არავინა გვყვანდა, მხიარულად ვატარებდით დროს. იმ დღეს სამი საათი ვიარეთ და დაღამებულს ერთს მინდორში დავდექით. ბახსანელების მოცემული ხარი სვანებმა უცებ წამოაქციეს და დაჰკლეს ზვარაყად. თმანა სვანს, რომელიც უფროს მხარეულად გვყავდა მიჩენილი, დავეკითხე: რამდენი საკლავი შეგვიტამა-მეთქი მას აქეთ, რაც სოფ. თავარაიდან გამოვედით, და აღმოჩნდა, რომ 5—13 აგვისტომდე დაგვიკლავს 27 ცხვარი, 8 მოზვერი-ხარი და ორიც ჯიხვი, რომელიც მონადირე სვანმა მოჰკლა გზაზე. ვივანშმეთ და მალე მივეციტთ თავი ძილს. მასლაათი აღარ გავგიგრძელებია ნავაშმევს, რადგან კომისიას სასმელი არაფერი ჰქონდა და უამისოდ ლაპარაკი თავს არ მოდიოდა.

მეორე დღეს, 13-ს, ჯორი გაგვიხდა საძებრად და იმის მონახვამ 11 საათამდე შეგვაჩერა. ამ დროს სვანეთიდან თენგიზს ბიჭები მოუვიდა. თან მოგვიტანეს ქუთაისში ნაყიდი შვიდი ბოთლი არაყი, თუთუნი, ჩაი. შაქარი და საკუთრივ თენგიზისათვის ასი სროლა ბერდანკისა. არაყის დანახვაზე თვალეები გამოჰყიტა ზოგიერთმა კომისიის წევრმა. უცებ გაიცა ბრძანება, რომ ბიჭებმა მწვადები შესწვან. ბრძანება ასრულდა და ერთი ბოთლი არაყი აქვე შევიწირეთ. აქელამ ჩვენი გზა დასავლეთს მიდიოდა და იღვა იალბუზის ჩრდილოეთ კალთებზე. მივდიოდით ყარაჩას. გზა ყველგან საცხენოსნო იყო. რადგან ეს ადგილები საძოვრად აქვთ ბახსნელებსა და ყარაჩელებს, იალბუზზე მობმული ვრცელი საჯოგეები მოფენილი იყო ბახსნისა და ყარაჩას საქონლით, ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა გზაზე ცხენისა, ხარძროხისა და ცხვრის ჯოგები. გავიარეთ თუ არა ცოტა მანძილი ჩვენის ბინიდან, თვალწინ აგვეყუდა იალბუზი თავისთავად გაუწვდუნელის ჩრდილოეთის ფერდით. ფერდი თავიდან ძირამდე გადალესილი იყო თეთრისა და დაუღნობელის თოვლით. ჩვენ გზა ყარაჩამდე თითქმის სულ ამ თოვლის ძირას მისდევდა. როდესაც ყარაჩას საჯოგეებში გადავედით, ცას საავდრო ღრუბლები გადაეკრა. მალე წვიმაც დაუშვა, მაგრამ მალევე გადიღო. წვიმას სქელი ნისლი მოჰყვა. ისეთი სქელი, რომ ხუთის ნაბიჯის მანძილზე ერთი მეორეს ვე-

რა ვხედავდით. ვიარეთ სალამომდე და ერთს ყოშს მივადექით. ლამე  
აქ დავბინავდით. მწყემსმა თავისი ყოში დავგვიტომა. ყოში ისეთი  
პატარა აღმოჩნდა, რომ ორი კაცი ძლივს მოთავსდა შიგ. დაწინააღმდეგობა  
ნები გარეთ დავსწევით, მინდორში. ვახშამზე დიდი ბაასი გავსწევით.  
ვია არაყის ერთისა თუ ორის ბოთლის დაღევამ. კომისიის წევრები  
ორ დასად დაიყვნენ: ერთი დასი ამტკიცებდა, რომ კმარა. ერთი  
ბოთლი არაყი ვახშამად, რომ სმა-ჭამა ხვალაც და ზეგაც მოგვინდე-  
ბა და გამოზოგვით ხმარება სჯობია სასმელისა, ვიდრე ერთად შეხვ-  
რიპაო, მაგრამ მეორე დასი თავგამოდებული თხოულობდა, რომ ორი  
და არა ერთი ბოთლი არაყი შეგვესვა. სხვებმა რომ ვერაფერი გა-  
აწყო ორ ბოთლ არაყის დაღევის მომხრე დასმა, საღმრთო წერი-  
ლის სიტყვებს მიჰმართა და სთქვა: ნათქვამიაო, რომ „ხვალემა იზ-  
რუნოს ხვალისთვის“ და „შეხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ  
არა სთესვენ, არა მკიან, მაგრამ ღმერთი ასაზრდოებს მათო“... ამ  
ტექსტის შემდეგ ვის რაღა ეთქმოდა და შეისვა ორი ბოთლი არაყი.  
როდესაც მეორე ბოთლი გამოიწურა, ერთმა ბახუსის თავყანისმცე-  
მელმა სტაცა ცარიელს ბოთლს ხელი და იალბუზისაკენ გადისრო-  
ლა. თავის ფიქრით მწვერვალზე უნდოდა აეგდო, მაგრამ მწვერვა-  
ლამდე ბევრი დააკლდა და მინდორში მწოლარე დაღალულ სვანის  
თავთან დაენარცხა. ბედი, რომ ბოთლი სვანს ასცილდა, თორემ, რო-  
გორც მოურიდებლად წამოიძახა სვანმა, ამის მსროლელს „მეშხა-  
ლეთს“ (შავს ღამეს) დავაყენებდიო. ორს გარდა ყველა მინდორში  
დავსწევით. სწვიმდა. ნაბდებში გამოვეხვიეთ. ახლად დაწოლილს გარ-  
კვევით მესმოდა წვიმის ცვრების ჩქიფ-ჩქიფი ჩემს ნაბაღზე, რომელ-  
თაც, როგორც მდინარის შუილმა, მალე ძილად მიმაგდეს. ერთი რამ  
მაწუხებდა: ვაითუ მთელი ღამე იწვიმოს, წვიმამ ჩემს ნაბაღს გასტა-  
ნოს და ტანში შემიდგეს მეთქი, მაგრამ ჩემი ნაბადი ისეთის კარგის  
კანისა აღმოჩნდა, რომ შიში ჩემდა სასიამოვნოდ არ გამიმართლდა.  
სწორედ უკვდავებაა ნაბადი მგზავრობაში. დღე გიფარავს წვიმა-  
სიცივისაგან და ღამე იგია შენი ლეიბ-საბანი. როგორც იმ ღამეს, ისე  
სხვიმის მოგზაურობის დროს ჩვენ ნამდვილად გვეთქმოდა: „ჩვენ  
ვართ და ჩვენი ნაბდები, გამთენებელი ღამისა“.

რა მოხდა იმ ღამეს, ვერაფერი გავიგე, ისე მაგრა დამძინებოდა.  
გათენებისას-კი ფეხებზე სიცივე ვიგრძენი, გამოვყავი ნაბდიდამ თა-  
ვი და შევხედე ცას: ცა სარკესავით იყო, ერთი ნამცეცი ღრუბელი,  
არ ეკარა. უკუ ვაგდე ნაბადი, რომელიც წვიმისაგან გაწუწულიყო,  
და ჩემს ამხანაგებს დავუწყე ღვიძება. რამდენსამე კიდევ გაეღვი-  
ძათ, მაგრამ ნაბდებიდგან თავის გამოყოფა ვერ გაებედნათ, ასე ჰგო-  
ნებდნენ, რომ ისევ სწვიმსო. მალე ყველანი ზეზე ვიდევით და ერთ-

მანეთს ვულოცავდით დღევანდელს დარს. მართლა რომ საუცხოვე  
რამ იყო იმ დღის დილა! მარცხენ გვედვა იალბუზის თეთრი ვერდი  
და სამივე კუთხით გაშლილი საბალახო ადგილები მოფენილნი ვიყუ  
ბით. ყოშის ირგვლივ ამ ყოშისავე პატრონის ჯოგი საუკუნისა  
ლელი იყო. მწყემსს, როგორც ყოველდღეს, ვერზის ჯოგი ცალ-  
კე ეფენა, მაწველის ცხვრისა ცალკე და კრავებისა ცალკე. ძლიერ  
გვიამა გამოდარება და სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექით. ჩვენის  
ბინის ახლო მდინარე ბალიყი გადმოდიოდა. ეს მდინარე პირველად  
ჩრდილოეთისკენ მიდის. მერე უხვევს აღმოსავლეთით. მდინარე ბა-  
ლიყისავე ახლო იალბუზის კალთიდან გადმოდიოდა ღელე, რამ-  
დენსამე მანძილს რომ გაივლის. უერთდება მდამიო ბალიყს და შე-  
ერთებისას აჩენს წყალ-ვარდნილს, რომელსაც დაახლოებით ხუთი  
საყენი სიმაღლე ექნება. ღელეს სათავეში, ზედ იალბუზის ძირში,  
ორ ადგილას ამოჩუხჩუხებებს (гейзерь) რკინის თბილი წყალი.  
წყალი იმხელაა, რომ წისქვილის ქვებს დააბრუნებს და ძლიერ ღო-  
ნივრად ამოჭქუხს მიწიდან. წყალს თითონ გაუკეთებია ბუნებითი  
აუზი. ამ თბილს წყალზე აქ მისვლამდინაც ბევრი გამეგონა და ამი-  
სათვის მოვიწინდომე იმისი გასინჯვა. თუმცა ადრე იყო, მაგრამ ჩემს  
ამხანაგებს ვსთხოვე აქ დაგვესვენა და სადილი გვეჭამა. ყველანი  
ნებას დამყვენენ. ცოტა რომ დავისვენეთ, საბანაოდ ჩავედი წყალში.  
როდესაც განგებ იმ ადგილას გადავაწევი წყალს, სადაც უფრო ღო-  
ნივრად სცემს, ძირიდან ნაფოტისავით ამისროლა ზევით. ეს ცდა  
რამდენჯერმე გავიმეორე და ან ზევით ამომავდებდა ხოლმე წყალი,  
ან გვერდზე გამისროდა. ტერმომეტრით გავსინჯე წყალი და აღმოჩნ-  
და, რომ 18°R სითბო ჰქონდა. იქვე გამომდინარე ორი წყარო რომ  
გავსინჯე, ერთს 4° R ჰქონდა და მეორეს 5° R. თბილ წყალს ბევრი  
გაზი ჰქვს. როდესაც პირით ჩავეყუდებოდი, იმდენი გაზი შემედი-  
ოდა ცხვირში, რომ თვალთაგან ცრემლებსა ვყრიდი. ახლო-მახლო  
მცხოვრებნი ამ თბილს წყალზე ხშირად დაიარებიან თურმე საბა-  
ნაოდ. აქ რამდენსამე ადგილას საფლავის მსგავსი მიწის ორმო იყო  
ამოთხრილი. ავადმყოფს ჯერ აბანებენ წყალში, შემდეგ ამ ორმოში,  
რომელსაც წინდაწინვე ახურებენ ცეცხლით, ჩააწვენენ. როდესაც  
ორმოს კედლები გაჰხურდება, ცეცხლს ამოჰყრიან, შიგ ჩააგებენ  
თივას, იმაზე ნაბადს, მიიყვანებენ წყლიდან ავადმყოფს, ჩაუშვებენ  
ორმოში, ზედ საბანს, ნაბდებსა და, თუ დასჭირდა, თივასაც დაახუ-  
რავენ და ოფლს ადინებენ. მითხრეს, რომ ამგვარი ბანაობა ბევრ  
ნაირს სნეულებასა ჰკურნებსო. ამავე ადგილას ექვსი კონუსის მსგავ-  
სი გორაკი იყო ამართული. თენგიზის სიტყვით, ეს გორაკები გაჩე-  
ნილა ამნაირად: ქარს სილა მოუგროვებია აქ, შემდეგ თანდათან

უყრია და მიუქვევებია. ყარაჩაში ვიკითხე და იქაურებმა მითხრეს, რომ ამ გორაკების გაჩენა საქმეა „ხელთა უფლისათაო“. როდესაც ბანაობასა და საჭირო ცნობების მოკრებას მოვრჩი, სადილი ვაგეშა-ლეთ. სანამ ჩვენ სადილს შევექცეოდით აქ, იალბუზის ძირში, შე შინ-და მკითხველს რამდენისამე სიტყვით ავუწერო იალბუზი.


\*

\* \* \*

წინდაწინვე ვაცხადებ, რომ აღწერა იალბუზისა ძლიერ მოკლე იქნება. ვის არ გაუგონია, რომ იალბუზი კავკასიონის ყველა მთე-ბზე მაღალია, დიდია. იალბუზის მნახველს ისე მისი სიმაღლე არ აოცებს, როგორც განზიდულობა დიდს მანძილზე. საგნის ნათლად წარმოდგენა მაშინ უფრო უადვილდება მკითხველს, როდესაც პირ-ველს, ე. ი. ასაწერს საგანს, სხვა საგანთან აღარებ. ამგვარი შედა-რება მსურდა მეც იალბუზის შესახებ, მაგრამ შესადაარებელს საგანს ველარ ვპოულობ. მართლა რას უნდა შეადარო ეს ორთავე და სამფე-ხიანი დევი, რომელსაც ერთი ფეხი ქუთაისის გუბერნიაში უდგია, მეორე თერგის ქვეყანაში, მესამე ყუბანისაში, და თავით ცასა სწვდე-ბა! თუ რამ სიდიდეა იალბუზი სიგარძე-სიგანეზე მკითხველი მიხვ-დება იქიდან. რომ მარტო ჩრდილოეთის ფერდის გავლას—ბახსანი-დამ ყარაჩამდე—ორ დღე ნახევარი მოვუნდით. ჩრდილოეთის ფერდი იალბუზისა თოვლით დაფარული და ოდნავ გაზნეჭილია. ძირიდან თავამდე რომ თვალი გააყოლო, ისე გეჩვენება, ვითომ ამ ფერდზე სიარული ძნელი არ უნდა იყოსო. ნამდვილად-კი ასე არ არის და თუ გეჩვენება, იმიტომ-რომ თვალი გატყუებს. ეს ფერდი მწვერვალ-ზე ასასვლელად მიუდგომელი და მიუყარებელია. დღემდე ვერც ერ-თი მოგზაური, რომელსაც ჰღირსებია იალბუზის თხემზე ფეხის დად-გმა, ამ ფერდით ვერ ასულა. აღმოსავლეთის მხრით ერთი მეორეზე მიყოლებით შესდგომიან მთა-ქედები და ამისათვის თვით იალბუ-ზი შესაფერ მალლად არ ეჩვენება თვალს. დასავლეთის მხრით ყა-რაჩიდან-კი უფრო პირდაპირ ამართულა ეს ბუმბერაზი და აქ ჰხე-დავ იმის ნამდვილს სიმაღლეს. ამ მხრით და ნამეტურ სამხრეთ-და-სავლეთით მწვერვალის ახლო იალბუზის ფერდი მიგლეჯილ-მოგ-ლეჯილია, თითქო იმისი გულ-მკერდი რაღაც მანქანებას გამოუგლე-ჯიანო, და ნაფლეთები, შავი კლდეები, ერთი მეორეზე მიყრილ-მოყ-რილი, არეულ-დარეული თავს ზარსა სცემს მაყურებელს, ტყვიასა-ვით გულს აწეება, ასე რომ ბევრ ხანს იმის ყურებას ვერ უძლებ და გინდა მალე მოაშორო თვალი. სამხრეთის მხრით იალბუზის ზედა ტანი ცოტათი დასშორებია ჩრდილოეთისაკენ კავკასიის ქედის კე-

დელს, თითქო მიკარება უმცროს ძმებ-მთებისა ეთაკილებოდეს. ქვედა ტანით-კი იალბუზი შეერთებულია დიდ-ქედთან. ამ ქედსა და იალბუზის მწვერვალს შუა უღელტეხილია, რომლითაც სახსნიდან ყარაჩას გადადის ქვეითი კაცი დიდის გაჭირვებით. დიდის ქედის მაღალი მწვერვალები, როგორც არიან, მაგ., უშბა, თვეთნული. შხარა და სხვანი, ისე სჩანან იალბუზიდან, როგორადაც გამოჩნდებიან, ვსტკვათ, ფინია ძაღლები აფრიკის ვეება ლომთან. იალბუზს. როგორც ვიცით, ორი მწვერვალი აქვს — აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. შუაში უნაგირი არის. ხომ ასეთი მაღალია იალბუზი, მაგრამ კარგა ხანია, რაც იმის მწვერვალზე ადამიანი ავიდა, ის ადამიანი, რომელსაც, რაკი დედამიწის ზურგზე უნახავი და ფეხქვეშ ამოუდებელი არაფერი დარჩენია, დღეს ცის მნათობებს მზე-მთვარესა და ვარსკვლავებს ეპოტინება და კიდევ გამოსტყუა რამდენიმე ცნობა თავის ვინაობა-რაობაზე. მწვერვალეში დასავლეთისა უმაღლესია აღმოსავლეთის მწვერვალზე. უკანასკნელის დროის გამოკვლევით დასავლეთის მწვერვალის სიმაღლე არის 18,467 ფუტი, აღმოსავლეთისა — 18,347 ფუტი, უნაგირასი — 17,451 ფუტი. აღმოსავლეთის მწვერვალზე პირველად ავიდა 1829 წ. ერთი ყაბარდოელი. სახელდობრ ქილარი. ამავე მწვერვალზე 1868 წ. ავიდა ინგლისის ცნობილი მეცნიერი ბ-ნ დუგლას ფრეშვილდი და მისი თანამხანაგი ორი ინგლისელი: მური და ტეკერი და ფრეშვილდის განუყრელი მოსამსახურე თანამოგზაური შვეიცარიელი ფრანსუა დეკასუ. დასავლეთის მწვერვალზე პირველი ავიდა 1874 წ. ბ-ნი გროვე, ავტორი წიგნისა „Холодный Кавказ“. ბოლო ხანებში რამდენიმე მოგზაური, მომეტებულად საზღვარგარეთელი, ეღირსა იალბუზზე ასვლას. ყველაზე უკანასკნელად, ე. ი. შარშან 1888 წ., იალბუზის უნაგირაზე ავიდნენ ბ-ნი გოლომბიევსკი და ბარონი უნგერნშტენბერგი. ამითი ვათავებთ იალბუზის აღწერას.

ნასადილევს გზას გავუდგით. მთელი ეს დღე და ნახევარი მეორე დღისა სულ ყარაჩაელების საჯოგებში ვიარეთ, რომელნიც მობმულნი არიან იალბუზზე. საღამოს მივაწიეთ ერთს შიშველ ხეობის თავს. იქილამ ყარაჩას დაღმართი იწყება. მთელი დღე თვალებგაფაციცებით ვეძებდით ტყეს, მაგრამ სანახავადაც ვერსად შევხვდით. ტყე-კი საჭირო იყო ჩვენთვის. გამომცხვარი პური და მოხარშული ხორცი სადილად მოგვინდა და ვახშმის გასაკეთებლად შეშა გვჭირდებოდა, მაგრამ ტყუილი-ღა იყო იმედი. იმ ადგილიდამ, სადაც ჩვენ დაგვიღამდა და ბანაკად დავეცით, ტყე 15 ვერსის მანძილზედ ახლო არსად იყო. ამნაირად დავრჩით უვახშმოდ. ეს ადგილი ნაჯოგარი იყო. ჯ. გვირჩია გამხმარი ნაკელი მოგვეგროვებინა, ეგებ ჩაი ავადუ-



ღოთ მაგითიო. მოვაგროვებთ ესეც. ჯერ მოკიდება-გაღლებას მიაწყ-  
დნენ ბიჭები და მერე, როცა ვაი-ვაგლახით სპილენძის საჩაეში წყა-  
ლი ავადუღებთ, ჩაი ჩაეყარეთ, ისეთი გემო მისცემოდა ჩაისს, რომ  
პირში ვერავინ ჩაუშვია. ჩვეულებრივ გავეხვიეთ ღართებში და დავე-  
ყარეთ მინდვრად.


მეორე ღღეს დილა სუსხიანი იყო; საგრძნობლად შეგვცვივდა,  
როდესაც ღართებიდამ გამოვძვერით. მიწას ნამი ეღვა. დაუყოვნებ-  
ლით გავუღექით გზას. ვეშურებოდით იმ იმედით, რომ ტყიანს ად-  
გილამდე მივაწევით, სადაც ხარჯს გავიკეთებთ და დავნაყრდებითო.  
ექვსი საათი ვიარებთ მოუსვენებლივ. საწყალ ქვეითიან სვანებს შიმ-  
შილით არაქათი გამოელიათ. რამდენადაც ვუახლოვდებოდით ყარა-  
ჩას, იმდენად ჩრდილოეთის გვერდი იალბუზისა თვალთაგან გვეკარ-  
გებოდა. სამაგიეროდ ვხედავდით ჩრდილო-დასავლეთისა და დასავ-  
ლეთის ფერდს და უმალლესს მწვერვალს იალბუზისას. ორის ნახევარ-  
ი იყო, რომ მივედით ხურძუკის ერთს განაკიდს სოფელს. სვანები  
მაშინვე მოსახლეებს შეუტყვივდნენ, უნდოდათ სადილის მომზადე-  
ბამდე მაწონი ან აირანი სადმე ეშოვათ, მაგრამ სოფელში მამაკაცო  
არავინ იყო შინ და დედაკაცები-კი, როცა ჩვენ დავგინახეს, ვინც  
გავგვასწრო, სოფელს გარეთ გაიქცა, და ვინც ვერა, სახლებში ჩაი-  
კეტეს კარები. ვხედავდით, რომ სოფლიდამ ხეირი არაფერი გამოვი-  
დოდა და ისევ ჩვენს ფქვილსა და საკლავს მივმართეთ. ერთ მოსახ-  
ლის ეზოში სვანებმა ორ ადგილას დაანთეს ცეცხლი, ერთ ცეცხლზე  
საჩქაროზე პურები გამოხანხლეს და მეორეზე ხორცი მოხარშეს.  
მომზადდა ხელდახელ სადილი, მოვიკალით შიმშილი და ნასადილევს  
დავეშვით ხურძუკის ხეობაში.

\*  
\* \* \*

ხურძუკს ახლო წინ მოგვეგება ადგილობრივი მამასახლისი მურ-  
ხაყული თავის თანაშემწით და თენგიზის კარგი ნაცნობი ყარაჩაე-  
ლი. მამასახლისმა წინდაწინვე იცოდა კომისიის მისვლა. მან ზრდი-  
ლობიანად სალამი მოგვცა და სოფლად გავვიძღვა. სალამოს 8 1/2  
საათზე ხურძუკს ვიყავით. მამასახლისმა გვიჩვენა ჩვენთვის დამზა-  
დებული სახლი და გვითხრა, რომ სანამ აქ დარჩებით, ყოველგვა-  
რი ხარჯი კომისიისათვის ჩემი იქნებაო. მოგვიჩინა ორი კაცი მოსამ-  
სახურედ, რომელთაგან ერთი რუსულსაც ამტვრევდა. რაც რამე  
დაგჭირდეთ, განაგრძო მამასახლისმა: ამათ უთხარით და ყველაფერს  
აგისრულებენო. ამაღამ დასვენება გვიჩინა, როგორც დაღალუ-  
ლებს, და ხვალაო, დაამატა მამასახლისმა: ყრილობას მოვახდენ; კო-

მისიის მოსვლის მიზეზი მე უკვე გაგებულნი მაქვს და ამისი ანსხა ჩემთვის საჭირო არ არის. საზოგადოებამაც იცის ეს ამბავი. დაგვიკრა თავი და გამოგვეთხოვა მეორე დილამდე. თენგიზმა დაგვიჩვენებთ მისმა ნაცნობმა მიიწვია. თენგიზი ჩრდილოეთ უღელს ხელის-ხელ საგოგმანებლად ჰყავდათ. იგი ყველასათვის სასურველი სტუმარი იყო და ყველა სცდილობდა შესაფერის დიდებით დახვედროდა სვანეთის ბატონს. ჩვენ-კი ყოველთვის ვსწუხდით თენგიზის მოშორებას, იმასთან უფრო მხიარულად ვიყავით. იგი კარგად იცნობდა კავკასიის მთიულებს და ბევრს საინტერესო ამბებს გვიამბობდა ხოლმე იმათის ძველის ცხოვრებიდან. იმათ და სვანების ერთმანეთში მტრობა-მოყვრობაზე. ჩემდა სამწუხაროდ, ეს საინტერესო ამბები და ლეგენდები მთიულებზე ჩემთვის სამუდამოდ დაიკარგა. დღიურში მაშინვე დაწვრილებით აღარ შემეიტანია. დამინიშნავს მარტო ამნაირად: „თენგიზის ნათქვამი ლეგენდა ყარაჩაელებზე; სვანების თავს დასხმა ყარაჩაზე, ჯოგების წართმევა. დაბეგრვა და მკვლელობა“ და სხვა და სხვა. მაშინ უფრო ადრე ვფიქრობდი ჩემ შენიშვნების შემუშავებას დასაბეჭდად, მაგრამ ეს დღემდე არ მოხერხდა და დღეს-კი თენგიზის ნათქვამი ვეღარ გავიხსენე....

ხურძუკი, სადაც ახლა ჩვენა ვართ. ყარაჩას ერთ საზოგადოებათაგანია; ძვეს იგი იალბუზის დასავლეთით სამ მდინარის ულუხურძუკის, ულუქამის და უჩქულანის ზედა მიმდინარეობაზე. როცა ეს სამი მდინარე ერთმანეთს უერთდება, შეადგენენ მდინარე ყუბანს. ხურძუკში ჩვენს დროს ითვლებოდა 708 მეკომური გლეხი და აზნაური, რომელსაც აქ „უზდენს“ ეძახიან. ხურძუკს ახლო შემდეგი საზოგადოებანი არიან: უჩქულანი, კოჯურდი, ჯაულიყი და დაუდი. პირველში ითვლებოდა 650 მეკომური, მეორეში — 675, მესამეში — 148 და მეოთხეში — 98. მცხოვრებნი როგორც ხურძუკისა, ისე ჩამოთვლილ საზოგადოებათა, ყარაჩაელები არიან, ხოლო თვით ყარაჩაელები, როგორც ამბობენ, ეკუთვნიან ნოღაელების შტოს. ბ-ნ ზაგურსკის სიტყვით, ყარაჩაელების რიცხვი ამჟამად ცხრაშეკ ათას სულამდე აღის და სცხოვრობენ იგინი ყუბანის ქვეყანაში. ყარაჩაელები ყაბარდოს მთიულებად არ იწოდებიან, როგორც, მაგ. ბახსანელები. ხურძუკს სამის მხრით მთა-ქედები დასცქერის თავს, აღმოსავლეთით იალბუზი, ჩრდილოეთით ამ მთაზე მობმული მაღალი ქედი, სამხრეთით კავკასიის დიდის ქედის ნაწილი და დასავლეთით მდინარე ყუბანის ხეობა ჩაჰყვება. შენობები აქაც ისეთივეა, როგორიც ვნახეთ ბახსანში, და ამიტომ იმათი აღწერა ნათქვამის გამოკრება იქნება. მხოლოდ ერთს განსხვავებას ჰხედავს აქ კაცი. მო-



მეტებულს ნაწილს სახლებისას შუშის ფანჯრები აქვს, რაც ბახსანში მარტო ისმაილის სახლს ჰქონდა, და ჭერიც ფიცრულიაა. ეს შუშის ფანჯრები და ფიცრული ჭერი სახლებისა რუსების გავლენით არის ნება. ხურძუკი ბათალფაშინსკის მახრამია. ხურძუკელებს გასტყვევებული მისვლა-მოსვლა აქვთ იმ რუსებთან, რომელნიც „სტანიცებზე“ სცხოვრობენ. აქ თანდათან ეცნობიან რუსების ყოფაცხოვრებას. რუსების გავლენა ხურძუკელებზე სხვაშიაც სჩანს. ხშირად შეხვდებით რუსულის მცოდნეს, ცოტა შეძლებულა ოჯახს უთუოდ სამოვარი უდგია და, როგორც შევამჩნიე, ჩაი ისეთსავე პატივშია აქ, როგორც რუსებში. იმასაც ნათლად ჰხედავ, რომ რუსის კანონს აქ უფრო მაგრად გაუდგამს ფეხი, ვიდრე სხვა მთიულებში. ეს ცხადად დაგვანახვეს ხურძუკელებმა ჩვენთან მოქცევის შესახებ. ისეთი ახირებული თავ-მნებელობა, ურჩობა, რომელიც ჩვენ ჩვენს თავზე გამოვსცადეთ სვანეთსა და ბახსანში, აქ არაფერი გვინახავს. პირიქით, ჩვენს კითხვაზე თავზიანს პასუხს იძლეოდნენ და ხშირად გვესმოდა მათგან: „რასაც „закон“-ი მოითხოვს, იმის წინააღმდეგ ვინ რას იტყვისო“ და სხვა ამნაირი სიტყვები.

16 აგვისტოს დილით ხურძუკის საზოგადოება თავ-მოყრილი იყო. მამასახლისმა შეგვატყობინა, რომ ყრილობა გელითო. სწორედ საყვარელი კაცი იყო ეს მამასახლისი. ახალგაზრდა, ზორბა და მოყვანილი, მშვიდის შეხედულებისა. ტკბილად მოუბარი. იგი რაღაც უნებურად სძრავდა ჩვენში მისადმი პატივისცემას. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, იმას შეგნებული ჰქონდა, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედაც ითქმისო“. როგორც მითხრეს, მამასახლისი თავისს საზოგადოებასაც ძლიერ უყვარს. მამასახლისის კარგს ხასიათთან ერთად აქ იმის შეძლებასაც თავისი მნიშვნელობა აქვს. იგი წვრილმან ხარჯებს საზოგადოებისას ხშირად თავის თავზედ იღებს და ეს ნიშნავს რასმე, ღარიბი საზოგადოება ამას აფასებს. მამასახლისი წინ გაგვიძლვა და ყრილობისკენ გავემართეთ. ხალხს „მეგვითის“ (მეჩითი) ეზოში მოეყარა თავი. 500 მეტი არჩეული ყარაჩაელი მშვენიერს სურათს წარმოადგენდა. როდესაც ადგილობრივ ჰხედავ ამ მთის შვილებს, მაშინ გჯერა ის თავ-გამომეტებული მამაცობა და თავ-დავიწყებამდე განწირულობა, რომელიც ამათ არა ერთხელ გამოუჩენიათ თავის დამპყრობლების წინააღმდეგ: კანაფის ლეროსავით სწორი, ახოვანი, ქედ-კისერ მოუხრელი, მიმინოს თვალების მექონე, კოხტად და მოზდენილად ჩაცმულ-დახურული, წითური, მოძრავი და სიცოცხლით სავსე. ამგვარი ყრილობა მთიულებისა ნამდვილად ჰხიბლავს მაყურებელს! აქ არ შეგხვდებათ ცალ-ფეხა, ცალ-ხელა, ცალ-თვალა, კუზიანი, წელში მოხრილი... ყველა ერთი მეორეს სჭარბობს სილა-

მაზით, თითქო ერთს კალაპოტში ჩამოსხმულნი არიანო. ამეყი მთი-  
ული როცა გელაპარაკება, ჰგრძნობს თავისს ადამიანობას და თავისის  
ქცევა-ლაპარაკით ცხადად გატყობინებს, რომ „მენტე“ ვინც  
უნდა დიდი ბოზოლა იყო, პირველად ყოვლისა ადამიანისაა!  
რა კარგია, რა ძვირფასია ეს თავის ადამიანობის გრძნობა, რომელ-  
საც ბარელებში (მდაბიო ხალხში) ძვირად შეხვდება კაცი! როცა  
ჰხედავ ამგვარს სურათს მთიულეებისას, კაცს თავმოყვარეობის  
გრძნობა გელვიძება, ჰნატრობ, ნეტავ ეს ამეყი ხალხი შენის სისხლ-  
ხორცისა იყოს, შენი ნატამალი, რომ ჭირში და ლხინში დაგაშვენოს,  
გამოგადგეს, და როცა ეს ოცნებად, მოუხერხებელ საქმედ გეჩვენ-  
ება, მაშინ ჰფიქრობ: დაე, ნუ არის შენიანი ეს ამეყი მთიული, თავისთვის  
იყოს, და იყოს-კიაო! მაგრამ სამწუხაროდ ამ „თავისთვის  
იყოს“ იმედსაც ფრთა ეკვეცება, როდესაც იცი, რომ „მიზეზისა გა-  
მო სხვისა და სხვისა“ და მაჰმადის რჯულით გატაცებული მთიული  
ყოველ წლობით ასობითა და ათასობით სტოვებს თავისის მამა-  
პაპის მიწა-წყალს და მიდის სათათრეთში, სადაც იგი დროს განმავ-  
ლობაში ის აღარ იქნება, რაც არის. გავა დრო და ეს ამეყი მთიული  
მიატოვებს არა ნაკლებ ამეყ იალბუზს, რომლის კალთებზე, ვინ  
იცის, რა ჯურის კაცები გაჩნდებიან. იალბუზი-კი-და იქნება უმთიუ-  
ლოთ ეხლანდელივით ამეყი? არა მგონია! იალბუზისთვის მთიული  
ძვირფასი და საუკეთესო სამკაულია. დაჰკარგავს ამ სამკაულს?  
დაჰკარგავს ბევრს რასმე! იალბუზი და მთიული ერთი მეორესთვის  
გაჩენილან, ერთი მეორეს ამშვენებენ! ეს ფიქრები აღძრა ჩემში სა-  
ზოგადოდ მთიულეებზე დღევანდელის ხურძუკელებისა და 12 აგვის-  
ტოს ბახსანელების ყრილობათა სურათმა. კომისიას ყრილობასთან  
ბევრი ლაპარაკი აღარ დასჭირებია. ჯ. სთხოვა 6 კაცი მიეცა ყრილო-  
ბას საზღვრის მაჩვენებლად სვანეთის მხრით. ყრილობის მაგიერ  
ერთმა ხურძუკელმა მოკლედ გადასცა თავიანთი აზრი. მან სთქვა,  
რომ ჩვენი და სვანეთის საზღვარი კავკასიონის დიდი ქედია. ჩვენს  
მახსოვრობაში ეს არის და ოდესღაც რა იყო, ალღანმა იცისო. ამ  
სიტყვებზე გამოხტა სვანების მხრით მოხუცი ვიჩი ცინდელიანი და  
აღელვებულის ხმით მიჰმართა ყრილობას: ჩვენსა და თქვენს შუა  
საზღვარი დიდი ქედი-კი არ არის, ქვია ხილია! (ბუნჯ ბოგ). ჩემს სი-  
ცოცხლეში სამჯერ ამიღია თქვენგან ბეგარა — საბალახე იმ ადგი-  
ლებიდან, რომელსაც დღეს თქვენ დაეპატრონეთ; ორჯელაც ჯოგი  
წაგართვით, როდესაც საბალახოს გადახდაზე ურჩობა გაგვიწიეთ; ეს

<sup>1</sup> ხიდი სოფელზე ახლოა.

იყო მურზაყანის მამის თ. ციოყის დროს. „ამეი ლი! ამეი ლი!“ მოისმა სვანების ერთიანი კიყინა. ყრილობაში უკმაყოფილობის ღარღაცი და მოძრაობა შეიქნა. მამასახლისმა ერთი გადახედა: ორი-ოდე სიტყვა უთხრა და ყრილობა ისევ დამშვიდდა. მამასახლისმა მიუღებურად ჯ-ძეს და უთხრა:

— ჩვენ და სვანები თავის დღეში ვერ მოვთანხმებულვართ ერთ-მანეთში ვერასოდეს და ვერა საქმეში. ასე მოხდება დღესაც, თუ ჩვენზე მოაგდეთ საზღვრის გადაწყვეტა. ემჯობინება ასე ინებოთ: სადაც ამ სვანებმა გიჩვენოთ საზღვარი, ის საზღვარი შეიტანეთ კომისიის ოქმში. თავის დროზე მთავრობა ჩვენც გვკითხავს და მაშინ ჩვენ ჩვენსას ვიტყვით. ეს-კი ვიცით, რომ ის ადგილები, რომელსაც სვანები თავისად სთვლიან. ჩვენ დაგვრჩება, ამიტომ-რომ ამ ადგილებით ვსარგებლობთ აგერ 30 წელიწადი მაინც და აქამდე ვერავინ შემოგვდავებია. რაკი ასე აიხსნება ეს გარემოება, მაშინ ЗАКОН-ის ძალით ადგილს ვერავინ შეგვეცილება.

კომისიასაც არაფერი ეთქმოდა ამაზე და ჩვენს ბინაზე დავბრუნდით. ყრილობა-კი კარგა ხანს არ დაშლილა. აქედამ ჩვენ ვაპირობდით აფხაზეთის მთებზე წასვლას, სახელდობრ ჩხალთას, მაგრამ როდესაც გზის შესახებ ნამდვილი ცნობები შევკრიბეთ, აღმოჩნდა, რომ ამ გზით ჯორ-ცხენების წაყვანა ყოვლად შეუძლებელი იყო. ქვეითობას ჩვენ ვერ შევიძლებდით და გადავწყვიტეთ ისევ სვანეთს დაბრუნება ყარაჩას უღელტეხილით, რომელიც სძევს დიდს ქედზე სამხრეთ-დასავლეთით იალბუზისა. სვანეთში რამდენსამე დღეს შევისვენებდით და შემდეგ გავსწევდით აფხაზეთ სამურზაყანოსა და სვანეთის შუა საზღვრის გამოსარკვევად. ასეც მოვიქცით... დაღამებამდე კიდევ რამდენიმე დრო დარჩა და ეს დრო ხურძუკის სოფლების დათვალეირებას მოვანდომე. სოფლად მკა ის-ის იყო მაშინ დაეწყოთ. აქ მარტო ოთხ-კუთხიანი ქერი მოდის, ისეთივე, როგორსაც სთესვენ სვანეთში მარტო ორს ადგილს: უშგულს და ადიშს. რიგით ამ ქერით მკა ხსენებულ სვანეთის სოფლებშიაც 15 აგვისტოდამ იწყება. ვიყავი სასოფლო კანცელარიაში, სადაც გავიცანი მწერალი — ნაჯარის-კაცევი რუსი. ესეც, როგორც ბახსანის მწერალი, სმის მოყვარე ყოფილა და თავის სენის განსაკურნებლად აქ მოსულა, სადაც ადგილობრივ დამათრობელი სასმელი არაფერი იშობება. საცოდავს უხაროდა, რომ ამ უსასმელო ადგილას მოხვდით, თორემაც, სთქვა: ჩემს კაცობას არაყის სმას გავაყოლებდით. აქვე გავიცანი სოფლის ფერშალიც. ფერშალი ყაბარდოელი აღმოჩ-

1 ასეა! ასეა!

ნდა და სწავლა მიედო ტფილისის საფერშლო სასწავლებელში. ხუროძეში საავადმყოფო იყო და იქ, მსახურობდა ეს ფერშალიც. მწერალმა გადმომცა შემდეგი ცნობები, რომლის სინამდვილეც იმის სინიდიისზე მიმიგდია. მწერლის სიტყვით ყარაჩაში ორგვარი გადასახადი არსებობს: კომლსა და სულზე. პირველი გადასახადი უდრის სამს მანეთს და ყოველი მოსახლე იხდის; მეორე ნაირი გადასახადი, ე. ი. სულზე, სხვა-და-სხვა ნაირია ოჯახის სიღარიბე-სიმდიდრის მიხედვით. არიან მდიდარი ოჯახები, რომელნიც 200-300 მან. იხდიან წელიწადში. ხუროძეს აქვს უფასო აფთიაქი; იმ დროს აშენებდნენ სკოლისათვის ორ სართულიანს სახლს. მაღალი სასწავლებელი აქაურს არავის გაუთავებია. რუსულს აქაურები სწავლობენ რუსების სტანიცებზე, სადაც ზამთრობით დაიარებიან ფულის საშოვრად. ხალხი მდიდარია პირუტყვით, რომელიც უკანასკნელ წლებში სანახევროდ გაუწყვიტა თურქულმა. აქ, როგორც საზოგადოდ მთიულებში. მოქმედობს „горскій суд“-ი. მას შეადგენენ ბათალფაშინსკის ოლქის უფროსი ან იმისი თანაშემწე, ორი დეპუტატი საზოგადოებისაგან ამორჩეული და ერთიც ყადი (სასულიერო პირი). Горскій суд-ს უფლება აქვს 300 მანეთამდე ჯარიმა გადაახდევინოს დამნაშავეს. ჩამოჰხადოს ყოველივე ღირსება და ტუსალების როტაში გაგზავნოს 1—3 წლით. აქაურ მამასახლისებს ჯაჭვის მაგიერ ლეკური უნდა ეკიდოთ ტემლაკით. მამასახლისობა ყოველ წოდების კაცს ეძლევა. ხუროძეში განშირებულია პირუტყვის, ნამეტურ ცხენების, ქურდობა. აქაური ქალები, მწერლის სიტყვით (ჩვენ ერთი ქალი არ გვინახავს უჩადროთ), ნამდვილი „ведьмы“-ები არიან. მიკვირს, ამისთანა ლამაზი კაცები, როგორნიც არიან აქაურები, ამ მახინჯს ქალებს ირთავენო... კანცელარიაში საღამომდე დავრჩი. შინ რომ მოვედი, ჯ. და მამასახლისს ჩვენთვის მოსაცემ კაცებისა და ცხენების შესახებ საქმე გამწყაზრული ჰქონდათ. ხვალ დილისთვის მამასახლისი დაგვიპირდა ექვსის კაცისა და ექვსის ცხენის მოცემას სვანეთამდე.

\*  
\* \*

18 აგვისტოს მამასახლისმა ექვსი ცხენი და ექვსი კაცი მოგვიყვანა. თუმცა ეს დილას იყო, მაგრამ ჩვენ იმდენს ხანს შეგრიით სოფლად, რომ ნასადილევამდე ვეღარ გამოვედით. დაგვიანების მიზეზი-კი ჩვენი მხლებელი სვანები იყვნენ. ისინი თავიანთ ნაცნობ ხუროძეელებისას გაბნეულიყვნენ და ერთს რომ მოვნახავდით, მე-



ორე აღარ იყო, მესამეს — მეოთხე და ასე სულ. მამასახლისმა შეატყო, რომ სადილად სოფელში ვრჩებოდით და განკარგულება მოახდინა სადილი დაემზადებინათ. როგორც ბოლოს გავიგე, მამასახლისის ჩვენზე 37 მან. ხარჯი გასვლოდა ხურბუკელებში მყოფობის დროს. საზღვრის მაჩვენებელი სვანები დილითვე გავუშვიტ წინ და ვუთხარით გაჩერებულყვენ იქ, სადაც, იმათის აზრით, საზღვარი იყო სვანეთსა და ყარაჩას შუა<sup>1</sup>. ნასადილევს მამასახლისი ოცის ცხენოსანით გამოგვეყვა სოფლიდამ გასაცილებლად. ჩვენი გზა მიმართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სოფლიდამ სამი ვერსი არ გვექნებოდა გავლილი, რომ მივედით იმ „ბაჩა ბოგთან“ (ქვის ბოგა), რომელიც, სვანების სიტყვით, იმათ ძველების აშენებულა. სვანები ერთად ამ ხიდს სთვლიან საზღვრად. ჩამოვხტიტ ცხენებიდგან. აქ დიდ ქედზე მობმული ორი შტო წყდება — ულუქამისა და უზუნყოლასი. ხიდიდგანაო, სტქვეს სვანებმა: ამ შტოებს მისდევს ჩვენი და ყარაჩას საზღვარიო. მამასახლისს და ნამეტურ იმის მხლებლებს არ ეამათ ასე ახლო სვანების საზღვარი. რაღაც ღარღაცი შექნეს ერთმანეთში, უნდოდატ რაღაცასი თქმა, მაგრამ ისევ თავი შეიკავეს და გაჩუმდნენ. კომისიამ ასე შეიტანა თავის ოქმში საზღვარი. ამნაირად ულუქამისა და უზუნყოლას ხეობები თავისის მდიდარ ტყესაჯოგეებით სვანებისკენ რჩებოდა<sup>2</sup>. მამასახლისი 20 ცხენოსანის კაცით გამოგვეთხოვა და სოფლად დაბრუნდა. გამოთხოვებისას კომისიას უთხრა, რომ ცოტათი ფრთხილად ვყოფილიყავით და ნამეტანი დიდი ნდობა არა გვექონოდა სვანებისა, თორემაო, სტქვა მამასახლისმა: მგონია ეგ სვანები ათს სვანების ოდენა ადგილებს კომისიის ოქმში შეიტანენ თავის საკუთრებადაო. ხიდიდგან აღმართი იწყებოდა. ნახევარი საათი არ გვივლია, რომ ვიჩიმ გამახსენა ორი ადგილი. ერთი-მეორეზე რამდენისამე საყენით დაშორებული. აქ არაო, სტქვა ვიჩიმ: „ჩუბემ ი ყიბემ“ ყული<sup>3</sup> ლადგარ (ქვემო და ზემო ადგილი, სადაც ყულები დახოცილან). ძველად სვანებს ყარაჩაელებისათვის ჯოგი წაურთმევიათ და თან წამოუყვანიათ ტყვედ ორი ყული. რამდენისამე ხნის შემდეგ ისინი გამოჰპარვიათ სვანებს ტყვეობიდგან და

<sup>1</sup> „ივერის“ მე-III ნომრის ფელეტონში შემდეგი შეცდომაა: დონღუზორუმის მწვერვალის სიმაღლე უნდა იყოს ნაჩვენები 15.000 ფ. და არა 16.500; იაღბუში აქედამ სამხრეთით-კი არა, ჩრდილოეთით იყო.

<sup>2</sup> როგორც ეხლა ვიციტ, სვანეთისა და ბახსან-ყარაჩას საზღვრად კავკასიონის ქედი დარჩა.

<sup>3</sup> ყული ნაყიდი მონაა, რომელსაც პატრონი ისე უყურებს, როგორც რაიმე მოძრავს საქონელს. თათრული სიტყვაა.

მოსულან ამ ადგილას. აქ ისეთი დაღალულ-დაქანცული ყოფილან, რომ ჯერ ერთს ამოსვლია სული და რამდენსამე საუენს შემდეგ მეორეს. აი ამიტომ ჰქვიან ამ ადგილს ყულების საკვდინებელი ადგილიო. იმ დღეს ცოტა გზა გავიარეთ. საღამოს წვიმა დაუთვა და ამან ძლიერ შეგვაფიქრიანა. მთაზე გადასაბიჯებლად მიუცილებელი საჭირო იყო დარი. წვიმაში ეშმაკს არ შეუძლიან კავკასიის დიდს ქედს შეუდგეს. იმ ღამეს მინდვრად დავრჩით. თითქმის გათენებამდე იწვიმა და ძლიერ შეგვაწუხა. 19 ცოტათი გადილო. გადავსწყვიტეთ უღელტეხილის ძირში მისვლა და იქ დადგომა. ამ დღეს ოთხის საათის მეტი არ გვივლია. მივედით მთის ძირში. ცა თანდათან იწმინდებოდა ღრუბლებისაგან. მზურვალე გულით შევსთხოვდით ცას, ხვალისთვის დარი მოევლინა. ისმინა ზეცამ ჩვენი ვედრება: მეორე დღეს 20-ს, დარი დაგვიდგა. ძლიერ ადრე შევუდევით მთას. ერთობ აღმართი აღმოჩნდა ეს ყარაჩას უღელტეხილი, ძირიღამ თავამდე სულ ფეხით ვიარეთ და ისე დავიღალეთ, რომ თავ-ბედი ვიწყევლეთ. 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათს მივედით მწვერვალს ახლო და ასე ნახევარი ვერსი არც-კი იქნებოდა დარჩენილი, მთას გადაგვებიჯა. ამ ადგილიღამ იალბუზის მწვერვალის სამხრეთის კედელი კარგად სჩანდა. ამ მგზავრობაში უქანასკნელად აქ გამოვეთხოვეთ იალბუზს. ამ ადგილიღამ მწვერვალამდე ყოვლად საძაგელი გზა იყო. აქედამ ჩვენი გზა დერეზე იდგა. გუშინწინ აქ ახალი თოვლი ჩამოეყარა 3—4 გოჯის სისქე. რაკი დღეს დარი გამოდგა, მზემ დააცხუნა და ახალი თოვლი დადნო. გაჩნდა დერეზე დამდნარ თოვლისაგან ისეთი ღელე, რომ მუხლამდე გვიწევდა. დერე მთლად ნაპრალეზად იყო გადაქცეული. ერთს ადგილას გაეჩინა რაღაც წისქვილის ღარივით წყლის კალაპოტი. თოვლ-ნადნობი წყალი იქ იყრიდა თავს და ჩვენი გზაც ძალაუვნებურად ეს იყო. სხვა ადგილას დერე სასიარულოდ არსად ვარგოდა ნაპრალეზის წყალობით. გინდა თუ არა, ამ დაღარულს დერეში უნდა ჩავმდგარიყავით და თოვლ-წყალში გვექყაპუნა. თან წყალი გვიყინავდა ფეხებს მუხლს ქვეით და თან გვიჭირდა ძალზე დაქანებულის წყლის პირდაპირ სიარული. ერთი წვერი კომისიისა ისე დაიღალა, რომ სვანებმა ძლივს ამოიყვანეს მწვერვალამდე. გამოცდილნი იყვნენ ჩვენი თანამგზავრი სვანები, მაგრამ ისინიც ამბობდნენ, რომ ამგვარი საძაგელი გზა ჩვენც ძვირად გვინახავსო. ავედით უღელტეხილზე. დაღალულებს მოსვენება გვინდოდა, მაგრამ სვანებმა არ გვირჩიეს, ისევ სიარული სჯობიაო, თორემ დაღმართს აცივებამდე ვერ ჩავივლით და შესაძლებელია ფეხები და კანჭები ისე დაგვეყინოს, რომ სულ გადაგვეტყაოს კანიო. მეტი რა ჯანი იყო, დაუჯერეთ გამოცდილს მგზავრებს. დაღმართზე დერე ვაკიანი აღ-



მოჩნდა და სასიარულოდაც კარგი. ორი საათი დერეზე ვიარეთ და შემდეგ მიწაზე დავადგით ფეხი. აქედამ მთის ძირამდე აქა-იქ ცხენზე ჯდომაც მოვახერხეთ და სალამოს მდ. „ნენსკრას“<sup>1</sup> ხეობაში ვიყავით. მდ. ნენსკრა დიდ-ქედშია და უზუნყოლის ძირში სთავებს; მიმდინარეობს ჩრდილოეთიდან სამხრეთს და, როგორც ჩვენი ნაცნობი მდ. „ნაკრა“, მარჯვნივ ერთვის ენგურს. ნენსკრას ხეობა ზედა მიმდინარეობაში გავერანებულ ბალახით იყო დაფარული. იქ, სადაც ეს მდინარე ენგურს უახლოვდება, აჩენს ვრცელს ჭალას. ძველად აქ სვანებს უცხოვრიათ და ეხლაც დაიწყეს იქ ცხოვრება. ამას კიდევ შევხვდებით სხვა ადგილას. ჩვენ მდ. მარჯვენა ნაპირზე დავბინავდით. სადგომად მარცხენა ნაპირი გვერჩია, მაგრამ წყალი ისეთი ადიდებული იყო, რომ ამ დროს რაშსაც არ შეეძლო ფონად გადასვლა. როგორც ბინაზე მივედით, მაშინვე ცეცხლი გავაჩინეთ. გავიხადეთ დასველებული ფეთხ-საცემელი და ფეხები დასველებულ შალვრების ტოტებითურთ ცეცხლს მივუფიცხეთ დაასწრობად. ამასობაში ჩაიც მზად იყო. დავლიეთ თუ არა ჩაი, იქვე მივდევით ჩვენს უნაგირებზე თავი და მკვდრებივით დავეგდეთ. სვანებს ვუთხარით, რომ, როცა ვახშამი მზად იქნებოდა, გავეღვიძებინეთ. სვანებმა ჩვენი ბრძანება აასრულეს, მაგრამ როდესაც ვახშამად გვადვიძებდნენ, ერთმა ვერ ავართვით თავი დაღლილობა-ძილს და მეორე დილამდე ფეხი არავის გაგვიძრევია, ისე დაგვეძინა. მეორე დღეს მდინარეს ისე დაეკლო, რომ როცა გავედით, ჩვენს ჯორებს მუცლამდე ვერ ამოსწვდა წყალი. დღეს კიდევ ერთი ქედი უნდა გადაგვეარა. ეს ქედი სძევს მდ. ნენსკრასა და ჩვენ ნაცნობ მდინარე ნაკრას შუა. იგი მობმულია დიდს ქედზე, მიიმართება სამხრეთით და წყდება მდინარე ენგურთან. ეს ქედი მაღალი არ აღმოჩნდა, ასე რომ იმის მწვერვალზე თოვლი არ შეგვხვდა. ამ ქედის გადაბიჯებას მოვუნდით მთელი დღე და სალამოს ნაკრას ხეობაში ჩავედით და დავბინავდით სწორედ იმ ადგილას, სადაც ისე მსიარულად გავატარეთ ღამე 6 აგვისტოს ბახსანს მიმავალთ. ამნაირად 28 ივლისი-დამ დაწყებული 21 აგვისტომდე ჩვენმა ქარავანმა გარს უტრიალა იალბუზს და იმის არე-მარეს. აქედამ ჩვენი გზა ბეჩომდე ნაცნობია და იმისი აღწერა საჭირო არ არის. ამდენის ხნის მთებში ნალოღიალები ველურ კაცებს დავეგვანეთ და ფიზიკურად დაღლილნი მოსვენებას ვსაჭიროებდით. 22 აგვისტოს ეცერს მივედით და 23-ს ბეჩოს. აქ დავისვენეთ 1 სექტემბრამდე, რომლის შემდეგაც აფხაზეთ-სამურზაყანოს მთებში უნდა წავსულიყავით. აქ „იალბუზის გარშემოსათ-

<sup>1</sup> ნენსკა, ან ნენსვა სვანურად ნეჰშნავს „შუას, შუანას“.

ვის“ წერტილი უნდა დამესვა, რადგან აქედგან ჩვენ დაღბუს კი არ ვუვლიდით ვარს, არამედ დავდიოდით კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მაგრამ მაშინ ჩვენი შენიშვნები როგორც დაუმთავრებელი დარჩებოდა და ამისათვის მკითხველს ვსთხოვ გამოწყვეს აფხაზეთს-სამურზაყანოს მთებზედაც. სადაც, ჩემის აზრით, რამდენსამე საინტერესო შემთხვევა-ამბავს წავაწყდებით.

\*  
\*  
\*

ათის დღის სოფლად დასვენების შემდეგ, ე. ი. 3-ს სექტემბერს კომისია ისევ სოფ. თავრარს იყო თავმოყრილი აფხაზეთის მთებზე წასასვლელად. ამ გზობით კომისიას ორი წევრი მოაკლდა: ბ-ნი ვ-ვი და თ. თენგიზი. პირველი ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ბეჩოდამ ქუთაისს წასულიყო და მეორეც, როგორც გვეუბნებოდა, ამავე მიზეზის გამო ვერ გამოგვყვა მთებში. მხლებელ სვანების რიცხვიც უწინდელზე ნაკლები იყო ამჟამად. 20 კაცი ჩუბხევიდან გაგვყვა, 10 კაციც თენგიზმა გაგვატანა მთებში ცხვრების მოსაკრებად და ოთხნიც ჩვენ ვიყავით. თენგიზმა სთხოვა ჯ-ქეს, რომ საბალახოს ამკრეფლები კომისიასთან წაეყვანა და თავისი შემწეობაც აღმოეჩინა. ამის მაგიერად თენგიზმა ნება დაგვართო გვეხარჯა მთებში ის ცხვრები, რამდენიც საჭირო იქნებოდა, რომლებსაც ბეგარად ავიღებდით აფხაზეთ სამურზაყანოს ჯოგების მეპატრონეთაგან. ჯ-ქემ, ვგონებ, იცოდა, რომ კომისიას ეს ახალი და მისი შეუფერებელი მინდობილება უსიამოვნოდ არ ჩაუვლიდა, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა თენგიზს და იმის წინადადებაზე დაყაბულდა. ჩუბხევიდამ 19 კაცი ახლები წავიყვანეთ, ძველებში მარტო მოხუცი ვიჩი დავიტოვეთ, როგორც მცოდნე საზღვრებისა და ცოტაოდნად აფხაზურის ენისაც. სოფლად რამდენიმე ცხვარი ვიყიდეთ გზაში დასაკლავად. ამას მოვანდომეთ დღე 4-ს სექტემბერს. ხუთს აღრე გავემგზავრეთ სოფლიდამ.

ჩვენი გზა დასავლეთით მიჰყვებოდა კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს. სადილობისას მდ. ნაკრას ხეობაში შევედით. ამ ადგილას ხეობა უფრო გაშლილია, ვიდრე ზედა მიმდინარეობაში. სოფ. თავრარს აქ სათიბები აქვს. ამჟამად მეორედ სათიბავდნენ თივას (მერი). ამ ადგილას ხეობა ისეთი ბარია, რომ მცხოვრებლები ზამთრობით აქ ინახავენ წვრილფეხ საქონელს. აქ სადილი გიხებლით. ნასადილევს „უთურის“ ქედს შევუდექით. ეს ქედი, როგორც ვიცით, მდ. ნაკრასა და ნენსკრას შუა ძევს. პირველად დაბურულს ტყეში

მივდიოდით და მერე და მერე შიშველში<sup>1</sup> მივედით. შუაგულს ტყეში, რომელსაც „ებიშს“ ეძახიან, ერთი დიდი წიფელა დგას; წიფელის ერთ გვერდზე ღრმად და მსხვილად ამოჭრილია შემდეგი წარწერა: „გიორგი დადიანი წელსა ჩყლ“. ეს გიორგი დადიანი წელს სამეგრელოდამ გაუდევნია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს. გიორგი დადიანი სიძე ყოფილა დადიშქელიანებისა; მას ჰყოლია ცოლად ისლამ დადიშქელიანის ქალიშვილი თაშუ<sup>2</sup>. როგორც სიძე, გიორგი დადიანი თავის ოჯახით სვანეთს გადმოხიზნულა. ერთი ღამე თავის ცოლ-შვილით განდევნილს თავადს ამ წიფელას ქვეშ გაუთენია და იმის ნიშნად ხსენებული წარწერაც ამოუჭრია ხეზე. მურზაყანის მამას ციოყს თ. გიორგი შეურიგებია ლევან დადიანთან და ისევ სამეგრელოს დაბრუნებულა.

უთურის აღმართის ავლას საღამომდე მოვუნდით; სადაც ღამე ბინად დაედქით, აქ განმარტოებით დგას ერთი დაბერებული ნაძვი. რომელსაც „აფხზარე ლენზილს“ (აფხზებობის ნაძვს ეძახიან). ჩვეულებრივი ცეცხლი, ჩაი, ვახშამი და ძილი... მეორე დღეს, 6-ს სექტემბერს, ნაბადში გამოხვეულს მესმოდა თავ. ჯ-ძის ძახილი: „ადექით! ადექით! თქვე ოხ...!“ იმ დღეს გავიარეთ ადგილები „ითონარი“, „ტობილარი“ (ტბები) და მერე ტყით ჩავედით მდ. ნენსკრას ხეობაში. ნამდვილი ხელ-უხლები უღრანი ტყეა. უხსოვარის დროიდან მას ნაჯახი არ მიჰკარებია. ყოველგვარი ხე იყო ამ ტყეში. ჩავიარეთ ძლიერ დაქანებული დაღმართი და მდ. ნენსკრას მარცხენა ნაპირზე მივედით. აქ მდინარეზე ხილია, რომელსაც სვანები „მეკვშ-და ბოგს“ და მეგრელები „კუნტა ხინჩის“ ეძახიან, რაც ორსავე ენაზე ჰნიშნავს „მოკლე ბოგა“-ს. ხიდი მართლაც რომ მოკლეა, სიგრძე ორი საყენი აქვს და სიმაღლე 8—9 საყენი ექნება. ამ ხიდს ქვეშ ნენსკრა „ხტის“, ნენსკრა „ღრიალებს“, ხეობა „ბანს ეუბნება“. ხიდს გვერდები და კურტნები სიპის კლდისა აქვს. ბუნებითვე ისე გაკეთებულია ეს კურტნები, რომ დირეების თავები შიგ კლდის შეკვეთილში ვარდება. არა ერთხელ დაღვრილა ამ ადგილას სვან-აფხზთა სისხლი. როდესაც სვანები აფხზებს ჯოგებს წაართმევდნენ, უკანასკნელები მდევრად გამოეციდებოდნენ. თუ ამ ხიდზე გაუსწრებდნენ სვანები, მაშინ აფხზები უკან ბრუნდებოდნენ, და თუ მიუსწრებდ-

<sup>1</sup> შიშველს ვეძახი იმ ადგილს, სადაც ტყე თავდება და იწყება მარტო ბალახით დაფარული ადგილები, ე. ი. საჯოგეები. ამ სიტყვას ხმარობენ სვანები და აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმშიაც.


<sup>2</sup> თაში-სვანურად ყველსა ჰქვიან. აქედამ ეს სიტყვა ისეა წარმოებული, როგორც ქალის მეორე სახელი „თეთრუა“ სიტყვა თეთრისაგან.

ნენ, მაშინ-კი გაიმართებოდა სასტიკი ბრძოლა. აფხაზები მდინარე მარჯვენა ნაპირს ტყეში ჩაესაფრებოდნენ, სვანები მარცხენაში, შეიქნებოდა თოფის სროლა და კაცის კვლა. გამარჯვებულნი იქცეოდნენ, ვინც მეტს მოჰკლავდა მოწინააღმდეგეს. სვანებს რომ ვკითხო, ყოველთვის ჩვენ გამოვდიოდით გამარჯვებულები, მაგრამ ახლა ისიც უნდა ვიცოდეთ, რას ამბობენ აფხაზები! ვიჩის ათი ამგვარი ომი ახსოვს ამ ხიდზე. უკანასკნელი ომი აქ მომხდარა სვან-აფხაზთა შორის 1863—1864 წ.<sup>1</sup>, როდესაც სვანეთის ბოქაულად მამაცაშვილი ყოფილა. მურზაყანის მთები მაშინ ამ ბოქაულის ხელში ყოფილა. მასვე მიუცია ნება ჯოგის წართმევისა, უკეთუ აფხაზები დადებულს საბალახოს არ გადიხდინდნენ. სვანეთში არის ერთი ხალხური სიმღერა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სვანეთის ჯარი ამ ხიდზე შეჰყრია აფხაზეთის დასალაშქრებლად და, სიმღერის თქმით ნაცარ-ტუტა აუდენია... აფხაზები ყოველ წელს ანგრევდნენ ამ ხიდს თურმე, რომ სვანებს გზა შეჰკვროდათ. კურტნების გაფუჭებასაცა სცდილან, მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ სიპ კლდესთან. ჩვენც ჩაადგებული დაგვავდა ეს ხიდი. სვანებს ბრახები მოსლიოდათ. უცებ მოსჭრეს ხეები და ორს საათში ხიდი მზად იყო, რომელზედაც ჩვენ მშვიდობიანად გავედით. ვიარეთ კარგა ხანს და მივედით „მაშრი ჭალას“ (ფართო ჭალა) ან, რაც ერთი და იგივეა, ჭუბერს. ეს ჭუბერი ქვედა მიმდინარეობაა მდ. ნენსკრისა. აქ ძველად ხალხს უცხოვრია. აქ ვნახე კოშკი და დანგრეული სახლები. ვიჩის სიტყვით, აქ სადღაც მიმალულად საყდარი არის გამოტენილი სიმდიდრით, მაგრამ მას ცოდვიანი ვერ მიაგნებს, რადგან ასეა ღვთის ნებაო. ჩემს კითხვაზე სად წავიდა აქაური მცხოვრები და რად მიატოვა ეს მდიდარი ხეობაო, ვიჩიმ გძლად მითხრა მიზეზი და მე მოკლედ მოვიყვან. აქაურნი მცხოვრებნი წამოსულან ზემოთ სვანეთში. მათ დაემატრონენ თურმე მეგრელის თავადიშვილები, აწუხებდნენ, ვერ გაუძლეს ბატონებს და მიატოვეს ეს მშვენიერი ადგილიო.

მთელი დღე ტყეში ვიარეთ და ტყეშივე გავათენეთ ღამე. მეორე დღეს შუადღემდე ისევ ტყეში გვქონდა გზა და შემდეგ-კი აღმართს შევუდექით და ავივაკეთ. აქ ერთი მოზრდილი მინდორია, სახელად „შავა-ლარა“<sup>2</sup>. აქ სადილი გიახელით და შემდეგ გავსწიეთ გზაზე. მივედით „ჭაბანს“. მთელი დღე საჯოგებებზე ვიარეთ. აქედამ თავს

<sup>1</sup> ამ ბრძოლაში სვანების მხრით ორი მოუკლავთ, ოთხი დაუჭრიათ, აფხაზებში ოთხი მოუკლავთ და ხუთი დაუჭრიათ. ჯოგი — სამი ათასი ცხვარი სვანებს წამოუსხავთ.

<sup>2</sup> „შავა-ლარა“ — შავი სათიბი, ე. ო. უბედური სათიბი.



დაესცქეროდით მრავალ ხეობას, რომელნიც ენგურის მარჯვენა ნაპირიდან გეზად შეუღდებთან კავკასიის ქედს. 6 საათზე წვიმამ დაუშვა, შეგჩერდით, სანამ წვიმა გადაიღებდა, ცხენები ერთმანეთზე შეგნებულად ვასადავეთ. წვიმას მსხვილი სეტყვა მოჰყვა, ისეთი მსხვილი ცხენებმა იმისი თავზე რახა რუსი ვეღარ მოიჭირვეს, გაფრთხენ და აღვირები ნაკუწ-ნაკუწად გვიქციეს. ღამე აქ დავრჩით. ახლო მწყემსის ქოხი იდგა. მწყემსი იქ არ იყო და ამისი ქოხი შეშად ვიხმარეთ. წამოვაქციეთ ვახშმად ორი ცხვარი. პურების გამოცხოვა გვინდოდა. რა არ ეძებეს სვანებმა, ახლო-მახლო ერთი ქვა ვერ მონახეს, რომ თავისებურად პურები გამოეცხოთ. მაშინ ჩვენმა სვანებმა მიჰმართეს იმ ხერხს პურის გაკეთებისას, რომელიც ცნობილი იყო პირველყოფილ ხალხებში, როდესაც კაცობრიობამ პურის გამოცხოვა ჯერ კიდევ არ იცოდა. მოცომეს დაფქვილი, დაარგვალეს ცომი და როცა მოხარშული ხორცი ქვაბიდან ამოვალაგეთ, იმის ნახარში (წყლის ნაცვლად) ცომის გუნდები ჩაყარეს და მოხარშეს. ამნაირად ვახშამზე მოხარშულს ხორცს მოხარშულივე პური, მართალი გითხრათ, ძლიერ უგემურად შევატანეთ, იმ ღამეს წვიმა არ მოსულა.

მეორე დღეს 8-ს დარი დაგვიდგა. რამდენიმე მანძილი რომ გავიარეთ ჩვენის ბინიდან, შევდექით ერთს გრძელს ქედზე „ჯოდი სვიკვზე“ (გრძელი ხერხემალი). ამ ქედიდან დასავლეთით სჩანდა: სამეგრელო, სამურზაყანო, წებელდა, შავი ზღვა, ხეობები: დალი, კვანი<sup>1</sup>, გვანდრა, ჩხალთა. ამ ხეობებში მომდინარე წყლები ყველა კოდორს ერთვის. მარჯვნივ აქედამვე ვხედავდით ქედ-ხეობებს ლალრალ ზაგარს<sup>2</sup> (აფხაზების ბაშკაფსარა), დარჩეს, თელტობს, აპარვას და სხვას. ამ ადგილებში სილამაზითა და სიმდიდრით ყველას დალის ხეობა სჯობია. ამ ხეობაზე მე წინათ მქონდა ლაპარაკი<sup>3</sup> და აქ აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ უწინ სცხოვრობდნენ მარშანიები, რომელნიც უმოყვრდებოდნენ თავ. დადიშქელიანებს. მაგ., თ. მურზაყანის დედა ამათი ქალი იყო; მურზაყანის და ესავ მარშანიას ჰყავდა ცოლად. მურზაყანმა აუშენა თურმე თავის სიძეს სვანური ქვის სახლი, რომელშიაც ეხლა რუსი დგას (!). როდესაც ჯოდი სვიკვი გავიარეთ ჭენჭოლს მივედით. აქ სადილი ვსჭამეთ. გავსცილდით ჭენჭოლს. დალის ხეობაში აქედამ გზა მიდიოდა. ერთი სვანი მაშინვე გზას მივიარდა და დაიძახა: „ლათ ოთხვიან ჯვეგ!“ ეს „ლათ

<sup>1</sup> ქარტაზე — საყენ.

<sup>2</sup> ქარტაზე — *Ляграмъ Зягеръ*. ლალრალ ზაგარ ჰნიშნავს: სამღერლო, ან სიმღერის ზურგს, ქედს.

<sup>3</sup> იხ. ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენისწყლისა და რიონის სათავეებში.

ოთხვიან ჯგეფ<sup>1</sup> ელდასავით ეცა სვანებს. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სვანები ამ ჯოგადამ საბალახოს ველარ აიღებდნენ. ჯოგები აფხაზებს სხვაც მრავალი ჰყოლოდათ იმ საჯოგეებში, რომელიც აფხაზები გავიარეთ, მაგრამ როგორღაც ჩვენი მისვლა გაეგოთ და სვანებმა კათ აფხაზეთის ახლო ადგილებში. სვანებმა ამ ჯოგის გაკიდება მოინდომეს, მაგრამ შეგვეშინდა ერთმანეთს არ მიაკვდნენ ესენიო და მწყემსები და არ გავუშვით. ჰენჭოლიდამ დარჩვის ხეობაში ჩავედით. ზოგს მინდვრად გვინდოდა დადგომა. ზოგს ტყეში, რადგან წვიმა მოსალოდნელი იყო. დავდექით ტყეში. ხვალისათვის ამ ადგილებში აფხაზეთისა და სამურზაყანოს მხრით კაცებს ველოდით საზღვრების საჩვენებლად. ჯ. საჭიროდ სცნო რამდენიმე დარიგება მიეცა სვანებისათვის ამ საქმის შესახებ და თავისთან მოიხმო. სხვათა შორის ჯ. ამოიღო ხელშეკრულობის წერილები, რომელიც დაუდვიით ერთის მხრით თ. მურზაყანსა და მეორეს მხრით აფხაზეთ-სამურზაყანო-სამეგრელოს მებატონეებს. ეს ხელშეკრულებანი დაწერილია 1846 და 1848 წლებში. ამ ხელწერილებით თავ. შერვაშიძეები, ანჩაბაძეები, მარღანიები, ჩქოტუეები, ბატონიშვილები და სხვები ჰპირდებიან „სვანეთის მთავარს“ კონსტანტინე დადიშქელიანს, რომ იგინი ყოველს წელს მისცემენ მას დადებულს ხაზას იმ საზღვრებში, რომელსაც ეხლა ხაზინა ეპატრონება. ჯ. უთხრა სვანებს, რომ აი ეს საბუთიც მოიხსენიეთ, როცა აფხაზებს სამურზაყანოელებმა საზღვარზე ცილობა აგიტეხონო. სვანებმა მიუგეს, რომ ჩვენ ამ ქალაქებს გარეშეც იმდენი საბუთი გვაქვს, რომ ვის შეუძლია ცილობა გაგვიწიოსო, მაგრამ როგორც ხსენებული წერილობითი, ისე სვანების სიტყვიერი საბუთებიც უქმად დავვჩა, რადგან საზღვრების მოცილედ აფხაზეთ-სამურზაყანოდამ მოსული ისე არ გვინახავს, როგორც ჩვენი ყურები. მართალია, როგორც გვქონდა ცნობა, სოხუმის განყოფილების უფროსს თავის დროზე მოეხდინა განკარგულება, რომ დანიშნულს დროსა და ადგილს საზღვრის მაჩვენებელი მოგვგებებოდა. მაგრამ ჩვენთან არავინ გამოცხადებულა.

\*

\* \*

9 დილით თელტობის ქედს შევუდექით. ღილითვე გაუშვით ერთი სვანი კუტა კვანჭიანი სანადიროდ. როდესაც ჩვენ ქედი ავიარეთ და იმის თავზე ავედით, კუტა იქ დაგვხვდა. იმას ერთი არჩვი მოეკ-

<sup>1</sup> გუშინ წაუყვანიათ ჯოგი.



ლა და გვერდით ედვა გაუტყავებელი. გაგვეხარდა, რადგან დასაკლავ ცხვრებიდგან ერთი-ლა დაგვეჩენოდა მარტო. ჯ-ქემ მონადირეს მსენთი აჩუქა. არჩვი მსუქანი იყო. ეს იყო იმ დღეს ჩვენი სადილი. ჩვენი თელტობის დაღმართი, ვსჯამეთ სადილი და მერე ისევ სხვებთან შევუდექით. ამ ქედის თავზე ორი კაცი დავინახეთ. სვანებმა სთქვეს: ესენი ჯოგების ყარაულები არიან. გაკეთდა ჩვენი საქმე, სჩანს ახლო-მახლო ჯოგებსაც შევხვდებითო. სამი სვანი წინ გაუშვით ამ კაცებთან, რომ მთელი ქარავანი ერთად არ დავნახვოდით, არ შეგვეშინებინა. რომ არ გაჰქცეოდნენ, სვანებმა ისე შემოჟუარეს ამ ორ კაცს, რომ ვერც-კი შეიტყეს, სანამ არ მიუახლოვდნენ. როდესაც მივიდნენ ახლო, ორმა კაცმა თოფი დაუღირა, ახლო არ მოხვიდეთ, თორემ თოფებს გესვრითო. სვანები ჩამოხდნენ და ლაპარაკი დაუწყეს. ამასობაში ჩვენც მივედით ახლო. როგორც-კი დავინახეს, ერთი კაცი მაშინვე თოფს მივარდა, სვანებს ესროლა და გავარდა. მეორეც გაქცევას აპირებდა, მაგრამ სვანებმა თოფები მოიმართეს — არ გაიძრე, თორემ მოგკლავთო, და საცოდავი დაჰნებდა. დაიჭირეს, მოიყვანეს ჩვენთან. ესენი აღმოჩნდნენ ორი მწყემსი, ორივე აფხაზი. ერთს თხის ჯოგი ახლო ეყენა. ვკითხეთ, ვის სად უყენია კიდევ ჯოგიო, და გვითხრა, რომ ექვსიოდე ჯოგი ამ არე-მარეში უდგიათო. გაგზავნეთ ექვსი სვანი ამ ჯოგების საქებნელად. ჩვენს ტყვეს-კი, რომ არ წავგივიდესო, ბაწარი მოაბეს წელზე და თავის თხის ჯოგით თან წავიყვანეთ. ღამე „ლარა-კვავას“<sup>1</sup> უდაბურს ტყეში დავდექით. მწყემსის უკითხავად იმის ჯოგიდგან ორი თხა დავკალით. ექვსი სვანი გვიან დაბრუნდა ჩვენთან. ვერც ერთი ჯოგი ვერ ენახა. კინალამ შეჰმა მოუნდომეს საცოდავს აფხაზს. მოგვატყუა. ნამდვილად არ გვაჩვენა, ვის სად უდგია ჯოგიო. ნავახშმევს უდაბურის ტყილამ სტვენა-კივილი გვესმოდა. ჩვენ მივხვდით, რომ ეს კივილი ჩვენის ტყვეს ამხანაგისა იყო. ვებვეწეთ, ხმა გაცა, ერჩია აქ მოსულიყო და ჩვენთან გაეთია ღამე. გვეშინოდა უბედურს არაფერი ხიფათი მოსვლოდა ტყეში. პირველად ვერ მოვანდომებინეთ ჩვენს ტყვეს. იგი ჰფიქრობდა ალბათ, ტყვედ მეც ვკმარვარ და ჩემი ამხანაგი კიდევ რაზე ჩავუდგო ხელში ამ უღმერთო კაცებსაო. ბოლოს, როგორც იყო, ხმა გავაცემინეთ. გააბეს ერთმანეთში აფხაზურად ლაპარაკი. ვიჩის სიტყვით, გაქცეული ამბობდა, რომ მე ჩემს ამხანაგსაც ვერ ვენდობიო. როგორც იქნა, მოვიტყუეთ. საცოდავი სანახავი იყო. საბრალოს ტყეში ნახლიწინები ჩოხა-შალვარი სულ შემოფლეთოდა; ფეხ-შიშველას დაკაწრულ კანჭებიდამ სისხლი სდიოდა. ყაბალაზი

<sup>1</sup> კვავა სვანური სახელია კაცისა; ლარა-კვავა — სათიბი კვავასი.

დაეკარგა, თმა აპბუძვოდა, თვალები სისხლით ავსოდა, ერთი სიტყვით, ველურის კაცის სახე ჰქონდა. გვიანობამდე არ დაშვიდებულა ეს საცოდავი, რაღაცას თრთოდა და საცოდავად გაიმთავრდავდა ხოლმე სისხლით სავსე თვალებით, თითქო უნდოდა ხალხ შეეტყო: შევსჯამთ თუ არა ამ უბედურს. რაღა ამ საბრალოს ყოფნა ჩვენს ხელში და რაღა ევროპიელ მკვლევარისა აფრიკის ველურ ხალხების ხელში! როდესაც მოვიდა, საქმელი — პური და ხორცი მივაწოდეთ. რამდენიმე ლუკმა ძლივს ჩაუშვა ყელში. ყოველ ლუკმის პირში ჩადებაზე თვალს გადაგვაკლებდა. ამ აფხაზის შეხედვამ წინ წამომიყენა აფხაზეთის წარსული და ეხლანდელი მდგომარეობა. რა იყო ეს, სვანურის სიმღერის სიტყვით, „ლუჯუჰე“ (მდიდარი) აფხაზეთი მეცხრე საუკუნეში, როდესაც მისნი მეფენი მთელის საქართველოს მპყრობელნი იყვნენ, და რას წარმოადგენს დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, ეს საცოდავი ქვეყანა? მართლა რომ აფხაზეთზეა გამოჭრილი: *sic transit gloria mundi!*

მეორე დღეს აფხაზებს ვუთხარი, ერთი ჯოგთან დარჩენილიყო და ერთი ჩვენ გაგვყოლოდა და ჯოგების ადგილ-ბინა ეჩვენებინა. სანამ ჯოგებს არ გვაჩვენებ, მანამ შენც დაჭერილი იქნები, უთხრეს აფხაზს. აფხაზმა ჯოგები გვიჩვენა ათ ადგილას. ათად გაიყვნენ სვანები და საბალახოს ასაკრებად წავიდნენ. ჩვენთან მარტო ორი სვანი დარჩა. საღამოს ერთ ადგილას უნდა მოგვეყარა თავი. მწვეარ-მეძებრებივით მოედნენ სვანები ტყე-ველს. ხან მარჯვნივ გვსმის ერთი ყაყანი სვანებსა და მეჯოგეებს შუა, ხან მარცხნივ, მეჯოგეები ნებით არ იძლევიან საბალახოს, სვანები ძალას ხმარობენ. ხან ერთი დასი სვანებისა მოიყვანს ცხვრებს, ჩაგვაბარებს და მერე ისევ სხვა ჯოგის საძებრად მიდის, ხან მეორე და ხან მესამე. ამ ამბავმა გასტანა 10—14 სექტემბრამდე. დავეხეტებოდით უგზო-უკვლოდ, წალმა-უკუღმა და ვერასოდეს სვანებს თავი ვერ მოვუყარეთ. მხოლოდ 14 ნასადილევს მოგროვდნენ ყველანი და დავთვალეთ ბეგრად აკრეფილი ცხვრები. იმისი რიცხვი ასს გადაემეტა. ეს უნდა მიერთმია კომისიას თენგიზისათვის.

საღამოს ჟამს ოხაჩკეს მივედით და ბინის ძებნას შევუდექით. წყალი აქ ძვირია და წყლიანს ადგილს ვეძებდით. ამ დროს ერთმა სვანმა ღელეში დამალული ჯოგი დაინახა. მისცვიდნენ სვანები. გვესმის სვანებისა და მწყემსების ჩხუბი, ჯოგების ჩახა-ჩუხი. შევჩერდით. მწყემსებს დავუძახეთ. ჯ. უბრძანა ბეგარა მიეცათ. მწყემსებმა უთხრეს, რომ ესლა ღამეა და რა ნაირად დასთვლიან ცხვრებს, ხვალ მოვიდნენ და მივცემთო. სვანები არ დაჰყაბულდნენ: ამაღამ ჯოგს სხვაგან გააბარებენ და ხვალ ვერსად ვნახავთო. მოსდ-

ვეს მთელს ჯოგს ხელი და მწყემსებიანად გამოორეკეს ჩვენს ბინაზე. ჩვენ დავბინავდით ოხაჩკეს, ტყის თავში. აქ აყროლებული გუბე იყო და ეს უნდა გვეხმარა წყლად. მწყემსებმა სთქვეს, რომ ახლო-მანლო წყალი არსად არ იშოვებაო. ავადუღეთ წყალი ჩაისთვის. ისეთი მყრალი აღმოჩნდა გუბის წყალი, რომ ჩაი პირში ვერავინ ჩა-უშვია. ამ წყლით მოხარშული ხორციც გადასაყრელი გაგვიხდა. მარ-ტო ორმა-სამმა დამშეულმა სვანმა მიაკარა პირი ამ ხორცს. მწყემ-სები ჩვენთან დავაწვინეთ და დავამშვიდეთ, რომ კანონიერ ბეგარას გარდა არაფერს გამოგართმევთო. დავწექით. როგორც-კი თვალი დაგხუჭეთ ერთი მწყემსი თურმე მაშინვე გაშაა სამურზაყანოს, ხალხს შეატყობინა, რომ სვანები დაგვეცნენ და ჯოგები წავგართვე-სო. მოწყდნენ სოფლელები და ჩვენკენ გამოსწიეს იმ დამესვე. მეორე დღეს თავ. ჯ-ძე ჩვეულებრივ ადრე ადგა და როდესაც წამოიძა-ხა: „ადექით, თქვე ოხ...“, უკანასკნელი სიტყვა არც-კი ჰქონდა გათა-ვებული, რომ ირგვლივ ერთი კიყინა მოესმა. აცვივდით ყველანი და რა დავინახეთ: ირგვლივ შემოგვრტყმია 300-მდე დაიარაღებული სამურზაყანოელი და თოფები ყველას ჩვენკენ აქვს მოღერებული. ჩვენს თვალებს არ ვუჭვრებდით ამ სანახაობას. მივათვალ-მოვათვა-ლიერეთ და ერთი მწყემსი აღარ იყო ჩვენთან. მივხვდით რაშიაც იყო საქმე. ჯ-ძე მეორე მწყემსს მიუბრუნდა და ცოტა დაბალის ხმით ჰკითხა: ეს რა ვიქნიათო? მწყემსს ამჟამად გული საგულეს ედვა და ამაყად მიუგო: მამ რა გეგონათ, ერთს არ გაგიშვებთ აქედან ცოც-ხალსაო! ხალხი სოფლიდამ მოდის და მოდის, კიყინობს, ყვირის, გვემუქრება დახოცვას. მოლაპარაკება გვინდა, გაგონება არ უნდათ. ვცადეთ მიაზლოვება ხალხთან სალაპარაკოდ, ხალხმა თოფები გვეს-როლა. ვხედავთ, ცუდად არის საქმე და არ ვიცით რა მოვაგვართ! დავსხდებით, გვიყვირიან — ფეხზე ადექითო, და თუ მალე არ ავას-რულეთ იმათი ბრძანება, თოფებს დაგვიშენენ; ავდგებით — დასხე-დითო, გვიყვირიან. ამ მდგომარეობაში გავატარეთ სწორედ ორი საათი. მერე სალაპარაკოდ დავიყოლიეთ. ვუთხარით, რომ წაიყვა-ნეთ თქვენი ჯოგი, არ გვინდა საბალახოო. ჯოგი მიჰყავთ. ეხლა გაგ-ვიშვითო. უარი ხალხისაგან: ეხლავე დააბრუნეთ ის ცხვრებიც, რო-მელიც სხვა მეჯოგეებისთვის გამოგირთმევიათო. ვაძლევთ ამასაც. აღარც ეხლა გვიშვებენ. გვიყვირიან, ამავე ადგილას უნდა დავხო-ცოთო შიმშილ-წყურვილითაო. ფულს ვაძლევთ სახსრად, არ მი-აქვთ. ჯ. ეუბნება: ხომ დაგვიჭირეთ, თქვენი ტყვე ვართ, წავგიყვანეთ სახლში, ან ოქუმიშიო, მაგრამ ხალხი მაინც თავისას გაიძახის: არა და არა, აქ უნდა მოგკლათ შიმშილითაო. უნდა გენახათ, რა მდგომარეო-ბაში იყვნენ ამ დროს სვანები! რამდენჯერმე სთხოვეს ჯ-ძეს გაეშვა

ოგინი ხალხთან და იმედს იძლეოდნენ ფიცით, რომ ეხლავე გარეგან-  
ვენ ყველას, მაგრამ ამაზე არც ჯ-ძე და არც სხვა ჩვენთაგანი არა  
ყაბულდებოდა. ყველას გვეშინოდა სისხლის ღვრისა და ისიც ვიცო-  
დით, ვინ აგებდა ამაში პასუხს. აღლევებული სვანეთი-კი კბილებს  
აკრაჭუნებდნენ და ამბობდნენ თავისთვის: რალა პირით მივიღეთ  
ამის შემდეგ სვანეთს, ან როგორღა გამოგჩნდეთ სამურზაყანოში.  
საუკუნოდ მოგვჭრეს კისერი, დაგვასხეს თავს ლაფი და ეს არისო.  
პირველი საათია დღისა. პაპანაქებაა უშველებელი. ვდგევართ ამ აყ-  
როლებულის გუბეს ნაპირზე, წყურვილით ვიზოცებით, თორემ შიმ-  
შილი ვიღას ახსოვს. ხალხი ირგვლივ ხან გვიკიჟინებს, ხან დაგვიცი-  
ნის, ხან თავისთვის ოხუნჯობს. შეიქნა მესამე საათი. ამ დროს  
ღმერთმა გვიხსნა. ყარაჩადამ გზად გამოიარა ყვაჯი შარვაშიძემ<sup>1</sup>. მი-  
ვიდა ხალხთან და გაიგო რაში იყო საქმე. შემდეგ ჩვენთან გამოსწია.  
ყვაჯი ჯ-ძის ნაცნობი აღმოჩნდა. ცხადია, გაგვიხარდა. ყვაჯიმ გაიგო,  
რომ ჩვენ კომისია ვიყავით. ძლიერ ეუცხოვა კომისიის ამგვარა  
ქცევა და ჯ-ძეს ბევრი მკვანხე სიტყვა უთხრა. თქვენ, უთხრა ყვაჯიმ  
ჯ-ძის სამეგრელოში ნამსახური ხართ და როგორ მოგივიდათ ეს, რომ  
თენგიზისთვის ცხვრებს აკრეფინებთ კომისიასაო. თქვენ-კი არა და  
უგუნურს ნუ აქნევინოს ეს საქციელი ღმერთმაო... მივიდა ხალხთან  
და უთხრა დაშლილიყვენ. ხალხს უარი არ უთქვამს და ამნაირად  
ყვაჯი შეიქმნა ამ გაჭირვებისაგან ჩვენი მფარველი და მხსნელი. აქე-  
დამ ჩვენი გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იდვა, ოხაჩყეს ფერდზე.  
ჩვენ უნდა მივსულიყავით ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე აგა-  
რაკს „ტყაბედნიერს“<sup>2</sup>. ჩაიარა უქმად ოთხის დღის ჩვენმა უგზო-  
უკვლოდ ხეტიალმა ჯოგების ძებნაში, ჩაიარა უქმად სვანების ტყე-  
ღრეებში შლიგინმა საბალახოს ასაკრებად. ყველა ის ცხვრები, რაც  
დიდის ვაი-ვაგლახით მოკრიფეს სვანებმა ჩვენის შემწეობით, ხელ-  
უხლებლად დაიბრუნეს თავიანთ პატრონებმა. ჩვენ ცარიელ-ტარიე-  
ლი მივდიოდით აფხაზეთ-სამურზაყანოს მთებიდან, პირში ჩალა-  
გამოვლებული. მაგრამ ვიღას ახსოვს ეს, რაკი სიკვდილს გადავრ-  
ჩით. ბინიდამ ენგურის პირამდე სულ ტყიან დაღმართში ვიარეთ.  
სვანების სიტყვით გამოვხატავ ამ გზის სისაძაღლეს: „ამ გზამ ჩვენი  
სისხლი ჩვენისავე ხელით გვასვა“<sup>3</sup>. სხვა-და-სხვა ეკალ გვარ ხე-ბუჩ-  
ქებმა სულ დაგვისარეს ცხვირ-პირი, ხელები, შემოგვახიეს ტანსაც-  
მელი, წაგვიხდინეს ცხენის იარაღი. საღამოს 10 საათზე მივედი

<sup>1</sup> დღიურში გვარი არ მიწერია, მაგრამ, როგორც მახსოვს შარვაშიძე იყო.

<sup>2</sup> მეგრული სახელია: ტყა-ბედნიერი.

<sup>3</sup> გვიშვევ ზის გვიშვევ შივშე ლოგვაშ.



ტყა-ბედნიერს. აქ ერთი მეგრელი აზნაურიშვილი უტუ ჭანტურია სცხოვრობს. მონუცი შინ არ იყო. იმის მაგიერობა ორმა შვილმა გაგვიწია. ეს ადგილი უტუს ნახუქარი აქვს მურზაყან დადიშელის ნისაგან. უტუ მურზაყანის სახლში ყოფილა გამოზრდილი. იმან და მისმა შვილებმა კარგად იციან სვანური. უტუ ეხლაც მომეტებულად სვანეთში სცხოვრობს თ. თენგიზისას. იმან ბევრი რამ იცის ძველი ამბები (მე კარგად ვიცნობ უტუს), მაგრამ ხათა ისაა, რომ ვერასფერს გამოსტყუებ, მაგრად ინახავს რომელიღაც შავის დღისათვის. 16 სექტემბერს ტყა-ბედნიერს მოვიდა თ. მ. დადიანი. კომისიას აზრად ჰქონდა ამ გზობას დაეთავებინა საზღვრების დანიშვნა სამეგრელოს მხრიდაც, მაგრამ ვერ მოასწრო და გადასდო მერმისისათვის. თ. დადიანიც ამ მიზეზით იყო კომისიისაგან აქ ნახმობი. სადღილი ტყა-ბედნიერს ვჭამეთ და საღამოს სოფ. ფურეშს წავედით. როგორც ტყა-ბედნიერი. ისე ფურეშიც ჯვარის საზოგადოებაშია. აქ კომისია უნდა დაშლილიყო სამი იმისი წევრი ზუგდიდით მიდიოდა ქუთაისს, მე ქუთაისს წასვლამდე სახლში უნდა გამეარნა და ამისთვის ისევ სვანეთს უნდა დავბრუნებულეყავი ენგურის ხეობით. მე მომყვებოდნენ ყველა სვანებიც. კომისიის წევრებს ჯორ-ცხენები აქედამ სვანეთს უნდა დაებრუნებინათ და მაგიერად აქ უნდა ეშოვათ. აქ მამასახლისის თანაშემწე სცხოვრობდა და იმას ებრძანა ცხენების შოვნა. სოფლად ცხენები არსად იყო და ჯვარიდგან უნდა მოეყვანათ. ვანშმად ფურეშს დავრჩით. სვანები მუქთად თხოულბოდნენ სოფლისაგან ვანშამს, რადგანაც ეს ფურეშლებს ბეგარად ადევთო. კომისია ამას არ ეთანხმებოდა და კინაღამ ერთი უსიამოვნება შეგვიდგა. ეგენი ჩვენს მიწაზე სცხოვრობენ. ეუბნებოდნენ ჯ-ძეს სვანები: სხვა ბეგარა არაფერი ადევთ და როცა სვანი მოვა აქ, ბინა და ხარჯი უნდა მისცენო. განსაკუთრებით თავი გამოიღვა ამაზე ლახმულდელმა ვიცბი ჭკადუამ, რომელიც ამ სოფელში შეგვავდა. ეს ვიცბი ჭკადუა კაცის მკვლელი იყო. იმას მთავრობა დაეძებდა დასაჭერად. ვინც მაგ ჭკადუას საქმე იცოდა, ყველანი, და იმათში ადგილობრივი მოსამსახურე კაცებიც, ამართლებდნენ და კიდევ ამიტომ არავინ იჭერდა. 17 სექტემბერს ჩვენ, რომელნიც სვანეთს ვბრუნდებით, გადავდივართ ენგურის მარცხენა ნაპირზე. ცხენ-ჯორები ენგურში გადაგვყავს და ჩვენ ქვეითები ბონდის ხიდზე გადავდივართ. ქუთაისს წამსვლელებს აქ ვსტოვებთ — ფურეშს, ცხენების მოლოდინში. მივდივართ ხუდონს. ვნახე მურზაყანის ნამოსახლარი. აქედან ცხენ-ჯორებს, ერთის გარდა, მთით ვატანთ ოთხს სვანს. მე და დანარჩენი სვანები ქვეითად მივდივართ სვანეთს ენგურის ხეობით, ან, რაც ერთი და იგივეა, ლენხერით. 18-ს ხუბერს მი-

ვედით. აქ ერთს მეგრელს 2,000 სკა უდგია. რა-კი ეს ადგილი მუტ-  
ზაყანისა იყო, ამისათვის თენგიზი იღებს თითო სკაზე ორ შაურს.  
სვანები თავლს თხოულობდნენ სასყიდლად და საჭმელად ხანგს ფა-  
სით და ზოგს უფასოდ. მეგრელი უფასოდ მიცემანზე სკანს მისაღს.  
სვანები ძალით სტეხენ ერთს სკას და გამოლოკენ. ბარე ორმა სვან-  
მა ერთ ფუთამდე თავლში, რომელიც სახლში მიაქვთ, ფული მის-  
ცეს. რას უშვრებიან თავლს სვანები? თავლ-წყალიდამ სვანები ერთ  
ნაირს სასმელს აკეთებენ, სახელდობრ „რანგ“-ს, რომელიც, თუ  
კარგად დადგა, ფუცხუნა მაჭარსა ჰგავს და კაცსაც ათრობს. ამ  
სასმელის ისტორია ისეთივე ძველის-ძველი ამბავია, როგორც პუ-  
რების მოხარშვა წყალში, გამოცობის მაგიერ. 19-ს წვიმაა. ჩვენი  
გზა ენგურის მარცხენა ნაპირს მიჰყვება. საძაგელი გზა არის. ყოველ  
ნაბიჯზე ლახმულდელები გვხვდებიან, მოდიან ლენხერაში თავლის  
საყიდლად. ღამე ნაძვ ქვეშ გავატარეთ. 20-ს იფარს მოვაწიეთ და  
21-ს ეცერს. აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო სია იმ ადგილებსა,  
სადაც ძველად სვანებს უცხოვრიათ ენგურის ხეობაში სვანეთსა და  
სამეგრელოს შუა. აი ეს ადგილები: 1) ხუბერი, 2) ილიანი, 3) ნა-  
ქოლვარ-ხაიშდი, 4) ვედი, 5) იფარი, 6) კაცლედი, 7) ჭუბერიან-  
მაშრიჭალა, 8) დუსი, 9) ხიდარი და 10) ჭაბანი. ამ ჩამოთვლილს  
ადგილებში არის ოთხი დანგრეული ეკლესია, ორი წმ. გიორგის სა-  
ხელზე, ერთი მთავარ-ანგელოზის და ერთიც მაცხოვრისა. დღეს,  
ე. ი. 1878 წ., ამ ადგილებში სცხოვრობს ექვსი მოსახლე სვანი. ყვე-  
ლა ადგილებში ბევრც სახლის ნანგრევია, იფარში-კი ამას გარდა  
აღმოჩნდა წყლის გასაყვანი აგურის მილები.

1889 წ.

## ქართულის ენის გავრცელება სვანეთში

სვანების ცხოვრების მეთვალყურის მოვალეობაა აღნიშნოს ის საგულისხმეო გარემოება, რომელმაც ასე თვალ ნათლად იჩინა თავი ხალხში ამ ბოლოს დროს. ჩვენ მოგახსენებთ ქართულის ენის გავრცელებაზე სვანეთში; ქართული ენა შესანიშნავის სისწრაფით იკაფავს გზას სვანეთისაკენ. ამჟამად ქართული ენა შესამჩნევად მოდებულია არა თუ ცხენისწყლის ხეობაში, სადაც სვანები ბინადრობენ, არამედ ჩქარის ნაბიჯით გადადის ცხრა ათას ფუტის სიმაღლის „სვანეთის“ ქედზედაც და ეშვება მდ. ენგურის ხეობაშიაც. ჩვენ გვწამს, რომ ესეთი მედიდური მსვლელობა ქართულის ენის თავის მონათესავე სვანურისაკენ ბუნებრივია და ამისათვის დროს განმავლობაში თან-და-თან გაძლიერდება, გვერდში ამოუდგება სვანურს და იმ სათანადო ადგილს დაიჭერს, რომელიც, უეჭველია, ძველად ეკავა. საშუალება, რომლის წყალობითაც ქართული ენა ვრცელდება სვანეთში, სხვა არა არის-რა გარდა სვანების მისვლა-მოსვლისა ქართულად მოლაპარაკე მეზობლებთან. ამ უკანასკნელს წლებში მუშა სვანს შეხვდებით — ნამეტურ ზამთრობით: რაჭა-ლეჩხუმს, იმერეთს, გურიასა და ქართლში. სამი-ოთხი კვირა სრულიად საკმაოა, რომ სვანმა საყველბურო ქართული შეისწავლოს, ე. ი. შეისწავლოს იმდენად, რომ გაუჭირებლად გამოიყენოს მგზავრობასა, მუშაობასა და ვაჭრობაში სხვის უშემწეოდ. ღარიბი ბუნება სვანეთისა ძალას ატანს სვანს, რომ სამუშაოდ წავიდეს საქართველოს დასახლებულ კუთხეებში. თან და თან მატულობს მუშა სვანთა რიცხვი და ამასთანავე მატულობს ქართულის მცოდნეთა რიცხვიცა. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანს დიდი სურვილი აქვს ქართულის შესწავლისა. არა ერთი მაგალითი ვიცი, რომ შეძლებული სვანი მუშებთან ერთად ჩამოსულა იმერეთს მხოლოდ იმ აზრით, რომ ქართული შეის-

წავლოს. ამ ქართულის ენის შესწავლის სურვილს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქართულის ცოდნა სვანს სასახელოდაც მიაჩნია... სანამ ადგილობრივ შეკრებილს ცნობებს წარმოუდგენდნენ, მკითხველს საჭიროდ ვრაცხთ, ვსთქვათ, რომ ამჟამად მთელის სვანების ცნობები არა გვაქვს სრულად შეკრებილი. ჩვენ მოვასწარით დღემდე შეკრება ცნობებისა შესახებ ცხენისწყლის ხეობაში მცხოვრებ სვანებისა და თავისუფალ სვანეთის ოთხის საზოგადოებისა. მიზეზი ამ ცნობების შეკრებისა მოგვცა შემდეგმა შემთხვევამ.

შარშან ზაფხულს შემთხვევით დავრჩი ერთი დღე ლენტეხის საზოგადოებაში, რომელიც სძევს ცხენისწყლის ხეობაში და ეკუთვნის ესრედ წოდებულ სადადიანო სვანეთს. მამასახლისს მაზრის სამმართველოდამ რამდენიმე მოწერილობა მოსვლოდა და ეს მოწერილობანი სოფლის ყრილობისათვის უნდა გამოეცხადებინა საჯაროდ. ამისთვის მამასახლისს ყრილობა მოეხდინა კანცელარიასთან. ყრილობაში 200-მდე კაცი იქნებოდა. მამასახლისი მიუბრუნდა ყრილობას და სვანურად გამოუცხადა: — რამდენიმე მოწერილობა მოვიდა მაზრის უფროსისაგან თქვენდა გამოსაცხადებლად და იმიტომ დავგიბარეთ დღესაო. ეს რომ გაათავა, სოფლის მწერალს უთხრა: აბა ხმა მალლა წაიკითხე ქაღალდები რომ ყველამ გაიგონოსო. მწერალმა დაიწყო ქაღალდის კითხვა. როცა გაათავა მწერალმა, მამასახლისმა ქართულად ჰკითხა ხალხს, ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი ამ ქაღალდებზეო. ხალხიდგან თითქმის ერთ ხმად მოისმა არაფერიო! ვეღარ მოვიტომინე და შევეკითხე მამასახლისს: რატომ სვანურად არ უთარგმნი ქაღალდის შინაარსს, ნუ თუ ყრილობაში ყველამ იცის ქართული მეთქი! მამასახლისმა გაკვირვებით შემომხედა და მითხრა: მეხუმრებით თუ მართლა მკითხავთო? ლენტეხში ეხლა დიდებმა კი არა აკვანში მწოლარე ბაღანებმაც-კი ქართული იციანო! მითხრა და მერმე ისევ მწერალს უბრძანა მეორე მოწერილობის წაკითხვა. ამ მეორე მოწერილობამ დიდი აყალმაყალი გამოიწვია მამასახლისსა და ყრილობას შუა. შეიქნა ერთი კამათობა. მამასახლისი თავისს ამბობდა, ყრილობა თავისს და — წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, რომ ეს კამათობა თითქმის სულ ქართულ ენაზე იყო. თითქმის მეთქი, ვამბობ, რადგანაც სამ კაცში ორი უთუოდ ქართულად აძლევდა პასუხს მამასახლისს, რომელსაც ერთხელაც არ წასცდენია სვანური სიტყვა. ძლიერ წამახალისა ამ გარემოებამ და მამასახლისს გამოეუცხადე ჩემი განძრახვა — ქართულის ენის მკოდნეთ რიცხვის შეტყობა ამ საზოგადოებაში. ამისათვის ვსთხოვე ყრილობას დაშლის შემდეგ თვითთულ სოფლისაგან ორ-ორი კაცი დაენარჩუნებინა, რომელთაც გამოვკითხავდი ჩემთვის საჭირო ცნობებს. მამასახლისმა

თხოვნა ამისრულა. როდესაც ყრილობა დაიშალა, პირველად კომლ-  
თა და მცხოვრებთა სია მოვითხოვე. შემდეგ თვითეულად გამოვეკითხე  
თხე ჩემთვის დატოვებულს კაცებს მათ სოფელში ქართულ ენის  
მცოდნეთა რიცხვი. ცნობების შეკრებაში მეხმარებოდა აგრეთვე  
თვით მამასახლისი და ადგილობრივი მღვდელი. შეკრებილ ცნობა-  
თაგან აღმოჩნდა, რომ ლენტეხის საზოგადოებას შეადგენს:

4 კომლი სამღვდელოება და

228 კომლი გლეხი (თავად-აზნაურობა არ არის აქ). მცხოვ-  
რებნი:

მამრი 1101 სული.

მღედრი 1001 სული.

7—8 წლისაზე მეტებმა ყველა მამაკაცმა იცის ქართული ენა. დე-  
დაკაცებში 1001 სულში ქართულის მცოდნენი აღმოჩნდნენ 843 სუ-  
ლი, ხოლო უცოდინარნი — 158 სული, რომელთ რიცხვში ირიცხე-  
ბიან მცირე წლოვანი ქალიშვილებიც 8 წლამდე.

დანარჩენს საზოგადოებებში სხვა-და-სხვა საშვალეობით შეეკრი-  
ბე ცნობები ამ საგნის შესახებ და აი რა აღმოჩნდა.

ჩალურის საზოგადოება. აქ ირიცხება: 161 მეკომური, ხოლო  
მცხოვრებთ რიცხვი:

მამრი — 636 სული.

მღედრი — 516 სული.

მამაკაცებში მცირე წლოვანთ გარდა ქართული ენა არ იცის  
70 კაცმა; 516 დედაკაცში ქართული იცის მხოლოდ 63 დედაკაცმა.  
ლაშხეთის საზოგადოება.

346 მეკომურია, ხოლო მცხოვრები:

მამრი — 1301 სული.

მღედრი — 1184 სული.

მამაკაცებში მცირე წლოვანთ გარდა არ იცის ქართული მხო-  
ლოდ — 162 კაცმა.

დედაკაცებში ქართული იცის მარტო 152 სულმა.

ზემოთ დასახელებული სამი საზოგადოება შეადგენს ესრედ წო-  
დებულს სადადიანო სვანეთს. გადავიდეთ ეხლა მდ. ენგურის ხეო-  
ბაში, სახელდობრ თავისუფალს სვანეთში და დავიწყოთ უშგულის  
საზოგადოებიდან ცნობების შეკრება.

უშგულის საზოგადოება.

მამრი — 290 სული.

მღედრი — 236 სული.

მამაკაცებში ქართული იცის — 160-მა<sup>1</sup>,  
დედაკაცებში — 2-მა.

კალის საზოგადოება.

მამრი — სრული წლოვანი — 219.

მდედრი . . . . . 172.

ქართული იცის 199 მამაკაცმა<sup>2</sup>.

. . . . . 8 დედაკაცმა.

იფარის საზოგადოება.

მამრი — 546 სული.

მდედრი — 453

ქართული იცის — 306 მამაკაცმა<sup>3</sup>.

. . . . . 20 დედაკაცმა.

მულახის საზოგადოება.

მამრი სრული წლოვანი — 622.

მდედრი . . . . . — 515.

ქართული იცის — 116 მამაკაცმა.

. . . . . — 26 დედაკაცმა.

1891 წ.



<sup>1</sup> 1870 წ. ამ საზოგადოებაში 4-ს კაცს სცოდნია ქართული.

<sup>2</sup> 1870 წ. ამ საზოგადოებაში 6-ს კაცს სცოდნია ქართული.

<sup>3</sup> 1870 წ. ამ საზოგადოებაში 3-ს კაცს სცოდნია ქართული.

## სვანეთის აღიარება 1875—1876 წლებში

### I

1875 წ. ივნისის შუა რიცხვებში სვანეთის ბოქაულს თ. ჯ. მთავრობის განკარგულებით უნდა გაეგო რაოდენობა მცხოვრებთ მიწებისა. ამ აზრით მან დაიარა თავისი საბოქაულო და თითოეულ საზოგადოებას ცალკე-ცალკე გამოუცხადა ეს განკარგულება. ბოქაულმა ისიც დაუმატა, რომ ამ მოკლე ხანში მე თითონ დავივლი თითოეულს სოფელს და მიწების გაზომვას შევუდგებიო. ამის გამგონე ხალხს მაშინვე ეჭვი დაებადა, — შეეკითხა ბოქაულს და სთხოვა, აეხსნა მისთვის, რად უნდა მთავრობას, რომ მიწების რაოდენობა შეიტყოს სვანეთში და რამ გამოიწვია ეს საჭიროებაო? როგორც შემდეგ გამოძიებით აღმოჩნდა, ბოქაულს ერთობ მოკლე პასუხი მიეცა ხალხისთვის ამ საკითხაზე: თუ მთავრობა მწერს, რომ თქვენის მიწების რაოდენობა ვაცნობო, ეთქვა ბოქაულს, ალბათ საჭიროაო, და ამითი გაეთავებინა თავისი პასუხი. ამგვარმა მოკლე პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ხალხის ცნობის მოყვარეობა; პირიქით, უფრო მეტი ეჭვიანობა გამოიწვია და შემდეგ მრავალ მითქმა-მოთქმისა დაასკვნა, რომ უთუოდ მთავრობას უნდა ჩვენს მიწებს ღალა დაადვას, მაგრამ ბოქაული ამას ვერ გვიმხელსო. პირველად ამ ეჭვმა ფრთა შეისხა მულახის საზოგადოებაში.

ბოქაული რომ თავის ბინაზედ წავიდა, მეორე დღეს მულახის საზოგადოება შეიკრიბა. ყრილობა ძლიერ აღელვებული იყო. ყველანი ერთი მეორეს ეკითხებოდნენ: რად გვიწერენ მიწებს? რა უნდათ ჩვენგან? მიწას თუ ბეგარა დაედვა, ჩვენი ცხოვრება შეუძლებელია და სხვ. და სხვ. როცა ხალხი ყაყანით დაიღალა და დაშოშმინდა, ამ დროს ყასბულათ შ. ჩადგა ყრილობის შუა და სთქვა: „სმენა და გაგონება იყოს! ყველამ ვიცით, რაც ბოქაულმა გამოგვიცხადა.

არ ვიცი რისთვის გვიზომავენ მიწებს! სხვა რა მიზეზი უნდა იყოს მიწების აღწერისა, თუ არ მათი დაბეგვრა?“ ყრილობა აღელდა, გაისმა საშინელი ხმაურობა! ეს არ შეიძლება, თავებს დავცნობოთ და მიწების დაბეგვრაზე არ დავთანხმდებითო... შემდეგ მანგროპოლიკა აყალ-მაყალისა, კრება ასეთს აზრს დაადგა: შევატყობინოთ ჩვენი აზრი თავისუფალის სვანეთის დანარჩენს სოფლებს, ვაცნობოთ, რომ თუ მთავრობას ნამდვილად განზრახვა აქვს, მიწები დაბეგროს, არზა მივართვათ, არ ინებოს ამისი სისრულეში მოყვანა და, თუ თხოვნით არაფერი გაგვივიდეს, მაშინ ძალადობა გავწიოთო. ყველანი ამის თანახმა გახდნენ.

მეორე დღეს 50 მულახელი მესტიის საზოგადოებაში მივიდა. აქ ყრილობა მოხდა. მულახელებმა გადასცეს მესტიის ყრილობას თავიანთი აზრი, რომელიც მთელმა კრებამ მოიწონა. აქედამ მულახ-მესტიის ამორჩეულმა კაცებმა ლენჯერის საზოგადოებაში გასწიეს. აქაც ყრილობა მოხდა და საქმე ისე გათავდა, როგორც მესტიაში. რამდენიმე კაცი ლენჯერის ყრილობამ აირჩია და შეუამხანაგდა მულახ-მესტიელებს. ყველა ესენი იმავე დღეს საღამოს ლატალის საზოგადოებაში მივიდნენ<sup>1</sup>. ყრილობის მოხდენის დრო არ იყო და ამისათვის ლატალს მისულნი იმ ღამეს თავიანთ ნაცნობ-ნათესავეებში დაიფანტნენ ღამის გასათევად. მეორე დღეს დილა ადრიან ერთს ლატალის ეკკლესიის გაღვაწში გაისმა ბუკის ხმა. რომელიც ხალხს იწვევდა საყურადღებო საქმის განსაბჭოებად. ლატალელებმა მალე გაიგეს, რაშია იყო საქმე, და სრული თანაგრძნობა გამოუცხადეს მათთან მისულ კაცებს. აქ ლატალისა და მულახისა, მესტიისა და ლენჯერის ამორჩეული კაცები გაეფიცნენ ერთმანეთს ერთობასა და ერთგულობაზედ. აქვე გადაწყდა, რომ ამ ოთხ საზოგადოების აზრი შეეტყობინებინათ იფარის, კალისა და უშგულის საზოგადოებათათვის და. როდესაც მთელი თავისუფალი სვანეთი (რომელსაც ამიერიითგან „ზემო ხევს“ დავუძახებთ, როგორც თვით ხალხი ეძახის), თავს მოიყრიდა წმინდა კვირიკეზედ, საზოგადო ფიცი მიეღოთ. თქმა და ქმნა ერთი იყო. ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო ყველა წამოვიდა ხსენებულ ოთხ საზოგადოებიდან და გზად გამოუარეს იფარს, რომელიც მაშინვე შეუერთდა. მოვიდნენ კალას, სადაც წმ. კვირიკეს ეკკლესია არის.

აქედამ უშგულს კაცი გაუგზავნეს და მოიხმეს. კალა თავისთავად შეიკრიბა. ამნაირად მთელმა ზემო ხევმა კალას მოიყარა თავი.

<sup>1</sup> მულახის, მესტიის, ლენჯერის და ლატალის საზოგადოებანი ახლო მდებარეობენ ერთმანეთზე.

ყრილობა პირველ ხანებში ძლიერ აღლევებული იყო, მაგრამ, როგორც იქმნა, თავმა კაცებმა დაამშვიდეს ხალხი. სხვათა შორის ერთმა ლატალელმა მოხუცმა გინადრუყვ გირგვლიანმა სთქვა აღტაცებულ ახალგაზრდების გასაგონად: „ხათრი დასდევით ჩემს მოხუცებულს ბასს, ჩემს ჭალარას და გამიგონეთ. დაწყნარდით, დამშვიდდით, აგრე აღლევებით საქმე არ გაკეთდება. მოლაპარაკე ავირჩიოთ. კარგად გავიგოთ საქმე. შევიტყოთ, რა გზას უნდა დავადგეთ. ჯერ ისეთი გაჭირვება არა მოგვდგომია-რა, რომ მაინც-და-მაინც თავი გავიმეტოთ. და თუ შემდეგში რაიმე განსაცდელი მოგველის, მაშინ თავს ნურავინ დაზოგავთ. პირველი მე გაგიძღვებით, სადაც საჭირო იქმნება, და დიაცის ლეჩაქი დაეხუროს მას, ვინც გაჭირვების დროს თავი დაზოგოს“... ამ მოხუცის ლაპარაკმა თავისი ქმნა: ხალხი დამშვიდდა და მოლაპარაკეთ მულახელი ყასბულათ შ. აირჩია. ეს ყასბულათ შ. ხანში შესული კაცი იყო, ცნობილი ხალხში ჭკვიან და მკვერმეტყველ კაცად. იგი თავიდგანვე რუსთ მართებლობის დანიშნულ ბოქაულებთან იყო, წინა ხანებში დივან-ბეგად და 1869 წლიდამ მულახის მამასახლისად იქმნა არჩეული. ტრიალს მინდორზედ, სადაც ზემო-ხევი (ყაბეხევი) თავმოყრილი იყო, ერთი დიდი და მალალი ლოდი იდუკრებამ ეს ლოდი უჩვენა ტრიბუნად ყასბულათს, რომ ყველას დაენახა და ყველას გაეგონა მისი სიტყვა. ყასბულათი აღის ამ ქვაზედ და იწყებს თავის სიტყვას<sup>1</sup>.

— ჰუნარ, ჰუნარ, ხევი ლუთშუ! (გაგონება, გაგონება, ხევის ჩენილებო). ხალხი სმენად გადაიქცა.

— ამგვარი ყრილობა, დაიწყო ორატორმა: მთელის ხევისა, როგორსაც დღეს ვხედავ აქ, ძველდაც ხშირად ყოფილა თურმე. ამისთანა ყრილობას გამოიწვევდა ხოლმე საზოგადო გაჭირვება. ვსთქვათ, რომელისამე თავადიშვილის გვარეულობა მოინდომებდა სვანების ხელში ჩაგდებას, ჩვენზედ ბატონობას, ჩვენი მამაპაპანი ხეობას (ხეობ) მოახდენდნენ და საზოგადო მტერს საკადრისს პასუხს გაცემდნენ. მრავალი შემთხვევა ვიცი ძველებისაგან ნაამბობ-ნაარაკევი, როდესაც ჩვენზედ ბატონობის მომდომე სირცხვილეული დაგვიტოვებია. ჩემზედ უფრო მოხუცნი ურევთან ამ ყრილობაში და ისინი ჩემზედ უკეთ გეტყვიან, რომ ვისაც-კი ჩვენი დამონავება, ხელში ჩაგდება მოუნდომებია, ყველანი ჩვენი წერა გამხდარან: თოფი და ხანჯარი ყოფილა ჩვენი დამცველი! სვანეთის სალოცავმა გვაშოროს, რომ თოფი და ხანჯარი დაგვჭირდეს ეხლაც. ამგვარის საქმის მოსურნე არავინა ვართ, რადგან სიცოცხლე გვინდა და არა სიკვდილი.

<sup>1</sup> სიტყვა დაახლოებით მოგვეყვს.

ჩხუბში რუსებს ვერ გავუმავრდებით, რადგან ისინი ბევრნი არიან. გამოუღვევლნი და ჩვენ ცოტანი ვართ. მართალია, თავს ვისისხლებთ<sup>1</sup> (თხუმ ალწორედ), მაგრამ რუსები მაინც მრავალნი არიან და ჩვენ ისეთი საქმე მოგვივა, როგორც აფხაზებს მათგან მოგვადე რად უნდა მივიდეს ჩვენი საქმე? ჩვენ ხომ იმას არ ვეუბნებით მთავრობას, რომ თქვენს ხელში ყოფნა არ გვინდაო. ამისი თქმა შეგვეძლო პირველად, როდესაც მტერი და მოყვარე ყველა რუსების ხელში გადასვლას გვირჩევდა, მაგრამ არ გვითქვამს უარი, ამიტომ-რომ გვარწმუნებდნენ: რუსების ხელში უფრო ბედნიერი იქნებით, ვიდრე თავისთავადა ხართო. აქეთ ბევრ რასმე ჩამორჩებით და იქით მთავრობა არაფერს მოგთხოვთო. მე თითონ მთავარ-მართებლის ვორონცოვის მონათლული ვარ და იმისაგან მოკიდებული პატარა მოხელემდე ყველანი იმას გვიმტკიცებდნენ, რომ რუსის მთავრობა გაგაკეთებთო; ჩვენ ეს დავიჯერეთ; მართალი გვეგონა, რასაც გვეუბნებოდნენ, და ამიტომაც ძალა დაუტანებლივ, ჩვენის ნებით, დაუჟკართ თავი რუსებს. არავის წინააღმდეგობა არ გავიწვივია, თუმცა შეგვეძლო: თუ ჩვენმა მეზობლებმა თოფ-იარაღით გაუწიეს წინააღმდეგობა რუსებს, ჩვენ რა ღმერთი გავიწყრებოდა, რომ ერთს თოფს ვერ გავისროდით. მაგრამ არა! იმ იმედით, რომ მთავრობა ბევრს რასმე შეგვძენდა, მისი ყოველივე მოთხოვნილება ავასრულეთ, გამოგზავნა მღვდლები — დავიყენეთ, დანიშნა ბოქაულები — მივიღეთ, სოფლის მოხელეები აირჩიეთო — დავუჯერეთ და ბოლოს ექვს აბაზ უხალთუნიც ბეგარად დავიდევით. იმ ბევრ შემწეობის დაპირების შემდეგ, რაც მე ჩემის ყურით გამიგონია მთავრობის წარმომადგენელთაგან, ეს ბეგარა-კი ძლიერ გამიკვირდა. გვეუბნებოდნენ — გაგაკეთებთო და პირიქით ბეგარა ჩვენგან წაიღეს! ჯერ ჩვენთვის უნდა შეეძინათ რამე და მერე მოეთხოვნათ, თორემ ისე გამოდის, რომ ცხვარი თხას მიაღვა მატყლის სათხოვარადაო. ეს ასეა, მაგრამ ეხლა კიდევ გვეუბნებიან: მიწები უნდა გავიზომოთო. რისთვის? რად უნდათ ჩვენის მიწების გაზომვა? ამახედ ბოქაული გვეუბნება: ასეა მთავრობის განკარგულებათ. ჩვენში-კი ხმა დადის, რომ მათი დაბეგვრა უნდათო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, მაშინ-კი სწორედ სიცოცხლის პირი არა გვაქვს და, მუდამ წვალუბას, ის გვირჩევნია, ერთს დღეს გავთავდეთ. ეხლა რადგან ეს ნამდვილად არ ვიცით, ამისთვის ჯერ უნდა შევიტყოთ, რაშია საქმე; მოვასხენოთ მთავრობას ისე, როგორც დღეს ვამბობ, და მის პასუხს მოვუცა-

<sup>1</sup> თავს ვისისხლებთ, ე. ი. იმდენს მოგკლავთ, რამდენიც ჩვენა ვართ.

დოთ. მე გავათავე ჩემი სათქმელი“. ამ სიტყვებით დაასრულა ორატორმა თავისი სიტყვა. ხალხმა ერთხმად დაიგრილა: „გუნ ეხელო, გუნ ეხერ! ძალიან კარგი, ძალიან კარგი!“ და აირ-დაირია.



\*  
\* \* \*

რამდენსამე წამს შემდეგ ლოდზედ ავიდა გინადრუყვ ლატალელი და სიტყვის სათქმელად მოემზადა. კრება დაწყნარდა. „ყასბულათის ნათქვამს, დაიწყო მან. ამას კიდევ დაეუმბატებ: ყოველ ამგვარ საზოგადო საქმეში ჩვენი წინაპრები ფიცს იღებდნენ წმ. კვირიკეზე, ღღესაც ესე უნდა მოვიქცეთ. წავიდეთ ყველა და მივილოთ ფიცი ერთობისა, ერთგულობისა და თავ-დაუზოგველობისა; დავიფიცოთ, რომ ჭირში და ლხინში, რაც ამ საქმეს მოჰყვეს, ყველანი ერთ სიტყვაზე ვიდგეთ და, ვინც ჩვენთაგანმა ეს ფიცი გასტეხოს, იგი სახეოდ დაისაჯოს“. ყრილობამ დასტური დასცა და მაშინვე გაუდგა წმ. გზას კვირიკესაკენ, რომელიც ყრილობას ერთის ვერსით შორავდა. როდესაც ყრილობა ეკკლესიის გაღავანთან მივიდა, კალელმა ფანგანმა შალიანის ხატი გამოასვენა. ხალხმა ქუდები მოიხადა და მიაჩერდა ხატსა და მის დამკავებელს ფანგანს. ფანგანმა გინადრუყვის ნათქვამი სიტყვები გაიმეორა და დაარისხა ამ ფიცის მოღალატე, ყრილობამ „ამენ“ დაიგრილა. შემდეგ ორმა კაცმა ჯოხის თავსა და ბოლოს მოჰკიდეს ხელი: ამ ჯოხ ქვეშ უნდა გაეარა ყველას თითოეულად, ვინც იქ დაესწრო. ჯოხს ქვეშ გასვლა იმისი ნიშანი იყო, რომ ყველამ უმეტ-ნაკლებოდ მიიღო ფიცი. ყრილობა დაიშალა, შორიდამ მოსულები სოფ. კალას დარჩნენ. ორმა საზოგადოებამ, როგორც მახლობელებმა, ვახშამი გაუმართა. კალამ საქმელი მოამზადა, უშგულმა არაყი მოიტანა. კალაში რომ ეს ამბავი ჰქონდა ზემოხევს, ბეჩოს, სადაც ბოქაულის რეზიდენცია არის და რუსთა „კამანდა“ სდგას, სულ სხვანაირად მიიტანეს სიტყვა, იქ ვილაცყაებს ეთქვათ ბოქაულისათვის, რომ ზემო-ხევი პოლიციასა და კამანდას თავს დასხმას და ამოწყვეტას უპირებსო. შეშინებული ბოქაული თო. დადიშქელიანებს სთხოვს შემწეობას. უკანასკნელი იწვევენ თავის საყმოს და ყარაულად უყენებენ პოლიცია-კამანდას. ეს ამბავიც ზემო-ხევს გადასხვაფერებით შეატყობინეს. ზემო-ხევში ხმა გავრცელდა, რომ კამანდა და ქვემო-ხევი, ე. ი. თო. დადიშქელიანების საყმო ლატალის საზოგადოებაზე თავდასასხმელად მოდისო. ეს ხმა ელვასავით მოედვა ზემო-ხევს და რამდენსამე დღის შემდეგ ფიცის მიღებისა, ხალხმა მეორედ მოიყარა თავი, ეხლა-კი ნამდვილად იმ აზრით, რომ კამანდას თავ დაესხას, ამოწყვიტოს და ტყვია-წამალი

ჩიავდოს ხელში. ზემო-ხევმა გასწია ქედ-ბალზე, რომელიც შუა უძვეს ლატალისა და ბეჩოს საზოგადოებას და რომელიც ჰყოფს ზემო-ხევს ქვემო-ხევისაგან. აქ ორივე ხეობა პირისპირ შეხედნენ ერთმანეთს: ზემო-ხევი მიდის კამანდის თავს დასასხმოდ და ქვემო-ხევი ყარაულად, მცველად უდგას იმავე კამანდას. აქვე ზემო-ხევი დაექანა ბალის დაღმართზედ, რამდენიმე მანძილი კიდევ ჩიარა, და ამ დროს წინ შეეფეთნენ ქვემო-ხეველებს, რომელთაც მოთავედ ორი თთ. დადიშქელიანები ჰყვანდათ. თა. დადიშქელიანებმა სთხოვეს ზემო-ხეველებს, შეჩერებულიყვნენ, რამდენიმე სიტყვა მოესმინათ და, თუ მათს რჩევას არ გაიგონებდნენ, მერეც მოასწრებდნენ კამანდის თავს დასხმას. ზემო-ხევის უმეტესობას არ უნდოდა სიტყვის გაგონება, მაგრამ მოხუცმა კაცებმა, როგორც იქნა, შეაჩერეს ჯიქურ მიმართული მოწინააღმდეგენი. ხალხის აქ შეჩერება თითქმის მთლად მიეწერება მულახელ ბიტი იოსელიანს. თუმცა ამან ნამდვილად გადაარჩინა კამანდა და ხალხიც ხიფათს, მაგრამ გამოძიება შემდეგში ისე ახირებულად წავიდა, რომ კამანდის ნამდვილად მხსნელი მთავრობამ დაატყვევა და ერთი ორის თთვის შემდეგ ქუთაისის საპატიმროში გარდაიცვალა. ბევრი მკვახე სიტყვა გააგონეს ზემო-ხეველებმა თთ. დადიშქელიანებს. ამ დროს ერთმა დადიშქელიანმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა ზემო ხევს: „თქვენ თვითონ ჰხედავთ, რომ კამანდა ამჟამად ჩვენი ხიზანია, ჩვენ მიწა-წყალზე დაბინავებული და სტუმარი. ნუ შეგვარცხვენთ! როგორ უნდა გამოჩინდეთ სადმე, თუ ჩვენი სტუმარი ამოსაწყვეტად დაგანებეთ. გვიჩვენია უწინ ჩვენ დავგზოცოთ, ჩვენს მკვდარს სხეულებზედ გაიართო და ისე მიხვიდეთ კამანდის ამოსაწყვეტად, ვიდრე ცოცხალი დავრჩეთ და ასე გიყუროთ“. ასეთმა სიტყვამ კიდევ უარესად ააღელვა ხალხი. რამდენსამე კაცს გარდა ყველანი ყვირიან წასვლას და კიდევ გაიარეს ცოტაოდენი მანძილი. ქვემო ხევმა თავს მოუარა და ხელ-ახლავ გადაეღობა ზემო ხევს გზაზედ. ხალხი შეჩერდა. ერთმა ქვემოხეველმა სთქვა: „ხომ ჰხედავთ, რომ თუ კამანდასკენ წასვლა არ მოიშალეთ, თავი უნდა შეგაკლათ. რად იქცევით ასე, რა გამოვა, რომ ჩვენ ერთმანეთს თავი შევაკლათ? კამანდა დარჩება და ჩვენ, ერთმანეთის ძმები, ერთი მეორეს დავხოცავთ?“ ამ სიტყვამ ხალხზედ იმოქმედა. ამასთანავე გამოჩნდნენ ბევრი ნათესავ-მოყვრები ორსავე მხრით და ამანაც შეაფიქრიანა ხალხი, ასე რომ ზემო ხევმა თავის განზრახვას თავი დაანება. ზემო ხევი დაბრუნდა ისევ უკან ბალის ქედზედ.

აქ ყრილობამ დაადგინა: 1) ლატალი და ლენჯერი უნდა დამდგარიყო ყარაულად ბალზე, თვალ-ყური ეგდო კამანდისა და პოლიციი-

სათვის, ზემო ხევისკენ ბოქაულისა და კამანდის კაცები არ გაეწე-  
ვათ; 2) ხუთ საზოგადოებას: მესტიას, მულახს, იფარს, კალას და  
უშგულს ლატფარის უღელტეხილზედ უნდა ეყარაულნა. ამასთანავე უნდა  
სვანეთის ბოქაულმა საქმის გარემოება უკვე შეატყობინა მესტიის  
ბას. შვიდს ივლისს სვანეთის მიმავალი ატრიადი გენერალ ციტოვი-  
ჩის წინამძღოლობით, ლეჩხუმს ამოვიდა და ბანაკი მურს დასცა. რო-  
დესაც აჯანყებულმა სვანებმა ეს ამბავი გაიგეს, უფრო თავდარიგი  
იქონიეს ბალსა და ლატფარზე. ორგანვე დარაჯს კაცები მოუმატეს.  
შვიდსავე ივლისს ლეჩხუმის მაზრის უფროსისგან, განსვენებულ  
გრინევსკისაგან, ქალაქი მივიღე: უთუოდ ხვალ ჩემთან გამოცხად-  
დი, გუბერნატორი გიბარებს; თარჯიმანად უნდინხარ სვანეთში ყოფ-  
ნის დროსაო. არაფრად მიამა ამგვარი მოწვევა, რადგანაც ტფილი-  
სიდგან ჩამოსულს, სადაც მაშინ ვსწავლობდი, შინ დასვენება მერ-  
ჩია თარჯიმანობას, მაგრამ, როგორც მაშინ ვფიქრობდი, წაუსვლე-  
ლობა არ მარგებდა. შინაურებს რომ ეს ამბავი გაუთქვამენ, ძლიერ  
ეწყინათ. ბევრი მიშალეს წასვლა, მაგრამ ბოლოს დავითანხმე და 8-ს  
ივლისს ლატფარის უღელტეხილით გზას გავუდექი. მთის მწვერვალს  
რომ ვუახლოვდებოდი, დარაჯებმა დამინახეს. იმათ ყურადღება მიექ-  
ციეს ჩემს რუსულს ქუდსა და ბლუზას და ზედ კიდევ მოშორებით  
ვიყავით. როდესაც დაგვიძახეს: ვინ ხართ? ჩემმა ამხანაგმა ჩვენი  
ვინაობა ძახილითვე შეატყობინა. ყარაულებს ვინმე ბოქაულის მო-  
ხელეთაგანი ვგონებოდი, გუბერნატორთან გაგზავნილი. მივალწიე  
ლატფარის წვეროზე. დარაჯები 200 კაცზე მეტი შემომეხვივნენ.  
მათში ბევრი ჩემი ახლო და შორეული ნათესავი ერია, ბევრი იყო  
აგრეთვე ნაცნობიც. ახლო ნათესავები ძლიერ შეწუხდნენ ჩემის  
წასვლის გამო, არა გზით არ გავიშვებთო, მითხრეს ზოგიერთმა.  
ჩხუბი რომ მოხდეს, შენ ვინ გაგარჩევს? შენც ისე მოგკლავენ, რო-  
გორც სხვებსაო! ვინც ჩემი ნათესავი და ნაცნობი არ იყო, იმათ კე-  
დევ სხვა თვალთ შეხედეს გუბერნატორთან ჩემს წასვლას. იმათის  
აზრით, მე თუ გუბერნატორი მიბარებს, იმიტომ — რომ რუსებას  
მხარე მიჭირავს და სვანების მტერი ვარ. მიჩა ვერი მუქდენის შვანე  
ლამზურუე ხოქდენი („თავის მიწის მოლაღატეს სვანეთის სალო-  
ცავიმც ჰლაღატობს“), დაიძახა ერთმა ჩემმა უცნობმა და გავგმორ-  
და. ეს ჩემს ნათესავებს ეწყინათ; როგორ თუ შენ მოლაღატეთ  
გსახავსო, და კინდამ უსიამოვნება მოხდა მათ შორის. თითქმის ერ-  
თი საათი გამაჩერეს დარაჯებმა და ამ დროს განმავლობაში სულ  
გულსაკლავი სიტყვები მესმოდა: ახლოცა და შორეულიც ჩემსა  
წასვლის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მე მაინც ჩემი არ დავიშალე  
და, როგორც იქმნა, ხელიდამ გავუსხლტი დარაჯებს. საღამოს სოფ.

ლუჯის<sup>1</sup> მივედი, სადაც გრინევსკი მიცდიდა. გრინევსკიმ ყველაფერი გამოძკითხა და მეც ვუამბე, რაც საჭირო იყო. ამ დღეს გრინევსკის როგორღაც ო სვანი ჩაეგდო ხელში, გაეჩერებინა ჩემს მოსულამდე და მოციქულად გაგზავნას უპირებდა აჯანყებულ სვანებთან. მითხრა თუ არა ეს თავისი განზრახვა, დაუძახა სვანებს და უბრძანა ჩემის პირით: „წადით და გადაეცით ჩემ მაგიერ ყრილობას, რომ თქვენის მიწების დაბეგვრა მთავრობას აზრადაც არ მოსვლია; ადგილების ზომვა თუ უნდა მთავრობას, იმიტომ უნდა, რომ ხელმწიფემ ყველა თავის ქვეშევრდომის ადგილ-მამულის რაოდენობა უნდა იცოდეს. ის ხმა, ვითომ მთავრობა გადასახადს ადებს მიწებსაო. ტყუილია; იგი მოგონილია ბოროტ კაცებისაგან, რომელთაც სურთ სვანებს რაიმე ზიანი მოუტანონ. ნუ დაუჭერებთ იმათ, ვინც ამას გუბუნებთ, იცოდეთ, რომ ისინი თქვენი მტერნი არიან. სთხოვეთ ჩემს მაგიერ ყრილობის მოთავე კაცებს, რომ თითონაც მოვიდნენ აქ და თითოეულის საზოგადოებრივად რვა-რვა კაცი წამოიყვანონ. მე იმათ ყველას ცაგერს ჩავიყვან გუბერნატორთან, რომელიც პირად ეტყვის, რომ მიწებს გადასახადს არავინ ადებს. თუ ამას იზამენ, მაშინ ცაგერში მოსული ჯარი უკან დაბრუნდება. მე და რამდენიმე სხვა მოხელე წამოვალთ სვანეთში, საქმე კარგად გათავდება, თორემ თუ ჯარი გადმოვიდა თქვენში, ცუდი საქმე დაგემართებათ“...

სვანებმა მიუგეს: „თქვენს დაბარებულს უკლებლივ გადავსცემთ ყრილობას, შეასრულებენ თუ არა იმას, რასაც თქვენ თხოულობთ, მაგაზე-კი ვერაფერს მოგახსენებთ. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ საზოგადოებისაგან რვა-რვა კაცი მოვიდეს თქვენთან. მაგრამ ვინ იცის, ეს ყრილობის საქმეა და შეიძლება წამოვიდნენ“.

— „თუ ისინი არ მოვიდნენ, ვისაც ვიბარებ. თქვენ მაინც დაბრუნდით ჩემთან, ავი და კარგი შემატყობინეთ“.

— „თუ ყრილობამ არ დაგვიშალა, ბატონი ბრძანდებით, თუ დაგვიშალა-და — ვერ გიანხლებით“. გრინევსკის გული მოსდის, მაგრამ ძალით იკავებს თავს: „წადით და რასაც გაბარებთ, გარდაეცით... ყრილობას“. სვანებმა თავი დაუკრეს გრინევსკის და წავიდნენ. ჩვენ აქ ვუცადეთ ამბის შეტყობას ხუთ დღეს. სვანებს გრინევსკის დაბარებული გადაეცათ ყრილობისათვის. ყრილობას ათის კაცის გამოგზავნა გადაეწყვიტა და ამ ათს კაცში ჩვენი ცნობილი ყასბულაიტიც ერია.

<sup>1</sup> სოფ. ლუჯი ლაშხეთის საზოგადოებაშია, სადავიანო სვანეთში.

13 ივლისს ყრილობისაგან გამოგზავნილი ათი კაცი გრინევესკისთან მივიდა. გრინევესკი ყასბულათს იცნობდა და, როგორც დაინახა, წყრომა დაუწყო.

— შენ 15 წელიწადია, რაც რუსის სამსახურში ხარ, ჯერ დივანბეგად, მერე მამასახლისად, და რად თაობ ხალხის აჯანყებას. ეგ არის მადლობის მაგიერი? აგერ ორი მედალი მიგიღია მთავრობისაგან ჯილდო და დღეს წინააღმდეგობას უწევ იმას, ვინც დაგაჯილდოვა? იცოდე, რომ თუ შენის მოთავეობით აჯანყებული ხალხი შენვე არ დაგიშვიდებია, სასტიკად დაისჯები!...

— ტყუილად გგონიათ, რომ მე სვანეთის თავი ვიყო, მე კი არა და — მოთავედ, როგორც ჰხედავთ, რუსეთის დიდ ხელმწიფესაც უარჰყოფენ. ჩემი მოთავეობა არაფერ შუაშია; სვანეთში ისეთი არავინ მეგულება, არც ჩემი თავი და არც სხვა, რომ თავის ნებაზედ ხალხი კიდევაც ააჯანყოს და კიდევაც დაამშვიდოს. ყველაფერი ყრილობის საქმეა. რაც ყრილობას სურს, ის უნდა აასრულოს ყოველმა სვანმა. ყრილობის უნებურად ერთი ფარას ოდენა არც-რა გაკეთდება და არც-რა წახდება. რაში უნდა ვიყო მე აჯანყებულთ მოთავე? მთელმა ხეობამ ყრილობა მოახდინა კალას. რასაკვირველია, მეც იქ ვიყავი. ყრილობამ მთხოვა, ჩემი აზრი მეთქვა და მეცა ვსთქვი. რატომ არ უნდა მეთქვა? მე კიდევ მთავრობის სასარგებლოდ ვილაპარაკე, სხვა უარესს იტყოდა. მე მადლობას ველოდი თქვენგან და თქვენ კი მიწყობით! თქვენ რომ ხალხის ლაპარაკი გაგაგონათ, მაშინ სულ სხვას იტყოდით: არავის არ უგონებს ყრილობა.

— მაშ არ შეგიძლია ყრილობა დამალო, ყარაულები ახსნა ბალსა და ლატფარზე?

— რა ბრძანებაა! ყრილობის უნებურად არაფერი არ იქნება. მან იცის და მასვე შეუძლია ყველაფერი.

— გრინევესკიმ გაჯავრებით გადაჰხენდა ყასბულათს, რამდენსამე წამს ხმა ამოუღებლივ შეამტერდა და მერე გაცხარებით უთხრა:

— შენ და შენი ამხანაგები ცაგერს უნდა წამომყვეთ გუბერნატორთან! ეხლავ უნდა გავუდგეთ გზას!

— ყასბულათი ჩაფიქრდა.

„გავალთ ცალკე, ვარჩევთ ერთმანეთში და მერე მოგახსენებთ პასუხს“, სთქვა ყასბულათმა და თანვე წაიყვანა ცალკე ცხრა სვანა. ბევრი ცდა აღარ დაგვიკრებია. ყასბულათი მალე მოვიდა და უთხრა გრინევესკის, რომ გუბერნატორთან მე და რვა ჩემი ამხანაგი წამოვალთ. ჩვენ თვითონ გვსურს, სთქვა ყასბულათმა: გუბერნატორის

ნახვა, ყველაფერს დაწვრილებით მოვახსენებთ. ყრილობაზე ასე დაგვაბარა. ერთი ჩვენგანი კი უკან უნდა დაბრუნდეს. ხალხს შეატყობინებს, რომ ჩვენ გუბერნატორთან წავედით, სხვახალხად არა იფიქრონ-რა ჩვენზე... „რა უნდა იფიქრონ!“ — არ იფიქროს, რომ ჩვენ დაქვრივი ვართ. თორემ არ ივარგებს... გრინვესკის ამაზედ არაფერი უთქვამს.

— ცოტა ხანს შემდეგ გზას გავუღეკით ცაგერისაკენ. 13-ს საღამოს იქ მივედით; 14-ს 12 საათზედ ცხრა სვანი გუბერნატორთან წარსდგა; მშვენიერი დარი იყო; გუბერნატორი თავისი ამალით ვეებერთელა იფნას ქვეშ ჩამომსხდარიყო. აქვე იყო ბევრი ლეჩხუმის თავადაზნაურობა. გუბერნატორმა ზრდილობიანად მიიღო სვანები და ჰკითხა აჯანყების მიზეზი.

— თავი და თავი მიზეზი, დაიწყო ყასბულათმა, აჯანყებისა არის მიწების აღწერა-გაზომვა. მაგრამ არც სხვებერ ვემადრიელებით მთავრობას.

— რატომ არ ემადრიელებით? გააწყვეტინა სიტყვა გუბერნატორმა.

— იმიტომ-რომ თავის დღეში ბეგარა არა გვდებია, დღეს კი მონარჯენი შევიქენით. რად დაგვადვა მთავრობამ ბეგარა, არ ვიცით. ჩვენ ღარიბნი ვართ; შემწეობას თქვენგან ველით; თქვენ კი ჩვენგან თხოულობთ გარდასახადს! მდიდარნიც რომ ვიყოთ, ბეგარა მაინც გვძულს; არა ვართ მიჩვეული ბეგრის გადახდას. მრავალი უბედურება იმიტომ გადაგვხდენია თავს, რომ ყმად, მებეგრედ არავის გავუხდით; ახატები ვყოფილვართ ძველის ღროიდგან და ეხლაც ისე გვირდა...

აქ ყასბულათს სიტყვის გაგრძობა უნდოდა. მაგრამ გუბერნატორმა შეაჩერა.

— ვინ გითხრათ, რომ თქვენს მიწებს ბეგარას ადებენ?

— ბევრმა, მიუგო ყასბულათმა; ჩვენებურები აქეთ რაჭა-ლეჩხუმს იყენენ, იმათ გაეგოთ და გვითხრეს.

— მერე რად დაუჯერეთ? რა იციან იმათ? ვისგან შეიტყობდნენ? მოუტყუებიხართ. საიდგან გაიგონებდნენ, როდესაც ეგ ჭორია და მეტი არაფერი. არ უნდა დაგეჯერათ.

— დავიჯერეთ იმიტომ, რომ პირველად არც ბეგრის დადება გვჯეროდა. მაგრამ მერე ნამდვილად აღმოჩნდა. ვიფიქრეთ: თუ-კი ის ხმა, რომ მთავრობა ბეგარას გვადებს, გამართლდა, ალბათ მიწებზედ გარდასახადიც მართალი იქნებაო. ის-კი არა-და დღეს, სანამ თქვენთან მოვიდოდით, ზოგიერთმა ლეჩხუმელებმა სიკვდილის გუნებაზედ დაგვაყენეს, ნიშნის გებით გვეუბნებოდნენ, რომ, არა თუ



მიწებს დაადებს მთავრობა გადასახადს ქცევაზედ ხუთ შაურს. იარაღს აგვეყრის, კოშკებს დაგვინგრევსო. ეს-კი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ გულს მაინცა სწყინს. მართლაც, თუ მართებლობა ამას გვიპირობს, ბარემც ერთს დღეს ამოგვეწყვიტოს. მაშინ იარაღიც ოხრად დაგვრჩება, კოშკებიც და ყველაფერი.

— მე თქვენ ჰკვიანი მგონიხართ და როგორ ერწმუნებით მაგისტანა ჰკორებს.

— არ ვერწმუნებით, მაგრამ ბეგარას დადებამ...

— რა ბეგარა! გააწყვეტინა გუბერნატორმა: თქვენი ბეგარა ისაა, რომ კაცმა ერთის კაპეიკის სანთელი იყიდოს და ხატს დაუნთოს! იცით ხაზინა რამდენს ფულს ხარჯავს თქვენზედ? ბოქაული, მისი თანამემწე, კანცელარია, სამღვდელოება... ყველა მართებლობის ხარჯზეა. თქვენი ბეგარა მეასედი არაა იმისი, რასაც ხაზინა თქვენზედ ხარჯავს.

— ალბათ მართებლობისთვის არის საჭირო თქვენ მიერ დასახელებული მოხელენი, თორემ ჩვენ იმათგან არაფერი სარგებლობა და სიკეთე არ გვინახავს. მე, მართალი უნდა მოგახსენოთ, ყრილობამაც ასე დამაბარა, რომ ბეგარა გვიმიძის; თამარ დედოფალსაც არ დაუღვია ჩვენთვის ბეგარაო...

— თამარ დედოფალი ბეგარას არ გახდევინებდათ. მაგრამ გიწვევდათ ჯარში, აყენებდა თქვენში სარჩენად ჯარსა. როცა საჭიროება მოითხოვდა (არ ვიცი საიდან ამოიღო ეს ცნობა გუბერნატორმა).

— არა, ბატონო გამარჯვებულო! (ფუსნ გამურჯვაბილ). ეგ აგრე არ ყოფილა. თამარ დედოფალთან ყოველ წელს რამდენიმე სვანი მიდიოდა თურმე. თითო მოსახლიდგან ერთ სროლა წამალს წაუღებდნენ, მეტს არაფერს. ის-კი მეძღვნე სვანებს მეფურად დააჯილდოვებდა ძვირფასის საჩუქრებით. ეხლა-კი მამასახლისის „პოპომნიკებს“ ქუთაისის ხაზინაში მიაქვთ ბეგარა და გზის ფულსაც არ აძლევს ხაზინა. თამარ დედოფალს კიდევ ვეცოდებოდით თურმე და ბევრსაც გვაძლევდა. კარგი ეკკლესიები სვანეთში ყველა თამარ დედოფლის აშენებულთა; რაც კიდევ ეკკლესიებში ძვირფასი ხატ-ჯვარია. მისი ნაჩუქარია... ყასბულათს კიდევ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ გუბერნატორმა სიტყვა მოუჭრა:

— ეხლა ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, შენ და შენმა ამხანაგებმა ჩვენთან უნდა იაროთ სვანეთამდე და იქ მე თითონ ადგილობრივ გავიგებ საქმეს.

— ჯარიც უნდა წამოიყვანოთ? ჰკითხა ყასბულათმა.

— ჯარიც.

— რა საჭიროა ჯარი, თუ ის მართალია, რასაც თქვენ ბრძანებთ, ე. ი. მიწებს ბეგერას თუ არ ადებთ?

— ჯარი უნდა წამოვიდეს სვანეთს იმიტომაც, რომ ვინც კამანდისათვის სურსათი მოაქვს, ჯარი რა თქვენი მავნებელია ვიწრო იქით, იგი იყიდის თქვენში სასმელ-საჭმელს და ხალხი ფულს შეიძენს, რომელიც ასე ძვირობს თქვენში.

— ერთი ვინმე მაინც წინ გაგვიშვით, თორემ ყრილობა იფიქრებს, ვითომ ჩვენ დაჭერილი გყევართ და არ სჯობს.

— ჯერ ასე ვიაროთ ერთად და მერე ვნახოთ: როგორც ემჯობინება, ისე მოვიქცეთ. თქვენ დამშვიდებული იყავით, ნურათფრის ფიქრი ნუ გაქვთ. სასმელ-საჭმელის ფული მოგეცემათ და ბინათ, სადაც გერჩიოთ, იქ დადექით, მხოლოდ ჩვენთან იარეთ-კი. ამით გათავდა ლაპარაკი ცაგერს გუბერნატორსა და სვანებს შუა.

\*  
\* \* \*

15 ივლისს ჯარი ცაგერიდამ დაიძრა. ქვეითი ჯარი და გურულების დრუჟინა სვანეთს წამოვიდა. ყაზახების ჯარი-კი მურს დასტოვეს: თუ საჭიროება მოითხოვდა, იგიც სვანეთს უნდა წამოსულიყო. ატრიადის უფროსად გენერალი ციტოვიჩი იყო. 15-ს ივლისს ლენტეხში დავრჩით ატრიადითურთ, 16-ს ჩოლურს მივედით, რომელიც ძვეს ლატფარის უღელტეხილის ძირში, სამხრეთის მხრით. აქ გავიგეთ, რომ ლატფარზედ დარაჯების რიცხვი გაუმრავლებია ხალხს, რაკი ჯარის მოსვლა შეუტყვია, გუბერნატორმა დაიბარა ჩვენთან მიმავალი ცხრა სვანი და უთხრა, რომ ერთ-ერთი სვანი ყასბულათს გარდა წინ წასულიყო და ლატფარზე დარაჯები დაეშალა. სვანებმა მიუგეს, რომ სჯობია ყასბულათი გაუშვათ წინ, იმას უფრო დაუჯერებნო. გუბერნატორმა ყასბულათის გამშვება არ ინება. წავიდა ერთი სვანი, რომელსაც ყასბულათმა დააბარა დარაჯებთან, რომ დამლილიყვნენ ლატფარზედ, რადგანაც ჯარი სვანეთს წაუსვლელი არ დადგებოდა და არც რაიმე ვნებას მოელოდა იმისაგან.

წინ წასულმა სვანმა დარაჯები დაშალა. იმის შესატყობად, მართლა დაიშალნენ თუ არა დარაჯები ლატფარზეო, გუბერნატორმა კაცი გაგზავნა. როდესაც ნამდვილად გავიგეთ, მთაზე დარაჯები აღარ დგანანო, გუბერნატორმა უბრძანა გრინევსკის წინ წასვლა. 17-ს სალამოს გრინევსკი, 20-მდე ლეჩხუმელი თავადიშვილები და მე ლატფარს შევუდექით. იმ დამეს ლატფარის სამხრეთ ფერდზე დავრჩით. მეორე დღეს 18-ს დილაადრიან შევუდექით მთას. კარგი დარი იყო. როდესაც მთის მწვერვალს მივუახლოვდით, კაცები შევნიშნეთ.

ყველას ელდა გვეცა. ეტყობა. დარაჯები არ დაშლილან და უმისოა ჩვენი წასვლა ან შეუძლებელია და ან ხიფათს გადავეკიდებითო. ყველანი ვამბობთ, რომ გუშინდელმა გუბერნატორის გაგზავნის შესახებ კაცმა მოიცრუვა. როდესაც გვითხრა, მთაზე დარაჯები აღსადგინოსო. რამდენადაც მწვერვალს ვუახლოვდებით, იმდენად კაცების რიცხვი მეტი გვეჩვენება.

ყველას შიში ჩაგვივარდა გულში და სიარულს მოვუკელით; წინ წასვლა არავის გვინდოდა. გავჩერდით. ვითათბირეთ: გვინდა ერთი ვინმე წინ წავიდეს ამბის შესატყობად, მაგრამ არავინ გამოჩნდა გულადი. ზოგიერთები უკან დაბრუნებას გვირჩევენ, მაგრამ გრინევსკი უარზე დგას. გავსწიეთ ისევ ყველამ გულის ფანჯრალით. აგერ მივედით მწვერვალზე და რა დავინახეთ: ცერზედ აყენებული კაცის სიმაღლე ქვები! ეს დარაჯების საქმე იყო, ჩვენდა დასაცინად მოგონებულნი. ყველას სირცხვილის ფერმა გადაგვკრა. მაგრამ ვილას ახსოვდა სირცხვილი, რადგანაც ასე უხიფათოდ გათავდა საქმე!

გადავბიჯეთ მთას. ჩავედით მის ძირში ჩრდილოეთის მხრით. აქ ძვეს კალის საზოგადოება. ორი სოფელი ამ საზოგადოებისა დავბერ და ლალხორი გაშენებულია მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზედ.

ლალხორს ეს სახელი იმ მინდვრისაგან მიუღია, რომელიც სამხრეთით აკრავს. სიტყვა ლალხორი ნიშნავს „შესაკრებელს“ ადგილს. საჭირო დროს საზოგადოება ცალკე და ზემო ხევი საზოგადოდ ამ მინდორში იყრიდა თავს. დღესაც აქ იყო თავმოყრილი თითქმის მთელი თავისუფალი სვანეთი. ყრილობამ დაგვინახა თუ არა მისკენ მიმავალნი, მაშინვე ხმაურობა ასტეხა. გავიდა ცოტა ხანი და დავინახეთ ჩვენკენ გამოქანებული ათიოდე კაცი; მხარზე თოფები ჰქონდათ გადადებული. ყრილობას გამოგზავნა ჩვენთან.

შეგვხვდნენ და ბრძანების კილოთი დაგვიძახეს: გაჩერდით! (ჩვენ და ყრილობას მარტო ენგური გვეყოფდა). გავჩერდით. გრინევსკიმ აღელვებულის ხმით სთხოვა გავეშვით სოფლად. ხომ ჰხედავთ, დაღალულ-დაქანცულები ვართ, რა კაცები ხართ, რომ მოსვენების ნებას არ გვაძლევთ?

— არ იქნება! გაჯავრების ხმით მიუგეს დამხვდურებმა: ყრილობამ დაგვაბარა, რომ ამას იქით ფეხი არ გადმოგადგმევინოთ წინ.

გრინევსკის ბრაზები მოუვიდა. გაჯავრებულმა ცხენს მათრახი შემოჰკრა და წასვლა დააპირა. იმავე წამს ერთი სვანი შუა გზაზე დადგა. ჩახმახი ფეხზედ შეაყენა, დაუღირა თოფი და დაიძახა: თუ ერთი ფეხი წინ წაგიდგამს, გაგათავებო. გადავვარდი წინ, ვსტაცე გრინევსკის ცხენის აღვირს ხელი და შევაჩერე. ათრთოლებულის ხმით გადავუთარგმნე სვანის მუქარა.

გრიწევსკი სულ გააფთრდა; ისეთი გულ-მოსული იყო, რომ ვინ წამს მთელს სვანეთს ნაცარტუტას აადენდა, რომ შესძლებოდა. ვართ გაჩერებული ცხენებზედ უშველებელ სიცხეში და შევეჭურებთ ერთ-მანეთს. ვსთხოვეთ, რომ ერთი კაცი ყრილობაში წასულიყო, ეთხოვა, რომ სოფლად გავეშვიოთ. გაიქცა კაცი, მოგვივიდა სოფელში წასვლის ნება, გავსწიეთ. გზაზედ ყრილობას გვერდი ავუარეთ, რომელმაც ისეთის თვალთ დაგვიწყო ცქერა, რომ გეგონებოდათ, ეს-ეს არის, ჩვენი შექმა უნდაო. არც ერთმა ხმა არ გაგვცა. სოფელში ერთ მოსახლის კალოში დავისვენეთ. ჩემს ნათესავს ვსთხოვე, ცოტა რამ საჭმელი ეშოვნა. ვაი თუ ყრილობას ეწყინოსო. მითხრა. რას ამბობ-მეთქი. ყრილობა როგორ დაგიშლის, რომ მე, შენს ნათესავს საჭმელი გამიკეთო? მამ პატარა მომითმინეთო, ხელ-და-ხელ მოვაშხადებ რასმეო. ეს ამბავი გადავეცი გრიწევსკის და მე ყრილობაში წავედი, რომელიც იქვე ახლო იყო.

ჩავერთე ყრილობაში. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის სურათი, რასაც მაშინ ყრილობა წარმოადგენდა. 2000-მდე შეთოფიარალებული სვანი ერთის სურვილით იყო გამსჭვალული. ეს სურვილი იყო, ეხლავე ბრძოლის დაწყება გრიწევსკის და მის მხლებლების ამოსაწყვეტად. ყველანი ამას იძახოდნენ: ხომ არ აგვიკლდება ბრძოლა, ბარემც დავიწყეთ. რაღას ვუცდით? ნურაფერს დავიჯერებთ მაგათსას; ყასბულათი მოცოქულად გავგზავნეთ და აქამდე არ გამოუშვეს, შეიძლება, დაჭერილი ჰყავთ. ჩემ ნათესავენს ვუთხარი, რომ ყასბულათი დაჭერილი არ არის-მეთქი, ხვალ ან ზეგ მოვა-მეთქი თქვენთან. იმათ ყრილობას შეატყობინეს ჩემი ნათქვამი. მკითხეს ხელმეორედ ყასბულათის ამბავი და ისევ ის ვუთხარი. ბევრმა არ დაიჯერა. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: რადგან ჩხუბი აუცილებელია, ჩვენი ფიცი (კვირიკეზე რომ დაიფიცეს) გაუწყრეს იმას, ვინც მე არ გამომყვენ და ნაჩაღნიკი და მისი მხლებლები ეხლავე არ დაჰზოცოსო. და კიდევაც გაემართა სოფლისკენ. იმას გაჰყვენ სხვებიც, გაიარეს რამდენიმე საყენი და ამ დროს წინ უყელა ერთმა მესტიელმა და გააჩერა: მთელი ყრილობა ხომ არ წავალთ 20 კაცის დასახოცად! ყველა საზოგადოებიდგან რამდენიმე კაცი ავირჩიეთ. მივუგზავნეთ ნაჩაღნიკს. უთხრან, რომ ეხლავე უკან დაბრუნდეს და ხვალ ყასბულათი და მისი ამხანაგები გამოგზავნონ აქ, თორემ უშიშათოდ, თუ ჯარი გამოჩნდა ჩვენში, უთუოდ ჩხუბი მოგვიხდება. თუ დათანხმდეს ნაჩაღნიკი, კარგი, თუ არა და, როგორც ის, ისე მისი მალეებელი ლეჩხუმის თავადიშვილებიც დაეზოცოთო. უმეტესობა დაეთანხმა და ყველა სოფლიდგან ორ-ორი კაცი გაჰგზავნეს ამ საქმისათვის გრიწევსკისთან. ამ დროს მეც გავსწიე საჩქაროდ და წინ გავუწარა

სხვებს. გრინევსკის და თავადიშვილებს გადავეცი ეს ამბავი თავადიშვილები ძალიან შეფიქრიანდნენ; შემოეხვივნენ მაზრის უფროსს და სთხოვეს, გარემოებას დამორჩილდი, უკანვე წავიდეთო. გრინევსკიმ რევოლვერი ამოიღო და სთქვა: ექვსი სროლა არის. ექვსს მოვკლავ და მერმე თუ უნდათ, შემჭამონ! ცოცხალი უკან არ დაბრუნდებით! თქვენაო მიუბრუნდა ლეჩხუმელებს: შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ. თავადიშვილებმა უთხრეს, ჩვენ მარტო შენ ვერ დატოვებთ. რომ სვანებმა მოგვკლანო. შენთან ჩვენც უნდა დავიხოცოთ, მაგრამ ღირს კი ამაღ ჩვენი თავგანწირვაო? უჭკუობათ არ ჩამოგვართმევენ, რომ აღეღებულს ხალხს ასე ახირებულად თავი დავახოცინოთ? ნუ ინებებთ ამას, ნურც თქვენ იღუპავთ თავს და ნურც თქვენის ცოლ-შვილის ცოდვაში ჩადგებითო. თუ რამე გაკეთდება ჩვენის დახოცვით. ბატონი ბრძანდებით! გვიბრძანეთ, ჩვენ მზადა ვართ! ამ დროს ყრილობიდგან გამოგზავნილი კაცებიც მოვიდნენ. მიუთხრეს: გადაეცი, „ნაჩალნიკს“ ასეა და ასე საქმეო. მე უთხარი, რომ ნათქვამი აქვს მეთქი და ეს-ეს არის მივიღვართ. თავადიშვილების ლაპარაკმა და ამ სვანების დანახვამ ჩააფიქრა გრინევსკი და, როგორც იქმნა, დათანხმდა უკან დაბრუნებას. უცებ მოვაფრინდით ცხენებს და, მიძინვარე მხეცს რომ თავისი მსხვერპლი წაუვიდეს, ისე გავუსხლტდით ხელიდამ ჩვენც ნამდვილს სიკვდილს. წასვლის დროს ყრილობის გამოგზავნილმა კაცებმა გვითხრეს, რომ ამალამ ლატფარს გადმოღმა არსად დავმდგარიყავით, თორემ უკან კაცებს დაგადვენებთ და ღამე ამოგაწყვეტინებთო. ლეჩხუმელებს გადავეცი ეს გარემოება. გრინევსკისთვის-კი აღარ მითქვამს.

თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქეთ. როდესაც ყრილობა უკან დაგვრჩა და ჩვენ მეორედ შევეუდექით იმ ლატფარის აღმართს. რომელიც დღეს დიდის ვაი-ვაგლახით ჩამოვიარეთ. ავიარეთ ტყე და შიშველში რომ მივაწიეთ, სალამომ გვისწრო. გადავწყვიტეთ. მთის მწვერვალის ახლო, ფერდზედ დადგომა. დავეყარეთ მთელის დღის უსმელ-უჭმელნი და დაღალულნი.

აქ ერთი სასაცილო საქმე მოგვივიდა, რომელმაც მთელი ღამე შიშვი გაგვატარებინა. ის იყო დღე და ღამე იყრებოდა, ცხენებს ბარგ-უნაგირი მოვხადეთ. ცეცხლის დანთებას ვაპირებდით, რომ ერთმა თავადიშვილის მსლებელმა ბიჭმა დაიძახა: აი სად მოსულან სვანებიო! და მიგვითითა დასავლეთით მდებარე ქედისაკენ. ყველამ იმ ქედს მივაყეკეთ თვალეზი, მაგრამ ვერაფერი დავინახეთ. მიგსცვივდით ლეჩხუმელს ბიჭს, რა იცი რომ იქ სვანები იყვნენო? იმან გვითხრა: რამდენიმე კაცი გამოჩნდა ქედზედ, მაგრამ უცებ ისევ მოეფარნენო. ვსთქვით, სწორედ დაგვედევნენ უკან სვანები და გლახად

არის ჩვენი საქმეო! რა უნდა გვექნა? გზის განგრძობა შეუძლებელი იყო: ისე ბნელოდა, რომ თითს თვალთან ვერ მიიტანდნენ, ვერცხლი ცეცხლი არ დაგვენთო, არც თუთუნი მოგვეწია, გავფანტულიყავით ფერდებში და ყველას ცალკ-ცალკე მოგვენახა ბინა ბალახებში! რამდენსამე წამს შემდეგ ისე მივიმალ-მოვიმალეთ, რომ ორმა ერთი მეორეს არაფერი იცოდა მეორე დილამდე.

\*  
\*  
\*

მეორე დღეს, 19 ივლისს, ატრიადი უნდა გადმოსულიყო ლატ-ფარზე. გრინევსკი გუბერნატორს მიეგება მწვერვალზედ, ჩვენ-კი მგლისაგან დამფრთხალ ცხვრებივით თავი მოვიყარეთ და ისე მოკუცადეთ ჯარს. გრინევსკიმ. უეჭველია. გუშინდელი ჩვენი ამბავი ყველაფერი გუბერნატორს უამბო. მოაწია ატრიადმა ჩვენამდე და დაასვენა. გუბერნატორმა დაუძახა ყასბულათს და მის ამხანაგებს, უთხრა, რომ წინ წასულიყვნენ ყრილობასთან. ამასთანავე დაარჩია, რომ ყრილობა, რაც შეიძლება, დაემშვიდებინა; დაერწმუნებინა, რომ მიწების დაბეგვრა ტყუილია, რომ ჯარი იმიტომ კი არ მოდის, ჩხუბი მოახდინოს სვანებთან. ერთს საათს უკან სვანებს ასი გურული უკან გააყოლეს. ატრიადს ხიფათი არა შეემთხვეს-რა გზაზედ სვანებისაგანაო. ატრიადი ამ დამეს უნდა დამდგარიყო ბანაკად მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, სახელდობრ მინდორ „სკ-დ-ლში“. ეს მინდორი ლალხორს, სადაც სვანების ყრილობა იდგა, ნახევარ ვერსით თუ შორავდა. ატრიადმა დაღამებისას მიაღწია თავის ბინას. მაშინვე ორს ზიდზე და ატრიადის ირგვლივ ყარაულები დააყენეს.

მეორე დღეს, 20 ივლისს, მოციქულობა გაიმართა ყრილობასა და გუბერნატორსა შუა. მოციქულად სვანებმა სხვათა შორის ამოირჩიეს თ. ფარნავაზ გელოვანი, კაცი მოხუცი, ჭკვიანი და გავლენიანი. ამ მოციქულობამ გასტანა ორს დღეს, 20 და 21. ახალი და შესანიშნავი აქ არა თქმულა-რა, რაც ზემოთ არ ვიცით. მხოლოდ სვანებმც გულუბრყვილო ლაპარაკი-კი ღიმილს მოჰკვირიდა ადამიანს. მაგალითად, როდესაც გუბერნატორი შეუთვლიდა მოციქულების პირით, რომ მთავრობას სიკეთის მეტი არაფერი უქნია სვანეთისათვის, რომ მადლობელნი უნდა იყვნენ იმისიო, სვანები თავის მხრით უთვლიდნენ, რომ ჩვენ არავისი შეწუხება და სამადური არ გვინდა და კარგს ინებებს მთავრობა, სვანეთს ისევე თავისთვის დატოვებდეს და როგორც აქამდე უცხოვრია სხვის უშემწეოდ, ისე აწი იცხოვრებსო, რომ სვანები სრულიადაც არ შეხვეწნიან მთავრობას — მადლი ქენი და შენს მფარველობას ქვეშ მიგვიღეო და სხვა და სხვანი. შედეგა

მორციქულობისა ის იყო, რომ ხალხი დაარწმუნდა, მიწებს ბეგარას ანა-  
ვინ ადებსო, და ატრიადს გზა მისცა ბეჩომდე.

22 ატრიადი კალიდამ ბეჩოს გაემართა. იმ ღამეს მესტიის სახლ-  
გადობაში დარჩა, 23 ბეჩოს მივიდა. ორის დღის შემდეგ აქვე  
მოვიდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ყაბარდოელების მილიცია. აქ გუ-  
ბერნატორი შეუდგა გამოძიებას: ვინ გაავრცელა სვანებში ის ხმა,  
რომ ვითომ მთავრობა მიწებს ბეგარას ადებს, და ვინ იყვიენ აჯან-  
ყების მოთავენიო? პირველის საგნის შესახებ გამოძიებამ ვერაფერი  
ნამდვილი ვერ შეიტყო; რაც შეეხება მეორეს — აჯანყების მოთავე-  
თა, ამის შესახებ ადგილობრივ პოლიციამ წარუდგინა 16 კაცის სია.  
თუმცა, როგორც ნამდვილად ვიცით, ამ 16 კაცში ისეთებიც ერივ-  
ნენ, რომელთაც არაფერია მოთავეობა აჯანყებაში არ მიუღიათ. მაგ-  
რამ, სამწუხაროდ, ადმინისტრაციამ მაინც დაუჯერა პოლიციას და  
ერწმუნა მის მიერ შედგენილ სიას. ასამდე მოწამე იყო ნაკითხი  
მოთავეების შესახებ და ყველამ ერთი და იგივე ჩვენება მისცეს:  
მართო ერთი და ორი, ან მეტიც მოთავე არავინ ყოფილა, ყველანი  
ერთნაირ მონაწილეობას ვიღებდით ამ საქმეშიო, ამბობდნენ ჩვენე-  
ბის დროს სვანები. მთავრობა, რასაკვირველია, იმათ სახავდა მოთა-  
ვეებად, ვინც ყრილობაში სიტყვას ამბობდა, ისე თუ ასე რჩევას იძ-  
ლეოდა. განკარგულებას ახდენდა; ხალხი კი ფიქრობდა, რომ თუ  
ეს კაცები ამას სჩადიოდნენ, იმიტომ-რომ ყრილობა სთხოვდა და მა-  
შასადამე აქ დამნაშავე თუ არის, ისევ მთელი ყრილობა და არა  
კერძო კაცებიო. რომ პოლიციას მოთავეთა სიაში მართალი კაცები  
ჩაეტანა, ამის მაგალითი ბიტი იოსელიანი იყო. ყრილობა რომ კა-  
მანდას არ დაეცა, ერთ ნახევრად მაგ იოსელიანის წყალობით, და  
დამნაშავის სიაში კი ისიც აღმოჩნდა, რადგან იმ პოლიციის ესაუღს,  
რომლის სიტყვითაც ბოქაულს სია შეედგინა, მტრობა ჰქონდა იოსე-  
ლიანთან. ყველა ნაკითხი მოწამე სვანი გაკვირვებული იყო, როდესაც  
იოსელიანს მოთავეთა სიაში ჰხედავდნენ. რას ამბობთ? ჰკვირობდნენ  
იგინი: ბიტომ კინალამ თავი შეგვაკლა, როდესაც კამანდის თავს და-  
სასხმელად მივდიოდით, და ის როგორ იქნებოდა მოთავე. ასე იყო  
საქმე, მაგრამ იოსელიანი მაინც წაიყვანეს ქუთაისის ნაობაწში, სა-  
დაც, ვგონებ, ერთის თთვის შემდეგ ჯავრისა გამო სული დალია.

გამოძიებამ 24—27-მდე გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ხალხი  
თავ-თავიანთ სახლებში დაიშალა. ყველა დაარწმუნდა, რომ მიწას ბე-  
გარას არავინ ადებსო, და ამრიგად აჯანყების საბუთიც თავის თავად  
გაჰქრა. ხალხი დამშვიდებული იყო თავისთვის. გამოძიებამ კი, რო-  
გორც ნათქვამია, 16 კაცს ჩაჰკიდა ხელი. 27 ეს თექვსმეტი კაცი და-  
ბარებული იყო გუბერნატორთან. ამათში 4 არ გამოცხადებულა: ერ-

თი ლატალელი, ერთი მულახელი და ორიც ხალდეშელი, როგორც 12 სიაში დანიშნული კაცი გუბერნატორთან გამოცხადდა, უკანასკნელმა მოკლე სიტყვით განუმარტა, თუ რა დიდი წინააღმდეგობის კანონის შეხედულობით აჯანყება, რომ იცოდეთ, თუ როგორ სავსეტიკად უყურებს კანონი აჯანყებას, მაშინ არ გაეოლოთ მაგ საქმეში, მაგრამ თქვენ ისე სასტიკად არ მოგვეყრობით, რადგანაც არ იცით, თუ რა დიდს და მძიმე დანაშაულობას ჩადიხართ. ესლა თქვენ უნდა წამოხვიდეთ ჩვენთან ქუთაისს: მე მოვასხენებ ნამესტნიკს თქვენს გარემოებას და იმედი მაქვს, რომ ნამესტნიკი თქვენს უმეცრებას და მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევს და სასჯელს შეგიმსუბუქებს. ყასბულათმა მიუგო, რომ იგინი თავისის შეხედულობით არაფერში დამნაშავენი არ არიან; იმას დიდი იმედი აქვს, რომ რუსის კანონი სამართლიანია და არ ჰფიქრობს, რომ ნამესტნიკმა იგინი დასაჯოს. თუ მაინც და მაინც ქუთაისს წასვლა საჭიროა, მე უარს არ ვიტყვი ჩემდა-თავად. რადგანაც მართალი მგონია ჩემი თავი და მართალს რად უნდა მეშინოდეს დასჯისა.

სხვანაირად მიიღეს დანარჩენებმა გუბერნატორის წინადადება. ქუთაისს წასვლაზედ ყველამ უარი სთქვეს. გუბერნატორმა აუხსნა, რომ წაუსვლელობა არ შეიძლებაო. იმედი მაქვსო, რომ თქვენ ამის უარს არ იტყვით, რომ ამ თქვენმა უარმა უბედურება არაფერი გამოიწვიოს ატრიადსა და სვანებს შუაო. სთხოვა ცალკე გასულიყვნენ და მოეფიქრათ. 12 კაცი ცალკე გავიდა. იმდენი ელაპარაკა ყასბულათი, რომ ყველანი დაითანხმა, რაიცა გუბერნატორმა სიამოვნებით მიიღო. დანარჩენ ოთხ კაცის შესახებ გრინევსკი თხოულობდა დაეძარებინათ ხელ-მეორედ და, თუ არ გამოცხადდებოდნენ ნებით, ჯარი გაეგზავნათ. მაგრამ გუბერნატორი არ დათანხმდა. რადგან ეს ოთხი კაცი იმ სოფელში ცხოვრობდნენ, რომელსაც ატრიადი უკან დაბრუნების დროს გზად გაუვლიდა, ამისთვის, მისის ფიქრით, იმ დროს ჩაიგდებდნენ იმათ ხელში, ნებით იქნებოდა. თუ უნებურად.

30-ს ივლისს ატრიადი ბეჩოდამ გამობრუნდა უკან. საათ ნახევარ სიარულის შემდეგ ლატალს მივიდა, დადგა იმ მოსახლისას მოშორებით. საიდგანაც ერთი კაცი უნდა გამოეყვანა, როგორც მოთავედ ჩაწერილი 16-თა სიაში. ეს მოსახლე ძლიერ შეძლებული იყო. სამი ქვიტკირის სახლი, ერთი კოშკი, კალო-საბძელი და სხვა წვრილმანი შენობანი ისე ეჩვენებოდა კაცს შორიდან, რომ აქ ერთი მოსახლე-კი არა და 5—6 უნდა სცხოვრობდესო. ეს მოსახლე სოფელზე მოშორებული იყო; ყანა-სათიბები გარს ერტყა, რაც სანატრელად მიაჩნდათ სვანეთში. გუბერნატორმა სოფლის მოხელეები გაუგზავნა ამ სვანს. გამოცხადებულყო მასთან; სვანი არ გამოვიდა; შემდეგ



გაგზავნა ბოქაული, ადგილობრივი მღვდელი, მაგრამ გამოხვლას არაფერი გაეწყო. როდესაც სვანს უთხრეს, რომ ნებით გამოდი, თორემ ძალას მოგაყენებენო, იგი ავიდა თავის კოშკში და თოფის სროლა დაუწყო ატრიადს. ორიოდვე ჯარისკაცი კიდეც დასჭრა. ამ ამბავმა გააბრაზა გენერალი ციტოვიჩი და გუბერნატორს უსაყვედურა, რომ ნებას არ მამძღვე ძალა ვიხმარო და ჯარი შემოვარტყა დამნაშავეის სახლ-კარსაო. გუბერნატორი მართლაც ძლიერ სცდილობდა მშვიდობიანად გაეთავებინა საქმე, მაგრამ ჰხედავდა, რომ ეს ცდა ამოი იყო. მთელი ატრიადი აგერ დილიდამ ნაშუაღამევეის სამს საათამდე გზაში ყურყუტობს ფეხზე გაჩერებული. დაეთანხმა გენერალს, გაეშვა გურულების სოტნა, და ცდილიყვენენ როგორმე უხიფათოდ გამოეყვანათ ჭიუტი ლატალელი კოშკიდან. შველებივით გახტნენ გურულები და ყიყინით შემოერტყნენ კოშკში დამწყვედულის სახლ-კარს. ლატალელმა თოფის სროლა დაახშირა. რვა კაცი დასჭრა სუბუქად. გურულები კოშკისა და სხვა შენობების კედლებს ამოეფარნენ ისე, რომ კოშკიდგან თოფის მორტყმა მოსახერხებელი აღარ იყო. დაუწყეს სვანს ჯერ რჩევა, მერე თოფის სროლა მაგრამ ის — მაინც თავისაზე იდგა. ბოლოს გურულებმა ცეცხლი მისცეს სახლებს და სხვა შენობებს, რომელთ შუაში ამართული იყო კოშკი. სახლებში იმ დროს სათიბებიდგან თივა შეტანილი იყო. ცეცხლი პირველად თივას მოუკიდეს, საიდანაც გადაედვა სხვა შენობებსაც. კოშკი შუაში მოექცა კომლსა და ალს და შიგ მყოფი ლატალელი იმ მდგომარეობაში ჩავარდა, როგორშიაც არის ხოლმე სოროში შეჭწყვედული კვერნა, რომელსაც შესავალიდამ კომლს უბოლავენ, რომ გამოვარდეს სოროდამ. როგორც შემდეგ თითონ გვიამბო, კოშკი პირველად კომლით გამოტენილიყო და მერე, როდესაც ცეცხლი გაძლიერდა და მისი ალი კოშკის კედლებს სცემდა, ისე გახურებულ იყო, რომ შიგ გაჩერება შეუძლებელი გახდა. რა-კი გახურებულ კოშკში ვერ გასძლო, ლატალელი გამოვიდა თავის ნებით და მივიდა გუბერნატორთან. კომლ-ცეცხლისაგან სულ გარუჯული საცოდავი შესახედავი იყო. გუბერნატორს, როგორც სჩანდა, ეცოდებოდა და დატოვება უნდოდა მისი სვანეთში. მაგას სასჯელად ისიც ეყოფა, რომ სახლ-კარი დაეწვა, რომლისთვისაც გუბერნატორი სწუხდა. მაგრამ მისცვივდა ადგილობრივი პოლიცია და მოახსენა, რომ ამისი წაუყვანელობა არ ვარგა; თუ ეს აქ დასტოვეთ, გადავა თუ არა ატრიადი სვანეთიდგან, მაშინვე ჩვენ მოგვკლავსო და სხვა და სხვა. დაითანხმეს გუბერნატორი. ეს ლატალელიც ატრიადმა წამოიყვანა.

ზევით ნათქვამია, რომ სამი კაცი, ერთი მულახელი და ორი ხალდეშელი, კიდეც უნდა დაეჭირა გუბერნატორს. მაგრამ ნებით იგინი

არ გამოცხადდენ და ჯარის მიყვანაზედ იმათთან გუბერნატორი არ დათანხმდა, თუმცა გრინევსკიმ ბევრი სთხოვა. ამ სამის კაცის დეკრეტი მან მიიღო გრინევსკის და ადგილობრივს პოლიციის, რეზერვების შემთხვევა მიეცემოდათ. 2 აგვისტოს ატრიალმა გადამწყვეტილი ფარზედ და თან წამოიყვანა 13 შენიშნული სვანი. ყველა ამით მთავრობამ საპატიმრო გადაუწყვიტა. ზოგს რამდენიმე თთვე და ზოგს—წელიწადი. ქუთაისის საპატიმროში ტუსაღები ავად გახდნენ; ვისაც მარტო რამდენიმე თთვე ჰქონდათ გადაწყვეტილი ლილაში წამოიყვანეს, რადგან ავადმყოფობდნენ. ვინც ქუთაისში დარჩნენ, ისინი ყველანი დაიხოცნენ. ამით რიცხვში იყო ყასბულათი და ლატალი გინადრუყვ გირგვლიანიც.

## II

ვიდრე ხალდეში მომხდარ კატასტროფისას ვიტყვოდე რასმე, საჭიროდ მიმაჩნია აწვერო თვით სოფელი ხალდე, რომელიც 1876 წ. აგვისტოს 27-ს ატრიალმა მიწასთან გაასწორა.

კალის საზოგადოებაში (თავისუფალს სვანეთშია) სოფ. ხალდე თავისის გარეგანის სილამაზით ყველა დანარჩენ სოფლებზედ მაღლა იდგა. ვისაც აქ პირველად ცხოვრება მოუსახრებია, უეჭველად გაჭირებას გამოჰქცევია. ქართული თქმა „მიჰკვრიხ თავის ადგილს, როგორც ჩიტის ბუდეო“. სწორედ ხალდეზეა ზედ გამოჭრილი. სოფელი გაშენებული იყო კავკასიის დიდ ქედიდგან განზიდულ ტოტის ფერდობზედ. მაღლიდგან სოფელს დაჰყურებს რამდენიმე ცხვირა კლდე-გორაკი. ურომლისოდაც აქ სოფლის მოთავსება შეუძლებელი იქნებოდა: ეს კლდე-გორაკები უშლის თოვლს ზამთრობით ზევად ჩამოწოლას ფერდობიდგან და სოფლის წალეკას.

აღმოსავლეთით სოფელს მოკრული აქვს კლდიანი ფერდობი. ამ კლდეში გაყვანილია სათივე და სასაძოვრე გზა. გზის სივიწროვის გამო იშვიათი წელიწადი იქნება, რომ აქედგან რამდენიმე პირუტყვი და ხანდახან კაციც 15 საყენის ღამალღე ხრამში არ გადაიჩხოს. მაგარ კლდის წყალობით ხალხმა გზას გაფართოება ვერ მოუხერხა. ერთ ხალხურ სიმღერაში ეს გზა თავის სივიწროვის გამო ირონიულად „გოჭიან ნეზვის“ საწოლად (ლუგვეკ ნეზვიმ ლალყურა) არის ნახსენები.

დასავლეთით ფერდობიანი ყანებია. 4—6 საყენს რომ გასცილდებით სოფლიდგან დასავლეთით, მაშინვე იწყება საზეავო ადგილი. არა ერთი ხალდეშელი უმსხვერპლია აქ ზეავს.

სამხრეთით სოფელს ჩამოუდის მდ. „ხალდეს ჭალა“, რომელიც ენგურს ერთვის მარჯვნივ. მდინარეზედ ხალდეშელებს ისეთი მადალი და საშიშარი ხიდი აქვთ გადებული, რომ მოგზაურებმა დაჯიბის ხიდი“ დაარქვეს (ЧЕРТОВ МОСТ).

დანგრევამდე აქ 19 მოსახლე სცხოვრობდა. ყოველ მოსახლეს 1—2 ქვითკირის ორსართულიანი სახლი ედგა და ამდენივე კოშკი. ხალდეშელები ამაყი, მარდი და ჯაფის ამტანი იყვნენ. ტანადობით, თამაშ-ლხინით, სიმღერა-ფერხულით მთელს სვანეთში ტოლი არ ჰყავდათ. მთელს სოფელში ოთხი გვარეულობა მოსახლობდა: გასიანი, ჯოხაძე, ქოჩქიანი და ჩოფლიანი.

ხალდეს მოოხრება პირდაპირი შედეგი იყო წინა წლის სვანების აჯანყებისა. როგორც ზემოთაც არის ნახსენები, 1875 წლის მეამბოხეთა შორის ორი ხალდეშელი მოხვდა, რომელთ დაპატიმრება ადგილობრივი ადმინისტრაციას ჰქონდა მინდობილი. შეეცადა თუ არა ადგილობრივი ადმინისტრაცია გუბერნიის მთავრობის მინდობილობის ასრულებას, ამაზედ არაფერს ვიტყვი. ასე იყო, თუ ისე, 1876 წ. ივლისში გრინევსკი სვანეთს მოვიდა და როდესაც მოისმინა სვანეთის პოლიციისაგან, რომ დამნაშავე ორი ხალდეშელი ჩვენი ვერ დავატუსაღეთო, გრინევსკიმ გადასწყვიტა კარგის ხნის თვისი სურვილი საქმედ ექცია, ე. ი. კამანდა წაეყვანა ხალდეს. ცხადია, ამისი ნება გრინევსკის აღებული ექმნებოდა, ვისგანაც ჯერ არს.

აქ უადგილოდ არ მიმაჩნია ორიოდ სიტყვა ვსთქვა განსვენებულ გრინევსკის შესახებ. ეს კაცი ავადმყოფი იყო და ამითი აიხსნება მისი მეტის-მეტი სიფიცხე. უბრალო შემთხვევა საკმაო იყო, რომ განსვენებული თავ-დავიწყებამდე მისულიყო. ლეჩხუმის მაზრაში, რომლის უფროსიც ის იყო, გლეხ-კაცობის მხარე ეჭირა, თვალსაჩინოდ ექომაგებოდა მებატონეების წინაშე. ამის გამო გლეხობას მოსწონდა და თავად-აზნაურობა ემდურდა. ამით გრინევსკის დაჩაგრულ ხალხის მოყვარეთა თვალში თუ რამე ემატებოდა, თორემ არაფერი აკლდებოდა. სულ სხვანაირად ეჭირა ამ ლეჩხუმის გლეხ-კაცობის მექომავეს თავი სვანების შესახებ. „თავისუფალ“ სვანეთის და სვანების ხსენება ბრაზებს ჰგვრიდა ხოლმე. მოთმინებიდან გამოჰყავდა სვანის პირდაპირ, ამაყ და უშიშარ სიტყვა-პასუხს. როგორ მიბედავს ასე გაბედულად და უზრდელად ლაპარაკსაო? იტყოდა ხოლმე გაანჩხლებით: როგორ არ იცის ამ ველურმა კაცმა, რომ მე უფროსი ვარ და ისე უნდა ეჭიროს თავი ჩემთან, როგორც მორჩილ მონასაო? სოფლის მოხელეებს ხომ ილაჯი ჰქონდათ მისგან გაწყვეტილი! ხალხი ამათ არას უგონებდა და გრინევსკი კი მაინც და მაინც თხოულობდა, რომ მისი ბრძანება შეესრულებინათ. მოხე-

ლევბისაგან გაგონება იმისი, რომ ვერ შევასრულეთ თქვენი ესა და ეს ბრძანებაო, ხალხმა არ გაგვიგონაო, სიკვდილი იყო გრინევესკისათვის. გრინევესკი მზად იყო მაშინ მოხელეები კბილმთხვევლად ყველანი ციმბირში დაეკარგა. ამგვარის ფიცხის ხანის წყევლის ბით სვანებმა შეძულეს და არა ერთხელ გამიგონია, რომ ეს ნაჩალიკი „სვანების წერააო“. განსვენებული გრინევესკი რომ ასე სასტიკი არ ყოფილიყო, დღეს შეიძლება ისიც ცოცხალი ყოფილიყო და ხალდეც მოუოხრებელ-დაუნგრეველი.

ახლა განვაგრძოთ ისევ ჩვენი ამბავი.

ბეჩოდამ გამოსული გრინევესკი კამანდით და კამანდირ ლეუსითურთ პირველად მულახს მოვიდნენ. აქაც ერთი კაცი იყო დასაჭერი. რაკი ის ვერ ჩაიგდეს ხელში, მის მაგიერად გრინევესკიმ ორი მისი შვილი დაატუსაღა და წამოიყვანა კალას. ეს იყო 31-ს ივლისს. გრინევესკისა და ხალდეშლებ შუა მოციქულობა გაიმართა. გრინევესკი სთხოვდა სოფელს, ორი დამნაშავე, გურმაჩ გასვიანი და ჩარგას ჯოხაძე, წარმომადგინეთო. სოფელმა ამაზე უარი შეუთვალა: თუ დაიჭერ თითონ, ჩვენ ქომაგობას არ გავუწევთ დამნაშავეებს, ჩვენის ხელით-კი დაჭერილს ვერ მოგიყვანთო. მაშინ გრინევესკიმ ითხოვა, სოფელი გამოცხადდეს ჩემთანაო. სოფელი არც ამაზედ დასთანხმდა: მულახში მამის მაგიერ მისი შვილები დაიჭირე, ჩვენც ორის ჩვენის სოფელის მაგიერ დაგვიჭერო და ვერ გენდობითო.

ამ ყოფაში იყო საქმე, როდესაც მეც მივედი კამანდის ბანაკში. მე კერძო საქმე მქონდა კამანდის ეჭიმთან. გრინევესკის ერთის მხრით ეამა ჩემი ნახვა და მთხოვა, ხალდეში მოციქულად წადიო. ხალდეში მე მკვიდრი ნათესავები მყავდა და ესეც რომ არ ყოფილიყო, რაკი ვხედავდი, საქმე ცუდად მიდიოდა, უარი არ მითქვამს: სოფელს ან ორი დამნაშავე უნდა მოეყვანა მასთან, ან არა-და, თვითონ გამოცხადებულიყო. წაიყვანე ერთი კაცი და მივედი ხალდეს. სოფელი ნახევრად თავმოყრილი დამხვდა. ყველანი აღელვებული იყვნენ. ბევრ მოსახლეს ცოლშვილი კიდევ გაეხიზნა მთაში, რადგან კამანდის მოსვლას ელოდებოდნენ. შეგვკრიბე მთელი სოფელი და ბევრი ვურჩიე, მთავრობას ურჩობას ნუ გაუწევთ, თორემ ცუდად წავა-მეთქი თქვენი საქმე. სოფელმა მომიგო, რომ ჩვენ არაფერ შუაში არა ვართო. ორი კაცია ვითომ იმათში დამნაშავე, აგერ არიან და დაიჭიროსო. მივუბრუნდი იმ ორ კაცს და ვსთხოვე, სოფელს ნუ ჩააგდებთ უბედურებაში. წადით გრინევესკისთან მეთქი, მაგრამ ჩემმა თხოვნამ არ გასჭრა. ვინც შარშან ქუთაისს წაიყვანეს, მომიგეს იმათ, ყველანი ნავბაზში დაიხოცნენ, ჩვენც მეტი არაფერი მოგველის იქ; იქ სიკვდილის-კი აქ სიკვდილი გვირჩევნია. სოფელს რას ერჩის ნაჩალიკი?

ჩვენ ეხლავე გავალთ სოფლიდგანაო და სხვა და სხვა. ისევ ჩემ ნათესავეებში დავტრიალდი და ვსთხოვე წამოსულიყვენ გრინევსკისთან. როგორც იქმნა, დავიყოლიე. იმათ დანარჩენებს ურჩიებდა ნაირად სოფელი დავითანხმე წამოსასვლელად იმ პირობით, რომ ჩვენ გავჩერდებით კამანდიდამ ერთის ვერსის სიშორით და გრინევსკი შენის თან წამოყოლით მოვიდეს ჩვენთანაო. თუ გრინევსკის კამანდა გამოჰყვა, მაშინ იცოდე, რომ ჩვენ უკან დავბრუნდებითო.

ძიხაროდა რომ საქმე ამნაირად მოვახერხე, გავუძელი წინ სოფელს და დანიშნულ ალაგას დავტოვე; მე-კი საჩქაროდ გავსწიე გრინევსკისთან. გრინევსკი აღელვებული დამხვდა და ჩემს ლაპარაკს ნახევრად ყურს არ უგდებდა. აქ ხალდეს ისე მოუვიდა, როგორც კოზაკს აქლემების წაყიდებით. ჩემს ხალდეში ყოფნის დროს გრინევსკის და კამანდირ ლეუსს სადილობის დროს უსიამოვნობა მოსვლოდათ სიტყვიერად. როგორც ექიმ ბელსკიმ მიაძმო, ლეუსი თურმე უკადრისობდა, რომ იგი თავის კამანდით მაზრის უფროსის განკარგულებაში იყო. თუ საქმისთვის მოვსულვართ, ბარემც წავიდეთ ხალდეს, თორემ რას მიქვია ამდენის ხნის ყურყუტი კალაშიო. ავდგები და კამანდას ბეჩოს წავიყვანო! უთხრა თურმე ლეუსმა გრინევსკის. ამაზედ გრინევსკიმ მიუგო, რომ ნება მაქვს საჭიროების მიხედვით მოვიხმარო კამანდა და მისი კამანდირიცაო. აი ეს გამხდარიყო მიზეზი გრინევსკისა და მაიორ ლეუსის შუა მომხდარ უსიამოვნებისა. ნასადილევს გრინევსკი და მაიორი ლეუსი ერთი მეორის ჯიბრზედ ეშურებოდნენ ცხენების შეკაზმვას, თითქო საქმე სულ იმაში იყო, აბა რომელი გავასწრებთო! ამ ფაცა-ფუცში რომ არის გრინევსკი, მე ისევ ჩემსას ვეუბნები: სოფლის ნახვა გინდოდათ, მოგიყვანეთ, ასე მუქარით კამანდის წაყვანა არ ივარგებს-მეთქი.

— დამნაშავენი არ მომიყვანა სოფელმა? დაიძახა გრინევსკი. მე თითონ მივალ და სოფელს მტვრად ვაქცევო. ამას მეუბნება ჩემის სიტყვების პასუხად, თვალები-კი ისევ ლეუსისკენა აქვს.

— თუ კამანდით წასვლას არ იშლით, მე უნდა გამოგიტყდეთ, რომ ხალდეში სისხლის ღვრა მოხდება, ვუთხარი გრინევსკის.

— თქვენ ნუ შეწუხდებით მაგაზედ; გაჯავრებით მითხრა განსვენებულმა. ვნახავთ, რაც იქნება! მეც კაცი ვარ, ცოლ-შვილის პატრონი! მომეწყინა ამდენი გზაზედ თრევა ხალდეშელ ძ...ისათვის. მივალ და ისეთ საქმეს დავმართებ სოფელს, რომ სხვა სვანებმაც ჭკუა ისწავლონ!

ვატყობდი, ჩემი არავის არა ესმოდა-რა და მოვსცილდი ჩემთვის. მაგრამ გულმა ველარ მომითმინა და იმ ხანად დანიშნულ სვანების ბოქაულ თ. კ. მიქელაძესთან მივედი. ვსთხოვე გარეულოყო ამ საქ-

მეში, გაეჩერებია გრინევსკი და კამანდა, თორემ ნაძღველად უგედურება მოხდება-მეთქი. როგორც მითხრა, მიქელაძეც წინააღმდეგი იყო კამანდის წაყვანისა ხალდეში, მაგრამ ვერაფერი გვეწვეოდა გრინევსკი და ლეუსი წაკიდებულნი არიან და, ერთს რომ დავიყოლებ-მეორე იმის ჯინზე წინააღმდეგია. ვსცადოთ კიდევ, მივიღეთ გრინევსკისთანაო. მივედით.

— მე ვტვირთულობ იმ ორ ხალდეშლის დაჭერას ერთის კვირის განმავლობაში, ოღონდ კამანდას ნუ წაიყვანთ, უთხრა მიქელაძემ.

— თქვენ რომ მხდალი იყოთ, ყველა ხომ მხდალი არ ვიქნებით! შევიძლიანთ თქვენ არ წამოხვიდეთ ხალდეში, უბასუხა გაჯავრებულმა გრინევსკიმ. მიქელაძეს ლახვარივით ეცა ეს პასუხი გრინევსკისა. უბრძანა ესაუღოს, ეხლავე ცხენი მომიყვანეო. ამ დროს ლეუსიცხენზედ შეჯდა და კამანდას წასვლა უბრძანა. გრინევსკიმ რომ ამას შეხედა, ისიც უცებ შეჯდა ცხენზედ და გასწია. მას გაჰყვნენ: მიქელაძე, ექიმი თარჯიმანი, მამასახლისი და ასათიანი.

\*

\* \*

ხალდეშლებმა რომ თავისაკენ მიმავალი კამანდა დაინახეს, იბრუნეს პირი და საჩქაროდ სოფლად გასწიეს. მაშინვე თავდარიგი იხმარეს ცოლშვილის გახიზნისათვის სოფლიდგან. ახალგაზრდები კოშკებში ჩასხდნენ და უფროსები-კი შუა სოფელში მოგროვდნენ. ამ უკანასკნელებს მოელაპარაკათ, რომ თუ კამანდამ შემოსვლისთანავე ჩხუბი არ ასტეხოს, თავაზიანად მივიღოთ ყველაო. სოფლად მისვლა გრინევსკიმა და მისმა მსლებლებმა მისაწერეს სხვებს. მოხუცი იღებენ მაზრის უფროსს და სთხოვენ, უბედურებას ნურაფერს მოახდენთო. ამაღამ თქვენ და მთელს კამანდას ვახშამს მოგართმევთ და ხვალ რაც გენებებათ, იმას ავასრულებთო. გრინევსკიც დამშვიდდა. ამ დროს კამანდის თავმა, რომელსაც წინ უძღვის ლეუსი, სოფლის პირად მოაწია. ზედ სოფელში, შესავალთან, გზაზედ, ერთი მეორის პირდაპირ, ორი კოშკი იდგა. შუაში გზა გაუდიოდა. ლეუსმა აქ მოაწია. კოშკში ყმაწვილები არიან და ფანჯრიდგან იხედებიან: აბა შეეხედოთ, რა კაცია ეს მაიორიო. საუბედუროდ ამ დროს ყმაწვილებმა ქვის კენჭები გადმოყარეს. კენჭები ლეუსს დაეყარა თავ-ბეჭებზედ. როგორ თუ ეგენი კოშკებში შესულანო, სთქვა თურმე ლეუსმა და ვაბრაზდა. ამ დროს მოეგება ორი ხალდეშელი მისაღებად. ლეუსმა სალდათებს უბრძანა, ხიშტებზედ ააგეთ ორივენიო. თითო ხალდეშელს ოთხ-ოთხი სალდათი მიუჩინა. ერთი უცბად ააგეს ხიშტზედ, მეორე-კი გაიქცა. გამოეკიდა ოთხი სალდათი; შეატყო, რომ ეს-ესაა:

შკლავენო, იზიშვლა ხანჯალი, სამი სალდათი მოჰკლა და მეოთხე-მე-  
თვით ის მოჰკლა. ამ ამბავს კომეებიდგან უყურებდნენ. ლეუსი  
იქვე კომეტან მოიკლა თოფით. გამოვარდა მეორე თოფი, მიქელაძეს  
მოხვდა კისერში და ტყვია პირში გამოვარდა. კალის მამასხლისი  
გრინევსკის აეფარა, ეგებ მაპატიონო, მაგრამ გრინევსკის მაგიერ იმას  
მოხვდა თოფი და იქვე სული გააცხებინეს. ამასობაში გრინევსკი და  
მისი ამხანაგები ხან ერთ სახლის კედელს ამოეფარებინან, ხან მეო-  
რეს, რომ ტყვია აიცილონ. კამანდაც სოფლის ქვემოთ შენობებს  
მიეფარა დაწოლილი, სადაც კომეებიდგან ტყვია არ მოხვდებოდა.  
ამასობაში კიდევ დაღამდა.

მოკლულ ხალდეშელების ჭირისუფლებმა გრინევსკის და მის  
ამხანაგებს დაუწყეს ძებნა. ნახეს ერთ სახლში და დაჰბოცეს, გარ-  
და თარჯიმანის ბ-სი, რომელიც ერთმა ხალდეშელმა თავის კომეში  
დაჰმალა სიკვდლის ასაცილებლად<sup>1</sup>. ბნელი ღამეა. მიმალულმა კა-  
მანდამ ისარგებლა ამითი და ღამევე მივიდა თავისს ბინაზედ. მეორე  
დღეს დახოცილები: გრინევსკი, ლეუსი, მიქელაძე, ექიმი ბელსი და  
ასათიანი საზოგადო საფლავში დაჰკრძალეს. გახიზნული ცოლშვილი  
ხალდეშლებმა თავიანთ ნათესავეებში დაჰფანტეს; კაცები და ორი  
ქალი სოფლად დარჩნენ და დაიწყეს სარჩოს მომზადება-შენახვა.  
ტყვია-წამლის კეთება. ერთი სიტყვით, დამარავდნენ სოფლად.

1 ავგისტოდამ დაწყებული 7-მდე ამ მდგომარეობაში დარჩა  
ხალდე. 7-ს ქუთაისის მაზრის უფროსი და გურულების დრუჟინა  
მოვიდა კალას. ბეჩოს კამანდა შინ გაისტუმრეს. მოიწვიეს სვანე-  
ბის მილიცია. 19-ს გენერალ ციტოვიჩმა ატრიადი და კახელების  
დრუჟინა მოიყვანა. 20-ს ყველა ჯარები ბანაკად დადგა ადგილ „მიჯ-  
რიშს“, საიდგანაც ხალდე ხელის გულივით სჩანდა.

21-ს არტილერიამ სამთო ზარბაზნებიდგან სროლა დაუწყო კომ-  
ეებს; 6—20-მდე ზარბაზანი ესროლეს ერთს კომეს, მაგრამ ვერა-  
ფერი დააკლეს. 22 მიუახლოვდნენ სოფელს ზარბაზნების სასრო-  
ლად. გააკეთეს თხრილი, სხვა-და-სხვა საფრები. ამ თხრილიდგან ერ-  
თის მეტი ზარბაზანი არ გავარდნილა, რადგან პირველ სროლის გა-  
თავებისავე ხალდეშელმა კომეიდგან გამოსროლილის თოფით მეზარ-  
ბაზნე დასჭრა. ამ დღიდგან ზარბაზანი აღარ უხმარიათ. 23 სოფელს  
ჯარი შემოარტყეს მოშორებით. სამხრეთით და დასავლეთით სალდა-  
თების ჯარი იდგა, აღმოსავლეთით კახელების დრუჟინა, ჩრდილოე-

<sup>1</sup> ამ კაი კაცმა ჩვენებაში თავის მფარველზედ სთქვა თურმე, რომ მოსაკლა-  
ვად შემამწყვდია კომეში. ამ ჩვენების ძალით, ხალდეშელს სასამართლომ სიკვ-  
დილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ კატორგით შეუტყველეს.

თით გურულები. 25 სამხედრო თათბირი იყო. თათბირმა გადასწყვიტა, ჯარი იმ ღამეს სოფელში შესულიყო. საათის 11—12-ზედ რუსის ჯარმა დასავლეთით „ურა“-ს ძახილით შეუტია ქოფეფს დაქდროს კახელების დრუჟინა აღმოსავლეთით ჩუმაღს მიმართდა. სოფლად. დრუჟინის სოფლად შესვლა და ხალდეშლების გასვლა იქიდან ერთ დროს მოხდა: ხალდეშლებსაც იმ ღამეს გადაეწყვიტათ, სოფლიდან გავიდეთო, რადგან ხანგრძლივის დამწყვედვისა შეშინებოდათ. ამნაირად ერთის მხრით დრუჟინა შევიდა სოფლად და მეორეს მხრით სოფელში გავიდნენ იქიდან. ამათ გვერდი გაუარეს რუსის ჯარს შეუძინებლად. დრუჟინა ღამე სოფელში კრინტს არ იღებს. გათენდა. სოფელში აღარავინ არის. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა 9 მოხუცი, რომელთაც არსად წასვლა არ შეეძლოთ. ორი მათგანი კოშკში ისხდნენ. შვიდმა კაცმა გააგებინა ჯარს, რომ ჩვენებურები ყველანი წუხელ გაიპარნენო. ამ ლაპარაკში რომ არიან, კოშკიდან ორი თოფი გამოვარდა და ორი ჯარისკაცი მოჰკლა: ერთი მაჭავარიანი (არ მახსოვს, რა ჩინისა იყო) და მეორეც სხვა. ჯარი მოშორდა ამ კოშკს. ურჩიეს იმ კოშკში მყოფ ძმათა გასვიანებს გამოსვლა, მაგრამ უარი სთქვეს. მაშინ ჯარმა მიაყარა კოშკს ძირში შეშა და ცეცხლი მისცა. კომლმა კოშკი მოიცვა. შიგ მყოფნი გარეთ ვერას ჰხედავდნენ. უცებ ოთხსავე კედელში ლაღუმი შეუღვეს და კოშკი ააფეთქეს. მის ნანგრევებში გაეხვივნენ შიგ მყოფი ორი ძმა გეგი და ბადრი გასვიანები. ამას შემდეგ მთელი ჯარი სოფლად შევიდა. ქვიტიკრები ლაღუმით დაანგრეს, ხის შენობანი ცეცხლით დასწვეს. ცეცხლი წაუტიდეს აგრეთვე მოსამკელ ყანებსაც. ადგილობრივ ეკლესიიდან ხატ-ჯვარი გამოასვენეს და ახლო სოფლის საყდარში შეიტანეს.

ამნაირად, 28 აგვისტოს, ერთის დღის წინათ ღამაში ხალდე ნანგრევების გროვას წარმოადგენდა. ატრიადმა ამითი გაათავა საქმე და 2-ს სექტემბერს უკან დაბრუნდა. ხალდეშლების მოძრავ ქონებას ადგილობრივი პოლიცია დაეპატრონა. ერთი ცხვარი რა არის, ისიც არ შერჩათ ხალდეშლების ცოლ-შვილს. სოფლიდან გამოსული ხალდეშლები მთაში გაიქცნენ, სადაც თავს იფარავდნენ პოლიციის და მილიციის დევნისაგან განაკიდ შემოდგომამდე. როდესაც მთაში ჩამოთოვა და იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო, უმეტესი მათი ნაწილი თავის ნებით ჩამოვიდა ლეჩხუმს. ვინც სვანეთში დარჩა-

ნენ, ისინი პოლიციას ჩაუვარდა ხელში. ორივე ესენი ქუთაისს ჩა-  
მოიყვანა თ. თ. დადიშქელიანმა. იგინი ქუთაისში გაასამართლეს სამ-  
ხედრო სამართლის წესით. სამს სიკვდილი გადაუწყვიტეს, მაგრამ  
ნამესტნიკის შუამდგომლობით ეპატიათ და კატორგაში გაიგზავნა  
დანარჩენი 33 კაცი სამუდამოდ გადაასახლეს რუსეთის სხვა-და-სხვა  
გუბერნიაში.


ხალდეშლების ცოლ-შვილი 1880 წლამდე ნათესავებში ინახავ-  
და თავს. ამ წელს ნება მიიღეს დასახლებისა და მათ ახალს სო-  
ფელს „Новый Ипрари“ დაერქვა. ამჟამად აქ თხუთმეტი მოსახ-  
ლეა და ყველანი შეძლებულეები არიან.

1892 წ.

## სახაზინო გლახნი არიან თუ მესაკუთრანი მხსოვრებნი თავისუფალის სვანეთისა?

მდ. ცხენისწყლის სათავეში მდებარეობს სამი ხეობა: ხიდარი, ზესხვა და ყორილდ-ცენა. სამსავე ამ ხეობას ჩამოუდის თითო მდინარე, რომლებიც შეერთების შემდეგ მდ. ცხენისწყალს შეადგენენ. ამ ხეობებში მე-XV საუკ. 400 მეკომური სცხოვრობდა თურმე, რასაკვირველია, სვანები. ამ დროს სვანებს მოუკლავთ შეფისაგან დაყენებული მოხელე, რაჭველი თავადიშვილი, გვარად ჯაფარიძე. იმერეთის მეფეს ალექსანდრეს ესა სწყენია. ამტყდარა მტრობა მეფესა და თავისუფალ სვანეთს შორის, რომელიც შვიდს წელიწადს გაგრძელებულა და ბოლოს გათავებულა იმით, რომ მოჩხუბართ ე. ი. ერთის მხრით მეფე ალექსანდრესა და მეორეს მხრით სვანებს, მედიატორები ამოურჩევიათ და იმათთვის მიუხდევიათ ამ საქმის დაბოლოვება. მედიატორებს, სხვათა შორის, ეს 400 მეკომური მიუსაჯიათ თავისი უძრავ-მოძრავის ქონებით ჯაფარიძის სისხლში. როგორ დატრიალდა ბედი ამ 400 მეკომურისა, ნამდვილად არ ვიცით, მხოლოდ ხალხის გადმოცემა სარწმუნოდ აღიარებს, რომ მცხოვრებლები ახალ ბატონის ხელში შეწუხებულან და გადმოსახლებულან თავ. სვანეთის სხვა-და-სხვა სოფლებში. ქონებასთან ერთად წამოუღიათ თავიანთ ეკკლესიების ხატ-ჯვარიც. ამას შემდეგ უშგულის საზოგადოება გამხდარა ყორილდ-ცენასა და ზესხვას პატრონად, ხიდარი-კი ლაშხეთის (სადადიანო სვანეთშია) საზოგადოებას დარჩენია. ყორილდ-ცენადამ უშგულელებს მოაქვთ უხსოვარის დროითგან საშენი ტყე, რომელიც უშგულში არ იპოვება; ესევე ადგილები აქვთ სანადიროდ, სადაც მრავალი ჯიხვი და არჩვი იპოვება.

თუთხმეტი წელიწადი იქნება, რაც აქ დაესახლა სამი უშგულელი და დღესაც იქ არიან, ზესხვას ხეობა კი უშგულელებს ჰქონიათ და დღესაც აქვთ სანადიროდ. ამ ბოლოს წლებში მალყარელ ოსებს



მისცეს იჯარით. უკანასკნელი ცხვრის ფარას მოერეკებიან ზაფხულობით საბალახოდ და უშგულელებს ხაზას, ანუ, როგორც აქ ეძახიან, საბალახოს აძლევენ. ასე მიმდინარეობდა საქმე 1884 წლამდე. ამ წელს-კი ლეჩხუმის თავადიშვილებმა გელოვანებმა დავა უშგულელებს: ზესხვა თქვენი-კი არა, ჩვენი არისო. საბუთად ის მოჰყავთ, რომ ლაშხეთში ყმები გეყავს, რომელნიც სადავო ადგილებში ნადირობდნენო... ამ წერილს სავანდ არა აქვს გარკვევა თავად გელოვანების სიმართლე-სიმტყუნისა. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის საყურადღებო ამბავი, რომ ამ დავაში გაერია ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველო.

მიზეზი გარევისა-კი შემდეგია. იმავე 1884 წ. სვანეთის ბოქაულად ყოფილს ბ-ნს მარჯანიშვილს ლეჩხუმის მაზრის უფროსისაგან მოუვიდა მოწერილობა, რომ, თანახმად თავად გელოვანების თხოვნისა, ადგილობრივ მისულიყო, საქმე გამოერკვია და მისთვის მოეხსენებინა. მარჯანიშვილმა მოწერილობა შეასრულა, გამოიძია საქმე და ეს გამოძიება სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში გააქანა. თანაც დასძინა თურმე: უშგულელები სახაზინო გლეხები არიან, მოეშველეთ, თორემ გელოვანები ადგილებს ართმევენო. ამ დროიდან ერევა უშგულელებისა და გელოვანების დავაში ზემოხსენებული დაწესებულება.

შარშან ზაფხულში ამხანავი ქუთ. გუბერ. სახელმწიფო ქონებათა მმართველისა ბ-ნი ხოჯაევი მოვიდა ადგილობრივ, სადაც დაბარებული ჰყავდა უშგულელები და თავადი გელოვანები. ორივე მოდავე მხარემ თავისი სიმართლე უთხრა ბ-ნს ხოჯაევს და ამითი ეს უკანასკნელი ქუთაისს დაბრუნდა. ამაზედ არის შემდგარი საქმე. ერთი გარემოებაა საყურადღებო: გარევა ქუთ. გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უშგულელების საქმეში. ეტყობა ზემოხსენებული დაწესებულება უშგულელებსა და, მამასადამე, მთელს თავისუფალს სვანეთს სთვლის სახელმწიფო გლეხებად. მაგრამ ასეა-კი ნამდვილად? ა) თავისუფალი სვანეთი ნებაყოფლობით შეეფარა რუსეთის მფარველობასა; ბ) თავისუფალს სვანეთს არ ჰყავდა მეზატონე, როგორც იყო მაგალითად თ. კონსტანტინე დადიშქელიანი, რომლის მამულიც შემდეგში ხაზინას გადაეცა, როგორც მთავრობის მოწინააღმდეგესი; გ) ხაზინას არ მიუცია თავისუფალ სვანეთისთვის თავისი ადგილი დასასახლებლად და დ) თავისუფალი სვანეთი არ იყო საეკლესიო, რომ მისი ადგილები ხაზინას დარჩენოდა. მაშ რად უნდა იყვნენ უშგულელები, კერძოდ და თავისუფალი სვანეთი საზოგადოდ სახაზინო გლეხები?

## ვინ მიიყვანა 1852 წ. შვილი სვანი ბოჩკოშის მთავარ-მართებელ თავ. ვორონცოვთან?

განსვენებული ბარტოლომეი<sup>1</sup> და იმის კვალზედ მიმავალი ბ-ნი სტოიანოვი<sup>2</sup> და ბოროზდინი<sup>3</sup> მოკლედ მოგვითხრობენ რუსის მთავრობის შემოსვლას სვანეთში, ხოლო იმასაც გადასხვაფერებულად თავის გემოვნებაზედ. მაგალითად, ბარტოლომეი სწერს, რომ 1852 წ. შვიდი სვანი თავისუფალ სვანეთიდან მივიდნენ პირდაპირ ბოჩკოშს მაშინდელს საქართველოს მთავარ-მართებელ თავ. ვორონცოვთან სათხოვრად, რომ რუსეთს შეუერთე სვანეთიო. ბატონი ბოროზდინი თავის მხრით უმატებს, რომ ამ სვანების მოსვლა თავ. ვორონცოვთან დეკანოზ ქუთათელაძის ჩაგონებით მოხდაო და სვანებმაც ეს რჩევა დეკანოზ ქუთათელაძისა სიხარულით მიიღეს, რადგანაც შეწუხებულნი იყვნენ თ. თ. დადიშქელიანებისა, დადიანებისა და ბევრ სხვათა თავადიშვილთ გვარეულობათაგანაო.

ჩვენ მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცნობანი-კი სვანაირად მოგვითხრობენ ამ შემთხვევას, რომელიც ამ ათის წლის წინათ გვიამბო თვით თავ. ვორონცოვთან მიყვანილ სვანმა, რომელიც აქვე მოგვყავს შეუცვლელად. 1852 წ. თავ. გრიგოლ წერეთელმა (რაჭიდან) უშგულის საზოგადოებაში გამოგზავნა მოციქულად ღების მღვდელი სპილინდო გავაშელიშვილი და ერთი რაჭველი, ვილაც აზნაური გრიგოლი, რომლის გვარი ამის მთხრობელს არ ახსოვდა. უშგულსა და ღებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში და ამიტომაც თავ. გრ. წერეთელმა მოციქულად ამოიჩნია ღების მღვ. სპილინდო. თავ. წერეთელს ეთხოვნა მღ. გავაშელიშვილისათვის.

<sup>1</sup> Поездка в Вольную Сванетию.

<sup>2</sup> Путешествие по Сванетии.

<sup>3</sup> Закавказ. воспоминания.



რომ მას რამდენიმე უშგულელი მოეყვანა მასთან რაჭას, ვითომ რუსეთის ქვეშევრდომობის სათხოვნელად; თუ უშგულელები უარზე გადაგებოდნენ, მაშინ სპილინდო მღვდელი უნდა ცდილიყო საზოგადოებრივი მოყვანა შესაძლებელი რიცხვი სვანების წერეთელმა საჭირო ფულები გაატანა მღვდელს სპილინდოს სვანების მოსაპირებლად. მღვ. სპილინდო და აზნ. გრიგოლ რაჭველი უშგულს მოდიან. სპილინდოს აქ ერთი დაახლოებული ნაცნობი ჰყავს, სახელდობრ გეგი რატიანი. ამ რატიანისას მოდიან თ. წერეთლის მოციქულნი და უმკლავებენ თავიანთ აზრს. რატიანი, როგორც გავლენიანი კაცი, თავს უყრის საზოგადოებას, უცხადებს თ. წერეთლის სურვილს და ასახელებს გამოგზავნილს მოციქულებს, რომლების გამოყვანა ხალხთან ჯერ-ჯერობით ვერ გაბედა. უშგულის ყრილობას სწყინს ეს მოულოდნელი ამბავი; რატიანს ლაპარაკს აწყვეტინებს და პირდაპირ მის სახლისკენ მიეშურება მოციქულების შესაპრობლად. რატიანი ხედავს, რომ საქმე საშიშია, უსწრობს ხალხს შინ და ჰმალავს მეზობლის კოშკში სპილინდო მღვდელსა და მისს ამხანაგს გრიგოლს. კრების ხალხი რატიანის სახლს შემოერთყმის და თხოულობს მოციქულების მოცემას. შინ მისწრებული რატიანი ხალხს ფიც-სალავათს ეუბნება, რომ მოციქულები შინ არა მყავს, რაჭას გავისტუმრო. ყრილობა რატიანს არ უჯერებს და სამს დღეს ამწყვდევს კაცებიან-საქონლიანად თავის სახლში. რატიანი ერთობ სწუხდება ამ შემთხვევით. მესამე დღეს იგი იძულებულია გაუტყდეს ხალხს, რომ მოციქულები მეზობლის უკაცურ კოშკში ჰყავს დამალული, სთხოვს ყრილობას ნება მისცეს იმათის კოშკიდგან გამოყვანისა და რაჭაში გასტუმრებისა. ჩვეულების ძალით ხალხი პატივსა სცემს რატიანსა და მისს სტუმრებს, სიტყვიერ პირობას ადებინებს პირველს, რომ მან დაუყოვნებლივ გაისტუმროს უკანასკნელნი რაჭას და თავს ანებებს. ყრილობა იშლება. რატიანი არღვევს თავისს პირობას: რაჭის მაგიერ თ. წერეთლის მოციქულებს დამით აპარებს მუღაზის საზოგადოებაში, რომელიც შორავს უშგულს 25 ვერსით. მუღაზი ერთი შეძლებულ და დიდ საზოგადოებათაგანია თავისუფალ სვანეთში. რატიანს აქ მრავალი ნათესავ-ნაცნობები ჰყავდა და იმათსა მიიყვანა თ. წერეთლის გამოგზავნილები. როგორც რატიანი, ისე სპ. მღვდელი ცხადად ხედავდნენ, რომ თუ აქაც ყრილობას დაეკითხებოდნენ, სურვილს ვერ შეისრულებდნენ, რადგან უშგულის მაგალითი თვალწინ ჰქონდათ: ამის გამო რატიანი ცალკ-ცალკე მოეღაპარაკა თავისს ნაცნობ-ნათესაებს და ურჩიათ, წერეთელთან მისვლა რაჭას. რატიანმა და სპილინდომ დაარწმუნა ისინი, რომ თ. წერეთლისაგან კარგს საჩუქარს მიიღებდნენ, თუ-კი მასთან გამოცხად-

დებოდნენ. საჩუქრის დაპირებამ გაღიბირა ხუთი მულახელი ნაცნობები. ამათ მიიმხრეს ერთი მესტიელი და ერთი იფარელი და კიდევაც გაემგზავრნენ რაჭას. უშგულმა რატიანის საქციელი მას შემდეგ დაეცა იმის სახლს, სანამ იგი მულახში იყო, ერთი უღელის ხარის წახილვა იმის სახლუფლობას ჯარიმად და შესჭამა. რატიანმა და იმისმა სტუმრებმა ეს ამბავი ჯერ არ იცოდნენ. იგინი ღამით შემოიპარნენ უშგულში. უშგულს-კი გზაზედ ყარაულები ჰყავდა დაყენებული და რატიანი თავისის სტუმრებითურთ დაიჭირა სოფლად შემოსვლამდე; დაიჭირეს აგრეთვე თ. წერეთელთან მიმავალი სვანებიც. მეორე დღეს ყრილობა მოხდა. მულახელებმა უშგულს განთავისუფლება სთხოვეს და უკანასკნელმა მათი თხოვნა შეიწყნარა; ხოლო სპილინდო მღვდელსა და გრიგოლ რაჭველს ხელი დაადო და გამოუცხადა, რომ სანამ თქვენს საღსარს არ გადაიხდით, მანამ დატყვევებული იქნებითო. ამ გაჭირვებაში მყოფმა სპილინდო მღვდელმა შემდეგი ხერხი მოიგონა: შემიშვით აქაურს ღვთისმშობლის ეკკლესიაში როგორც მღვდელიო. ყრილობამ ნება დართო. მღვდ. სპილინდომ ჩამოილოცა და როცა ლოცვა გაათავა, მოავლო ხელი ღვთისმშობლის ხატს, გამოვიდა გარეთ ხატით ხელში და შეახვეწა თავისი თავი და გრიგოლ რაჭველი ყრილობას. მღვ. გავამელიშვილი სთხოვდა ყრილობას უსაღსროდ განთავისუფლებას ტყვეობიდან. ამასთანავე ფიცი დასდო, რომ უთუოდ სახლში წავიდე და ამიერიდგან მაგ საქმისათვის უშგულში არასოდეს არ დავბრუნდეო. ყრილობამ პატივისცა ხალხს და სპილინდო თავისის ამხანაგითურთ განთავისუფლა ტყვეობისაგან. თუმცა ამას შემდეგ მანაც უნდა წასულიყო რაჭას მღვ. სპილინდო, მაგრამ დახარბებული თ. წერეთლის საჩუქრისა ის ხელ-ცალიერი არამც-და-არამც არ მიდიოდა სვანეთიდგან. იგი, გრიგოლ რაჭველი და რატიანი ხალხის დასანახავად ხალხისავე თვალწინ გაუდგნენ გზას რაჭისაკენ, მაგრამ რამდენიმე ვერსს რომ გასცილდნენ უშგულს, დაისალამოეს და ღამით უშგულიდგან დაბრუნებულს მულახლებს გაეკიდნენ უკან. მივიდნენ ისევე მულახს, ნახეს იგივე კაცები, რომელთაც უწინ თანხმობა განაცხადეს რაჭაში გაყოლისა, შეაგულიანეს კვალად და ყველანი რაჭას მივიდნენ თავ. გრ. წერეთელთან. რასაკვირველია, უშგულს შორს შემოუარეს ამ გზობით. თავ. გრ. წერეთელმა სვანები დიდის პატივისცემით მიიღო, კარგი მასპინძლობა გაუწია; საჩუქრები და საბოძვარი ბლომად გასცა. სამი დღე იყვნენ სვანები ამ ყოფაში. მეოთხე დღეს ურჩია: ქუთაისს წამომყევით გუბერნატორთან და იმისაგანაც საჩუქრებს მიიღებთო. ორმა სვანმა უარი სთქვა ქუთაისს წასვლაზედ, მაგრამ თავ. წერეთელმა ეს უარის-მთქმელნი შვილობილებად აიყვანა და ამნაირად,

სვანების აზრით, დაინათესავა დიდის გვარის კაცმა. ქუთაისში გუბერნატორმა ფულით დასაჩუქრა, რამდენიმე დღე თავისთან იყო-ლია და შემდეგ თ. ვრონცოვთან წასვლა ურჩია; ვრონცოვმა კი იმდროს ბორჯომს იმყოფებოდა. ამგვარ წინადადებამ გუბერნატორის სვანები ეჭვში შეიყვანა და თავ. გრ. წერეთელს უსაყვედურეს; თქვენ არ გეკადრებათ ჩვენი მოტყუება, ჯერ რაჭას გვიბარებდი, იქელამ აქ, ქუთაისს ჩამოგვიყვანე, აქ კიდევ ბორჯომში წასვლას გვეუბნებით და იქიდგან, შეიძლება, იმისთანა ადგილას გადაგვახვეწოთ, საიდგანაც სვანეთში ვერაოდეს ვერ დაებრუნდეთო. ასე ელაპარაკებოდნენ სვანები თავ. წერეთელს და ბორჯომს წასვლას თ. ვრონცოვთან ძალიან უარობდნენ, მაგრამ აქ უკან დახევაც ადვილი არ იყო, დაუმატა იქ ნამყოფ სვანმა: გინდათ თუ არა, უნდა წახვიდეთ ვრონცოვთანო. ამნაირად წაიყვანეს სვანები ბორჯომს. თ. ვრონცოვმა აღტაცებით მიიღო სვანები. რამდენიმე დღე არაფერი უკითხავს მათთვის, ბოლოს მოიხმო და ყველაფრის გამოკითხვა დაუწყო დაწვრილებით: როგორა სცხოვრებთ, როგორა ხართ, გყოლიათ თუ არა ბატონი და სხვა ამგვარები. სვანებმა შესაფერი პასუხი მისცეს, უთხრეს, რომ ჩვენ ბატონი არცა გყოლია და არცა გყავსო, ჩვენში უფროსი არის საზოგადოების ამორჩეული „მახვში“. ჩვენი ბატონობა ბევრმა მოინდომა, მაგრამ ვერაეინ შეიძლო, რადგან წინააღმდეგობას ვუწევდითო და სხვა-და-სხვა. თ. ვრონცოვმა დიდად დასაჩუქრებული გამოუშვა სვანები. სვანეთის რუსეთთან შეერთებაზედ აქ არაფერი თქმულაო, დაუმატა სვანმა.

1895 წ.

## БЕСАРИОН НИЖАРАДЗЕ КАК ЭТНОГРАФ

Видный грузинский этнограф конца XIX—начала XX века, прекрасный знаток и неутомимый собиратель сванских древностей, один из скромных и плодотворных деятелей в окружении И. Г. Чавчавадзе — Бесарион Нижарадзе родился в Ушкули (Верхняя Сванети) 21 ноября 1852 года.

Отец Бесариона — Сиош (Шно) — имел традиционную сванскую семью. Женатые сыновья жили в старинном сванском жилище с оборонительной башней нераздельно вместе с родителями. После смерти отца главой семьи — «кора махши» — стал старший из сыновей — Нини.

О детских годах маленького Гуа — в дальнейшем Бесариона — нам мало что известно. Архивные материалы, воспоминания современников и автобиографические данные, разбросанные в различных произведениях Б. Нижарадзе, дают возможность наметить лишь основные вехи его жизненного пути. Согласно этим данным Б. Нижарадзе в 1869 году был зачислен учеником Кутаисского духовного училища в качестве стипендиата Общества распространения православного христианства на Кавказе. В 1874 году, после окончания училища, он поступил в Тифлисскую духовную семинарию. В 1878 году Б. Нижарадзе числится в списке семинаристов, перешедших в пятый класс. Отметки по различным предметам дают основание предполагать, что, будучи в семинарии, Б. Нижарадзе усерднее всего изучал историю, философию и психологию. Однако, как видно из классных журналов за 1877/78 учебный год, он часто болел, и с пятого класса, очевидно по этой причине, оставил семинарию. Определенную роль в этом сыграли материальные затруднения, всю жизнь преследовавшие Б. Нижарадзе.

В 1878 году Б. Нижарадзе начинает работать делопроизводителем Сванского приставства, а с 1883 года — воспитателем в Кутаисском дворянском училище, в котором он про-

работал до 1892 года. 10-го октября 1891 года Б. Нижарадзе женился на Александре Павловне Норакидзе, а в мае следующего года новобрачные отправились в Верхнюю Сванети, где Бесарион начал заниматься педагогической деятельностью, а в последующем был посвящен в духовный сан. Там же он и скончался в 1919 году, имея за плечами 67 лет полной лишения жизни, тернистый путь исследователя-одиночки и внушительный список историко-этнографических произведений, ценность которых увеличивается пропорционально их возрасту.

Б. Нижарадзе получил солидное по тому времени образование. Еще в Тифлисской семинарии он сблизился с Ф. Жордания, Н. Хизанашвили, А. Кипшидзе, Н. Ломоури, С. Мгаблещвили, И. Меунаргия и др., ставшими впоследствии видными литераторами, историками, общественными деятелями. Работа в Сванети дала ему возможность практически изучить и глубже познать положение крестьянства родного края в условиях утверждения колониального режима русского царизма. Благодаря вышеуказанным обстоятельствам Б. Нижарадзе вскоре сделался наиболее компетентным источником по самым различным вопросам сванской старины, авторитетом которого пользовались как наезжающие в Сванети исследователи и путешественники, так и местное население, перед которым новые условия жизни выдвигали новые и сложные вопросы. Этим же было обусловлено постоянное и тесное общение Б. Нижарадзе, с одной стороны, с народом, а с другой — с виднейшими представителями передовой грузинской интеллигенции, что со своей стороны способствовало более глубокому познанию народного быта, и более правильному пониманию общественного значения его всестороннего изучения.

В истории мировой этнографической мысли этот период характеризуется распространением влияния работ Т. Вайца «Антропология естественных народов» (1859 г.) и А. Бастиана «Человек в истории» (1860 г.), легших в основу эволюционной теории в этнографии и подготовивших почву таким фундаментальным исследованиям, как «Первобытная культура» Эд. Б. Тэйлора (1871 г.) и «Древнее общество» Л. Г. Моргана (1877 г.). Несмотря на крупные недостатки, эволюционная теория в этнографии содержала материалистическое зерно в виде учения об единстве происхождения человеческого рода, о прогрессивном характере развития человеческой культуры и т. д., благодаря чему она создала новый этап в истории этнографии. Именно на этом этапе развития этнографической мысли возникают в ряде стран, а в том числе и в Грузии, музеи и различные общества, основной целью которых является работа по сбору, экспозиции и исследованию этнографического материала.



Грузинская этнография пореформенного периода, впитывая передовые идеи мировой этнографической мысли и исходя из насущных интересов находящегося в процессе становления грузинского буржуазного общества, выдвигает на первый план наиболее актуальные вопросы общественного устройства грузинского народа, в частности, вопросы семьи и семейного быта, сельской общины и ее места в процессе общественного развития, обычного права и его значения в переустройстве быта, кровной мести и средств борьбы с ее пережитками. И. Г. Чавчавадзе, выдающийся грузинский писатель и общественный деятель второй половины XIX и начала XX века, посвятил специальную статью изучению народных обычаев. Позтом-академиком Г. Н. Леонидзе в архиве И. Г. Чавчавадзе обнаружена записная книжка, в которую внесены этнографические наблюдения и материалы, что говорит о заинтересованности И. Г. Чавчавадзе вопросами этнографии грузинского народа. В вышеуказанной статье подчеркивается первостепенное значение изучения именно общественно-экономических и юридических институтов, ибо, именно они, по словам автора, наиболее полно выражают лицо народа, его положительные и отрицательные черты и, что самое главное, его нужды. Статья, опубликованная в 1887 году, содержит по тому времени четкую формулировку задач в области изучения прошлого, выдвигаемых новыми условиями жизни, и привлекавшими внимание грузинской передовой общественности задолго до ее опубликования.

Этими идеями и определяется круг вопросов, над которыми работали в различных районах Грузии видные деятели культуры, составлявшие ближайшее окружение И. Г. Чавчавадзе, в частности Н. Джанашиа в Абхазии, Ф. Сахокия в Гурии и Мегрелии, Н. Хизанашвили в Хевсурети, Важа-Пшавела в Пшави, З. Гулисашвили в Кахети, М. Мачабели в Картли, бр. Цискаришвили в Тушети и т. д. Внимательное изучение этнографического наследия вышеуказанных деятелей убеждает нас в наличии четко очерченных задач и определенного плана работ (а в некоторых случаях даже более или менее подробно разработанных вопросников по сбору этнографического материала), которые охватывали важнейшие стороны быта населения Грузии по всем основным этнографическим провинциям.

Сванети не только по богатству и самобытности этнографического материала, но в первую очередь по своему историческому месту в процессе формирования грузинского народа, а в дальнейшем нации, в этом плане должна была занять свое место. В этом отношении представляет несомненный интерес некролог, содержащий обращение И. Г. Чавчавадзе к вступающему на поприще общественной деятельности Б. Ни-

жарадзе. В обращении И. Г. Чавчавадзе призывает Б. Ш. Ни-  
жарадзе отказаться от тех благ, которые сулит ему городская  
жизнь, и поехать на постоянную работу в Сванети для того,  
чтобы, как говорит И. Чавчавадзе, «впречся в наше ядро»  
Б. Нижарадзе с честью выполнил это трудное, но почетное  
делание; он добросовестно тянул свою лямку на протяжении сво-  
ей жизни, сделавшись достойным членом вышеуказанной  
группы деятелей, трудами которых были заложены основы эт-  
нографии.

Об условиях жизни и деятельности Б. Нижарадзе в Сва-  
нети мы имеем довольно подробные отзывы лиц, в различное  
время и с различными целями побывавших в Сванети. Напри-  
мер, М. К. Ильина, путешествовавшая по Сванети вместе с  
англичанкой М. Chambers и гостившая у Б. Нижарадзе, пи-  
сала: «Он сван, человек в высшей степени образованный и все-  
сторонний. Он один из тех людей, которые теперь стали попа-  
даться даже в Сванети, посвятивший свою жизнь своему наро-  
ду... Он очень много пишет, занимается составлением сванетско-  
го словаря, изучает корни языка, историю и древность своей  
страны. На меня он произвел впечатление ученого, углублен-  
ного в свои занятия. При этом он удивительно интересный со-  
беседник». Вместе с тем М. К. Ильина сообщает, что Б. Ни-  
жарадзе «...показал также коллекцию старинных предметов,  
которые он собирает, деревянные и металлические ковши, ос-  
татки посуды, кресты, украшения и прочие мелкие вещи, ко-  
торые приносят ему со всех деревень крестьяне». По свиде-  
тельству акад. К. С. Кекелидзе «...Виссарион Нижарадзе, при-  
родный сван, человек образованный и до того влиятельный,  
что без его вмешательства сваны не охотно открывают тури-  
стам доступ к археологическим своим, в особенности же цер-  
ковным, памятникам. Благодаря любезности Виссариона, мы  
получили возможность заниматься интересовавшей нас руко-  
писью в его хлебосольной семье». Об этой стороне деятельно-  
сти Б. Нижарадзе говорят также акад. Е. С. Такашвили, ко-  
торый неизменно пользовался на протяжении долгого време-  
ни помощью Б. Нижарадзе при разыскании древнегрузинских  
рукописей, и основоположник грузинской классической музы-  
ки З. Палиашвили, собиравший в Сванети материалы по  
местному музыкальному фольклору.

Б. Нижарадзе систематически вел переписку с Р. Эри-  
стави, бывшим одним из кураторов в Кавказском Музее и  
положившим много труда на развитие этнографии в Грузии.  
Некоторые материалы Б. Нижарадзе, между прочим, собирал  
по вопросам составленным Р. Эристави. Поддерживали с  
ним постоянную связь Ал. Хаханашивили — профессор грузин-  
ской словесности, Д. Каричашвили — историк, Я. Гоге-

башвили — крупнейший педагог и общественный деятель, тоже из ближайшего окружения И. Г. Чавчавадзе, а также Н. Я. Марр, заинтересованность которого сванским языком и вообще сванской стариной была <sup>задолго до</sup> не только страстных, но и постоянных увлечений. Предмет переписки — пополнение музейных фондов, разыскания древнегрузинских рукописей, хранившихся в церквях Сванети, собирание этнографического материала и сванского фольклора, выявление особенностей сванского языка и в первую очередь его общекартвельской основы, вопросы транскрибирования сванской речи применительно к ее особенностям и т. д.

За крупные заслуги в области собирания и изучения сванских древностей Б. Нижарадзе в ноябре 1907 года был избран действительным членом Грузинского общества истории и этнографии.

В таком тесном контакте с передовыми деятелями грузинского общества и с учетом требований времени, находясь непосредственно в гуще изучаемой этнографической среды, писал Б. Ш. Нижарадзе свои произведения, составившие достойный вклад в золотой фонд грузинской этнографии. Этому в немалой степени способствовало и значение самого сванского этнографического материала.

Сваны, совместно с картами и мегрело-лазами (чанами), как известно, составили ту основу, на которой протекал процесс формирования грузинского народа. Сванети, составляя органическую часть Грузии, всегда играла важную роль в ее общественно-политической, экономической и культурной жизни. В период войн между Византией и Ираном на территории Грузии, Сванети, подчинявшаяся тогда Лазике, представляла одну из причин столкновения византийско-иранских интересов. В период феодальной монархии эристава Сванети назначал царь объединенной Грузии. После распада Грузии на самостоятельные царства и отдельные княжества Сванети, также как и другие высокогорные районы Грузии, откололась от центральной власти и стала на путь сепаратизма, однако в цельное и самостоятельное мтаварство она оформиться не смогла: Нижняя Сванети вошла в состав Мегрельского мтаварства и сделалась его частью, в западной части Верхней Сванети сложилось владетельное княжество весьма ограниченного порядка, а восточная ее часть сумела в какой-то степени оградить себя от засилия феодалов, почему и получила наименование «Вольная Сванети».

Борьба за независимость от центральной власти велась под знаком защиты общинных форм быта, пережитки которых в Верхней Сванети, также как и в других высокогорных райо-



нах Грузии, имели более благоприятные условия и оказались более живучими. Это способствовало в некоторых случаях регенерации давно отживших форм культуры и быта. Низкая Сванети более интенсивно перестраивалась на феодальный лад, хотя и не достигла того уровня феодального развития, который был характерен для Мегрелии. Благодаря этому этнографы нашего времени застали важнейшие элементы культуры и быта сванов на различных ступенях их развития. Именно поэтому грузинский этнографический материал, также как и данные этнографии народов Кавказа вообще, дает возможность фиксации и исследования различных явлений этнографии в процессе их развития, что имеет важное значение как для изучения истории данного народа, так и для освещения ряда общэтнографических проблем. Не случайно, что М. М. Ковалевский в процессе изучения важнейших общественных институтов прошлого в общэтнографическом аспекте опирался в первую очередь на кавказский этнографический материал. Этот материал дал ему возможность правильно наметить характерные черты некоторых форм социальной организации и выявить основные этапы их развития, хотя и не смог оберечь его от обычной для того времени архаизации данных этнографии народов Кавказа. Не случайно также и то, что видный югославский ученый Б. Богишич, изучавший обычное право славян, предпринял во второй половине XIX века специальную поездку на Кавказ с целью привлечения сравнительного материала для освещения интересующей его проблемы в общетеоретическом плане.

Аналогичное положение имело место и в Восточной Грузии. Примером этому могут служить исследования одного из выдающихся представителей вышеуказанного окружения И. Г. Чавчавадзе — Нико Хизанашвили. Имея специальное юридическое образование, основательные знания конкретного этнографического материала и необходимую подготовку для пользования древнегрузинскими письменными источниками, Н. Хизанашвили пошел по правильному пути сравнительного изучения социальных институтов у горцев Грузии и у ее равнинных жителей. В статье, посвященной древнегрузинской семье (1885), написанной с ссылками на Д. Леббока, Г. Спенсера, Ж. Телона и др., а также с привлечением сообщений древнегреческих и римских писателей, автор анализирует Судебник Георгия V-го, составленный в середине XIV века специально для горцев Грузии с учетом особенностей их быта. Н. Хизанашвили, задолго до М. М. Ковалевского открывший у горцев Грузии наличие родовых институтов, и в этой статье подчеркивает преимущественную сохранность родовых пережитков у горцев Грузии сравнительно с жителями ее равнин-

ных районов. Вместе с тем Н. Хизанашвили выставляет обоснованное положение, согласно которому общественный быт горцев Грузии ко времени составления вышеуказанного Судебника развивался под влиянием феодальных право порядков. Касаясь в частности вопроса влияния феодализма на семью горцев Грузии в самых ее отдаленных районах, Н. Хизанашвили отмечает, что это влияние хорошо прослеживается и по вышеуказанному Судебнику, хотя феодализм в горах, по словам автора, не достиг такой развитой формы, какую он имел в равнинных районах Грузии. Таким образом, еще в восьмидесятых годах прошлого века Н. Хизанашвили выдвигает и научно обосновывает важное положение о наличии в горной Грузии XIV века феодальных отношений, хотя последние и не приняли законченной формы. Значение этого открытия, сделанного Н. Хизанашвили в период безраздельного господства точки зрения, согласно которой основой общественной жизни горцев Грузии в XIX веке был родовой строй, вряд ли можно переоценить. Значение этого открытия можно правильно понять лишь учитывая то положение, что спустя более чем полвека после опубликования работ Н. Хизанашвили, при квалификации уровня общественно-экономического развития горцев Восточной Грузии XIX века, все еще имели хождение взгляды о наличии в дореволюционное время элементов «дородовых производственных коллективов», или, в лучшем случае, «затянувшегося процесса разложения родового строя».

Положение о существовании у горцев Грузии, вплоть до установления Советской власти, родового строя, хотя бы и в состоянии затянувшегося процесса разложения, является значительным шагом назад по сравнению с вышеуказанным положением Н. Хизанашвили.

Открытие Н. Хизанашвили надо считать крупнейшим в истории кавказоведческой этнографии, ибо оно дает ключ к правильному пониманию особенностей общественного устройства горцев Кавказа, в частности той формы социальной организации, которая в настоящее время все чаще именуется горским феодализмом. Однако это принципиальное положение Н. Хизанашвили не получило ни широкого резонанса, ни должной оценки. Очевидно этому помешало все возроставшее влияние в мировой этнографии культурно-исторической школы, которая, став на путь борьбы против эволюционной теории, пришла к нигилистическому отношению к идее прогресса вообще. Это привело к отрицанию исторической преемственности форм культуры и быта, а следовательно и к отказу от теории переживаний, как основного метода этнографических исследований. Согласно «учению» культурно-исторической школы, частная собственность, индивидуальная семья и

монотеизм являются извечными категориями, а не продуктами длительного исторического процесса, которым предшествовали коллективная собственность, семейная община и политико-исторические представления. Это «учение» является благодатной почвой, питающей утверждения, согласно которым фиксируемые у современных народов формы общинного быта представляют собой не пережитки ранних ступеней общественного развития, а порождение классового общества. Вместе с тем культурно-историческая школа отвлекала этнографию от исторического изучения больших социальных проблем, заменяя это формалистическим анализом малозначительных фактов этнографии, изучаемых с вещеведческой позиции, вне времени и в отрыве от истории народа. Такие веяния в этнографии, естественно, не могли способствовать объективной оценке деятельности Нико Хизанашвили...

Первая статья Б. Нижарадзе была опубликована в 1873 году. Начиная с этого времени, он систематически сотрудничает в передовой грузинской прессе, главным образом в редактируемой И. Г. Чавчавадзе газете «Ивериа». Его перу принадлежит около 70 исследований, статей, очерков, писем, зообщений. Нами найдено несколько писем, содержащих, правда, краткий, но ценный неопубликованный материал. Писал он под различными псевдонимами (Б. Т. Свани, Т. Бета-Ни. Свани, Б. Свани, Т-и Свани, Тав. Свани, Бес. Свани), подписывался иногда полным именем и фамилией, но предпочтение отдавал псевдониму Тависупали Свани (букв. Вольный Сван).

Тематика произведений Тависупали Свани разнообразна—они посвящены вопросам истории, этнографии, фольклора, археологии, языка и т. д. Среди работ этнографического характера первое место занимают статьи по обычному праву сванов, представляющие наиболее полный корпус сванских норм обычного права, в значительной своей части соответствующих сельско-общинному быту.

Большое место в работах Б. Нижарадзе занимает описание семейного быта сванов, которое делает бесспорным существование в Сванети вплоть до начала XX века пережиточной формы семейной общины, сравнительно хорошо сохранившей глубокоидущие традиции. В результате изучения этих данных стало возможным осветить различные ступени в развитии семьи в Грузии, определить формы, параллельные сванской семейной общине — хоша лезге — в виде абхазской а т а а ц ъ я д у, ингушской б у б е н б а ц в е ж е р и, аварской р у к ъ я л у л ч и, кабардинской б ы н ы ш х у э и т. д., выявить особенности этой формы семьи у горцев Грузии, что

способствовало опровержению положения об отсутствии большой семьи в указанных районах Кавказа данного периода.


Произведения Б. Нижарадзе не оставляют сомнения в том, что основной единицей поселения в некоторых районах Сванети на протяжении всего позднефеодального периода все еще именовалась хеви, которая носила глубочайшие следы сельской общины. Как известно, и в этой области этнографии горцев Грузии были допущены неточности. Вслед за М. М. Ковалевским многие ученые последующего времени, именуя группу мелких населенных пунктов селением и признавая за наименованием хеви лишь географическое значение, по сути дела, отрицали наличие здесь элементов общинного быта. Характеристика хеви в качестве определенной формы поселения, данная Б. Нижарадзе, подтверждается наличием ряда сообщений, содержащихся в многочисленных приписках к древним рукописям, обнаруженным в сванских церквях.

Учитывая решающее значение социальной проблематики, Б. Нижарадзе неоднократно возвращается к вопросам структуры сванского общества второй половины XIX века. Он часто подчеркивает, что простейшим элементом данного общества, вслед за семьей, является родственная организация, затем идет селение, состоящее, как правило, из представителей многих родов, и, наконец, эта система завершается хеви, которая представлена в виде группы сравнительно малочисленных селений, объединенных общими экономическими и иными интересами. Материалы, касающиеся природы хеви, как единицы поселения, представленные в произведениях Б. Нижарадзе, имеют большое значение для правильного понимания характера социальных отношений у сванов в XIX веке. Дело в том, что в отношении сванов, также как и в отношении горцев Восточной Грузии, ходили ошибочные представления, предполагавшие наличие здесь в XIX в. родового строя в качестве ведущей силы общественного устройства. Некоторые исследователи до сих пор пытаются доказать, что зарождение феодальных отношений в Верхнебалльской Сванети относится к XIX веку. Другие думают, что родовый строй существовал в Сванети вплоть до XIX века. Одной из причин, приведших к такой путанице, является неправильное понимание природы сванского селения, в частности особенностей его родственного состава. Многие исследователи, исходя из факта наличия в Сванети моногенных селений, делали вывод о наличии здесь родового строя. К такому выводу пришли в свое время И. Иванюков и М. Ковалевский, а вслед за ними А. Долгушин, Б. Ковалевский, Б. Деген-Ковалевский и другие. А. Долгушин, например, пытался доказать, что сванские поселения в его время носили родовый характер. Б. Ковалевский отка-

звался видеть в Сванети даже племенную организацию, а Б. Деген-Ковалевский не смог обнаружить в Сванети признаков законченной территориальной организации.

В настоящее время мы располагаем данными письменных источников XIV века, указывающими на то, что родовой принцип расселения в Сванети к этому времени не имел никакого организующего значения при формировании населенных пунктов. По данным одного списка XIII века только в одной общине Эцери ко времени составления вышеуказанного документа проживали представители около тридцати различных родов. Очевидно, родовой принцип расселения потерял свое значение намного раньше вышеуказанного времени. Это не исключает однако наличия и даже появления в позднейшее время моногенных кварталов, а также селений, зачастую фиксируемых этнографом и в наше время. Однако эти поселения не имеют непосредственного отношения к родовому строю. Кварталы и селения, характеризующиеся моногенным населением, имеют явно выраженное патронимическое происхождение; они являются продуктом в большинстве случаев сегментации пережиточной формы семейной общины, бытование которой особенно в горных районах Грузии уже ни для кого не является спорным. Таким образом, моногенные поселения Сванети являются не родовыми поселениями, а однофамильными, патронимическими, возникшими в позднейшее время и в качестве вторичного явления. Формированию таких поселений способствовали также пережиточные традиции гентилизма, который предполагает расширение круга родственных по «искусственной аналогии» (Л. Г. Морган).

Среди морфологических признаков поселений, наряду с родственным составом, имеет значение и его этнический состав. Для высокогорных районов Грузии, расположенных в пограничной полосе, инкорпорация элементов, происходящих из других грузинских этнографических групп, а также имеющих инородное происхождение, всегда было ординарным явлением. Она, как правило, завершалась ассимиляцией на местной почве, хотя условия ассимиляции в различных случаях носила различный характер. Вышедшие из Рачи Майсурадзе, из Имерети Нижарадзе, из Мегрелии Чкадуа и мн. другие, в различное время и по различным причинам укрывались в Сванети, оседая здесь и приживаясь. Переселенцы, как правило, теряли свое фамильное наименование и приобретали новое в зависимости от среды, в которую они попадали. Но в случаях компактного переселения, как это произошло с лахамульскими Чкадуа, делалось исключение и создавалась сванская ветвь мегрельской фамилии. В некоторых случаях не сванская фамилия приобретала сванское оформление. Однако



в отношении инородных — негрузинских элементов быта не допускал никаких компромиссов — инкорпорация в данном случае возможна была лишь при условии полной ассимиляции, которая предполагала изменение языка, быта и религии. Изменение фамилии также было необходимым условием инкорпорации, причем инкорпорированные, как правило, принимали фамилию местного населения. Это создавало иллюзию исконного моногенного поселения. Вышеуказанные обстоятельства не оказывали влияния на процесс образования населенного пункта и его характер. Перед нами, таким образом, совершенно определенная картина общественного устройства сванов, картина общества, насыщенного существенными элементами территориально-общинного быта.

Материалы, характеризующие форму поселения у сванов и представленные в произведениях Б. Нижарадзе, дают возможность правильно ориентироваться в той сложной общественной среде, которая наблюдалась в Сванети во второй половине XIX века.

Даже при описании памятников материальной культуры, характерных для сванского поселения, Б. Нижарадзе не упускает из виду их общественную природу, ставя во главу угла вопросы их социальной значимости. Так например, описывая сванское жилище, Б. Нижарадзе большое внимание уделяет той части сванского дома, которая устраивалась в виде каменного мешка под первым этажом жилища или оборонительной башни. Это помещение называлось дилег и использовалось для содержания пленника. В связи с этой частью сванского жилища автор приводит подробнейшее и чрезвычайно интересное описание практики пленения, которая в общественной жизни сванов, также как и других горцев Кавказа, занимала значительное место. Из этого описания явствует, что пленение людей другой общины или другого племени в различных условиях имело различные причины. Основными из них были: репрессии по отношению к лицам, нарушившим нормы обычного права; принудительное взыскание вознаграждения за материальный или моральный ущерб в пользу пострадавшего; получение выкупа за пленника; продажа пленника на сторону; использование его в качестве рабочей силы. Это положение наблюдалось не только у сванов—оно в различной степени было характерным для многих народов горного Кавказа. Вышеуказанный материал представляет чрезвычайный интерес, ибо он дает возможность проследить, с одной стороны, за живучестью обычного права, которое являлось важнейшим ингредиентом сельско-общинного быта, а с другой—за особенностями одного из путей возникновения рабства, которое, однако, у народов горного Кав-

каза не получило развития и не привело к образованию рабовладельческой формации. Этот же материал дает основание предполагать, что одной из причин такого положения является характер семейной общины и ее место в общественной жизни горцев Кавказа, в условиях которой рабовладельческий способ производства не мог найти благоприятной почвы.

Вышеуказанное является еще одним аргументом в пользу положения, согласно которому формирование классового общества у горцев Кавказа происходило на базе разложения общинного строя и развития феодальных отношений, минуя рабовладельческую формацию.


Б. Нижарадзе опубликовал серию статей, посвященных народным праздникам в Сванети. Это описание до сих пор остается единственным, как по полноте охвата годового цикла, так и по точности фиксации материала. В этой серии материалов Б. Нижарадзе впервые в кавказской этнографической литературе описал уникальный обычай нанесения на различные предметы домашней утвари посредством разведенной в воде золы или муки изображений животных. Он же впервые дал объяснение этому обычаю, определив его магический характер. Эта заслуга Б. Нижарадзе пока еще не нашла должной оценки в специальной литературе.

Особо следует отметить описания путешествий Б. Нижарадзе по Сванети и сопредельным странам горного Кавказа, содержащие ценные наблюдения, зафиксированные рукой квалифицированного этнографа.

Б. Нижарадзе был участником событий 1875 года, в частности вооруженного конфликта между крестьянами и местной администрацией. Его работы, посвященные этим событиям, имеют значение первоисточника для истории вопроса.

Из поля зрения Б. Нижарадзе не выпали и такие традиционные вопросы этнографии, как народная медицина, воспитание детей, игры и развлечения, пословицы, поговорки и т. д. Все эти стороны сванского быта представлены в его произведениях в виде кратких описаний, охватывающих все характерные черты явления.

Все свои произведения, за малым исключением, Б. Нижарадзе писал и публиковал на грузинском языке. Исключение составляет одна его работа «Сванетские пословицы, поговорки, загадки и песни», которая была опубликована в X-ом выпуске СМОМПК в 1890 г. Это то, что нам известно по официальной библиографии. Однако имеются совершенно определенные указания на то, что некоторая часть его статей была переведена на русский язык и опубликована в русской прессе. Так например, в газете «Кавказ» за №№ 134 и 146 1883 года



были опубликованы статьи под общим заголовком «Народные праздники в Сванетии». Редакция газеты сделала примечание относительно того, что она знакомит читателей с содержанием статей, опубликованных на грузинском языке в газете «Шрома». Подписи под этими статьями нет, но они и по наименованию и по содержанию соответствуют статьям, опубликованным Б. Нижарадзе в июньских номерах газеты «Шрома» за 1883 год. В 1884 году в № 256 газеты «Кавказ» появилась статья «Частные жертвоприношения в Сванетии» с примечанием следующего содержания: «Известный уже нашим читателям Вольный Сванет, окончив свое описание народных общественных праздников в Сванетии, обращается теперь, для полноты картины сванских обычаев, к описанию обычаев частных семейных жертвоприношений». В этой статье излагается содержание статьи Б. Нижарадзе, опубликованной под тем же наименованием в газете «Дроэба», в № 244 за 1884 год. Статья имеет подпись И. Б. В номерах 1583 и 1585 газеты «Новое обозрение» тоже за подписью И. Б. опубликована статья «Загробный мир по представлению сванов», в примечании к которой указывается, что она переведена со статьи Вольного Свана, опубликованной в номерах 116 и 118 газеты «Ивериа» за 1888 год. Этот же материал под заголовком «Загробная жизнь по верованиям сванетов» была опубликована в № 94 газеты «Кавказ» за 1892 год за подписью Б. Никитина.

Общеизвестно, как широко пользовался материалами Б. Нижарадзе Р. Эристави при написании своих очерков о Сванети. Газета «Иверия» в № 140 за 1887 год сообщала о намерении редакции опубликовать статьи Б. Нижарадзе в переводе Р. Эристави в Записках КОРГО. «Заметки о Сванетии» Р. Эристави были опубликованы в XIX выпуске вышеуказанных «Записок» в 1897 году. В газете «Ивериа» (№ 6 от 1887 года) сообщалось о предполагаемом переводе работ Б. Нижарадзе на немецкий язык.

Таковы основные био-библиографические данные Б. Ш. Нижарадзе.

Ал. Робакидзе

ბიბლიოგრაფიული ცნობა

ბ. ნიჟარაძის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ I და II ნაკვეთში  
გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ

I ნაკვეთი

1. თავისუფალი სვანი. ქალების მოტაცება სვანეთში. გაზეთი „შრომა“, 1882, XII, 15, № 49.
2. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში ზამთრობით.  
ა) შობა-ახალწელიწადი. გაზეთი „შრომა“, 1883, V, 26, № 20.
3. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. ბ) ლიფაანალ. გაზეთი „შრომა“, 1883, VI, 9, № 22.
4. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. გ) ლიმპარი და ლიქვრაში. გაზეთი „შრომა“, 1883, VI, 23, № 24.
5. (ხელმოუწერელი). სახალხო დღესასწაულები სვანეთში. დ) შემოდგომობით. გაზეთი „დროება“, 1884, X, 19, № 226.
6. თავისუფალი სვანი. სახალხო დღესასწაულები სვანეთში. გაზეთი „დროება“, 1884, X, 24, № 229.
7. თავისუფალი სვანი. კერძო ოჯახების მსხვერპლის შეწირვა სვანეთში (დასასრული წერილისა „სახალხო დღესასწაულები სვანეთში“). გაზეთი „დროება“, 1884, XI, 10, № 244.
8. თავისუფალი სვანი. ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში. გაზეთი „დროება“, 1885, IV, 16, № 79.
9. თავისუფალი სვანი. ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში. გაზეთი „დროება“, 1885, IV, 18, № 80.
10. (ხელმოუწერელი). ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში. 1. სახალხო ყრილობა და მისი უფლება. საერთო კავშირი ყველა საზოგადოებათა. გაზეთი „დროება“, 1885, IX, 14, № 198.


11. სვანი. დაბა და სოფელი. სვანეთი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 4.
12. სვანი. სასამართლოს წარმოება სვანეთში. გაზეთი „ივერია“, 1886, № 27.
13. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. სასამართლოს წარმოება. გაზეთი „ივერია“, 1886, № 49.
14. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. სასამართლოს წარმოება. თემი, ოჯახი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 55.
15. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. ცალკმრობა. გათხოვილის ქალიშვილის უფლება. გაყრა. მემკვიდრეობა. მიწის მფლობელობა. საზოგადო, სასოფლო და სათემო ადგილები. დამნაშავესა და მტრის უფლებანი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 62.
16. ბეს. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან. მისაცემი ძიძისა, მშედლისა და სხვა მოჯამაგირთა. საქონლის გაყება. სხვა-და-სხვა დანაშაული და საზღაურის რაოდენობა მის კვალობაზე. ზომები. საწყალები. გაზეთი „ივერია“, 1886, № 72.
17. ბეს. სვანი. ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში. გაზეთი „ივერია“, 1886, № 73.
18. სვანი. დაბა და სოფელი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 51.
19. სვანი. დაბა და სოფელი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 67.
20. თავისუფალი სვანი. დაბა და სოფელი. გაზეთი „ივერია“, 1886, № 137.
21. თავისუფალი სვანი. ზოგიერთნი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში. გაზეთი „ივერია“, 1886, № 149.
22. თავისუფალი სვანი. ზოგიერთნი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში. გაზეთი „ივერია“, 1886, № 152.
23. თავისუფალი სვანი. სვანური ლეგენდები ანუ სვანებს ამაოდ მორწმუნებანი. გაზეთი „ივერია“, 1887, №№ 30, 33, 37, 51, 212, 213, 214.
24. თავისუფალი სვანი. მდაბიო ხალხის მკურნალობა სვანეთში. გაზეთი „ივერია“, 1887, № 63.
25. თავისუფალი სვანი. საზამთრო გზები სვანეთში. გაზეთი „ივერია“, 1887, № 80.
26. თავისუფალი სვანი. სვანების საიქიო (ეტნოგრაფიული წერილი). გაზეთი „ივერია“, 1888, №№ 116, 118.
27. თავისუფალი სვანი. სურათები სვანების ცხოვრებიდან. გაზეთი „ივერია“, 1888, № 202.
28. თავისუფალი სვანი. სვანები ბარად. ჟურნალი „ცდა“ 1. ქუთაისი. 1889.
29. თავისუფალი სვანი. „ლინთურალ“-ი (ნაცნობობა. ჩვეულება სვანეთში). გაზეთი „ივერია“, 1889, № 18.



1. თავისუფალი სვანი. ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში. გაზეთი „ივერია“, 1886, №№ 237, 238, 240, 241, 245, 247, 251, 258, 262, 264, 266.
2. თავისუფალი სვანი. უშგულის აღწერა (სვანთა ყოფა-ცხოვრებიდამ). გაზეთი „ივერია“, 1888, №№ 35, 37, 43, 44, 49, 68, 69.
3. თავ. სვანი. იალბუზის გარშემო. გაზეთი „ივერია“, 1889, №№ 100, 101, 102, 104, 107, 110, 111, 112, 113, 115, 118, 119, 123, 124, 125.
4. თავ. სვანი. ქართლის ენის გავრცელება სვანეთში. გაზეთი „ივერია“, 1891, № 126.
5. თავისუფალი სვანი. სვანების აღელვება 1875—1876 წლებში. გაზეთი „ივერია“, 1892, №№ 129, 130, 131, 132, 133, 137, 141.
6. ბეტანი. სახაზინო გლეხები არიან თუ მესაკუთრენი მცხოვრებნი თავისუფალის სვანეთისა? გაზეთი „ივერია“, 1894, № 118.
7. სვანი. ვინ მიიყვანა 1852 წ. შვიდი სვანი ბორჯომს მთავარ-მართებელ თავ. ვორონცოვთან? გაზეთი „ივერია“, 1895, № 122.

ბ. ნიქარაძის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ I და II ნაკვეთში გამოქვეყნებულ ნაშრომთა გარდა მის კალამს ეკუთვნის:

1. ბესარიონ სვანი. ერთი მიზეზი სვანების სიღარიბისა, გაზეთი „დროება“, 1873, № 6.
2. თავისუფალი სვანი. სვანეთიდან. გაზეთი „დროება“, 1879, № 204.
3. თავისუფალი სვანი. სვანეთიდან. გაზეთი „დროება“, 1880, № 8.
4. თავისუფალი სვანი. სვანეთი. გაზეთი „დროება“, 1882, № 269.
5. თავისუფალი სვანი. სვანეთი. გაზეთი „დროება“, 1883, № 74.
6. თავისუფალი სვანი. სწავლა-განათლების საქმე სვანეთში. გაზეთი „დროება“, 1883, № 82.
7. თავისუფალი სვანი. ხმა სვანეთიდან. გაზეთი „დროება“, 1884, № 198.
8. თავისუფალი სვანი. ხმა სვანეთიდან. გაზეთი „დროება“, 1884, №№ 204, 206.
9. თ-ი სვანი. ხმა სვანეთიდან. გაზეთი „დროება“, 1885, № 38.
10. თავისუფალი სვანი. წესები მიცვალებულზე სვანეთში. გაზეთი „დროება“, 1885, №№ 47, 51, 56.
11. თ-ი სვანი. სვანეთის ეკლესიათა ქონება. გაზეთი „დროება“, 1885, № 78.
12. თ-ი სვანი. ხმა სვანეთიდან. გაზეთი „დროება“, 1885, № 96.
13. თავისუფალი სვანი. თამარ დედოფლის მსგავსი თავისუფალ სვანეთში. გაზეთი „დროება“, 1885, № 103.
14. თავისუფალი სვანი. ხმა სვანეთიდან. გაზეთი „დროება“, 1885, № 176.

- 
15. თავისუფალი სვანი. შელოცვები სვანეთში (შეკრებილი თავისუფალ სვანეთში). გაზეთი „ივერია“, 1886, №№ 215, 219.
16. ბ. სვანი. სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნეობანი (შეკრებილი თავისუფალ სვანეთში). გაზეთი „ივერია“, 1886, №№ 143, 146.
17. ბეს. ნიჟარაძე. დაბა და სოფელი. ქუთაისი. გაზეთი „ივერია“, 1887, № 46.
18. თავისუფალი სვანი. ჯიხვი და შუროხი (ზოოლოგიური მიმოხილვა). გაზეთი „ივერია“, 1887, № 84.
19. თ-ი სვანი. სვანეთი. გაზეთი „ივერია“, 1887, № 192.
20. Виссарион Нижарадзе. Сванетские пословицы, загадки и песни, СМОМПК, X, Тиф., 1890.
21. თავისუფალი სვანი. დაბა და სოფელი, სვანეთი. გაზეთი „ივერია“, 1888, № 238.
22. თავ. სვანი. საბიბლიოგრაფიო შენიშვნა. გაზეთი „ივერია“, 1891, № 6.
23. სვანი. მისიონერი ბერი, სვანი თეოდანე. გაზეთი „ივერია“, 1893, № 239.
24. სვანური ზღაპრები შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისი, 1893.
25. ბეტა-ნი. სვანეთი. გაზეთი „ივერია“, 1894, № 142.
26. თ. სვანეთი. გაზეთი „ივერია“, 1894, № 268.
27. თავისუფალი სვანი. სვანეთი. გაზეთი „ივერია“, 1895, № 281.
28. ბესარიონ ნიჟარაძე. კარესპონდენცია, ურნალი „მწყემსი“, 1896, № 15—16.
29. თავისუფალი სვანი. სვანეთის მანუსკრიპტები. გაზეთი „ივერია“, 1903, № 194.
30. ბესარიონ ნიჟარაძე. სვანეთის ხელნაწერები. „მოაზბე“, 1904, №№ 9, 10.
31. თავისუფალი სვანი. მოკლე მიმოხილვა სვანური გრამატიკისა. „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ., 1911—1913.
32. ბეს. ნიჟარაძე. წმ. კვირიკეს ბერძნული სახარების თავგადასავალი. „კოლხიდა“, 1917, № 137.


**ბეჭდური ნახაზი სვანურ ტერმინთა ლექსიკონი**

აბასად; II, 35—ნადირობის ღვთაება  
 აბლინდე; I, 1946—აბნევეს (ლიბძღენე  
 —ბენტვა)  
 ადგომ; I, 56—ადღგომა  
 აზნაიერ; I, 199—აზნაური  
 ალა ეწი აწყა; I, 184—ეს მაინც მო-  
 მყავს  
 ანუი ლი; II, 153—ასე არის, ასეა  
 ამსვალდჷ მგწსე ღერმეთ; I, 91—ადა-  
 მიანის გამჩენი ღმერთი  
 ანგუხუხ (ანბუწუხ); I, 154—მოწვევა, მო-  
 მართვა (წვეილდისრის თოკისა)  
 ასეიშ (ჰასეიშ); I, 114—სახლის ასული,  
 გათხოვილი ქალი მამის ოჯახი-  
 სათვის  
 აფხაზარე ლენზილდ; II, 159—აფხაზე-  
 ბის სოჭი, ნადვი; ლენზ, სოჭი  
 აქიმი, პაპი მუშკიდ ჩიმიშ ლი; I, 173—  
 აქიმი, პაპი და მჭედელი ყველა-  
 სიაო  
 აცსიშ; I, 124—= 6მან.  
 აცბიშ (აცსიშ); I, 70—საწყაო ჭურ-  
 ჭელი  
 ახაში ბახაში ნესგა ბოგარს დესგი  
 ნესყემიშ; II, 10—ახასა და ბახას  
 შორის (შუახე) ხიდებებს დებს ნემ-  
 სისას  
 აჯკანდ; II, 21—მოგსლოდეს, ლიკედ—  
 მოსვლა  
 ბაქ; I, 166—გონება (ბაჟურ—ჟგო-  
 ნოდ)  
 ბაჩჷ ბოგ; II, 152—ქვის ხიდი  
 ბაჩჷ ლილჯენი; I, 98—ქვის (სამანის)  
 მიწაში ჩადდება (დამარხვა) (ლილ-  
 ჯენი—დარგვა)  
 ბალზ, ბეცხ; I, 70—„სულის საქმე“  
 ბოჯან; II, 68—კერიის უკან ვარ-

ცლის დასადგმელი, ფიქალი ქვევით  
 ამაღლებული, ადგილი (შუკულო)  
 ბურღვი; II, 20—საქმელი მცენარე;  
 გარდ;—I, 131—პატარა ორმო  
 გარცან;—I, 100—გარდაცემა; იგულის-  
 ხნება ხატზე გადაცემა  
 გაჩ; II, 82—დანა  
 გვალ; II, 67—საქონლის სადგომი სვა-  
 ნურ სახლში  
 გვეფ; I, 162—ბოროტი (მისანი)  
 გვიშგვედ (გვიშგვეფ); I, 27—ჩვენი  
 გზავრობ; II, 21—მგზავრობა  
 გიმი; I, 60—მიწა  
 გოზა (ვეფი გოზა); I, 157—მწვილდის  
 ნაწილი  
 გუნ ეხერ; II, 177—ძალიან კარგი  
 დანე; I, 153—დევი  
 დანლ; II, 35—ნადირის მფარველი ღვთა-  
 ება  
 დანბალ || დამბალ; II, 19—დაბალი  
 დარბაზ; II, 68—სვანური სახლის ზედა  
 სართული, იხ. აგრეთვე ნუკნბ  
 დახლასკელი; II, 20—გარეული საჭმელი  
 მცენარე  
 დაჯლაშ; I, 124—თხის საფასური, თხის  
 ჭურჭელი—სითხის საზომი ერთეული  
 დემის ხამლოეხ; I, 183—არ არგუნებენ  
 დეც; I, 27, II, 106—ც ა  
 დიდაბ; II, 21—დიდება  
 დიდარდ; I, 156—ბლომად (მდიდრად)  
 დილეგ; I, 121—კოშკის ან სახლის  
 ქვედა სართულის ერთერთი სთავსო,  
 რომელშიც ამწყვვრედნენ ტყვეს  
 დიყა; II, 20—გარეული საჭმელი მცე-  
 ნარე  
 დიკვან (დიკვან), I, 70—უმცროსი პაპი

დომდულ; I, 131—მთვარე.  
 ებ (მებ); II, 159—ბალი, ებიშ ცხეც,  
 ბალის ტყე  
 ელ; II, 35—ნადირობის ღვთაება  
 ჩუბემ ი ყიბემ; II, 155—ქვედა და  
 ზედა  
 ვარგ; II, 29—სოციალურად დაწი-  
 ნაურებული ფენის წარმომადგე-  
 ნელი  
 ვერი მგქდენი; I, 86—(ქვეყნის) მო-  
 ლალატე  
 ზეჟა (ბქვ. სვ.); I, 124—იხ. ლერქვანშ  
 ზისხ ფუვე; I, 93—სისხლი დულს  
 ზომხა (ბხ. სვ.); I, 54—ახლი წელი  
 ზურალასკარ (ზურალან ლსკარ); I,  
 62—გაერთიანება ქალებისა პუ-  
 რობის დროს  
 თარაგულ; II, 52—სიმდგრან ფერხუ-  
 ლით.  
 თარგენგზელ; II, 21—მთავარანგელოზი  
 თემ, ლამხუმ (დამხუმ); I, 106—გვარი,  
 სამმო  
 თუშრე ნამზიგე; I, 148—თუშების  
 ნამოსახლარი  
 თუშრე ზუგვარ; I, 148—თუშების  
 გორები  
 თხუმ (თხვიმ); II, 176—თ ავი  
 ივა-ადამუნდო; I, 91 ევა-ადამიდან  
 ივასუვ ხარი; II, 102—სამუდამოდ  
 იყავი (მრავალყამიერ)  
 ინლა; II, 21—ბჟოლო  
 ირუი ბაჩ (იგრუი ბჩჩ); I, 138—ლურ-  
 ჯი ქვა  
 ისგან ყარ; II, 67—შიგენითა კარი  
 (სევანური სახლისა)  
 კადრდ ფუკეიდ; I, 119—გარტყმა  
 „მშრალად“, ე. ი. უსისხლოდ  
 კათხ-ტაბანგ; I, 72—პურობა, ქეიფი  
 კალენქარ; I, 159—გარეული ღორი  
 ჩალათ; I, 80—საცოლეს ოჯახის  
 მიერ სასიძოს სახლში წაღებული  
 ხორაგი, ქალის წყყენის დროს.  
 კალფევერ; I, 117—გადასახადი (?)  
 კანდა (ბქვ. სვ.); I, 54—ახალი  
 წელი  
 კარპან—(ქვ. სვ.); I, 118—ცალმაგი  
 (გზოში დადგმული ფარდული).

კარვა ან საჩფულ; I, 173—საწყაო ერთე-  
 ული=ჩაბანალ-ს (იხ.)  
 კარვა; I, 123—მარცველულის საწყაო  
 ერთეული უდრის **საჩფულს**  
 (იხ.)  
 კვანოლ ლქმათე ამჩედელი, ტუფ მჩე  
 ათსედა; I, 192—კვარნა საშოვარზე  
 წასულა, ტყავი იქდარჩენია (ანდახა)  
 კვიცრან ხაგარარ; I, 195—ჯიხვის ფეხები  
 კვიდ; I, 123—საწყაო ერთეული = 8  
 ფუთს  
 კილი კაჩხუმ ლისკენ; I, 132—ცალი ფე-  
 ხით ხტომა  
 კილთხი (კვლთხი); II, 19—მალალი  
 კირბილ; I, 171—?  
 კირკვალდ (კირკვლდ); I, 74—რიტუალუ-  
 რი პური  
 კიჩხილ; I, 57—რიტუალური პური კი-  
 ბის გამოსახულებით  
 კიჩხელდ; I, 177—პატარა კიბე  
 კოსიდა (?); II, 37—ტყავის ქისა  
 კოჯაბ დანლ; II, 35—კლდის დალი  
 ლაგვან ან კონჩახარ; I, 128, 188—სა-  
 ტირალი  
 ლაგვარ; I, 118—საგვარო ყანები  
 ლადლიშ; I, 123—დლიური, როგორც  
 მიწის სახომი ერთეული  
 ლახემ (ქვ. სვ.); I, 124 იხ. ლერქვანშ  
 ლათ; II, 161—გუმინ  
 ლაიმახვალდ ლიზი; I, 87—სამტროდ  
 წასვლა  
 ლალანშ (ქვ. სვ.) I, 123—საწონი ერთე-  
 ული  
 ლალხორ; I, 19, 90—სახეო გაერთიანე-  
 ბის შესაკრები ადგილი; კრება, შე-  
 კრებულობა, ყრილობა  
 ლალფანქ კიბედენ; I, 127—საფქვილე კი-  
 დობანი  
 ლალცომაზ; II, 73—საქონე, მამაკაცის  
 ქამარზე ჩამოსაკიდებელი  
 ლამხუმ; I, 88—სამმო  
 ლანწრია; I, 13, 26—წმ. მარიამის სახე-  
 ლობის ეკლესია  
 ლანწზგი; II, 179—სალოცავი  
 ლანწირ; II, 21—გვიწყალობე, წვეგი-  
 ცოდვე  
 ლაჩხვ; II, 50—სადოვარი.



ლაუსგე; I, 154—სავაშლე ადგილი (ვისგე=ვაშლი).

ლაყვლა ან კვიდოლ; I, 123—მარცვლუთლის საწყაო ერთეული (=2 ფუთს)

ლაყურა; II, 192—საწოლი

ლახეპ ჯგგონჯ; I, 190—მთის წმ. გიორგი

ლახციხდენს; I, 186—ეწყინოს, დაიწყუნოს (ლიციხიდლ—დაწყუნება)

ლახნისგ; I, 123, 124—სანახევრო, თიხის ჭურჭელი, სითხის საზომი ერთეული(=ნახევარ ჩაბანაღს)

ლახდილ; I, 123—საწონი ერთეული (=2 ფუთს)

ლახმირ; II, 113—საღორე

ლაჯიმ კოჯ; II, 9—მარილიანი კლდე (ჯიმ მარილია)

ლაჭუნწულაშ; II, 68—სანეხვე

დიდებ ბარბაღ დოღაშ; I, 61—სიმღერა (დიდება ბარბაღე დოღაშისას)

ლებ (ლებარ—მრავლობითი); I, 163—ყელსაბმელი

ლემ; I, 63—ლომი

ლემზირ; I, 184—შესაწირავი კვერი.

ლენცელ, ლემად; II, 65—საუხმე

ლეჟა ი ლეჟა მეზი; I, 153—ზემოთ (აღმოსავლეთით) და ქვემოთ (დასავლეთით) მიმავალი

ლერქვაშ (ბზ. სვ.); I, 70, 115, 124, 173—1)თიხის ჭურჭელი, სითხის საზომი ერთეული; 2) ფუთის საზომი ერთეული. სიტყვისიტყვით ნიშნავს ცალის ტანისამოსის (ლერქვე) საღირალს (=1 მან.)

ლერდი; I, 117—გასაზრდელი

ლერგიმ; II, 68—გრძელი, სავარძელი 7—8 კაცის დასაჯდომი. სვანურ სახლში უფროსი მამაკაცის დასაჯდომად იყო განკუთვნილი

ლესგ; II, 27—გვერდი, ფერდობი, ქედი

ლელვლიაქ; I, 117, 123—ცხვრის საფასური

ლეშუმფური; I, 86—საშამფურე

ლებდე (ლედე); I, 67—მისატანი, შესაწევარი

ლეჯგრი-ლეფანე; I, 183—საჭურჭელი-საფენი

ლიბუდარაღ; I, 132—საყმაწვილო თამაშობა—გაწვევ-გამოწვევა

ლიბულოთლ (ლიბურთაღ); I, 136—ბურთაობა

ლიგზელი ახფიმდენე; II, 172—„შვილიერების ნება მისცა“

ლიგზელი ათქვიცენე; I, 172—შვილიერების მოსაობა

ლიგურკე; I, 62—დღეობა კვირიკობა

ლიგკე, ლიყდანი; I, 77—დანიშენა (დაკავება) ქალისა

ლიგაფ, ლაგაფ; I, 67—წილი, კერძი

ლიდაშ, ლილაჭი; I, 75—სადიდებელი

ლიღშნალ; I, 133—დანაობა, ხმალობა (დანაღა—ხმალი). ხის დაშენებით (ხმლებით) საყმაწვილო თამაშობა

ლილკე; I, 131—ამორჩევა რისიმე

ლილჩე; I, 135—საყმაწვილო თამაშობა—დარაჯობანა

ლიმპარ; I, 58, 64—ლაშპრობა (დღეობა)

ლიმბუენაღ; I, 133—თოვლით თამაშობა

ლიმურყვამაღ; I, 133—კოშკობანა (მურყვამ—კოშკი) საყმაწვილო თამაშობა

ლიმზე; I, 146—განახლება

ლიმსგა; I, 82—ვაეიშვილიანობა

ლიმწი; I, 67—წილი, კერძი

ლინზორაღ; I, 182—შეყრა, შეკრება

ლინტყაე; I, 120—კაცის დატყვევება

ლირდე; II, 98—სიცოცხლე, ყოფნა

ლირდე-ლიზგე; I, 155—ყოფა-ცხოვრება


ლისგვეჯინაღ; I, 58, 186 „სულთა წაბრძანების დღე“

ლისაუნე; I, 60—დაბრუნება

ლიფანაღ I, 18, 56—„მიცვალეხულთა სულების მოსახსენებელი დღე“

ლიფშედანაღ; I, 133—თამაშის ერთი სახეობა, ნიშანში მუჯირას სროლა

ლიქერაშ; I, 58, 60—დღეობა, უძღების კვირა



ლიყანსგურწლ: I, 135—საყმაწვილო  
 თამაზობა—რიკტაფილა  
 ლიწგმე (ლიწგბე); I, 120—მანდილის  
 მოხდა ქალისათვის მისი შეურა-  
 ცხყაფის მიხნით  
 ლიხირბწლ: I, 133—ციგაობა  
 ლიხირჯიკწლ: I, 137—ბზრიალის  
 (ჩირჯიკი) თამაზი  
 ლიცბრე: I, 131—გაგება  
 ლიწვრი: II, 176—სისხლის აღება  
 ლიჭლოკი: I, 136—რიკტაფელას თა-  
 მაშის ერთერთი სახეობა  
 ლიხუნბუცწლ: I, 134—ხტომა, საყმა-  
 წვილო თამაზობა  
 ლიჯარბაზწლ: I, 136—ქვის სროლა  
 ნიშანზი  
 ლობი: I, 121, II, 68—სახლის პირ-  
 ველი სართულიდან მეორე სარ-  
 თულზე ასასვლელი ვრდო  
 ლობუნჩე: I, 71—გადაფარება (თაფზე)  
 ლუგვეჟ: II, 192—გოჭიანი  
 ლუდგარნი ლახორ: I, 186—„მიცვალე-  
 ბულთა შეკრება“  
 ლუთშუე: II, 175—ჩენილები (სოფლის  
 თავაკები)  
 ლუფვილ: I, 101—ამორჩეული; თი-  
 თით ამორჩეული (ფხულე—თითი)  
 მაგუე ამშდაზა (ნაგუე ამშდეზა); I,  
 152—ყველაფერი გამიწყდეს  
 მადილი გულა; I, 179—მადლის გუ-  
 ლისათვის  
 მადილ ჯვრბი; I, 184 მადლი გექნებათ  
 მანჩაწ: I, 124—თიხის კურჭელი, სი-  
 თხის საზომი ერთეული  
 მაუბი: II, 68—სვანური სახლის ზე-  
 და სართული  
 მარწმი გვის მეშზა ვერანქესერ დე-  
 სამა აბზე; I, 141—კაცის გულს  
 შავი მიწის მეტი ვერაფერი გა-  
 აძლებსო  
 მარგი მუშეი: I, 171—?  
 მარ: I, 118, II, 66—ცალმაგი  
 მარტუ: II, 68—სვანური სახლის ქვე-  
 და სართული

მახვი: I, 38, II, 21—უფროსი (მანასა-  
 ლისი)  
 მეგა: I, 60—მიწა  
 მეხი: I, 148—მიწავალი, მგზავრი  
 მეზირ: I, 19—ოჯახის მფარველი არსება;  
 ბედისა და მარაგის მიმნიჭებელი  
 მელენი: I, 172—სამკურნალო ბალახი  
 მეპრისდე მიშგუ ლი, მიშგუ ფუსდ  
 ქრისდე; I, 152—მონათლავი ჩემი  
 არის, ჩემი ბატონი ქრისტე  
 მეჯირ: I, 119—სველი  
 მეჯარ: I, 178—მზიანი  
 მერი: II, 158—მეორედ მოთიბული თივა  
 მეტიხელ: I, 109—შემამბრუნებელი, სამა-  
 გიეროს გადამხდელი  
 მექედნი: II, 179—მოლაღალატე  
 მეშხელეთ: II, 145—შავი ღამე  
 მეცარია: I, 151—გულთმეცარი (გულთ-  
 მისანი)  
 მეცხაწ: I, 60—მოხარდი  
 მექალ: I, 60—მომწიფებელი, მოსწრებუ-  
 ლი  
 მიე: I, 131, 141, 145—მზე  
 მირსგვენ: I, 60 მარჯვენა  
 მიშგვა ხიზდი ლინზორწლუე ამშდეზა;  
 I, 182—ფიცი „ჩემ სასიხარულოს-  
 თან შეყრამც მომსპობიაო“  
 მიშგუ ლილყურ: II, 35—ჩემთან წოლა  
 მიჩა: II, 179—მისი  
 მიჩა ჯერ: II, 38—მისი წყალობა  
 მიჩა (მეჩა): II, 37—მაცხოვარი, მკვე-  
 ბავი ღეთაება  
 მიჩა ლირდე, ლიხგე; I, 60—მისი ყოფნა,  
 ცხოვრება  
 მიჩა ნაჩამ ნაქვისგ: I, 60—მისი ნაქნარ-  
 ნათქვამი  
 მიჩა ნახალ-ნალწ: I, 60—მისი ნახანე-  
 ნათესი  
 მიჯვრა: I, 134—მუჯირა, რკინის წვე-  
 რიანი სასროლი ჯოხი  
 მორვალ: I, 38, 41—მედიატორები  
 მოსვალდე: I, 75—ერთი ულთუვა ხორცი  
 მუ: I, 27, II, 106—მამა  
 მუგერი:—I, 110—გაბუტული  
 მულცა (მელცა); I, 152—მეწყლეები  
 მუნცხარ: II, 21—მოცხარი  
 მუქლვერ: I, 65—შემოდგომა



მურყვამ: I, 133—კოშკი  
 მურამული ქელა; I, 134—ორ სარ-  
 თულიანი ფერხული სიმღერით  
 მუფღღე; I, 138—„მსახველი“ (ითქმე-  
 ბა ღმერთზე)  
 მუჭველა მოლხიზა; II, 36—მესაგ-  
 ძლები  
 მუნღრ რიპარ; I, 178—მკრთალი სი-  
 ნათლე  
 მუყა (მწყა); I, 80—ჭალის მაყარი  
 მუშუნდობი; I, 185—შენდობის მთქმე-  
 ლი  
 მუშივი უტყინ; I, 179—წყვდიადი,  
 უხილავი  
 მუჭურჩული; I, 57—რიტუალური  
 პური  
 მუჭანე (მგჭენე); I, 152—აკენის და-  
 ბრწები  
 მუფშედე; I, 96—შემქმნელი  
 ნათე; II, 56—ხის ნაფოტი  
 ნაირთქულუმი მადღრა, ნაბან; I, 104—  
 ერთგულებს ფიცი, ხატის ნაბანი  
 წყლით ნაფიცარი  
 ნაკმარუნ; I, 117—მოსაკითხი  
 ნალჯამი; I, 123—მიწის საზომი ერ-  
 თელი  
 ნამგეშივი; I, 113—საუფროსო  
 ნამახტვი; II, 38—იპრალით მოკლუ-  
 ლი ნადირი  
 ნამშდშ; II, 34—ნამარტვი, განმარ-  
 ტოებული  
 ნაურდი; I, 98—არყოფნა  
 ნაყდანვირ || ნაყდანტი; I, 78, 112 და-  
 მაკავებელი, დასანიშნი ჭალისა  
 ნაყმდე; I, 172—სამკურნალო ბა-  
 ლახია  
 ნაცვდ; I, 59—ნაცვალი, სანაცვლო  
 ნაცვივირ || ნაცვივილ; I, 111; II,  
 25—ჭალის მიტოვებისათვის ჩემუ-  
 ლებითი სამართლით მისჯილი გა-  
 დასახადი  
 ნაკვლაშ; I, 79—ურვადი  
 ნახუდშ ლისკენ; I, 131—საყმაწვილო  
 თამაშობა (ლისკენ—ხტომა)  
 ნახან (ნაჯან)—ნალაშე; I, 73—ნახნავი,  
 ნათესი  
 ნეზე; II, 192—ნეზევი  
 ნესგამეზალ; I, 38—შუჟაკები

ნელარ; I, 61—დიდი ზომის კასრი  
 იშა ნატილს ჯექქინენ; I, 91—რამდენ  
 ნეტავის გეტყვიან (ბევრს შემოგნატ-  
 რებენ)  
 ოღო უთვადო ანთენენს, უღგაზს და  
 აღგანს; I, 142—„სანამ „უბადებელი“  
 არ დაიბადოს და „უკვდავი“ არ მო-  
 კვდეს“  
 ოთხვია; II, 162—წაულია  
 ოხარ; I, 55—წყლის მოსატანი ხის ქურ-  
 ქელი  
 ოზრგზენ; I, 154—ჩამოყრა  
 პანშივი; I, 67—პანაშივი  
 პაპ (ბაპ); I, 67 სასულიერო და საერო  
 საქმეების წინამძღვარი  
 რავქნა; II, 52—სინღვრა ფერხულით  
 ებე ქვე; II, 87—ზედა (აღმოსავლეთის)  
 ხევი ზემო სვანეთისა  
 ეაპ; II, 20.—ზევი  
 სავიარე ლაშთხვალ (სავიარე ლაშდღვი-  
 წარ); II, 11—ოსების სასაფლაო  
 საკურცხვილ; II, 68—ოჯახის უფროსი  
 შამაკაცის სკამ-სავარძელი  
 საკვამ; II, 68—საკვამლე  
 სალხინისგა ლუხვებ; I, 73—სალხინობე-  
 ლი საკმელი  
 სამუხზარქლექთულვარ; I, 195—სამუ-  
 ხლები  
 სამყარაჲ კოჯ; I, 138—სამყაროს კლდე  
 სამხუბ; I, 9—საძმო  
 სამცხვირ (სანცხვირ); II, 69—საისრე  
 ახლა სათოფურსაც იტყვიან  
 საქუნ; I, 180—„სულის საკურთხი“  
 საღრბპთ; I, 72, 180—საღმთო  
 სწყსწარ (სწყსწარ); I, 122—სახსარი, ტყვის  
 გამოსახსნელი  
 სახვე; I, 19—სახვეო საფასური  
 სგჷ მუჭუში; I, 55—შინა გეკვლე  
 სგიმ-ბერ-მოძღვარი; II, 35—ნადირობის  
 სეხეხდის მომცემი ღვთაება  
 სგიმ; II, 18—მუჯვე წყალი  
 სებისკვერ; I, 66—სეფისკვერი  
 სეგდა-კიო; I, 69—ხის კასრი  
 სეფ; I, 19—სოფლის მოედანი  
 სეიმონ; I, 88—სოფ. ივარში სახვეო გა-  
 ერთიანების შესაკრები მინდორი

„სი ტყვე, იმეი მარგადი მი“: I. 122—„შენ ტყვევ, როგორ მელაპარაკები მე“

სუნდუქე დეცენ: I. 59—ლაშარი ცის ტვიმ (ტვიბ): II. 20—ხევი || ხეობა

ტურფა: I. 123—მარცვლეულის საწყია ერთეული = 1/3 კვიდოლს (იხ.)

ტყვემინ: I. 117, 124—ტყვის საფასური (= 24 მან.)

უკიდა, I. 92—აუღებელი

უმზაუნებე: I. 115—„უჭმელის შტამელი“: დიდ სალანძღავად ითვლება უფლიონ: I. 62—უფლისობა (აღდგომა)

უმდბალი: I. 55—გადმოუბრუნებელი პური

ფისემი გვიბ (ფისემი ტვიბ.): I. 179—ფისის ტბა

ფირქ: I. 57, 186—სამფეხა სუფრა, ტაბაკი

ფუ, ლაღვე ახცხულენა ქაჯ ჰემნას: I. 199—„ფუ, ფრთა დაეწვას ქაჯ-ემნას“

ფუსნ აბუასდი: I. 76, 82, II. 36—ბატონი, უფალი ამ ქვეყნისა

ფხულე: I. 44—თითი

ქაბე ყორ: II. 67—გარეთა კარი (სვანური სახლისა)

ქაბე მუქში: I. 54—გარემე მეკვლე

ქანთხი: I. 153—წმინდა და სათუთი ქსოვილია

ქარას: I. 96—ყანწი, რქა

ქაწვეთობ: I. 62—დღეობა (ქაწვეთობა)

ქვზა: I. 194—იანვარი

ქვერწლარ: I. 80—მექორწილები

ქვინი ლითვეფ: I. 180—„სულის დაკარგვა“, „სულის წაწყმედა“

ქიწა: II. 20—საქმელი მცენარე

ქორა მახვში: I. 9—სახლის უფროსი

ქორთე ლიფეფ: I. 101—სახლში შეძლოლა

ქრისდემ თასდებ: I. 154—ქრისტეს თავდებობა

ქრისდემ ლისგდინ იბზიხ: I. 179—„ქრისტეს მზერით ძღებიან“

ქრისდემ ლიხვწაწნი, ლახსარგინი: I. 180—ქრისტე შეუნდობს, აპატიებს

ქრისდემ ტაბაგდუფ ჯიგაძე: I. 178—„ქრისტეს სუფრის (ტაბაგის) მონაწილემე იყავი“

ქუნეგვემ: I. 65—„სულიწი სავი“

ღებრეთ: I. 26—ღებრეთი

ღერთემი მეკბალ მუწენ: I. 73—ღვთის მავედრებელი სვანი

ღებრეთი მეფუდვე: I. 171—ღვთის მოვლენილი

ღეჭ (ღეხ): II. 19—ღუსი, გარეული საშეღელი მცენარე

ღვასე: I. 149—ჭია (მუცლისა)

ყანსავი ლგლჭენარ: II. 30—ყანსავის არხები

ყანსვე: I. 135—რუ

ყარ: I. 135—ყავარი

ყერიწმ: I. 72—ეკლესიის „მადლის“ სახელზე განართული პურობა

ყველფ: II. 68—1) კერის გარშემო ოჯახის წევრთა სამყოფი ადგილი; 2) ცეცხლის დასანთები ორმო (ყველფ ან ლაყულფა)

ყურმა: I. 159—ძაღლის სახელია

ზარნი: I. 162—მძივის ერთგვარი სახეობა

ზგვირ: I. 110—სირცხვილი

ზდავალ: I. 147—მერცხალი

ზდავეი (ზდუვა): I. 147—თოვა (მუს-თოვლი)

ზდუღვარ (ზდურავლ—მრ., ზდურ მხ.): II. 69—ღუროები

ზელდ: I. 135—სათვალავი, რიცხვი

ზეან: II. 179—სვანეთი

ზეენდა მიჩა ლაქუნს, ქრისდემ ტაბაგდუფ ხოვად: I. 194—„ზეენდაბა მის სულს, ქრისტეს ტაბაგზედამე ჰქონდეს წილი“

ზეეთ: II. 65—კერაზე გამოცხვარი პური შობა: I. 52—შობა

ზეუნე ტვიბ: I. 91—სვანეთის ხეობა

ზაბანწლ: I. 116, 123—საწყაო ერთეული (= 1/6 ლედელიაქისა)

ზარბ: I. 133—ცივა

ზაფრასტალ, ზაფრასტარ:—I. 83, II. 72—ქალის მკერდის სამკაული



ჩაფლან: I, 78, 124—1) თიხის ჭურჭელი, სითხის საზომი ერთეული; 2) საფეხსაცმელე ტყავი როგორც საზომი ერთეული  
 ჩერხა (ჩირხუ): I, 157—ბროლის ქვა, თეთრი ქვა  
 ჩველა (ჩიჩველა): II, 20—გარეული საჭმელი მცენარე  
 ჩუბე ჰვე: II, 87—ქვემო (დასავლეთის) ხევი ზემო სვანეთისა  
 ჩხორ ლგაკ: I, 43—ჯანი ჭდებებიანი ცალმაგ (ბქვ. სვ); I, 118—ცალმაგი ცხვადონ: I, 118, 123—მიწის საზომი ერთეული  
 ძავალ (ძვევალ): I, 122—მძვეალი  
 გარცნა: I, 193—„ხატზე გადაცემა“ მომჩინებისა, მოპასუხის თუ მედიატორის მიერ იმ მხარისა, რომელიც სიმართლეს უღალატებს  
 წამ: I, 159, II, 68—1) პალო, 2) წანი, 3) სისხლით ნათესავი  
 წენწნ: I, 154—ჯამბარა  
 წერექვ (წერწქვ): II, 72 თამი, ფეხსაცმელში ჩასაკვები თივა  
 წორ I, 87, 98, II, 85 სისხლის საფასური  
 წორწ ლიკვდ: I, 115—წორის (იხ.) აღება  
 წული ლასგვრა (წვილი ლასგვრა): II, 22—წულის, სარძლოს დასაჯდომი  
 ქამილ (?): I, 57—ოიტუალური პური  
 ჭილ: I, 171, 172—ბალახის ძირები  
 ჭიშხი ლიფშდუნე: I, 77—„ფეხის ახსნა“ (პატარაძლობა)  
 ხამ (მხ.) ხამარ (მრ.): II, 113—ლორი, ლორები  
 ხამა მაქწ ქვინწულ ადმაფ (ადბაქ): I, 193—„როგორ მაქას სულივით დაიკარგა“

ხანგარი: I, 152—ჯოჯგინა  
 ხედა: I, 27, II, 106—რომელი  
 ხეობ: I, 88—სახეო გაერთიანება  
 ხუჭუი (?): I, 173—აქიმის გასამოჯილო  
 ხი: I, 27 II, 106—ხარ  
 ხინკვედდელ: I, 185—იხმარდეთ. ასარგებლებდეთ  
 ხოლა ლაქუნ: I, 179—გლაბა სასულეთი (ჯოჯგინეთი)  
 ხოწა თანაფ: I, 62—დიდი აღდგომა  
 ხოწა: II, 21—კარგი  
 ხოწა ლადნლ: I, 15—კარგი დღე; იხმარება სვანეთში როგორც მისალმება  
 ხოწა ი ხოლა ლაქუნ მწრე: I, 178—კარგი და ცუდი სულის კაცი  
 ლეებ: II, 50—გობი, როფი.  
 ფაყვ ლიკვდ: I, 137—საყმაწვილო თამაშობა—ქუდის აღება  
 ფურემ: I, 124—ძროხის ფასი (= 10 მან.) საზომი ერთეული  
 ჯგვრწგი ბწჩ: I, 190—წმ. გიორგის ქვა  
 ჯიციხანდახ: II, 98—ამჯობინებდით  
 ჯიხვირ: I, 192—ქვის პატარა შენობა, კარავი  
 ჯიჭრა: I, 159—მუხა  
 ჰაბწრ: I, 156—ხის ჩელტი  
 ჰიბწრ: I, 39, 87—ჯარბმა  
 ჰოლ ანუ ვოლ: I, 64—მყინვარი  
 ჰულიმ: I, 62—ცხენების ჯირითი, პეტრე-პავლობის მარხვის წინა შაბათ-კვირას  
 ჰუნარ: II, 175—გავონება, სმენა  
 ჰაკელ: I, 82—ქალის მანდილი  
 ვალსენ: I, 93—ხელოსანი  
 ვართ: II, 116—ხანა.

ილუსტრაციების სია

1. უშბა (ნ. ჩიჭავაძე)
2. უშბა (მ. შირიანაშვილი)
3. იეთნოლდი (ლ. ლლონტი)
4. ლაშხეთი, ს. იწის ნასახლარი (ალ. რამიშვილი)
- 5ა. ზესხო, ჭოროხის ნასახლარი (ალ. რამიშვილი)
- 5ბ. ლაშხეთი, ძეღარეში-ქალაქოლი (თ. თოდუა)
6. ბაღყარეთი, ს. ბეზინგი; აგბზე-ყალა (ა. რუდნევი)
7. ლატალი, ს. ლეშუკი (თ. თოდუა)
- 8ა. მესტია, ს. ლღამი, საცხოვრებელი კომპლექსი (თ. თოდუა)
- 8ბ. ეცერი, ს. ბარში, საცხოვრებელი კომპლექსი (თ. თოდუა)
9. ლაშხეთი, მდ. ცხენისწყლის ქალა (ალ. რობაქიძე)
- 10ა. ლატალი, ძელური სახლი (თ. თოდუა)
- 10ბ. ჭებერი, ძელური სახლი (თ. თოდუა)
11. ზესხო, დოღვანში მურყვამ (ალ. რამიშვილი)
- 12ა. ლაშხეთი, ს. ყახუნდერი (თ. თოდუა)
- 12ბ. ჭებერი, ს. თაგარაი (თ. თოდუა)
13. უშკული, ს. ჩვაბიანი (ალ. რამიშვილი)
14. ლატალი, ს. ლახუშდი; მურყვამი (თ. თოდუა)
15. უშკული, ს. ჩვაბიანი; დუბლირებული მურყვამი (ალ. რამიშვილი)
- 16ა. ფარი, ს. ფარის სვიფი (ალ. რობაქიძე)
- 16ბ. ეცერი, ს. ისკარის სვიფი (ალ. რობაქიძე)
17. უშბა (ლ. ლლონტი)
18. ლატალი, ს. იენაშის კუთხე (ნ. ბრაილაშვილი)
19. ლატალი, ჩარკვიანების ნასახლარი (ნ. ბრაილაშვილი)
20. ლაშხეთი, ს. ჩიხარეში; დაბიშის ეკლესია (ელ. წილოსანი)
21. უშკული, წმ. გიორგის ეკლესია (ალ. რობაქიძე)

22. ეცერი, ს. უღვალი (ო. სულავა)
23. უშკული, ლამარია (ო. სულავა)
24. მესტია, ს. ს. ლანჩავლი და ლალაში (გ. შვებელიშვილი)
25. უშკული, ერთი სოფლის კუთხე (ო. სულავა)
26. უშკული, ერთი სოფლის კუთხე (ო. სულავა)
27. ლენტეხი, ს. ხელედის კუთხე (თ. თოდუა)
28. ლენტეხი, ს. ცხუმარის კუთხე (თ. თოდუა)
29. უშკული, ერთი სოფლის კუთხე (ო. სულავა)
30. ლაშხეთი, ერთი სოფლის კუთხე (ო. სულავა)
31. უშბა (გ. ჯაფარიძე)




ილუსტრაციები

  
გეორგიული  
ენციკლოპედია











სურ. 5 ა.


სურ. 5








სურ. 7




სურ. 8 ა.

4. 8 ბ.





ქართული  
ენციკლოპედია



სურ. 9




სურ. 10 ა.

სურ. 10 ბ.









სურ. 12 ა.

12 ბ.









სტრ. 15



სურ. 16 ა.

სურ. 16 ბ.





ՅԱԿՈՅԵՅԻ  
ՇՈՆԿՈՒԹՅՈՒՆ







სურ. 18






საქართველოს არქიტექტურის ინსტიტუტი



სახლი





სახლი



სახლი








316036344  
20274101030

სტრ. 22





მანთა. კახეთის გორი

სურ. 24

ნ. 4





ქართული  
ბიბლიოთეკა







ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



ԼՊԶ. 27







ქართული  
ლიბრთეკა





შ ი ნ ა ა რ ს ი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ	3
ა. შ ა ნ ი ძ ე. სვანეთის ბურჯი	4
ოთხი დღე შდ. ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში	7
უშგულის აღწერა (სვანთა ყოფა-ცხოვრებიდამ)	63
ნალბუჯის გარშემო (დღიურიდგან)	95
ქართულის ენის გავრცელება სვანეთში	169
სვანების აღელვება 1875—1876 წლებში	173
სახაზინო გლეხნი არიან თუ მესაკუთრენი მცხოვრებნი თავისუფლის სვანეთისა?	200
ვინ მიიყვანა 1852 წ. შვიდი სვანი ბორჯომს მთავარ-მართებელ თავ. ვორონცოვთან?	202
А. И. Р о б а к и д з е. Бесарион Нижарадзе как этнограф	206
ბიბლიოგრაფიული ცნობა	219
ტექსტში ნახმარ სვანურ ტერმინთა ლექსიკონი	223
ილუსტრაციების სია	231
ილუსტრაციები №№ 1—31	



რედაქტორი ალ. რობაქიძე

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VII—1964 წ.  
ქალაქის ზომა 60×92<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ნაბეჭდი თაბახი 16,75,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,75

ფასი 2 მან.

შეკვეთა 889

უე 06467

ტირაჟი 3000

---

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета, Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.

Бесарион Шиоевич Нижарадзе  
(Тависупали Свани)  
Историко-этнографические статьи  
(На грузинском языке)  
Издание Тбилисского университета  
Тбилиси — 1964

